ვ. ბოილაძე

აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო

თბილისი — 1997

ადრიდანვე, შუა აზიიდან ბიზანტიაში მიმავალი აბრეშუმის დიდი-სავაჭრო გზის ძირითადი შტო ირანზე გადიოდა. VII ს. დამდეგიდან სოღდიელმა ვაჭრებმა ცადეს ირანის გვერდის აევლით კავკასიის ზეკარებით დაკავშირებოდნენ ბიზანტიას. მაგრამ ამიერკავკასიის იმ ქვეყნებში, რომლებშიც ჩრდილოეთ კავკასიიდან ზეკარები გადმოდიოდა ირანი ბატონობდა. აღნიშნულმა გარემოებამ ალბანეთი და ქართლი საომარ მოქმედებაში ჩაბა. ქართლის დედაქალაქი თბილისი კი 627 628 წლებში ომის ერთ-ერთ ასპარეზად აქცია.

627—628 წლებში თბილისის ასაღებად წარმოებულ ბრძოლებთან დაკავშირებით მკითხველი გაეცნობა იმ სახელმწიფოებსა და ხალხებს, რომლებიც ამ ბრძოლაში მონაწილეობდნენ.

მონოგრაფიაში ნაჩვენებია, რომ 627—628 წლების ომში ბიზანტიის მოკავშირე „ხაზართა სახაკანო" კი არა, თურქთა დასავლეთი კაგანატი იყო. დადგენილია ქართულ ისტორიოგრაფიაში შეცდომით ხაზართა ხაკანად მიჩნეული ჯაბღუსა და მისი ძის-შათის ვინაობა, დინასტიური კუთვნილება. მათი ნათესაობა „თურქთა მეფე საბასთან". მოთხრობილია თბილისის ასაღებად მიმდინარე ბრძოლებისა და თბილისის აღების შემდეგ დატრიალებული უბედურების შესახებ. საინტერესო ცნობებია იმ ხალხებზე რომლებიც თბილისთან იბრძოდნენ.

რედაქტორი აკად. მ. ლორთქიფანიძე

რეცენზენტები: პროფესორი გიული ალასანია
პროფესორი შოთა ბადრიძე

წიგნის გამოცემის ნაწილობრივ დაფინანსებისათვის ავტორი დიდ მადლობას უხდის სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის გენერალურ დირექტორს ბ-ნ რ ე ზ ო ფ ა ჩ უ ლ ი ა ს.

შესავალი

საქართველოში უკვე ზაფხულის სიცხეები იწყებოდა, როცა თბილისის კედლებს ქართველთათვის უცხო ლაშქარი მოადგა. ზოგ მეომარს თავზე თმა სულ გადაეპარსა, ზოგს ნაწნავები ჰქონდა, უმრავლესობა კი „გრძელთმიანი ხალხი“ იყო. უცნაური შესახედაობისა და ჩაცმულობის მრავალრიცხოვანმა მეომრებმა თბილისის გალავნის მიმდებარე ველებზე კარვები გაშალეს, ქალაქზე შეტევას კი არ ჩქარობდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ საომარი მანქანებით თბილისს ქართველთათვის კარგად ცნობილი ბერძნებიც (ბიზანტიელები) მოუახლოვდნენ. დამხვდურნი და მათი სარდლები დიდი სიხარულით შეხვდნენ ბერძნებს და მათ იმპერატორს. დიდი ლხინი და ღრეობა გამართეს. შემდეგ ორივე ლაშქარმა რამდენიმე დღე დაისვენა და ერთ დღეს დილაადრიან თბილისის კედლებზე მდგომმა მეციხოვნეებმა შეამჩნიეს, რომ მომხდურნი ქალაქზე საიერიშოდ ემზადებოდნენ. გამართეს ბიზანტიელთა მიერ მოტანილი კედლის სანგრევი და ლოდსატყორცნი მანქანები, მიაგორეს ისინი კედლებთან და დაიწყეს შეტევა. განსაკუთრებული ჯაფა მტკვრის სანაპიროს ახლოს აღმართული კედლის დამცველებს დაადგათ. ბიზანტიელ მეომართა შეტევას უცხოელებმაც აუბეს მხარი. უცხოელთა ლაშქარმა სეტყვასავით დააყარა ქალაქის დამცველებს ისარი, თან „ოპლა“, „ოპლა“-ს ყვირილით ქალაქის კედლებისაკენ მიიწევდნენ.

ეს ამბავი მოხდა 627 წლის ზაფხულში. იმ წელს, ორთვიანი ალყის მიუხედავად, მომხდურებმა თბილისის აღება ვერ შეძლეს. აქაურობას გაეცალნენ და დათქვეს, მომავალ წელს, „ცხელი თვეების გავლის შემდეგ“, ისევ მოსულიყვნენ და კვლავ ერთად ეცადათ ქალაქის აღება.

რადგან დამპყრობლები თბილისს გაეცალნენ, დროებით მეც შევწყვეტ მათზე თხრობას და ვნახოთ, იმ ხანად რა მდგომარეობა იყო ქართლის სახელმწიფოში და რამ აიძულა ბიზანტიის იმპერატორი და მისი უცხოელი მოკავშირეები თბილისის კედლებს მოსდგომოდნენ?

* * *

ქართლისა და ეგრისის ძველ ქართულ სახელმწიფოებს, ისევე როგორც მათ მეზობელ ალბანეთსა და სომხეთს, წარმოქმნისთანავე დიდ და ძლიერ სახელმწიფოებთან ჭიდილში უხდებოდათ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა. უფრო ხშირად კი, ამ სახელმწიფოთა ტერიტორიები ამიერკავკასიაში გასაბატონებლად მებრძოლი პართიის სამეფოსა და რომის იმპერიის, სასანიანთა ირანისა და ბიზანტიის იმპერიის, სხვათა და სხვათა ბრძოლის ობიექტი იყო.

დიდ სახელმწიფოებს ამიერკავკასიის ქვეყნების სიმდიდრე, რაც მთავარია მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა (ისინი ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმომავალი დარუბანდის, დარიალისა და სხვა ზეკარებზე თავიანთი კონტროლის დამყარებით იყვნენ დაინტერესებულნი) იზიდავდა. ასე იყო იმ ხანადაც, როცა თბილისის კედლებს ზემოხსენებული დამპყრობლები მოადგნენ, მაგრამ ამჯერად დარუბანდისა და დარიალის ზეკარების დაუფლება მათ ჩინეთიდან და შუა აზიიდან ბიზანტიისაკენ მიმავალი აბრეშუმის დიდი სავაჭრო-საქარავნო გზის ახალი განშტოების დასადებად უნდოდათ.

ამიერკავკასიის ქვეყნებში პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურებას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ირანში სასანიანი შაჰინშაჰების ხოსრო I ანუშირვანისა (531—579) და ხოსრო II ფარვიზის (591—628), ხოლო ბიზანტიაში იუსტინიანე I-ისა (527—565) და ჰერაკლეს (610—641) აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ (110:4—5 *).

ხანგრძლივი ომის (რომლის ბრძოლები ძირითადად ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა) შემდეგ 562 წელს დადებული ზავით, ირანმა და ბიზანტიამ ძველი ტერიტორიები შეინარჩუნეს. ქართლი კვლავ ირანის ქვეშევრდომობაში დარჩა, ბიზანტიის იმპერატორის ხელშეწყობით ქართლის ერისთავთა მთავრის ტახტზე ასული გუარამი კი ბიზანტიური ორიენტაციისა იყო**. ეს ირანის შაჰს არ სიამოვნებდა, ირანელთა ბატონობა ქართლში თანდათან აუტანელი გახდა. 571 წელს ირანის წი-

---

* პირველი ციფრით აღნიშნულია ნაშრომის სათაური, ორი წერტილის შემდეგ ამ ნაშრომის გვერდი (ან გვერდები). წერტილ-მძიმეს შემდეგ შესაბამარებელი ლიტერატურა.

** დაახლ. 537 წელს სასანიანთა მიერ ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ ბიზანტიელთა მხარდაჭერით ქართული სახელმწიფოებრიობა 555 წელს აღდგა. იხ. ვ. გოლაძე, VI საუკუნეში ქართლის ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დათარიღებისათვის, „მაცნე" ისტორიის... სერია, 1979 № 1.

ნაალმდეგ სომხეთთან ერთად ქართლიც აჯანყდა (55:59). აჯანყების დამარცხების შემდეგ სომხეთისა და ქართლის თავკაცები კონსტანტინოპოლში გაიქცნენ. ირანი და ბიზანტია კვლავ საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამის შემდეგ ომს საზავო მოლაპარაკება ცვლიდა და პირიქით, მაგრამ ირანი და ბიზანტია ამიერკავკასიის ქვეყნების გაყოფაზე ვერ თანხმდებოდნენ. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ჰორმიზდ IV-ის (579—590) დროს ქართლი და სომხეთი ბიზანტიამ ირანს დაუთმო, როგორც VII ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფილაქტე სიმოკატა წერს, 588 წელს ჰორმიზდ IV დაჟინებით მოითხოვდა ბიზანტიელებს დაედასტურებინათ სომხეთი და ქართლი მისი ხელქვეითი ქვეყნები რომ იყვნენ (123:82). ირანის შაჰი არ ცდებოდა. როგორც ეს ძველი ქართული საისტორიო წყაროდან ჩანს, ქართლის ერისთავთა მთავარს გუარამს შესაძლებლობა მიეცა თუ არა, კვლავ ბიზანტიას დაუკავშირდა, 589 წელს ანტიირანულ კოალიციას მიემხრო. ბიზანტიელთა ფულით ჩრდილოეთ კავკასიაში დაქირავებული მეომრებითა და ქართლის ლაშქრით იგი ირანში შეიჭრა (ამ ამბის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ). მაგრამ, ეს ომი მარცხით დამთავრდა, ქართლი კვლავ ირანის ხელქვეით დარჩა.

591 წელს კი, გაწეული დახმარების სანაცვლოდ (იხ. ქვემოთ) თავისი ქვეყნის სხვა ტერიტორიებთან ერთად „ქართლის დიდი ნაწილი თბილისამდე" ხოსრო II-მ თვით დაუთმო ბიზანტიას. ასე დამყარდა „მეგობრული" ურთიერთობა ბიზანტიასა და ირანს შორის. მაგრამ, „მეგობრობა" ხანმოკლე აღმოჩნდა.

602 წლის 23 ნოემბერს ჯარისკაცმა ფოკამ ხოსრო II-ის სიმამრი იმპერატორი მავრიკიოსი (582—602) მოკლა და თვით გამეფდა. ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე მავრიკიოსის მკვლელი ფოკას ასვლის შემდეგ, ხოსრო II ფარვიზმა იმპერიასთან მეგობრული ურთიერთობა მტრობით შეცვალა.

591 წლის ზავის პირობებისაგან თავის დაღწევასა და ახალი ტერიტორიების დაპყრობას ხოსრო II ჯერ კიდევ მავრიკიოსის სიცოცხლეში ცდილობდა. ახლა კი მას ბიზანტიასთან ომის დაწყების საბაბი მიეცა. ხოსრო II-მ „იწყო ძიებად სისხლისა" (ფოკამ მავრიკიოსის 5 ვაჟიც დაესაჯა სიკვდილით. 92:219) და იმპერიასთან ომი დაიწყო *. ძველი ქართ-

---

* თეოფანე ყამთააღმწერელი ომის დაწყების თარიღად 603 წელს თვლის (92:220). საბჭოთა ისტ. ენციკლოპედიაში 602 წელია მითითებული (იხ. 77). ნ. პიგულევსკაია უპირატესობას 604 წელს ანიჭებს (110:193).

ველი ავტორი ომის დაწყებას ასე აღწერს: ქასრემ (ე. ი. ხოსრომ — ვ. გ.) „იწყო... შესლვად და ტყუევნად საბერძნეთისა. განძლიერდა ბერძენთა ზედა, და ვერ წინააღუდგა ფოკას კეისარი. ხოლო სტეფანოზ (ამ დროს ქართლის ერისთავთა მთავარი გუარამის ძე სტეფანოზ I იყო. — ვ. გ.), მთავარი ქართლისა, შეუშინდა მეფესა სპარსთასა, განუდგა ბერძენთა და მიექცა სპარსთა“ (40:223).

ასე, რომ, ფოკას ტახტზე ასვლისთანავე იმპერია რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ხოსრო II იმპერიის პროვინციებს იპყრობდა. იმავდროულად იმპერიის აღმოსავლეთით — სირიაში, განსაკუთრებით კი ეგვიპტეში ხალხთა მოძრაობა არ ცხრებოდა (113:68). აღმოსავლეთშივე, აჯანყდა ბიზანტიის სარდალი ნარსესი და ქ. ედესას დაეუფლა (92:220; 57:46). თვით დედაქალაქში დიმების მღელვარება იყო, 603 წელს კი აჯანყდნენ პრასინები (ვენეტები და პრასინები გულშემატკივართა მთავარი საცირკო პარტიები — დიმები იყო ბიზანტიის ქალაქებში), რომელთაც სელი შეუწყეს ფოკას ტახტზე ასვლას (110:181). ფოკამ დაიწყო თავის მოწინააღმდეგეთა დასჯა. 604 წელს კონსტანტინოპოლს ბალკანეთიდან ავარებმაც შეუტიეს. ფოკამ ავარებს ხარკის რაოდენობა გაუდიდა (92:220), მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა, ხოსრო II ომს აგრძელებდა. ბიზანტიის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა.

იმპერიის საგარეო მდგომარეობის გამოსწორება ფოკას შემდეგ, 610 წელს, იმპერიის ტახტზე ასულმა ჰერაკლემაც ვერ შეძლო. მიხეილ სირიელის ცნობით 610—611 წელს ხოსრო II-ის სარდლებმა დაიპყრეს მთელი სირია, ფინიკია, სომხეთი, კაპადოკია და პალესტინა. შემდეგ დაიკავეს გალატია, პაფლაგონია და ქალკედონამდე მიაღწიეს (113:68). 613 წელს აიღეს დამასკო, 614 წელს იერუსალიმი (ეს ქალაქი დაანგრიეს და გაიტაცეს „ძელი მაცხოვრისა“), 619 წელს დაიპყრეს პურით მდიდარი ეგვიპტე (80:364).

მაშინდელი ბიზანტიის იმპერიის რუკას რომ თვალი გადავავლოთ, ადვილად მივხვდებით, ზემოდასახელებული ტერიტორიების დაკარგვით როგორ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ბიზანტიის იმპერია. სასოწარკვეთილი იმპერატორი ჰერაკლე ერთხანს ფიქრობდა დედაქალაქი ჩრდილოეთ აფრიკაში — კართაგენში გადაეტანა (53:184; 91:106).

მძიმე განსაცდელმა, რომელიც უკვე იმპერიის არსებობას ემუქრებოდა, იმპერიის მმართველი ზედაფენა აიძულა მხარში ამოდგომოდნენ ჰერაკლეს (91:106). დაიწყეს მზადება ირანის წინააღმდეგ საომრად და ბო-

ლოს, ჰერაკლემ როგორც იყო 622 წელს შეძლო ხოსრო II-ის მიერ დაპყრობილი იმპერიის მიწების დასაბრუნებლად ლაშქრობის მოწყობა (89:66). მაგრამ ეს ლაშქრობა ბიზანტიისათვის წარუმატებელი აღმოჩნდა. მოკავშირე ეგრისელებმა, აბაზგებმა, ზოგიერთი ცნობით იბერებმაც ჰერაკლე კრიტიკულ ვითარებაში მიატოვეს (6:280). იმპერატორი იძულებული შეიქნა დროებით მარცხს შერიგებოდა, გადაწყვიტა ირანის წინააღმდეგ ომისათვის ახალი არმია შეეკრიბა და უფრო ძლიერი მოკავშირე მოენახა.

მოძებნა კიდეც ასეთი მოკავშირე — ისიც ირანელთა მტერი იყო. მაგრამ, ირანის წინააღმდეგ მებრძოლ ჰერაკლეს და მის მოკავშირეს რა უნდოდათ თბილისთან?

დასმულ კითხვაზე რომ პასუხი გავცეთ იმპერატორ ჰერაკლეს საომარ სამზადისს უნდა გავადევნოთ თვალი.

თავი I

ომისათვის სამზადისი

ირანთან ომში განცდილი მარცხის შემდეგ, 624 წელს, იმპერატორი ჰერაკლე ლაშქრით მცირე აზიაში დაბრუნდა და მდ. ჰალისის (ახლანდელი ყიზილ-ირმაქი, თურქეთში) პირას დაბანაკდა. იქ გაატარა 624—625 წლების ზამთარი (89:74) და იქვე დაიწყო ახალი ომისათვის მზადება, თან ბრძოლის გეგმას ადგენდა (89:92). ირანის წინააღმდეგ 622—624 წლების კამპანიამ ჰერაკლე დაარწმუნა იმაში, რომ მხოლოდ ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხების მხარდაჭერით ირანის დამარცხება შეუძლებელი იყო [1].

626 წლის ზაფხულში ჰერაკლე შავი ზღვის პირას, ქალაქ ამისოსთან (თანამედროვე სამსუნი — თურქეთში) იმყოფებოდა. ამჯერად იგი ფიქრობდა ირანის წინააღმდეგ ახალი ლაშქრობისათვის არმია ძირითადად იმპერიის აზიური თემების მოსახლეობისაგან დაეკომპლექტებინა. მან ისიც იცოდა, გარეშე ძალის დაუხმარებლად გაუჭირდებოდა ირანზე გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება. ამიტომ საჭირო იყო მძლავრი სამხედრო მოკავშირე მოენახა.

ჰერაკლეს სამხედრო სამზადისი მხედველობიდან არ გამოპარვიათ ირანელებს. ამიტომ, გადაწყვიტეს იმპერიისათვის თვით ევროპულ ნაწილში გაერთულებინათ მდგომარეობა და აეძულებინათ იმპერატორი თავისი ჯარით მცირე აზია დაეტოვებინა. ამ მიზნით ისინი შეუთანხმდნენ ბალკანეთში არსებულ ავართა სახელმწიფოს კაგანს, რათა აზიიდან ირანელთა შეტევის თანადროულად ევროპიდან კონსტანტინოპოლს დასხმოდა თავს. ირანის შაჰის ხოსრო II ფარვიზის აზრით, ასეთი ღონისძი-

---

1 სომეხი ისტორიკოსის სებეოსის (VII ს.) ცნობით, ამ ლაშქრობაში ჰერაკლეს 120 ათასიანი არმია ჰყავდა (81:93). მეცნიერებს ჰერაკლეს ლაშქრის ასეთი რაოდენობა საეჭვოდ არ ეჩვენებათ (98:134; 122:686).

ების შემდეგ ჰერაკლე იძულებული შეიქმნებოდა დაეტოვებინა აღმოსავლეთი და ყველა ძალა ეხმარა დედაქალაქისა და იმპერიის ევროპული სამფლობელოების გადასარჩენად (122:689).

626 წლის ივნისის შუა რიცხვებში ირანელთა ლაშქარი ბოსფორის აზიურ სანაპიროს მიადგა და ქ. ქალკედონი აიღო (80:365). 29 ივნისს ავართა კაგანის — ბაიანის[2] მოწინავე რაზმები, დაახლ. 30 000 კაცი კონსტანტინოპოლის დიდ კედელთან გამოჩნდა. „ზღვა და ხმელეთი აივსო ველური ტომებით, რომელთა ცხოვრების მიზანი ომი იყო“ (89:77—79. თვით ავარებს გარდა ბაიანის ლაშქარში იყვნენ: ბოლგარები, გეპიდები და სლავები. 89:80). ბაიანმა თავისი ელჩების საშუალებით ქალაქის დამცველებს შეატყობინა, რომ ქალაქის აღება სურდა.

კონსტანტინოპოლზე ირანელთა და ავართა ერთობლივი შეტევის დაწყებისას, როგორც ითქვა, იმპერატორი ჰერაკლე მდ. ჰალისის აღმოსავლეთით, შავი ზღვის პირას იმყოფებოდა. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ეპიფანე კონსტანტინოპოლელის (VIII ს.) ცნობით, ჰერაკლე ალყაშემორტყმულ დედაქალაქისაკენ კი არ გაეშურა, არამედ უფრო აღმოსავლეთით — ტრაპიზონისაკენ გაემართა. იმპერატორი ჰერაკლე, — წერს იგი, — „ამისოდან წამოსვლის შემდეგ მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში“ (19:58).

626 წლის ზაფხულში ჰერაკლეს სამხედრო მოქმედებათა შესახებ უფრო საყურადღებოა IX საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობები. მართალია, ისიც ჰერაკლეს აღმოსავლეთისაკენ გადმონაცვლებაზე მიუთითებს, მაგრამ მისი ცნობებიდან ვგებულობთ, ჰერაკლეს ავართა წინააღმდეგაც რომ გაუგზავნია ჯარი. თეოფანეს ცნობით, 626 წელს, როცა ირანის შაჰმა თავისი სარდალი სარვაროსი[3] გაგზავნა კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ, რათა შეერთებოდა „დასავლეთის ჰუნებს“ (თეოფანე ასე უწოდებს ავარებს. — ვ. გ.) და მათთან ერთად დაეწყოთ კონსტანტინოპოლის ალყა, ჰერაკლემ თავისი ჯარი სამ ნაწი-

---

2 ავარებისა და ტიტულ კაგანის შესახებ იხ. ქვემოთ. თვით სახელი „ბაიანი“ ძველ თურქულში „მდიდარს“ ნიშნავდა (106:239).

3 სარვაროსი სოსრო II-ის ცნობილი სარდლის სახელის — „შაპვარაზის“ ბერძნული გაძოთქმაა. როგორც სომეხი ისტორიკოსის მოვსეს კალანკატუაცის ისტორიიდან ვგებულობთ ამ პიროვნების ნამდვილი სახელი ხორეანი ყოფილა. „ჯარების მოწყობისა და ბრძოლაში მათი შემართების უნარის გამო, — წერს იგი, — აგრეთვე მიღწეულ გამარჯვებათათვის, სპარსული ცბიერებით, სხვადასხვა საალერსო სახელებს უწოდებდა, ხან როზმიოზანი დაარქვა, ხანაც შაპვარაზი“ (25:65). შაპვარაზი ხორეანის სახელით იხსე-

ლად გაყო. ერთი ნაწილი გაგზავნა ქალაქის დასაცავად, მეორე ჩააბარა თაეის ძმას თეოდორეს და საინის (შაჰინი. — ვ. გ.) წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა, ხოლო მესამე ნაწილითუ თვითონ გაემართა ლაზიკისაკენ (22:98; 98:99).

ირანელთა და ავართა ლაშქრის ერთდროული შეტევის გამო იმპერიის დედაქალაქის დამცველები დიდ გასაჭირში იყვნენ. მაგრამ, ეს გასაჭირი ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. კონსტანტინოპოლის გარემოცვა, როგორც ზღვიდან, ისე ხმელეთიდან, მხოლოდ ათ დღეს გაგრძელდა (92:235).

აი როგორ წარიმართა იმპერიის დედაქალაქის გარემოცვა.

29 ივლისს, სამშაბათს, რათა კონსტანტინოპოლის დამცველთათვის შიშის ზარი დაეცა, ბაიანმა ქალაქს მთელი თავისი ურდოები მიაყენა. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში მოსახლეობა რომ გაემხნევებინა და მათთვის გადარჩენის იმედი ჩაესახა, პატრიარქმა სერგიმ (610—638), მრავალრიცხოვანი საეკლესიო კრებულისა და მონაზონთა თანხლებით ღვთისმშობლის ხატით ხელში, კონსტანტინოპოლის გალავნის გასწვრივ დაიწყო სიარული და ღვთისმშობელს ქალაქის გადარჩენას შესთხოვდა (89:80).

2 აგვისტოს, შაბათ საღამოს, ბაიანმა მოითხოვა ქალაქიდან ელჩები გაეგზავნათ მოსალაპარაკებლად. ელჩები მან დამამცირებელ ვითარებაში მიიღო. ტახტზე მჯდომი კაგანის გვერდით თურმე აბრეშუმის ტანსაცმელში გამოწყობილი სამი წარჩინებული ირანელი იჯდა, ელჩები კი მათ წინ ფეხზე იდგნენ.

ელჩებს ბაიანმა ამაყად განუცხადა ირანელებთან თავისი კავშირის შესახებ, მოითხოვა ქალაქი დანებებოდა. მოსახლეობას კი ისე დაეტოვებინა ქალაქი, თან არაფერი წაეღო. თანაც დასძინა: „თქვენ ვერც თევზებად გადაიქცევით, რომ ზღვაში გაუჩინარდეთ და ვერც ფრინველებად, რომ ცაში გაფრინდეთ“ (89:82. როგორც ჩანს, ეს სიტყვები ძველი ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების საყვარელი გამოთქმა იყო. იხ. ქვემოთ). ე. ი. ბაიანმა ელჩებს აგრძნობინა დანებების გარდა სხვა გზა არა გაქვთო.

———

ხიება ანტიოქ სტრატიგის თხზულების სომხური თარგმანის ფრაგმენტშიც. მასში არსებული ცნობით, სწორედ მან აიღო ქ. ანტიოქია, კესარია, იერუსალიმი (43:53). ამ თხზულების ძველ ქართულ თარგმანში ხორეანი იხსენიება რასმი-ოზდან (43: გვ. იჰ), რასმი ოზან (43: გვ. ჲე). სხვა ცნობით, ეს სარდალი ფერუხანის წოდებას ატარებდა. ნ. პიგულევსკაიას თანახმად, მიხეილ სირიელი „რომიზანის“ ახალ სახელს „შაპრბარაზ“-ს თარგმნის, როგორც „გარეული ტახი“, მაგრამ უფრო სწორი უნდა იყოს თ. ნოელდეკის მიერ შემოთავაზებული თარგმანი „სახელმწიფოს ტახი“ (110:192—193).

7 აგვისტოსათვის (ხუთშაბათს) ალყის მეათე დღეს ბაიანმა გადაწყვიტა ქალაქზე ზღვიდან და ხმელეთიდან ერთდროულად შეეტია. ქალაქის კედლებს 12 კედელსანგრევი მანქანა მიაყენა, ოქროს რქის (ყურე ბოსფორის სრუტის სამხრეთი შესასვლელის ევროპულ ნაწილთან. სიგრძეა 12,2 კმ., სიგანე 91—122 მ) სიღრმეში უამრავი ნავი (მათზე ბაიანის ქვეშევრდომი სლავები და ბოლგარები იყვნენ) შეიყვანა და უბრძანა, კონსტანტინოპოლის ახლოს მდებარე კონცხიდან ცეცხლით მიცემულ ნიშანზე შეტევა დაეწყოთ.

ბაიანის მიერ შემუშავებული ქალაქზე შეტევის გეგმა კონსტანტინოპოლის დაცვის მეთაურმა მაგისტროსმა ვონმა შეიტყო. ამიტომ, ოქროს რქაში შესული ნავების წინააღმდეგ სამხედრო გემები დიერები და ტრიერები (გემები, რომელთაც ორ და სამ წყებად აქვთ ნიჩბები) გაამზადა, შემდეგ დანიშნულ ადგილზე ცეცხლი დაანთებინა, რაც ოქროს რქაში შესულმა ბაიანის მენავეებმა შეტევის დაწყების ნიშნად მიიღეს. ბიზანტიელთა სამხედრო ფლოტმა ადვილად დაამარცხა საზღვაო ბრძოლაში გამოუცდელი მომხდურნი. ბიზანტიელები სლავების მსუბუქ ნავებს აყირავებდნენ, რის გამოც აუარებელი ხალხი დაიხრჩო. ვინც ცურვით გააღწია ნაპირზე, მათ ქალაქის დამცველები გაუსწორდნენ. ნაწილმა იმ მხარეს გასცურა, სადაც ბაიანის ლაშქარი იდგა, ისინი თვით ბაიანის ბრძანებით ამოხოცეს. აღმოჩნდა, რომ სლავებს შორის ქალებიც იყვნენ (89:84).

შემდეგ ქალაქის დამცველები თვით გადავიდნენ შეტევაზე. ამ დროს ქალაქის გარეუბანში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის გალავანს ცეცხლი წაეკიდა. ხანძარი მთელ ღამეს გაგრძელდა და კვამლი ქალაქს მოედო. კონსტანტინოპოლის აზიურ ნაწილთან მდგომმა ირანელებმა დაინახეს რა ცეცხლი და კვამლი, გაიხარეს. ეგონათ, რომ ავარებმა მათი დახმარების გარეშე აიღეს ქალაქი (89:84).

ავართა კაგანი განრისხებული იყო. მას ქალაქზე შეტევის თავი აღარ ჰქონდა, ამიტომ საზავო მოლაპარაკება მოითხოვა. მაგრამ, მაგისტროსმა ვონმა უარი შეუთვალა და აცნობა, რომ ავართა წინააღმდეგ იმპერატორის ძმა თეოდორე დიდი ჯარით მოდიოდა. ბაიანი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. თუმცა, დაემუქრა, რომ კვლავ მოვიდოდა დიდი ლაშქრით და ქალაქს მაინც აიღებდა (89:85).

როცა ირანელებმა შეიტყვეს, რაც მოხდა, შაჰვარაზმა დატოვა კონსტანტინოპოლის მისადგომები და სირიისაკენ გაილაშქრა[4] (89:85).

დედაქალაქის გადარჩენა მოსახლეობამ ღვთისმშობლის ხატს მიაწერა. შეიქმნა ნაწარმოები „ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინოპოლისა სპარსთა და სკვთთა ზედა მოსვლისაგან“. რომელიც ადრევე უთარგმნიათ ქართულად (იხ. 34).

კონსტანტინოპოლიდან ირანელთა და ავართა უკუქცევის ამბავი ჰერაკლემ ტრაპიზონში შეიტყო. რადგან დედაქალაქს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, მან უფრო აქტიურად დაიწყო იმპერიის აზიური თემებიდან ახალი არმიის შემოკრება და მომზადება. ამჯერად მის ლაშქარში სხვებთან ერთად აფხაზები და სომხებიც იხსენიებიან (43:50).

ტრაპიზონში მყოფ იმპერატორს ახალი ლაშქრის შეგროვებასა და რეორგანიზაციასთან ერთად სხვა საზრუნავიც ჰქონდა. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, საჭირო იყო მოკავშირის საკითხი გადაეწყვიტა.

ჰერაკლემ, — წერს მოვსეს კალანკატუაცი, — „დაიმორჩილა ჰრომაელთა შთელი ქვეყანა, მერე კი ჯარებს უხმობდა დასახმარებლად, რათა გამოეთხარა კავკასიის დიდი მთა, რომელიც კეტავს ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთის მხარეებს, გაეღო ჩორის კარი (დარუბანდის კარი. — ვ. გ.), წამოეყვანა ბარბაროსთა სხვადასხვა ტომი და მათი საშუალებით გაეძევებინა სპარსეთის აშაყი შეფე ხოსროვი. აღჭურვა და მოამზადა ერი თავისი დიდებულთაგანი, ჭკვიანი და განსწავლული კაცი, სახელად ანდრე და გაგზავნა ის ჰონებთან, პირდებოდა, რომ ურიცხვსა და უთვალავ განძეულობას უბოძებდა მათ, თუ დაეხმარებოდნენ დიდ შურისძიებაში. თავის მხრივ ფიქრობდა ამით დააცხრობდა ველური, ოქროსმოყვარული და გრძელთმიანი ხალხის წყურვილს“ (25:72).

როდის გაემგზავრა ანდრეს ელჩობა?

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით ჰერაკლემ ელჩობა ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლზე ავართა შეტევამდე, ქ. ამისოში ყოფნის დროს 625 წელს გააგზავნა (65:184).

მოვსეს კალანკატუაცი როცა ჰერაკლეს მიერ ელჩობის გაგზავნაზე მოგვითხრობს, კონსტანტინოპოლზე ავართა თავდასხმის შესახებ არა-

---

4 წყაროთა საერთო მითითებით, ამ დროს ჰერაკლე ტრაპიზონში იმყოფებოდა და იქ ემზადებოდა ახალი ომისათვის. ი. კულაკოვსკი წერს, რომ როცა დედაქალაქი ავართაგან გადარჩენას ზეიმობდა, იმპერატორი შორეული კავკასიის ოლქში იყო (89:88). ასეთივე მოსაზრებისაა თ. უსპენსკი (122:699). მსგავს დასკვნამდე მივიდა ზ. ალექსიძე (18:217).

ფერს წერს, ხოლო ელჩობის გაგზავნის თარიღად ხოსროს მეფობის ოცდა-მეთექვსმეტე. წელს უთითებს (25:72).

ხოსრო II-მ 591 წელს დაიკავა ტახტი და მისი მეფობის ოცდამეთექ-ვსმეტე წელი 627 წელზე მოვა, მაგრამ რადგან ხოსრო II-ის მამა ჰორ-მიზდ IV 590 წელს მოკლეს, შემდეგ კი ტახტი უზურპატორ ბაჰრამ ჩუ-ბინს ეკავა, ხოსრო II-ის ზეობას ძველი ავტორები 590 წლიდან უნდა ითვლიდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხოსროს მეფობის ოცდამეთექ-ვსმეტე წელი 626 წლად უნდა ვიანგარიშოთ.[5]

ჰერაკლეს მიერ ელჩობის გაგზავნის თარიღად 626 წლის მიჩნევას მხარს უჭერს თეოფანე ყამთააღმწერელიც. მისი ცნობით ჰერაკლე კონს-ტანტინოპოლთან ავართა მოსვლის შემდეგ გაემართა ჯარით ლაზიკისა-კენ და ამ ქვეყანაში მოიწვია მოკავშირეები (92:235).

ასე რომ 625 ან 626 წლის გაზაფხულზე უნდა გასდგომოდა ანდრეს ელჩობა გზას. მაგრამ სად გაემგზავრა ელჩობა? ვინ იყვნენ „ოქროსმოყ-ვარე და გრძელთმიანი ჰონები"?

ზოგი მეცნიერის მტკიცებით ანდრეს ელჩობა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხაზარებთან გაემგზავრა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ელჩობის ამბების გადმოცემისას ი. კულაკოვსკი თურქთა დასავლეთ კაგანატზე საუბრობს, მაინც ფიქრობს, რომ ჰერაკლეს ელჩები მდ. ვოლგის ქვემო წელზე მდებარე ხაზართა ხაკანის რეზიდენ-ციაში მივიდნენ (89:93). ამავე აზრისაა თ. უსპენსკი. იგი წერს, რომ ირანის წინააღმდეგ საომრად ჰერაკლე ხაზარებთან აწარმოებდა მოლა-პარაკებას (122:698). ჰერაკლეს მოკავშირეებად ხაზარებია მიჩნეული ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. თუმცა, ჩვენში გაბატონებულ ამ მოსაზ-რებას არა თუ უცხოენოვანი, თვით ძველი ქართული წყაროებიც კი არ უჭერენ მხარს (დაწვრილებით იხ. ქვემოთ, თავი IX).

თეოფანე ყამთააღმწერელი, როგორც ზემოთ ვნახეთ, კონსტანტინო-პოლთან მებრძოლ ავარებს „დასავლეთის ჰუნებად" იხსენიებს, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით კი ჰერაკლემ ელჩობა „გრძელთმიან ჰონებთან" გააგზავნა. ე. ი. „დასავლეთის ჰუნების" — ავარების გარდა იყვნენ აღმო-

---

[5] ა. გადლოს თანახმად, ხოსროს მეფობის ოცდამეჩვიდმეტე წელი 626 წლის ივნისი-დან 627 წლის ივნისამდე ხანას შეესაბამება (56:133). თუ ეს სწორია, მაშინ ხოსროს მე-ფობის 36-ე წელი 625 წლის ივნისიდან 626 წლის ივნისის ბოლომდე მოვა, მაგრამ რო-მის იმპერიაში ახალი წელი ჯერ კიდევ ძვ. წ. 46 წლიდან ხომ 1 იანვრიდან იწყებოდა და ეს წელთაღრიცხვა იყო ბიზანტიაშიც (იხ. საბჭ. ისტ. ენციკლოპედია, ტ. 6, სტ. Календарь).

სავლეთის ჰუნებიც. დიახ, ჰერაკლეს ელჩობა „დასავლეთის ჰუნების“ ძველ მტრებთან „ოქროსმოყვარე და გრძელთმიან“ თურქებთან მიემგზავრებოდა. თურქთა დასავლეთ კაგანატთან ბიზანტიის იმპერიას კარგა ხნის მეგობრობა ჰქონდა (65:48). ამ ორი იმპერიის სამხედრო კავშირი ირანის წინააღმდეგ ეკონომიკური (აბრეშუმით ვაჭრობა) და სამხედრო მეტოქეობაზე აღმოცენებულ ინტერესთა ერთობაზე იყო დაფუძნებული.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებლის რეზიდენცია შუა აზიაში მდებარეობდა. ამიტომ, ტრაპიზონიდან გამგზავრებულ ანდრეს ელჩობას თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებლის საზაფხულო რეზიდენცია — მინ ბულაკამდე[6] მეტად შორი გზა ჰქონდა გასავლელი.

დროებით მეც აქ შევწყვეტ თხრობას ჰერაკლეს საომარი სამზადისის შესახებ. მანამდე კი ვნახოთ, ვინ იყვნენ თურქები, როგორ წარმოიშვა და სად მდებარეობდა მათი სახელმწიფო.

თავი II

თურქთა სახელმწიფოს წარმოშობა. თურქთა მიერ შუა აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ხალხების დაპყრობა

თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებელთან ანდრეს ელჩობის გამგზავრებამდე, ბიზანტიელთა ელჩები არაერთხელ იყვნენ თურქთა კაგანის კარზე (568 წლიდან მოყოლებული ბიზანტიასა და თურქებს შორის ელჩთა გაცვლა რამდენჯერმე მოხდა. 65:48). ასე, რომ, ჩვენთვის საინტერესო ხანისათვის ბიზანტიას თურქთა დასავლეთ კაგანატთან უკვე კარგა ხნის ნაცნობობა ჰქონდა. რის გამოც, ბიზანტიელ ავტორებს საინტერესო ცნობები აქვთ თურქების შესახებ. თუმცა, თურქთა სახელმწიფოს წარმოშობისა და მისი ისტორიის შესახებ ძირითად მასალას მაინც ჩინელი ავტორები და ძველი თურქული წარწერები იძლევიან.

---

6 თურქთა დასავლეთი კაგანატის რეზიდენცია ჩაჩი (დღევანდელი ტაშკენტის მახლობლად) იყო. საზაფხულო სამყოფელი მინ ბულაკი (ათასი წყარო), კი ჩინური წყაროების ციანციუანი (სიტყვასიტყვით „ათასი წყარო“. 90:191) მდ. თალასის სამხრეთით ნუშ-ბერ-ტომების (ამ ტომთა შესახებ იხ. ქვემოთ) მიწაზე მდებარეობდა (65:155).

* * *

კარგა ხანი იყო, რაც ცენტრალური და შუა აზიის თვალუწვდენელ ველებზე მცხოვრებ, როგორც მაღალკულტურულ, ისე მომთაბარე ხალხებს ერთიანი, ძლიერი ხელისუფლება აღარ განაგებდა. VI საუკუნის შუახანებში კი ამ ტერიტორიაზე პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. გამოჩნდა მომთაბარე დამპყრობთა ახალი ტალღა — თურქები[7], რომელთაც შეძლეს დაემორჩილებინათ და ერთი ხელისუფლების ქვეშ გაეერთიანებინათ როგორც ძველი კულტურული სახელმწიფოები, ისე ათეულობით მომთაბარე ხალხები.

ცენტრალურ აზიაში წარმოქმნილმა თურქთა ახალმა სახელმწიფომ გარკვეული გავლენა იქონია ცენტრალური და აღმოსავლეთი აზიის (ჩინეთის სახელმწიფოების ჩათვლით), წინა აზიის (ირანი), ამიერკავკასიის (ალბანეთი, ქართლი, სომხეთი, ეგრისი), ჩრდილოეთი კავკასიის, დასავლეთი და აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოებისა და ხალხების ისტორიაზე.

თურქთა სახელმწიფოს წარმოქმნა აღმოსავლეთ აზიაში მომხდარმა ამბებმა დააჩქარა. VI საუკუნის შუახანებისათვის ჩინეთში ორი ურთიერთისადმი მტრულად განწყობილი იმპერია არსებობდა. ჩინეთის აღმოსავლეთ ვეის იმპერიის იმპერატორმა გაო ხუანმა კავშირი დადო ჟუ-ჟანების[8] ხან ანახუანთან და ტოგონის მეფესთან. შემდეგ თავს დაესხა დასავლეთი ვეის იმპერიას და ძლიერ შეავიწროვა. დასავლეთი ვეის იმპერატორმა მოკავშირის ძებნა დაიწყო. კავშირის დასადებად ელჩი გაუგზავნა თურქების ბელადს ბუმინს (ტუმინს). 545 წელს ჩინელი ელჩები თურქებთან ჩავიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს თურქები ჟუ-ჟანების ხელქვეითნი იყვნენ, ჟუ-ჟანებს კი აღმოსავლეთი ვეის იმპერიასთან ჰქონდათ ხელშეკრულება დადებული, ბუმინმა ისინი კარგად მიიღო. შემდეგ თვითონაც გაგზავნა საპასუხო ელჩობა დასავლეთი ვეის დედაქალაქში და საბოლოოდ კავშირიც დადო (მოლაპარაკება კონსპირაციულ ვითარებაში წარმოებდა).

---

7 ეს ხალხი ჩინურ წყაროებში „ტუკიუე"-დ, ხოლო ბერძნულში „ტურკოი"-დ იწოდება. შ. არტამონოვი და ლ. გუმილიოვი თავიანთ ნაშრომებში ამ ხალხს „ტურკიუტებს" უწოდებენ. მაგრამ, რადგან ძველ ქართულ, როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ძეგლებში ისინი თურქებად იწოდებიან (40:220, 223; 34:38—39), მეც თურქებად მოვიხსენიებ.

8 ჟუ-ჟანების ტომთა კავშირი დასავლეთი მანჯურიის, მონღოლეთისა და ოურქესტანის ველებზე მომთაბარეობდა (იხ. 54).

ბუმინმა იცოდა, რომ ჟუ-ჟანების (მათ ამ დროს ჯერ კიდევ ხარკს უხდიდა) წინააღმდეგ ომს ვერ შეძლებდა. ამიტომ გადაწყვიტა, შესაფერის დრომდე დასავლეთი ვეის იმპერიის მოკავშირედ დარჩენილიყო, ჟუ-ჟანებისა კი — ვასალი. თურქებსა და ჟუ-ჟანებს შორის არსებულ დამოკიდებულებაში პირველი კორექტივი ჟუ-ჟანების წინააღმდეგ დასავლეთ ტელეს ტომების (ჩინელი ისტორიკოსების მიხედვით ესენი ჰუნების შთამომავლები იყვნენ და წეს-ჩვეულებით ახლოს იყვნენ თურქებთან. 90:38; შდრ., 118) აჯანყებამ შეიტანა. 545 წელს, როცა ტელეს ტომთა აჯანყებული რაზმები მიდიოდნენ, გობის ალტაის ხეობიდან უეცრად მათ თავს დაესხა თურქთა ლაშქარი და დაიმორჩილა. აღნიშნული აქტის შემდეგ თურქთა ტომების ბელადი ბუმინი საგრძნობლად გაძლიერდა, მან მოინდომა ჟუ-ჟანების ბატონობისაგანაც განთავისუფლებულიყო, ჟუ-ჟანებთან ომის მიზეზი რომ ჰქონოდა, ბუმინმა ჟუ-ჟანების ხანს — ანახუანს, ასული სთხოვა ცოლად. ველის ხალხთა ადათით, ასეთი კავშირის შემდეგ ბუმინი ჟუ-ჟანების ხანის თანასწორი პიროვნება ხდებოდა. ამიტომ, ანახუანი არ დათანხმდა. მას ამის მიზეზი ჰქონდა. საქმე ის იყო, რომ ალტაის სამხრეთში მცხოვრებ თურქებს ადრიდანვე ჟუ-ჟანებისათვის რკინის მოპოვება, გამოდნობა და ხარკად მიცემა ევალებოდათ. ჩინური წყაროს ცნობით, ბუმინის წინადადებით შეურაცხყოფილ ანახუანს შეუთვლია: „შენ ჩვენი რკინის გამომდნობი ხარ. როგორ გაბედე ჩემთვის ასეთი წინადადებით მოგემართა“ (51:228).

განაწყენებულმა ბუმინმა ჟუ-ჟანების ელჩი დასაჯა, მოლაპარაკება განაახლა დასავლეთ ვეის იმპერატორთან და 551 წელს ცოლად შეირთო მისი ასული ჩან-ლე (51:228). 552 წლის ზამთარში (სხვა ცნობით 551 წელს. იხ. 54) ბუმინმა ჟუ-ჟანების წინააღმდეგ გაილაშქრა. გადამწყვეტ ბრძოლაში კიდეც გაიმარჯვა. ანახუანმა თავი მოიკლა, მისი ძე კი აღმოსავლეთი ვეის მმართველთან გაიქცა (51:207). ბუმინმა თავი ილ ხანად გამოაცხადა (გარდაიცვალა 552 წლის ბოლოს).

ბუმინის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძე ყარა ისიკ ხანი (შავი ცხელი ხანი), რომელიც გაურკვეველ ვითარებაში მოკვდა. ცოტა ხნის შემდეგ ყარა ისიკ ხანის მემკვიდრე შეთუც ტახტიდან გადააყენეს და ტახტი ყარა ისიკ ხანის უმცროსმა ძმამ კუშუმ დაიკავა, მუღან ხანის ტიტულით. იგი 553—572 წლებში განაგებდა თურქთა კაგანატს [9] (65:28).

---

[9] ტერმინებს „კაგანატი“ და „კაგანი“ იმიტომ ვხმარობ, რომ თურქთა, ავართა, შემდეგ ხაზართა სახელმწიფოები სწორედ „კაგანატის“, ხოლო მათი მმართველები „კაგანის“

მუღან ხანის გამეფებისას თურქთა ყოფილი ბატონები ჟუ-ჟანები კვლავ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ. ამიტომ, ტახტზე ასვლისთანავე მუღან ხანმა მათ წინააღმდეგ გაილაშქრა და დაამარცხა. 555 წელს მეორედ მოაწყო ლაშქრობა და ჟუ-ჟანები საბოლოოდ გაანადგურა. ჟუ-ჟანების ნაწილი ჩინეთში გაიქცა, ნაწილმა დასავლეთისაკენ დაიწყო მოძრაობა და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, აღმოსავლეთ ევროპას ძლიერი დამპყრობლების სახით მოევლინა. ჟუ-ჟანების ნაწილი კი, როგორც ამას თურქთა ელჩი ბიზანტიის იმპერატორთან საუბარში აცხადებს შუა აზიაში დარჩენილა (102:374).

ჟუ-ჟანების განადგურების შემდეგ, 556 წელს მუღან კაგანმა მარჯვე თავდასხმებით აიძულა ტოგონის სახელმწიფო ანგარიში გაეწია თურქებისათვის, 558 წელს ოგორები დაიმორჩილა (67:14), 60-იანი წლების დამდეგიდან ომი დაიწყო ჩინეთთან. ჩინეთის ჩრდილოეთი იმპერიები ჯოუ და ცი თურქთა მოხარკეები გახდნენ (ჩინეთის ამ სახელმწიფოთა შესახებ იხ. 108[a]: 170—171).

ძლიერების გზით მავალი თურქთა კაგანატი არ ისვენებდა. სამხედრო არისტოკრატია ახალი მიწების დასაპყრობად მიისწრაფოდა. ამჯერად ომის ობიექტად ეფტალიტთა დიდი და ძლიერი გაერთიანება შეარჩიეს.

ხიონიტები — ასე უწოდებდა თავის თავს ხალხი, რომელიც გამოჩნდა ბაქტრიის ტერიტორიაზე ახ. წ. IV საუკუნის შუახანებში. მათ ამ დროისათვის ცნობილი რომაელი ისტორიკოსი ამიანუს მარცელინუსიც (გარდ. 400 წ.) იხსენიებს, როგორც ირანელთა მოკავშირეებს (2:100, 145).

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით სწორედ ხიონიტები არიან საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ეფტალიტები (იგივე თეთრი ჰუნები). როგორც ფიქრობენ, ხიონიტების ზოგი მეფე ატარებდა სახელს — „ეფტალ“ და მთელმა ხალხმაც აქედან მიიღო სახელი. თეთრი ჰუნები საკუთრივ ჰუნებისაგან განსხვავებით მაღალი და თეთრი ხალხი იყო. წარმოშობით ინდოევროპული (ირანული) მოდგმისანი იყვნენ და ერთ-ერთ აღმოსავლურ ირანულ დიალექტზე ლაპარაკობდნენ (71:271. შდრ. იქვე, გვ. 402, შენ. 51; ეფტალიტების შესახებ იხ. 120; 69).

სახელით იყენენ ცნობილნი. ვ. ბარტოლდის თანახმად „ხაკანი“ თურქული სამეფო ტიტულის „კაგანის“ არაბული ფორმაა (47:602). ასევე, ვ. გაბაშვილის მითითებითაც, „ხაკანი“ აშკარად არაბული გზით ჩნდება ქართულ საისტორიო წყაროებში (9:47). ჟუ-ჟანთა სახელმწიფოს მმართველიც კაგანის ტიტულს ატარებდა.

იმ დროს, როცა თურქთა კაგანატმა ეფტალიტების წინააღმდეგ ომი განიზრახა, ეფტალიტებთან ირანიც მტრულად იყო განწყობილი. თურქთა კაგანის მუღანის წინადადებას ერთად ეომათ ეფტალიტების წინააღმდეგ, ირანის ცნობილი შაჰი ხოსრო I ანუშირვანი (531—579) ხალისით დათანხმდა. სამხედრო კავშირი ხოსრო I-მა დინასტიური დანათესავებითაც გაამყარა. მან ცოლად შეირთო ბუმინის უმცროსი ძმის — ისტემის ქალიშვილი (მისგან შეეძინა ხოსრო I-ს ძე, რომელიც 579 წელს ჰორმიზდ IV-ის სახელით ავიდა ირანის ტახტზე).

მოკავშირეთა ერთობლივი შეტევის (ჩრდ.-აღმოსავლეთიდან თურქების, ხოლო სამხრეთიდან ირანელების) შედეგად 567 წელს ეფტალიტების სახელმწიფო დაეცა (49:186; 88:230). გამარჯვებულებმა ეფტალიტების მიწები გაიყვეს. ამ ომის შედეგად ირანის ჩრდილოეთ საზღვარმა მდ. ამუ-დარიაზე გადაიწია (88:230), თურქები კი დიდი ველის მთელ აღმოსავლეთ ნახევარზე გაბატონდნენ. ასე დაუმეზობლდა ერთმანეთს ორი ძლიერი სახელმწიფო.

572 წელს მუღან ხანი გარდაიცვალა. ტახტზე მუღანის ძმა ტობო ავიდა. თურქთა კაგანატმა ყველაზე დიდ სიძლიერეს მის დროს მიაღწია. ჩრდილოეთ ჩინეთის იმპერიები, როგორც ჯოუ, ისე ცი, ცდილობდნენ, საქორწინო კავშირით დამოყვრებოდნენ თურქთა კაგანატს, უგზავნიდნენ ძვირფას საჩუქრებს (108[a]:189). მაგრამ ასეთმა თბილმა დამოკიდებულებამ ვერ იხსნა ჩინეთის სახელმწიფოები თურქთა ახალი აგრესიისაგან (ათასობით კილომეტრზე გადაჭიმული, თითქმის 7 მეტრის სიმაღლის ჩინეთის დიდი კედელი ჩინელებს ჩრდილოელ მომთაბარეთა აგრესიისაგან მაინცდამაინც ვერ იცავდა). 580 წელს ტობო კაგანმა დაამარცხა ჩინელები. ამ მარცხს დაემთხვა შინააშლილობა ჩინეთში და 581 წელს ჩინეთში დინასტია შეიცვალა [10] (108[a]:171. ამ დროის ჩრდ. ჩინეთში ძალიან დიდი იყო არაჩინური წარმოშობის მოსახლეობის ხვედრითი წონა. 108[a]: 171; შდრ. 68).

ეფტალიტთა გაერთიანების დამარცხების შემდეგ, როგორც ვნახეთ, თურქთა კაგანატი უშუალოდ დაუმეზობლდა ირანის შუააზიულ პროვინციებს. სასანიანთა ირანსა და თურქთა კაგანატს შორის ეფტალიტებთან

---

10 სუის დინასტიის იმპერატორებმა ასეული ათასობით მეომარი შეაკლეს 611, 613 და 614 წელს კორეაში წარუმატებელ ლაშქრობებს. სახელმწიფო ეკონომიკურად და პოლიტიკურად დასუსტდა, 618 წელს კი ახალი ტანის დინასტია ავიდა ტახტზე (108[a]:191—192).

ერთობლივი ბრძოლისათვის დადებული კავშირი ჩქარა მტრობით შეიცვალა. მდგომარეობის გართულებაში დიდი როლი ითამაშა მოცილეობამ, დაემყარებინათ თავიანთი კონტროლი დიდ სავაჭრო გზაზე, რომელიც წინა აზიას შუა აზიასა და ჩინეთთან აკავშირებდა (85:158). 571 წლისათვის თურქთა და ირანელთა საზღვარი თუ ამუ-დარიაზე იყო (65:47; შდრ., 87) 588—589 წლებში თურქთა კაგანატმა შეიერთა ამუ-დარიის დასავლეთით მდებარე ზოგი ოლქი.

თურქთა კაგანატის შექმნისთანავე, კაგანატის სამხედრო ექსპანსიას დასავლეთისაკენ სათავეში ჩაუდგა ბუმინის უმცროსი ძმა ისტემი (იგი, როგორც ზემოთ ითქვა, შემდეგ ხოსრო I ანუშირვანის სიმამრი გახდა. ჩინური წყაროები და ძველი თურქული წარწერები თურქთა კაგანატის შემქმნელად ბუმინთან ერთად ისტემსაც მიიჩნევს. 100:36). დასავლეთისაკენ წამოსული ისტემის შესახებ ჩქარა შეიტყვეს ირანსა და ბიზანტიაში. არაბი ისტორიკოსის ალ-ტაბარის (გარდ. 923) ცნობით, ისტემს 110 ათასიანი არმია ჰყავდა (129:159—160).

ისტემი ბიზანტიურ წყაროებში ცნობილია სილძიბულოსის სახელით. თვლიან, რომ ეს სახელი მისი ტიტულის „იაბღუს" დამახინჯებული გადატანა უნდა იყოს. ტაბარისთან იგი „სინჯიბუ"-დ იხსენება (88:229).

ტაბარის მსგავსად, ჩინური წყაროებიც ისტემის ლაშქრის რაოდენობას 100 ათასით განსაზღვრავს, მაგრამ ძველი თურქების ისტორიის ცნობილ მკვლევარს ლ. გუმილიოვს იგი გადაჭარბებულად ეჩვენება. მისი ვარაუდით, ეს ციფრი უნდა ასახავდეს არა ჯარის რაოდენობას, არამედ მხედართმთავრის უმაღლეს რანგს. რაც მის ტიტულს „ბაღათურ-ჯაბღუს" შეესაბამება (65:34. ტიტულ „ჯაბღუ"-ზე ცალკე შევჩერდები).

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით ისტემს დასავლეთისაკენ ლაშქრობა 554 წლის გაზაფხულზე უნდა დაეწყო. როცა ჟუ-ჟანები დამარცხებულები იყვნენ, ველები კი ბალახით იყო დაფარული, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ცხენოსანი ჯარისათვის (65:34). დასავლეთისაკენ ლაშქრობაში ისტემი ძლიერ მოწინააღმდეგეს არ შეხვედრია. 555 წელს მისმა ლაშქარმა უკვე „დასავლეთის ზღვამდე" (არალის ზღვა იგულისხმება. 65:35) მიაღწია. ამ ლაშქრობისას ისტემი შუა აზიაში დაიმორჩილა ხორეზმი, ახლანდელი ყაზახეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები, შვიდმდინარეთში მოსახლე ჩუის ჯგუფის, დულუს და ნუშუბის ტომები (ამ უკანასკნელთ ადათები თურქებისა ჰქონდათ, ენა კი ოდნავ განსხვავდებოდნენ მათგან. 65:35, შენ 46).

არალის ზღვის ჩრდილოეთით თურქები შეეჯახნენ ჩვენთვის ცნობილი ხიონიტების ტომების გაერთიანებას (ეფტალიტთა სახელმწიფოს), ვარებს (იგივე უარები — უგორული ჯგუფის ტომები. ხიონიტების მეზობლად მომთაბარეობდნენ. 65:35, შენ. 49) და ოგორებს (იგივე უგრები. უნგრელების წინაპრები. VI ს-ში მდ. ვოლგასა და მდ. ურალს შორის მომთაბარეობდნენ. 65:35, შენ. 50). თურქებმა მათი დამარცხება მხოლოდ 558 წელს შეძლეს. რის შემდეგაც ისტემი თავისი ლაშქრით უკვე მდ. ვოლგას მიადგა. ამ ბრძოლების დროს თურქებმა მრავალი თურქული და უგორული ტომი დაიმორჩილეს. ისინი შემდეგში, როგორც თურქთა დასავლეთი კაგანატის ქვეშევრდომები, ავსებდნენ თურქთა ლაშქარს და ჩვენთვის საინტერესო ამიერკავკასიის ლაშქრობაშიც მონაწილეობდნენ. ყველა ის ხალხი კი, რომლებიც თურქებს არ დაემორჩილა, თურქებს გაეცალნენ და აღმოსავლეთ ევროპისაკენ გადაინაცვლეს. ასეთები იყვნენ ვარების ტომებისა და ხიონიტების ნარჩენები. შემდეგ ისინი ერთ ხალხად შეერწყნენ და ავარებთან გაერთიანდნენ (65:35).

ეს ის ავარები არიან კაგან ბაიანის სარდლობით 626 წლის ზაფხულში კონსტანტინოპოლის მისადგომებთან რომ დამარცხდნენ და უკუიქცნენ. ავარები განსაკუთრებით მტრულად იყვნენ განწყობილი თურქებისა და მათი მეგობარი სახელმწიფოებისადმი და ამის მიზეზი ჰქონდათ. საქმე ისაა, რომ როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული ბალკანეთის ტერიტორიაზე ავარები ცენტრალური აზიიდან მოვიდნენ. ისინი თურქთა ყოფილი ბატონების ჟუ-ჟანების ნარჩენები იყვნენ. ნ. კიუნერის მიხედვით, თურქების მიერ 555 წელს ჟუ-ჟანების საბოლოო დამარცხების შემდეგ, ჟუ-ჟანების გადარჩენილმა ნაწილმა დასავლეთისაკენ დაიწყო მოძრაობა. ავარებისა და ჟუ-ჟანების იგივეობის ერთ-ერთ საბუთად ისიც მიაჩნიათ, რომ ცენტრალური აზიიდან ჟუ-ჟანების წამოსვლას ემთხვევა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში ავარების გამოჩენა. ორივე ხალხი მონღოლური მოდგმისად და მონღოლურენოვნად არის მიჩნეული (90:326; შდრ., 54. რუსულ მატიანეებში ავარები „ობრ“-ების სახელით იხსენიებიან. 116:31).

დასავლეთისაკენ სალაშქროდ წამოსული ისტემის ერთ-ერთი ამოცანა, როგორც ჩანს, სწორედ ჟუ-ჟან-ავარების საბოლოო განადგურება იყო. ავარებიც ძალიან ცდილობდნენ თავი დაეღწიათ თურქთა დევნისაგან. გზად თურქებმა შუა აზიაში არსებულ ეფტალიტთა გაერთიანებას დაუწყეს ბრძოლა. ამასობაში ავარები აღმოსავლეთ ევროპაში მოვიდნენ.

ახლად წარმოქმნილ თურქთა კაგანატს, მეზობლად ეფტალიტთა ძლი-

ერი გაერთიანების არსებობა ხელს არ აძლევდა. თუ შუა აზიაში ეფტალიტთა გაერთიანება იარსებებდა, დასავლეთისაკენ წამოსული ისტემი თურქთა კაგანატის ძირითადი ძალებისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდებოდა. ამიტომ, მან დროებით თავი დაანება ავართა დევნას და კაგან მუღანთან ერთად ეფტალიტებთან ომში ჩაება. იწყებდა, რა ეფტალიტებთან ომს, VI საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსის მენანდრეს ცნობით, ისტემის უთქვია: „ავარები ჩიტები არ არიან, რომ ჰაერში ფრენით თურქთა ხმლებს გადაურჩნენ, არც თევზები არიან, რომ წყალში ჩაყვინთონ და ზღვის სიღრმეში გაუჩინარდნენ, ისინი სმელეთზე დაეხეტებიან. როცა ეფტალიტებთან მოვათავებ საქმეს, თავს დავესხმები ავარებს, მაშინ ისინი ვეღარ გაექცევიან ჩემს ძალებს“ (102:328).

ეფტალიტების წინააღმდეგ ბრძოლაში ირანი აქტიურად მხოლოდ 562 წელს, ბიზანტიასთან დადებული ზავის შემდეგ ჩაება და როგორც ზემოთ ითქვა, 567 წელს ეფტალიტები დამარცხდნენ, ამ ხანებში ავარები უკვე სამშვიდობოს იყვნენ. ისტემიმ მათი დაწევა ვეღარ შეძლო (65:36—37).

567—571 წლებში თურქებმა თითქმის მთელი ჩრდილოეთი კავკასია დაიკავეს (65:47) და ბოსფორს მიადგნენ. 576 წელს ბოსფორიც დაიმორჩილეს (ამ წელს ისტემი გარდაიცვალა. ზოგი ავტორის მტკიცებით 582 წელს თურქები ეგრისშიც შეიჭრნენ. 67:14).

* * *

555 წელს, როცა ისტემიმ დასავლეთისაკენ ლაშქრობა წამოიწყო, იგი ახალ მიწებს იპყრობდა როგორც თურქთა ერთიანი სახელმწიფოს წარმომადგენელი. მისი გარდაცვალების (576) შემდეგ 583 ან 584 წელს თურქთა კაგანატი ოფიციალურად გაიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ კაგანატებად (60:231; 85:158). საკუთრივ თურქების მომთაბარეობის რაიონები მთლიანად აღმოსავლეთ თურქთა კაგანატის მფლობელობაში დარჩა. აქ მცხოვრები ხალხი (თურქები) იყო აღმოსავლეთ თურქთა კაგანატის საიმედო სამხედრო დასაყრდენი ძალა. რაც შეეხება თურქთა დასავლეთ კაგანატს — მას უზარმაზარი ტერიტორია ეჭირა აზოვის ზღვის აღმოსავლეთი ნაპირებიდან და მდ. დონიდან ტიან-შანის უკიდურეს აღმოსავლეთ განშტოებებამდე, სამხრეთით — ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთამდე. მაგრამ ამ სახელმწიფოს საკუთრივ თურქული ძალები მცირე იყო. თურქთა დასავლეთი კაგანატის მმართველი უფლისწულები თავიანთი ძირითადი მომთაბარეობის რაიონებიდან იზოლირებულნი აღმოჩნდნენ. მათ-

ბის მთავარი სამხედრო დასაყრდენი ჯუნგარიაში მომთაბარე დულუს ტომთა და დასავლეთ ტიან-შანში არსებული ნუშუბის ტომთა კავშირები იყო (45:145, ლ. გუმილიოვის შენიშვნა).

თურქთა დასავლეთი კაგანატის ძირითადი დასაყრდენი ძალა რადგან დულუსი და ნუშუბის ტომები იყვნენ, ეს ტომები კი ხუთ-ხუთ ტომთა კავშირს შეადგენდნენ, თურქთა დასავლეთ კაგანატს ზოგჯერ „ათი ტომის" კავშირსაც უწოდებდნენ (ჩინურ წყაროებში „ათი ისრის" სახელითაც იხსენიება. 90:192). აღნიშნულ სახელთან ერთად, თურქთა დასავლეთი კაგანატი იწოდებოდა „ჯაბღუს თურქებად" (ტიტულ „ჯაბღუ"-სთან დაკავშირებით), იმის მოსაგონებლად, რომ ილ ხან ბუმინის დროს ისტემი ჯაბღუ, ე. ი. კაგანის მოადგილე იყო (ტიტულ ჯაბღუს შესახებ იხ. ქვემოთ, თავი IX).

ისტემის გარდაცვალების შემდეგ, მის მიერ დასავლეთში ახლად დაპყრობილ მიწებს ჯერ ყარა ჩურინ თურქი (ტარდუშ ხან დიანგუ) განაგებდა (იგი 604 წელს დაილუპა. 62:76), შემდეგ ტახტზე რამდენიმე ცვლილება მოხდა და 619 წლიდან თურქთა დასავლეთი კაგანატის ტახტზე უკვე ტუნ შეჰუ იჯდა. მისი მბრძანებლობის ხანაში თურქთა დასავლეთი კაგანატი მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

ჩინური წყაროების ცნობით, კაგან შეგუის შემდეგ ტახტზე ასული მისი მომდევნო ძმა ტუნ შეჰუ იყო მამაცი და შორსმჭვრეტელი, ჰყავდა 100 000 მშვილდოსანი. შეიერთა ტელეს ხალხი, უსუნის ძველი მიწები [11], რეზიდენცია გადაიტანა ციანციუანში (90:191).

სწორედ ტუნ შეჰუ იყო ჰერაკლეს მოკავშირე ირანის წინააღმდეგ ომში. მასთან გაემგზავრა ანდრეს ელჩობა 626 წლის ზაფხულში.

მიუხედავად იმისა, რომ თურქთა დასავლეთი კაგანატის სამფლობელოები უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული, დამორჩილებული ხალხებისაგან თურქები მხოლოდ სამხედრო სამსახურს მოითხოვდნენ. თურქთა დასავლეთი კაგანატის ეკონომიკურ სიძლიერეს მათი შუა აზიელი ვასალები — ფერღანისა და სოღდიანას ვაჭრები ჰქმნიდნენ. თურქი უფლისწულები და არისტოკრატია ძირითად შემოსავალს მათგან ღებულობდნენ. სწორედ სოღდიელი ვაჭრები განსაზღვრავდნენ თურქთა დასავლეთი კაგანატის საგარეო პოლიტიკურ კურსს.

---

11 უსუნელები ქერათმიანი და ცისფერთვალება ხალხი იყო, ახ. წ. III ს-მდე შვიდმდინარეთში შომოაბარეობდნენ. შემდეგ მათი ნარჩენები ტიან-შანის მთიანეთში შედევნეს (იხ. 116).

თავი III

აბრეშუმით ვაჭრობა და სავაჭრო გზები ომის ძირითადი მიზეზი

რომის იმპერიაში ჩინურ აბრეშუმს უძველესი დროიდან იცნობდნენ. მას შემდეგ კი, რაც რომის იმპერიასა და აღმოსავლეთს (შუა აზიის სახელმწიფოები, ჩინეთი) შორის აბრეშუმით ვაჭრობის შუამავალი — სირია ძვ. წ. 64 წელს პომპეუსის დაპყრობათა შედეგად რომის პროვინცია გახდა, იმპერიაში აბრეშუმის შეტანამ იმატა (86:312).

აღმოსავლეთიდან შეტანილ აბრეშუმს სირიაში ამუშავებდნენ. აქედან კი უმეტესად გადამუშავებული სახით შეჰქონდათ რომში (86:312). ავგუსტუსის (ძვ. წ. 63 — ახ. წ. 14) დროიდან თვით რომის იმპერიაში დაიწყეს აბრეშუმის დამუშავება, მაგრამ საქმეს ეს არ შველოდა. მოთხოვნა აბრეშუმზე თანდათან იზრდებოდა. 395 წ. იმპერიის გაყოფის შემდეგ, აღმოსავლეთ რომის იმპერიაში აბრეშუმი საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთ ძირითად სახედ დარჩა. გარდა იმისა, რომ საიმპერატორო კარისა და არისტოკრატიისათვის დიდძალი აბრეშუმი იყო საჭირო, ბიზანტია აბრეშუმს იყენებდა, როგორც ვალუტას ბარბაროსებთან ურთიერთობაში. აბრეშუმი ბიზანტიაში ოქროს და ძვირფასი ქვების თანაბრად ფასობდა. იმპერია აბრეშუმით ევროპაში იძენდა მოკავშირეებს, მონებს, ქირაობდა ჯარს. სწორედ ვაჭრობის დიდმა აღმავლობამ მისცა საშუალება იმპერატორ იუსტინიანეს (527—565) მსოფლიო პოლიტიკა ეწარმოებინა (65:43). აბრეშუმი ბიზანტიის ვაჭრობის მთავარ საგანს წარმოადგენდა ჩვენთვის საინტერესო ხანაშიც. იმ დროს აბრეშუმი იმპერიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ წარმმართველად და გეზის მიმცემად ვამოდიოდა (109:185). მაგრამ, საქმე ის იყო, რომ როგორც ხამი აბრეშუმი, ისე ჩინური და ინდური ძვირფასი საქონელი ბიზანტიაში ირანელი ვაჭრების შუამავლობით შედიოდა (112:69). რის გამოც, ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო გზები ადრიდანვე გახდა სამხედრო კონფლიქტებისა და დიპლომატიური მოლაპარაკებების უშუალო მიზეზი. საშუამავლო ვაჭრობის წყალობით ირანელები დიდ მოგებას ნახულობდნენ. ხოლო ბიზანტია რადგან ირანისაგან იღებდა ამ საქონელს, იძულებული იყო აბრეშუმი ირანელთა მიერ დაწესებულ ფასებში შეეძინა. ამის გამო აბრეშუმით ვაჭრობა ბიზანტიისათვის არ იყო ისეთი მომგებიანი როგორც ირანისათვის. რაც მთავარია, აბრეშუმით ვაჭრობა იმპერიას ირანზე დამოკიდებულს ხდიდა. ირანელ-

თაგან ძვირად შესყიდული ხამი აბრეშუმი ბიზანტიის სახელოსნოებში გადამუშავების შემდეგ, კიდევ უფრო ძვირდებოდა. აბრეშუმზე ფასების ზრდა მისი ძირითადი მომხმარებელი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ბიზანტიის ხელისუფლება აიძულებდა ვაჭრებს, დაწესებულ ფასზე მაღლა არ გაეყიდათ აბრეშუმის ნაწარმი. მთავრობის ასეთი პოლიტიკა, რა თქმა უნდა, თავის მხრივ, ვაჭართა უკმაყოფილებას იწვევდა. შევიწროებული სირიელი ვაჭრების ნაწილი ირანში გადასახლდა (111:94).

ბიზანტიის ხელისუფლებამ რამდენჯერმე სცადა ხამი აბრეშუმის შესყიდვის საქმეში თავი დაეღწია ირანის შუამდგომლობისათვის (35:131; 65:44). მაგრამ, ამ მხრივ გატარებულ ღონისძიებებს მაინც და მაინც დიდი წარმატება არ მოჰყოლია.

ბიზანტიასა და ირანს შორის აბრეშუმით ვაჭრობის საქმე VI საუკუნის შუახანებიდან, როცა ცენტრალურ აზიაში თურქთა კაგანატი შეიქმნა, შედარებით გაუმჯობესდა. თურქთა მიერ შუა აზიის ოლქების დაპყრობათა შედეგად ამ რეგიონებზე უძველესი დროიდან გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზა თურქთა ხელში მოექცა. შუა აზიაში ახლად დაპყრობილი ოლქებიდან ეკონომიკურად და კულტურულად ყველაზე დაწინაურებული აბრეშუმის მწარმოებელი ფერღანა და სოღდიანა იყო. ვაჭრობიდან და აბრეშუმიდან ამ მხარეთა უბრალო მოსახლეობასაც კი მნიშვნელოვანი შემოსავალი ჰქონდა, ამიტომ შემთხვევითი არ იყო, საქარავნო გზის ბატონები: ჰუნები, ხიონიტ-ეფტალიტები, თურქები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიდნენ ამ აყვავებული რეგიონების ბატონების როლში, თვითონაც რომ იწყებდნენ სავაჭრო ოპერაციებში მონაწილეობას (111:11). გაბატონებულ სამხედრო არისტოკრატიასა და დამორჩილებულ სავაჭრო ზედაფენას შორის ისეთი მჯიდრო კონტაქტი მყარდებოდა, რომ ვაჭრობა და სავაჭრო გზები ზოგჯერ გაბატონებული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი ხდებოდა. იყო შემთხვევა როცა დამორჩილებული ქვეყნების ვაჭრული ზედაფენა განსაზღვრავდა მათ ბატონთა საგარეო პოლიტიკას. ხშირად ბატონები იქ იწყებდნენ ომს, სადაც ომი მათ ქვეშევრდომთა სავაჭრო ოპერაციებს არ ავნებდა.

ეფტალიტებისა და ჩრდ. ჩინეთის იმპერიების დამარცხების შემდეგ, თურქთა კაგანატი პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკურადაც გაძლიერდა. რადგან თურქთა მფლობელობაში აღმოჩნდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელი დიდი საქარავნო გზა, მათ ხელში დიდი რაოდე-

ნობით ხვდებოდა ჩინური აბრეშუმი. ჩრდილოეთის მომთაბარე სამყარო იმ ხანად ჩინური აბრეშუმის ძირითად მომხმარებლად გამოდიოდა (86:313). თურქი კაგანები ჩინეთიდან აბრეშუმს ხარკისა და საჩუქრების სახით ღებულობდნენ. თურქთა მბრძანებელი ტობო კაგანი ამბობდა: „საშ-სრეთში სანამ ორი ბიჭუნა იქნება ჩვენი მორჩილი, მანამდე ჩვენ საშიში არაფერი გვაქვს“ (51:233). ტობო ხანს მხედველობაში ჰქონდა ჩრდილო-ეთი ჩინეთის სახელმწიფოები: ჩრდილოეთის ცი (იარსება 550—577 წლებ-ში) და ჩრდილოეთის ჯოუ (იარსება 557—581 წლებში. იხ. 108“:170). ტობო ხანი გასამრჯელოს იღებდა ჯოუს სახელმწიფოსაგან კავშირისათ-ვის, ხოლო ცის სახელმწიფოსაგან — სეპარატიული ზავისათვის (115:9).

თურქ მბრძანებლებს აბრეშუმი და საერთოდ სიმდიდრე რომ ბევრი ჰქონიათ, ეს ბიზანტიელი ავტორის ცნობებიდანაც ჩანს. ჩვენთვის ცნო-ბილ ისტემის ბიზანტიელი ელჩები სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ქსოვი-ლითა და ოქროს ჭურჭლით ისე მდიდრულად მორთულ კარავში მიუღია, რომ ბევრის მნახველი ბიზანტიელი ელჩების გაკვირვებაც კი გამოუწვევია (102:377—379).

ჩინეთიდან მიღებული აბრეშუმი იმდენად ბევრი იყო, რომ თურქთა ზედაფენა მას მთლიანად ვერ იყენებდა [12]. ზედმეტი აბრეშუმის გასაღები-სა და ვაჭრობის საქმე მათ ქვეშევრდომ სოღდიელ ვაჭრებს ჰქონდათ მინ-დობილი.

უძველესი დროიდან სოღდიელები მთელს აღმოსავლეთსა და დასავ-ლეთში ცნობილნი იყვნენ, როგორც მარჯვე და მოხერხებული ვაჭრები. ჩინური აბრეშუმის გარდა, თავიანთი სავაჭრო ოპერაციებისათვის სოღ-დიელები შუა აზიაში დამზადებულ აბრეშუმსაც იყენებდნენ. სოღდიანას გარდა, მდ. ტარიმის ბასეინის მოსახლეობა, ფერღანა და მისი მიმდებარე რაიონები, იმ დროისათვის აბრეშუმის დიდი მწარმოებელი მხარეები იყო (109:207). სოღდიელთა მდიდარი სავაჭრო ქალაქები საქარავნო ვაჭრობის დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენდნენ ირანის საზღვრამდე [13] (65:42).

---

[12] ჩინური ცნობით, 614 წელს ჩინეთის იმპერატორს ასული მიუთხოვებია ჩელი ხანისათვის და ქალიშვილისთვის გაუტანებია ათასი შტოფის ქსოვილის ხიფთანი და ათი ათასი ნაჭერი აბრეშუმის ქსოვილი (51:283).

[13] თურქთა დასავლეთი კაგანატის სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი VII ს-ის დამღე-გისათვის მდ. ამუ-დარიის შუა და ქვემო დინებაზე გადიოდა. ამუ-დარიის ზემო წელზე კი თურქებმა საზღვარი ჯერ აღანეთამდე გააფართოვეს, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთ იხდოეთში შეიჭრნენ. ირანის შაჰს სოსრო II ფარვიზს, რომელიც ამ დროს ბიზანტიას ებრძოდა, საშუალება არ ჰქონდა ხელი შეეშალა თურქების გაძლიერებისათვის (65:158).

სოღდიელი ვაჭრები მზად იყვნენ მთელი ჯარბი აბრეშუმი ბიზანტიაში გაეტანათ. ბიზანტია დაინტერესებული იყო აბრეშუმის შეძენით. მაგრამ, მათ შორის აბრეშუმით ვაჭრობის საქმეში ისევ საქარავნო გზის პრობლემა დგებოდა. საქარავნო გზა იარნზე გადიოდა. შაჰინ-შაჰი და იმპერატორი კი ერთმანეთს მტრობდნენ. შაჰინ-შაჰები სიხარულით დაკეტავდნენ მათ ქვეყანაზე გამავალ გზას, მაგრამ ბაეი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მათ დამატებით შემოსავალს აძლევდა არმიისა და სამეფო კარის შესანახად (115:10; 109:187).

ასე რომ, სწორედ სავაჭრო გზის გამო, შუა აზიელ მბრძანებლებსა და ბიზანტიის იმპერატორებს შორის სავაჭრო შუამავლად მათდამი მტრულად განწყობილი ირანი გამოდიოდა. ამიტომ, როგორც ბიზანტიის, ისე თურქთა დასავლეთი კაგანატის წინაშე დადგა საგარეო პოლიტიკური ამოცანა — თავიანთი კონტროლი დაეწესებინათ დიდ საქარავნო გზაზე. ეს კაგანატის სავაჭრო ქალაქებისათვისაც სასიცოცხლო მოთხოვნა იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე სოღდიანისა და ფერღანის ვაჭართა ინტერესები ემთხვეოდა თურქთა დასავლეთი კაგანატის აშინას დინასტიის კაგანთა ინტერესებს. თურქთა დასავლეთი კაგანატის ხანებისათვის სამხედრო დასაყრდენი თუ შვიდმდინარეთისა და ჩუის ველის ტომები იყო, სიმდიდრე მათ შუა აზიის ბინადარი მოსახლეობისაგან შედიოდათ. თავის მხრივ, სოღდიელ ვაჭრებსა და დეჰყანებს ხელს აძლევდათ ძლიერი ბატონების მფარველობა. ისინი იმდენ კარგს ხედავდნენ თურქთა დასავლეთი კაგანატის ხანებში, რომ თვით გახდნენ აშინას დინასტიის კაგანთა ტახტის ძლიერი დასაყრდენი. ჩინური და შუაზიური აბრეშუმიდან მოგების ნაწილი ოქროს სახით რჩებოდა ბუხარაში, სამარყანდში, ჩაჩაში (ტაშკენტი), ყაშგარში, კუჩაში და ტურფანში. ამ სიმდიდრით მზადდებოდა ძვირფასი სამკაულები ვაჭართა და დეჰყანთა მეუღლეებისათვის. ეს კეთილდღეობა თურქთა კაგანატისადმი სოღდიანას მორჩილების ნაყოფი იყო (65:152). აშინას დინასტიის კაგანებმა უზრუნველყვეს ქვეყნისათვის აუცილებელი სიმშვიდე. ისინი არ ერეოდნენ თავიანთი ქვეშევრდომების შინაურ საქმეებში — სოღდიანას ქალაქებმა სრული ავტონომია შეინარჩუნეს. სოღდიელები კაგანებს ხარკის სახით თავიანთი ზღაპრული მოგების მხოლოდ ნაწილს უხდიდნენ (65:153). შუა აზიის რეგიონებში ვაჭრობასთან ერთად ინტენსიურად ვითარდებოდა მიწათმოქმედება და ხელოსნობა. კაგანატის ქვეშევრდომი სხვადასხვა ხალხებისა და ტომების რელიგიური კულტები მშვიდობიანად ერწყმოდნენ ერთმანეთს.

ვაჭრობით დაინტერესებულნი იყვნენ თურქთა დასავლეთი კაგანატის

ქვეშევრდომი ნუშუბისა და დულუს ტომთა კავშირებიც. კაგანატის ჩრდილოელი ქვეშევრდომები — დულუს ტომები, სავაჭრო ცენტრებიდან შორს იყვნენ და ვაჭრობიდან ცოტა სარგებელს ნახულობდნენ. ამიტომ ისინი, ზოგჯერ ძარცვავდნენ კიდევაც ჯუნგარიის ველებში მიმავალ ქარავნებს. სამაგიეროდ, ფერღანასთან და სოღდიანასთან ახლოს მცხოვრები ნუშუბის ტომები თავიანთ მიწებზე რეგულარულად ატარებდნენ ქარავნებს. მათ უიქრადაც არ მოსდიოდათ ქარავნების გაძარცვა. ისინი მექარავნეებს ბაჟს ახდევინებდნენ: გზის, უსაფრთხოების დაცვის, გამყოლობის, სურსათისა და საწვავისათვის. ამ გზით სოღდიელებთან ერთად ნუშუბებიც მდიდრდებოდნენ. ასე რომ, სოღდიელ ვაჭრებსა და ნუშუბის ტომთა კავშირის ბეგებს საერთო ინტერესები ჰქონდათ. ეს მათ კაგანატის მმართველი აშინას დინასტიის წევრებთან მეგობრობისაკენ უბიძგებდა (65:153).

აბრეშუმის დიდი საქარავნო გზა ჩინეთიდან შუა აზიაზე, იქიდან ჩრდილოეთ ირანზე გადიოდა. ირანი უწევდა კონტროლს მათ ქვეყანაში შეტანილ აბრეშუმს, მაგრამ ირანში შეტანილი ხამი აბრეშუმის მთლიანად შესყიდვა ირანელ ვაჭრებს არ შეეძლოთ, ამიტომ იძულებულნი იყვნენ ნაწილი ბიზანტიისაკენ გაეშვათ. თუმცა, ირანის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა შეეზღუდა ბიზანტიაში გასატანი აბრეშუმის რაოდენობა, გაეზარდა ფასები აბრეშუმზე, მეტი მოგება თვითონ დარჩენოდა. ამით ბიზანტია ეკონომიკურად დაესუსტებინა, წაერთმია საშუალება ირანთან ომის დროს ევროპაში ჯარი დაექირავებინა (115:10).

ირანელთა მიერ ბიზანტიასთან ვაჭრობის შეზღუდვისა და ამ გზით ბიზანტიის ეკონომიკური შევიწროების პოლიტიკა განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატა VII საუკუნის დამდეგიდან. როგორც ზემოთაც ვნახეთ, იმ დროს ირანის შაჰინ-შაჰი ხოსრო II ფარვიზი ბიზანტიის მთელ რიგ პროვინციებს დაეუფლა — ეკონომიკურად და პოლიტიკურად იმპერია მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ირანის დამარცხება იყო. ირანზე გამარჯვება კი მხოლოდ თურქთა კაგანატის ძალის გამოყენებით შეიძლებოდა. თურქთა დასავლეთ კაგანატსა და ბიზანტიას შორის ირანი იმ ხანად ბევრ დაბრკოლებას ქმნიდა — მთავარი კი სავაჭრო გზა იყო. სანამ ირანის წინააღმდეგ ომს დაიწყებდნენ, მათ სცადეს ახალი საქარავნო გზა შუა აზიიდან კასპიის ზღვის ჩრდილოეთიდან შემოვლით, შემდეგ კი კავკასიის ზეკარებით ბიზანტიისაკენ გაეკვალათ.

ასე აღმოჩნდა ქართლი და მისი დედაქალაქი თბილისი ალბანეთთან ერთად შუააზიელი თურქების ყურადღების ცენტრში.

თ ა ვ ი IV

ახალი სავაჭრო გზის დადების ცდა

აბრეშუმით ვაჭრობის საქმეში ირანის შაჰების ანტიბიზანტიური კურსის გამო, ბიზანტიის ხელისუფლებმა არაერთხელ სცადეს აეცილებინათ ირანის შუამავალი როლი. ამ მიზნით, იუსტინიანე I-მა ჯერ კიდევ 531 წელს მოლაპარაკება გამართა ეთიოპიელ ვაჭრებთან, რათა მათ ეკისრათ საშუამავლო როლი და ჩინური აბრეშუმი ინდოეთის ოკეანის გავლით შემოეტანათ. მიუხედავად იმისა, რომ ირანის ყურეში და ინდოეთის ოკეანეში ირანელ ვაჭრებს მხოლოდ ეთიოპელები უწევდნენ მეტოქეობას, თავის მხრივ ეთიოპელებს ყოველნაირად მხარს უჭერდნენ ბიზანტიელი ვაჭრები, ამ წამოწყებიდან არაფერი გამოვიდა. ეთიოპელთა და ბიზანტიელთა ცდა ერთობლივად ემოქმედათ ირანელი ვაჭრების წინააღმდეგ, უშედეგოდ დამთავრდა. ირანელი ვაჭრები ინდოეთის სავსადგურებში ისეთი გავლენით სარგებლობდნენ, რომ ეთიოპელებმა ვერ მოასერხეს მათთვის წაერთმიათ მონოპოლია ვაჭრობაზე (65:44). აღნიშნულს შემდეგ, 570 წელს ხოსრო I იემენს დაეუფლა და ბიზანტიელებს წითელი ზღვითა და ინდოეთის ოკეანით აღმოსავლეთისაკენ ვასასვლელი ჩაუკეტა (65:44).

ირანის შაჰების სავაჭრო პოლიტიკით მარტო ბიზანტია არ იყო უკმაყოფილო. მათ თვით ირანში ჰყავდათ უკმაყოფილონი. მოვსეს კალანკატუაცის ოხზულებაში არსებული ცნობით, აი რას ჩიოდა ერთი ირანელი დიდებული: „...როდემდე უნდა გროვდებოდეს ჩვენი ქონება და სიმდიდრე, ოქრო და ვერცხლი სამეფო საგანძურში, როდემდე უნდა იყოს გამაგრებული და შეკრული ეზათა გასასვლელები — დამაბრკოლებელი ქვეყნის მხარეთა შემოსავლისა...“ (25:74).

ირანის შაჰების სავაჭრო შეზღუდვებით ყველაზე მეტად მაინც სოღდიელი ვაჭრები ზარალდებოდნენ. ამიტომ, პირველად მათ სცადეს თვით ირანის შაჰთან დაემყარებინათ კარგი ურთიერთობა. ისტემისთან შეთანხმების შემდეგ სოღდიელი მანიაჰის[14] ხელმძღვანელობით ირანში ელჩობა გაგზავნეს.

---

[14] ნ. პიგულევსკაიას თანახმად, მანიაჰი მანიქეველობის მიმდევარი უნდა ყოფილიყო. ამაზე მიგვითითებს მისი სახელი „მანი“+„აჰ“ — „მანის ძმა“ (111:202).

სოღდიელ ელჩებთან ხოსრო I-მა ჯერ მოლაპარაკება გააჭიანურა, შემდეგ მოლაპარაკებაში მონაწილე წარმოშობით ეფტალიტი კატულფის რჩევით აბრეშუმი შეისყიდა და სოღდიელი ელჩების თვალწინ დაწვა. ეს აქტი სოღდიელ ელჩებს იმის მიმანიშნებლად უნდა მიეღოთ, ირანელები მათი მტრების — თურქების ქვეშევრდომთა აბრეშუმს რომ არ საჭიროებდნენ. აღნიშნულის მიუხედავად, სოღდიელები კვლავ ჩავიდნენ ირანში. ხოსროს ბრძანებით ამ ელჩობის ზოგი მონაწილე მოწამლეს, თან ხმა გაავრცელეს, თითქოს ცივ ქვეყანაში ცხოვრებას შეჩვეულმა თურქებმა ირანის სიცხე ვერ აიტანეს და ამიტომ დაიხოცნენ (102:372—373). ნამდვილად კი ეს იმიტომ მოიმოქმედეს, თურქებს საბოლოოდ რომ ეთქვათ უარი ირანში სიარულზე.

შაჰის საქციელით განაწყენებულმა სოღდიელებმა გადაწყვიტეს ახალი სავაჭრო გზა ბიზანტიისაკენ ჩრდილოეთიდან გაეკაფათ (111:204, 109:210). მენანდრეს სიტყვით, ასე აღმოცენდა მტრობა თურქებსა და ირანელებს შორის. მანიაჰი — სოღდიელთა უფროსი — დასძენს იგი, — წარუდგა დიდებულოსს (ე. ი. ისტემის. — ვ. გ.) და მოახსენა, რომ თურქებისათვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა რომაელთა მხარე დაეჭირათ და აბრეშუმიც მათთან გაეგზავნათ გასაყიდად (102:373). ასეთივე სურვილები ჰქონდათ ბიზანტიელებსაც. ახალი სავაჭრო გზის გაკაფვით, ბიზანტიელებიც რომ იყვნენ დაინტერესებულნი, — წერს ს. ყაუხჩიშვილი, — ამაზე მიგვითითებს მენანდრეს მიერ მოთხრობილი ამბები (35:131).

ახალი გზით, სოღდიელი ვაჭრები შუა აზიიდან ჩრდილოეთ კასპიისპირეთზე და ჩრდილოეთ კავკასიაზე გავლით — კავკასიის ზეკარებით ჯერ ალბანეთში, ქართლში ან ეგრისში უნდა მოხვედრილიყვნენ, შემდეგ კი ბიზანტიაში. მაგრამ, საქმე ის იყო, რომ იმხანად ალბანეთი და ქართლი ირანის ქვეშევრდომი ქვეყნები იყვნენ, — ამტომ დარუბანდისა და დარიალის ზეკარებსაც ირანელები იცავდნენ. ირანელთა კონტროლქვეშ მოქცეულ გზებზე სოღდიელები ვერ გაივლიდნენ. რჩებოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან დასავლეთ საქართველოში გადამავალი გზები.

შუა აზიასა და ბიზანტიას შორის ახალი გზის დადებამდე, კავკასიის ზეკარების დაცვის საქმეში ირანისა და ბიზანტიის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. დარიალის, დარუბანდისა და სხვა ზეკარებში მდგომი ირანული გარნიზონები ამ გადმოსასვლელებს ჩრდილოეთ კავკასიასა და სამხრეთ რუსეთის ველებზე მომთაბარე ხალხებისაგან იცავდნენ.

ჩრდილოეთიდან ამიერკავკასიაში შემოჭრილი მომთაბარეები ზოგჯერ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებსაც ანადგურებდნენ, ამიტომ ზეკარების დაცვისათვის ირანის შაჰები ბიზანტიელებს ,ფულად დახმარებას სთხოვდნენ ხოლმე. ახლა, როცა ბიზანტიამ და სოღდიელებმა კავკასიის ზეკარებით მოიწადინეს ერთმანეთთან დაკავშირება, რა თქმა უნდა, ირანი ყოველნაირად შეეცდებოდა მათი წამოწყება ჩაეშალა.

რჩებოდა ერთი გამოსავალი, სოღდიელებს ჩრდილოეთი კავკასიიდან დასავლეთ საქართველოში გადამავალი გზით უნდა ესარგებლათ. მაგრამ, დაბრკოლება აქაც ირანელებმა შექმნეს. 562 წელს, ქ. დარაში ხოსრო I-სა და იუსტინიანე I-ს შორის დადებული ზავით მართალია ირანელებმა ეგრისი დატოვეს, მაგრამ ისინი სვანეთიდან წასვლას არ აპირებდნენ. ასე ამბობდნენ: „ეს ხალხი რაკი არჩევითა და ნებით მოგვეკედლა, ჩვენივე უნდა დარჩესო“ (6:267—268).

საქმე ის იყო, რომ ძველთაგანვე ეგრისის მეფის ქვეშევრდომი სვანები, ამ ამბებამდე ეგრისელებსა და ბიზანტიელებს გადაუდგნენ და თავიანთ ქვეყანაში ირანელები მიიყვანეს. როგორც ბიზანტიელებმა, ისე ირანელებმა კარგად იცოდნენ სვანეთის მნიშვნელობა, ამიტომ არც ერთ მხარეს სვანეთის დაკარგვა არ უნდოდა (6:268).

ასე გრძელდებოდა კამათი, ირანი და ბიზანტია სვანეთზე ვერ თანხმდებოდნენ, სანამ 575 წლის მახლობლად, ბიზანტიელები სვანეთს არ დაეპატრონენ (6:268). სოღდიელებმა ბიზანტიასთან ახალი გზით სავაჭრო ურთიერთობის წარმოება სწორედ ამ დროიდან მოიწადინეს. 562 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის დადებული ზემოხსენებული ზავის პირობებით კი მოვაჭრე მხარეებს ახალი სავაჭრო გზების ძიება ეკრძალებოდათ.

საზავო ხელშეკრულების მე-3 მუხლით რომაელი და ირანელი ვაჭრები ვალდებულნი იყვნენ, არსებული ჩვეულების თანახმად, ვაჭრობა ეწარმოებინათ მხოლოდ განსაკუთრებული საბაჟოებით (102:342).

მე-5 მუხლის თანახმად კი ვაჭარს, რომელი ქვეყნისაც არ უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ნისიბისზე და დარაზე გამავალი გზით უნდა ესარგებლა. მთავრობის ნებართვის გარეშე ვაჭრებს არ შეეძლოთ წასულიყვნენ სხვა ოლქებში. თუ ამ წესს დაარღვევდნენ (ე. ი. გაიტანდნენ საქონელს საბაჟოების გვერდის ავლით. — ვ. გ.), მაშინ მათ

ააკავებდნენ, საქონელს ჩამოართმევდნენ და დასჯიდნენ (102:343).

როგორც ვხედავთ, როცა ხოსრო I სოღდიელებს თავის ქვეყანაში შესვლას უკრძალავდა, მას იმედი ჰქონდა, რომ სოღდიელ ვაჭრებს მაინც დაწესებული გზებით უნდა ესარგებლათ და მათი წყენა დროებითი იქნებოდა. სოღდიელებმა კი მოიწადინეს ირანის გვერდის ავლით მოხვედრილიყვნენ ბიზანტიაში.

შუა აზიიდან ახალი გზით სოღდიელთა პირველი ელჩობა ბიზანტიისაკენ 568 წელს წამოვიდა. ისევ ისტემის თანხმობით, რამდენიმე თურქი და ჩვენი ნაცნობი მანიაპი კასპიის ზღვის ჩრდილოეთ ველებისაკენ გამოემგზავრნენ. თან წამოიღეს დიძიბულოსის (ისტემის) წერილი და საჩუქრები იმპერატორისადმი, რა თქმა უნდა, წამოიღეს აბრეშუმიც. მენანდრეს თანახმად, ელჩობამ მრავალი ქვეყანა გაიარა. გადაიარა ღრუბლებთან ახლოს მყოფი მაღალი მთები, ველები, დიდი ვაკეები, ტბები და მდინარეები. შემდეგ გადავიდნენ მდ. სამურზე და კავკასიის მთების გავლის შემდეგ ბოლოს ბიზანტიაში მივიდნენ (102:373—374). ელჩობამ კავკასიის იმ ზეკარის გადალახვისას, რომელიც დასავლეთ საქართველოში გადადიოდა, დიდი გაჭირვება ნახა. ძლივსძლივობით ასცდა ირანელთა გარნიზონს (102:383).

იმპერატორ იუსტინე II (565—578) თურქთა ელჩობა კარგად მიუღია. მან თურქებთან კავშირიც დადო. ნ. პიგულევსკაიას თანახმად, ეს კავშირი მიმართული იყო ირანის წინააღმდეგ და ჯერჯერობით ომის მუქარა მაინც იყო ირანისათვის (109:210).

კონსტანტინოპოლიდან უკან გაბრუნებულ მანიაპის ელჩობას იუსტინე II-მ იმპერიის აღმოსავლეთი ქალაქების სარდლის — კილიკიელი ზემარქის მეთაურობით თავისი ელჩობა გააყოლა. კონსტანტინოპოლიდან ეს ელჩობა იუსტინეს მეფობის მეოთხე წლის დასასრულს (ე. ი. 568 წ.) აგვისტოს თვის დამდეგს გაემგზავრა (102:375).

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ზემარქი და მისი თანამგზავრები მენანდრეს ცნობით სოღდიელთა ქვეყანაში ჩავიდნენ და ისტემის (დიძიბულოსი) რეზიდენციას ეკდაღს (ეს სახელი მენანდრეს თანახმად ელინთა ენაზე „ოქროს მთას“ ნიშნავს[15]. 112:76) მიადგნენ.

---

15. ნ პიგულევსკაიას თანახმად, ე. შავანი თვლის რომ „ოქროს მთასთან“ მდებარე ეკდაღი ალტაიში არაა საძებარი. აქ ლაპარაკია ა-კიეს მთაზე (აკდაღი — „თეთრი მთა“), რომელიც მდებარეობს კუჩის ჩრდილოეთით თურქესტანში“ (112:76).

ცხენებიდან გადმოსვლისთანავე თურქებს მათთვის რკინა შეუთავაზებიათ. მე ვფიქრობ, — წერს მენანდრე, — ეს იმიტომ გააკეთეს, რათა რომალებისათვის ეჩვენებინათ, მათ ქვეყანაში რკინის საბადოები რომ იყო. ისე, ჩვეულებრივ, ამბობენ, რომ მათთან რკინა ძნელი მოსაპოვებელიაო (102:375—376).

სანამ ბიზანტიელ ელჩებს ისტემის წარუდგნენ, თურქებს „ცეცხლით განწმენდის“ რიტუალი შეუსრულებიათ.

მენანდრეს ცნობით, თურქებმა რომაელთა ბარვი ერთად ღაალაგეს და ცეცხლი ლიბანის ნაძვის ტოტებით დაანთეს. სკვითურ ენაზე ჩურჩულით რაღაც ბარბაროსულ სიტყვებს წარმოსთქვამდნენ. იმავ დროულად ხარს რეკდნენ და ბარგზე დაფს სცემდნენ: ცეცხლმოკიდებული ლიბანის ნაძვის ტოტით (რომელსაც წვის დროს ტკაცატკუცი გაჰქონდა) სელში ბარგს გარს უვლიდნენ — წარმოსთქვამდნენ მუქარის სიტყვებს, რაც თითქოს ეშმაკთა სულებს ლევნიდა. როცა ღარწმუნდნენ, — დასძენს მენანდრე, — რომ ბარგს ყველა უბედურება მოაშორეს, შემდეგ თვით ზემარქი გაატარეს ცეცხლს შუა და ამით თვითონაც განიწმინდნენ. ესოლოდ ამის შემდეგ წაიყვანეს ზემარქი ეკლეზიის მთაზე მდებარე ხანის რეზიდენციაში (102:375—376).

ცნობა იუსტინეს მიერ თურქებთან ელჩად ზემარქის გაგზავნის შესახებ იოანე ეფესელსაც აქვს. მართალია, იგი ამ ელჩობის გამგზავრების თარიღად შეცდომით იუსტინეს მეფობის მეშვიდე (ე. ი. 572) წელს უთითებს, მაგრამ საინტერესოა ელჩობის გაგზავნის იოანესეული ახსნა. იოანეს თანახმად, ირანთან რომაელების მიერ ზავის დარღვევის პირველი მიზეზი, რომაელთა მიერ „სპარსეთის სომხეთის“ დამორჩილება იყო. მეორე მიზეზი, — განაგრძობს იგი, — დიდი მტრობისა ის იყო, რომ რომაელთა იმპერატორმა ელჩობა გაგზავნა შიდა ირანის ოლქებში მცხოვრებ თურქებად წოდებულ ბარბაროს ხალხთან. ამ და სხვა ბევრი მიზეზით იქნა გამოწვეული წინააღმდეგობა და მტრობა. მანამდე რომაელთა ელჩობა არ გამგზავრებულა ამ მდიდარ და ძლიერ ხალხთან (83:138).

ზემარქის თურქებთან ყოფნის დროს 569 წელს, დიძიბულოსი (ისტემი) ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ წასულა და ზემარქი თავისი ოცი გამყოლით თან წაუყვანია (102:379). როცა მიუღწევიათ იმ ადგილისათვის, რომელსაც თალასი ერქვა, თურქებთან მომავალი ირანელთა ელჩა შეხვედრიათ (102:380). ისტემიმ, მხოლოდ ამის შემდეგ გამო-

ისტუმრა ზემარქი სამშობლოში. რას ნიშნავდა ისტემის ძოქმედება? ალბათ, მან ზემარქს აგრძნობინა ზავის დადებას, რომ ირანელებიც სთხოვდნენ, მაგრამ იგი მაინც ბიზანტიასთან მეგობრობას ამჯობინებდა.

ირანელთა ელჩობის წასვლის შემდეგ, ისტემიმ რომაელებთან ხელშეკრულება დაამტკიცა და ზემარქიც გამოისტუმრა. ბიზანტიაში მომავალ ზემარქს თან თავისი ელჩობა გამოატანა. იმ დროს მანიაჰი გარდაცვლილი ყოფილა, ამიტომ ელჩობას ღირსებით თარხანი — ტამღა ჩაუყენა სათავეში. ელჩობის ერთ-ერთი წევრი მანიაჰის ძეც იყო (102:380). ასე ჩაეყარა საფუძველი „აბრეშუმის დიდი გზის" ახალ მაგისტრალს.

* * *

შუა აზიიდან კაეკასიის ზეკარების გავლით ბიზანტიისაკენ გაკეალული აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზის ახალი განშტოება, ირანზე გამავალ გზასთან შედარებით, ძნელი სავალი იყო. ამიტომ, ამ უკანასკნელ ხანებამდე ფიქრობდნენ, რომ ეს გზა ინტენსიური მიმოსვლის მაგისტრალი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ჩრდ. კავკასიის არქეოლოგიურმა შესწავლამ სულ სხვა სურათი გვიჩვენა.

ძველი დროისა და შუა საუკუნეების დიდმა სავაჭრო გზამ, რომელიც ახლო აღმოსავლეთს, ასევე შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს ჩინეთისა და შუა აზის აბრეშუმის მწარმოებელ რეგიონებთან აკავშირებდა, ადრევე მიიღო „აბრეშუმის გზის" სახელი. საუკუნეთა, განმავლობაში „აბრეშუმის გზა" სხვადასხვა ხალხისათვის გამდიდრების გარდა (აბრეშუმის ფასი იმ ხანად ხომ ოქროსას უტოლდებოდა) კულტურათა დამაკავშირებელი არტერიაც იყო[16].

ასეთ როლს ასრულებდა იგი ამიერკავკასიისა (ქართლი, ეგრისი, სომხეთი, ალბანეთი) და ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებისათვის.

628 წლის შემოდგომაზე თბილისის აღებისას თურქებმა აუარებელი სიმდიდრე რომ იგდეს ხელთ, ეს რა თქმა უნდა, საქართველოს სიახლოვეს და თვით საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზების შე-

---

16 საქართველოზე გამავალი უძველესი სავაჭრო გზები განხილული არის: ი. მანანდიანის, ს. ერემიანის, გ. გოზალიშვილის, ზ. იამპოლსკის, ნ. ლომოურის, ო. ლორთქიფანიძის, დ. მუსხელიშვილის, გ. ცქიტიშვილის და სხვათა გამოკვლევებში (ეს ლიტერატურა იხ. ქსე, ტ. 1, სტ. „ამიერკავკასიის ძველი სავაჭრო სატრანზიტო გზები). მსოფლიო სავაჭრო ტრასებით ქარაველ ვაჭართა დაინტერესების მაჩვენებლად უნდა იქნას მიჩნეული IV ს.-ში ლათინურ ენაზე შედგენილი „ტაბულა პოიტინგერიანა"-ს ძველი ქართული თარგმანი (111:116, 125).

ლეგიც უნდა ყოფილიყო. როგორც VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპიოს კესარიელი გადმოგვცემს, ქართველი ვაჭრები ხომ სომხეთის დიდ სავაჭრო ქალაქ დვინში გამართული ბაზრობების ხშირი სტუმრები იყვნენ (28:88). ქართველი ვაჭრებისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო თვით ირანის სავაჭრო ცენტრები, განსაკუთრებით ქ. ნისიბისი (ძველი ქართული წყაროს ანტიოქია. შესაძლოა იმ დროიდან დამკვიდრდა ჩვენში ირანული სიტყვა აბრეშუმი. იხ. ქსე, ტ. I, სტ. აბრეშუმი).

„აბრეშუმის გზის" ცალკეული განშტოებები უძველესი დროიდანვე საქართველოზეც რომ გადიოდა, ამის შესახებ მითითებულია ქართულ ენციკლოპედიაში მოთავსებულ სტატიაში „ამიერკავკასიის ძველი სავაჭრო სატრანზიტო გზები", იქვეა რუკა (იხ. ტ. I, ავტორები: ო. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი), მაგრამ ამ წერილში არაფერია ნათქვამი, აღმოსავლეთი და დასავლეთი აბრეშუმით ვაჭრობის საქმეში კავკასიის ზეკარებითაც რომ უკავშირდებოდა ერთმანეთს (შუა აზიიდან ჩრდილოეთ კავკასიის ზეკარებით ბიზანტიისაკენ მიმავალი გზის შესახებ ასევე არაფერია ნათქვამი, სტატიაში: „აბრეშუმის დიდი გზა". იქვე არის რუკა, ქსე, ტ. I, ავტორი ვ. ჩოჩიევი).

მენანდრეს ცნობები (თურქები და ბიზანტიელები ჩრდილოეთ კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმომავალი ზეკარებით რომ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს) ჩრდილოეთ კავკასიაში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულმა მასალამ დაადასტურა. ა. იერუსალიმსკაიას დასკვნით, მართალია მენანდრე შუა აზიიდან კავკასიის ზეკარებით ბიზანტიისაკენ მიმავალ გზას „დიპლომატიურს" უწოდებს, მაგრამ არქეოლოგიურმა მონაპოვარმა ნათელი გახადა, ამ გზაზე აბრეშუმით გაცხოველებული ვაჭრობაც რომ სწარმოებდა (74:3).

ჩრდილოეთ კავკასიაში მოხვედრილი აბრეშუმი, რა თქმა უნდა, ყველა ბიზანტიის აბრეშუმის მწარმოებელ ცენტრებში გასატანად არ უნდა ყოფილიყო გამიზნული (ასევე ბიზანტიური ნაწარმი შუა აზიაში გასატანად), აბრეშუმს ცხადია, ადგილობრივი არისტოკრატიის წარმომადგენლებიც მოიხმარდნენ. ჩრდილოეთ კავკასიის სამარხებში უცხოეთიდან შეტანილი ისეთ აბრეშუმის ნაწარმის აღმოჩენა, რომლის მსგავსსაც ევროპაში მეფეები, უმაღლესი საერო და სასულიერო არისტოკრატია ხმარობდა, ბევრის მეტყველია (74:5).

აბრეშუმის ნივთებიანი სამარხები უფრო ხშირად ჩნდება ყაბარდოდან დასავლეთ საქართველოში გადამავალი სანჯარის, _ მარუხისა_ და ქლუხორის ზეკარების დასაწყის მიდამოებში (74:5). რაც იმის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, ამ შიდამოებში მცხოვრები ხალხი სავაჭრო ქარავნებს რომ ემსახურებოდა: ვაჭრებს ღამეს ათევინებდა, აძლევდა სურსათ-სანოვაგეს, უცვლიდა ცხენებს, ემსახურებოდა გამყოლად ძნელად სავალ გზებზე. ყოველივე ამის სანაცვლოდ სათანადო გასამრჯელოს ღებულობდა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, ამ გზით თვით ჩინელი ვაჭრებიც რომ დადიოდნენ. მდ. ყუბანის შენაკადის ბოლშაია ლაბას ნაპირას მდებარე ერთ სამარხში ჩვენთვის ცნობილი ტანის ეპოქის ჩინური ნივთების მთელი კომპლექსი, ჩინური ამოქარგული აბრეშუმისა, და ამ ვაჭრის პირადი სავაჭრო ჩანაწერის ფრაგმენტი აღმოჩნდა (74:7). ჩინეთიდან წამოსული ვაჭარი,— წერს ა. იერუსალიმსკაია, — როგორ დაიღუპა ჩრდილოეთ კავკასიის მიყრუებულ ხეობაში არაფერი ვიცით, მაგრამ ცხადია, იგი ერთადერთი არ იქნებოდა იმათგან, ვინც სამშობლოში ვერ დაბრუნდა. ეს შორეული, ხანგრძლივი და ხიფათით აღსავსე გზა იმ ხანად ხომ წლობით გრძელდებოდა (74:7).

არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა VII საუკუნის I ნახევარში ბიზანტიის იმპერიის აბრეშუმის მწარმოებელ ცენტრებში დამზადებული აბრეშუმი სწორედ კავკასიის ზეკარებით შუა აზიაშიც რომ გაჰქონდათ. კისლოვოდსკის ახლოს აღმოჩენილ აბრეშუმის ნაწარმის ფრაგმენტებზე ქრისტიანული ემბლემებია გამოსახული. დასავლური აბრეშუმის ფრაგმენტი მიკვლეულია თვით სოღდიანაში (მუგის მთაზე არსებულ ციხესიმაგრის გათხრებისას). ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ დროს უნდა შესულიყო ჩინეთში დასავლეთიდან სარჟის დამამზადებელი ტექნიკა (74:14).

აბრეშუმის ჩინური ნაწარმიდან იმ დროს განსაკუთრებით ფართო ხმარებაში ყოფილა წმინდა თავთა, რეფსი, დოლბანდი (74:11).

მართალია, საქართველოში გათხრილ ადრეფეოდალური ხანის სამარხებში, განსაკუთრებული ბუნებრივი პირობების გამო, აბრეშუმის ფრაგმენტები არ შემოინახა, მაგრამ საეჭვო არ უნდა იყოს, ჩინური, შუა აზიური და ბიზანტიური აბრეშუმი ჩვენთანაც ფართო ხმარებაში

რომ უნდა ყოფილიყო. ჩინური საქონელი საქართველოშიც რომ შემოდიოდა, ამას მოწმობს დმანისში მიკვლეული ჩინური კერამიკის ნაშთები (124:372, 377).

* * *

თურქებსა და ბიზანტიელებს შორის კავკასიის ზეკარებით გაკაფულ ახალ გზაზე ქარავანთა მოძრაობას ირანელები აფერხებდნენ, გარდა ამისა იგი ძნელი სავალიც იყო. ადვილი და მოსახერხებელი გზა კი ირანზე გადიოდა — მასზე შუა აზიიდან წამოსულ ქარავნებს რომ თავისუფლად ევლოთ ირანის დამარცხება იყო საჭირო.

570 წლის ამბების თხრობისას მენანდრე წერს: „რომაელებსა და ირანელებს შორის ომისათვის მრავალი მიზეზი არსებობდა. იმპერატორ იუსტინეს ომისაკენ თურქები უბიძგებდნენ. თურქები თავს დაესხნენ სპარსეთის მიწებს და ააოხრეს, შემდეგ ელჩები გამოუგზავნეს იუსტინეს და მოსთხოვეს, მასაც დაეწყო ომი ირანის წინააღმდეგ — ერთად დაეძლიათ საერთო მტერი. ერთი მხრიდან თურქებს დაერტყათ, ხოლო მეორე მხრიდან რომაელებს. ასე გაენადგურებიათ სპარსელები. (102:398).

იმ ხანად დაიწყეს თუ არა ბიზანტიელებმა და თურქებმა ერთობლივი შეტევა ირანის წინააღმდეგ, არ ვიცით. ასეთი გამოსვლა ირანის წინააღმდეგ მხოლოდ 589 წელს მოხერხდა (მასში ქართლიც მონაწილეობდა), მაგრამ ამ პირველი ანტიირანული კოალიციის ბრძოლას ირანის დამარცხება არ მოჰყოლია. თუმცა, 590 წელს ჰორმიზდ IV მკვლელობის შემდეგ, ხოსრო II ფარვიზმა მამისეული ტახტი როცა ბიზანტიის იმპერატორ მაერიკიოსის დახმარებით დაიბრუნა, ირან-ბიზანტიის დიდი ხნის მტრობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მეგობრობით შეიცვალა. ასე იყო 602 წლის 23 ნოემბრამდე, სანამ ფოკამ მავრიკიოსი არ მოკლა და ირანმა ომი არ დაიწყო ბიზანტიის წინააღმდეგ.

626 წელს ჰერაკლეს მიერ ტრაპიზონიდან ტუნ შეჰუსთან გაგზავნილ ელჩობას ახალი ანტიირანული კოალიციისათვის უნდა ჩაეყარა საფუძველი. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამჯერად თურქების კავშირი ბიზანტიასთან იღბლიანი ვამოდგა. ირანთან ომის დაწყების წინ საბოლოოდ გაფორმდა ორი ურთიერთდაპირისპირებული კოალიცია.

თავი V

ორი კოალიცია

VI საუკუნის ბოლოს ევრაზიის კონტინენტის ორივე ნაპირზე მომხ-
ლარმა ამბებმა საერთაშორისო ვითარება უკიდურესად დაძაბა (115:9).
ამ რეგიონის სახელმწიფოთა და ხალხთა ინტერესების ერთობამ თუ
ურთიერთდამაპირისპირებელმა პრობლემებმა ევროპისა და აზიის
სახელმწიფოები და ხალხები მსოფლიო ომში ჩაბა (66:105). 620 წლი-
სათვის ძალთა განლაგება საბოლოოდ გამოიკვეთა. ჩქარა ომიც დაიწყო,
რომელიც თავისი მასშტაბით მართლაც მსოფლიო იყო. საომარ მოქ-
მედებათა ასპარეზი მოიცავდა უზარმაზარ ტერიტორიას ყვითელი ზღვი-
დან ხმელთაშუა ზღვამდე. საომარმა ოპერაციებმა კულმინაციურ სიძ-
ლიერეს 626—628 წლებში მიაღწია (66:105).

ომში ჩაბმული ორი ურთიერთდაპირისპირებული კოალიცია ომის
დაწყებამდე კარგა ხნით ადრე გაფორმდა. კოალიციაში შემავალ ზოგ
ქვეყანას თავის პარტნიორთან სამხედრო ან ეკონომიკურ ნიადაგზე აღ-
მოცენებული ინტერესები აერთიანებდა, ზოგ ქვეყანას შორის კავშირი
საომარი მოქმედების დროს დაიდო.

ომში ჩაბმული ორივე კოალიციის წევრი სახელმწიფოები თუ ხალ-
ხები, რა თქმა უნდა, ომიდან გამორჩენას — მოგებას ელოდნენ. იმის
გასარკვევად თუ რა ინტერესი ამოძრავებდა თითოეულ ქვეყანას ან
ხალხს, როცა ისინი ამა თუ იმ კოალიციას ემხრობოდნენ, საჭიროა
ცალ-ცალკე შევჩერდეთ მათზე.

ომში თურქთა ორივე სახელმწიფოს: აღმოსავლეთი და დასავლეთი
კაგანატების ადგილი ადრევე გაირკვა. თურქთა სახელმწიფოს საშინაო
(584 წელს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კაგანატებად გაყოფა. ან
ორი თურქული სახელმწიფოს რეზიდენციას ერთმანეთისაგან მხოლოდ
მონგოლეთის ალტაის ქედი ყოფდა. 65:182) და საერთაშორისო მდგო-
მარეობის (ჩინეთთან წარუმატებელი ომი) გართულებამ კორექტივი
შეიტანა თურქთა სახელმწიფოების ცხოვრებაში. გაყოფისთანავე თურქ-
თა აღმოსავლეთი და დასავლეთი კაგანატები ერთმანეთის დაუძინებე-
ლი მტრები შეიქმნენ. მიუხედავად იმისა, რომ თურქთა დასავლეთი
კაგანატის მბრძანებლები განუწყვეტლივ აფართოებდნენ თავიანთი სა-
მეფოს საზღვრებს, იმ ხანად კაგან ტუნ-შეჰუს ორი საგარეო პოლი-
ტიკური პრობლემა მაინც გადაუწყვეტელი ჰქონდა: 1. საჭიროდ ესა-

ხებოდა თურქთა ყოფილი ბატონების ჟუ-ჟანების — იმ ხანად უკვე ევროპაში მცხოვრებ ავართა კაგანატის — განადგურება თუ არა, სიძლიერის შესუსტება მაინც. 2. ბიზანტიის იმპერიასთან უშუალო ვაჭრობისათვის ჩრდილოეთ კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმომავალ დარუბანდისა და დარიალის ზეკარებზე ირანელთა კონტროლის გაუქმება.

ამ ორი დიდი პრობლემის გადასაწყვეტად ტუნ-შეჰუს საკუთარი ძალები არ ჰყოფნიდა. მის ბუნებრივ მოკავშირედ, რა თქმა უნდა, თურქთა სავაჭრო პარტნიორი, ირანისა და ავართა კაგანატისაგან შეწუხებული ბიზანტიის იმპერია უნდა ყოფილიყო (65:182).

თურქთა დასავლეთი კაგანატის მეორე მოკავშირე ჩინეთის იმპერია იყო. ჩინელი დიპლომატებისათვის კაგანატის გაყოფისთანავე ნათელი გახდა, მათი ჩრდილოელი მეზობლის — თურქთა აღმოსავლეთი კაგანატის წინააღმდეგ, ამიერიდან ისინი თურქთა დასავლეთი კაგანატის ხანებს რომ უნდა დაყრდნობოდნენ. ტანის დინასტიის (ეს დინასტია 618 წლიდან განაგებდა ჩინეთს) იმპერატორს ლი იუანს მოსვენება არ ჰქონდა თურქთა აღმოსავლეთი კაგანატისაგან. ჩინეთი იყო თურქთათვის ძარცვა-გლეჯისა და ნადავლის შოვნის ძირითადი ობიექტი. ჩინეთიდან თურქებს აუარებელი ტყვე გაჰყავდათ.

იმ დროს, როცა ირანელები და ავარები კონსტანტინოპოლს უტევდნენ, თურქთა აღმოსავლეთი კაგანატის მბრძანებელმა კატილ ხანმა (იგივე ხელი ხანი) რამდენიმე ლაშქრობა მოაწყო ტანის იმპერიის წინააღმდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩინეთი თურქთა დასავლეთი კაგანატის მოკავშირედ იქცა. მათ ასეთი კავშირისათვის, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეკონომიკური გარემოებაც უბიძგებდა. ჩინური აბრეშუმი ხომ თურქთა დასავლეთი კაგანატის ქვეშევრდომი სოღდიელი ვაჭრების მეშვეობით გადიოდა ირანისა და ბიზანტიის ბაზარზე.

ასე რომ, ბიზანტიის იმპერიის, ჩინეთის ტანის იმპერიისა და თურქთა დასავლეთი კაგანატის (ასევე მისი ქვეშევრდომი ნუშუბის და დულუს ტომთა კავშირების) სამხედრო და სავაჭრო ინტერესთა ერთობამ განაპირობა ანტიირანული კოალიციის შექმნა.

ახლა ვნახოთ რა მიზნები ამოძრავებდა პირველი კოალიციის მონაწილეებს ირანსა და მის პარტნიორებს.

ამ კოალიციის ერთ-ერთი ფავორიტი, როგორც ვიცით, ირანი იყო. მის დაინტერესებაზე არ გაეშვა ჩინური აბრეშუმი ბიზანტიისაკენ ზემოთ ბევრი ითქვა. ისიც ვნახეთ, ირანსა და ბიზანტიას ერთმანეთთან

თითქმის გამუდმებული ომი რომ ჰქონდათ (ირანის სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი წლებიდანვე ასევე განუწყვეტლივ ებრძოდა თავის შუააზიელ მეზობლებს. ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. 94). ირან-ბიზანტიის მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში განსაკუთრებულ წარმატებას ირანმა, როგორც ვნახეთ, ხოსრო II-ის მეფობისას მიაღწია. მაგრამ, ეს წარმატება დროებითი აღმოჩნდა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, 628 წლის ზავით ჰერაკლემ იმპერია 591 წლის საზღვრებში აღადგინა.

კოალიციის მეორე წევრი, როგორც ადრეც ითქვა, ავართა კაგანატი იყო. რომ გავიგოთ, რატომ მტრობდნენ ავარები ბიზანტიას, ბალკანეთში ავართა მოსვლისა და დამკვიდრების ამბავს უნდა გავეცნოთ.

VI საუკუნის 50-იან წლებში ცენტრალური აზიიდან გამოქცეული ჟუ-ჟანები 558 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში მოვიდნენ. ავარებს აღრევე ჰქონდათ თუ არა ცნობები ბიზანტიის იმპერიის შესახებ, ძნელი სათქმელია, ფაქტი ისაა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მოსვლისთანავე მათ ალანთა ბელადს საროსიას სთხოვეს, ავართა ელჩობას ბიზანტიის იმპერატორთან გაჰყოლოდა. საროსიას მეტი რა ძალა ჰქონდა, ივი იმპერატორ იუსტინიანე I-ის მეგობრად ითვლებოდა და კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალი გზებიც კარგად იცოდა.

საროსია ავართა ელჩებთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიიდან ჯერ ეგრისში გადავიდა, შემდეგ კონსტანტინოპოლში იუსტინიანეს ეწვია. ჯერ იყო და კონსტანტინოპოლის ქუჩებში მიმავალმა ავართა ელჩობამ შესახედაობით, ჩაცმულობითა და გრძელი თმებით მოქალაქეთა გაკვირვება გამოიწვია, რაც მთავარია, საიმპერატორო კარზე ავართა ელჩობას დიდი ნდობით არ შეხვდნენ. მიუხედავად ამისა, იუსტინიანემ ავარებთან საპასუხო ელჩობა გაგზავნა, ხელშეკრულებაც დადო, რომლის ძალითაც, ავარებს იმპერიის ძირითადი მტრის — ირანის წინააღმდეგ უნდა დაეწყოთ ომი. მაგრამ, მოხდა პირუკუ. იმის მაგივრად, რომ ავარებს ირანის წინააღმდეგ გაელაშქრებინათ, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ, ბიზანტიის მოკავშირე საბირთა გაერთიანებას (საბირთა შესახებ იხ. ქვემოთ) დაესხნენ თავს და დაიმორჩილეს (65:37).

ჩრდილოეთ კავკასიაში მოსული ავარები, სულ მოკლე ხანში, მართალია, თითქმის მთელი ჩრდილოეთ კავკასიასა და მის მიმდებარე ველებზე მცხოვრებ ხალხთა ბატონები გახდნენ, მაგრამ ისინი ჩრდილო-

ეთ კავკასიაში დიდხანს არ დარჩენილან მათ უკან ხომ თურქთა მრისხანე ძალა მოიწევდა[17] (65:38).

თურქთა შიშით, ავარებმა სასწრაფოდ დატოვეს ჩრდილოეთ კავკასიის ველები და გზა დასავლეთისაკენ გააგრძელეს — ასე მიადგნენ ისინი დასავლეთიდან ბიზანტიის იმპერიის საზღვრებს.

ცენტრალური აზიიდან მოსული მომთაბარეების გამოჩენა აღმოსავლეთ ევროპაში, კერძოდ კი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სალხებისათვის ახალი არ იყო. მათ უკვე გამოცდილი ჰქონდათ ჰუნთა ბელადის ატილას ურდოების თარეშისა და სხვა ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების თავდასხმების საშინელება. ბალკანეთში და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ავართა გამოჩენის დროისათვის ამ ადგილებში უკვე შუა აზიიდან მოსული ჰუნურ-თურქული მოდგმის ტომების: კუთურგურებისა და უთურგურების გაერთიანებები ბატონობდნენ.

559 წელს, როცა მდ. დუნაი გაიყინა კუთურგურთა ბელადი ზაბერგანი დიდი ცხენოსანი ლაშქრთი გადავიდა დუნაიზე და კონსტანტინოპოლს მიადგა (42:148). იუსტინიანე I იძულებული შეიქმნა სამხედრო ასპარეზზე კელავ მოესმო, უკვე კარგა ხანს მივიწყებული და ხანში შესული თავისი ცნობილი სარდალი ბელისარიოსი. იგი ჯაბუკური ენერგიით ჩაუდგა სათავეში ბიზანტიელთა ლაშქარს და კუთურგურები აიძულა კონსტანტინოპოლის მისადგომები დაეტოვებინათ. კუთურგურებს იმპერიამ სოლიდური თანხაც გადაუხადა. მაგრამ თანხის, როგორც ჩანს, ნაწილის, უკან დაბრუნება მაინც მოახერხა.

ბიზანტიელთა ფულითა და ნადავლით დატვირთული კუთურგურები უკან რომ ბრუნდებოდნენ, ბიზანტიელები უთურგურებს (ამ დროს მათი ბელადი სანდილხი იყო) დაუკავშირდნენ — ეს უკანასკნელნი თავს დაესხნენ ზაბერგანის ლაშქრის ერთ ნაწილს, დაამარცხეს ისინი, ნადავლი და ფული წაართვეს და კვლავ ბიზანტიელებს დაუბრუნეს. ურთიერთისადმი მტრულად განწყობილი უთურგურებისა და კუთურგურებისათვის ეს შეტაკება პირველი არ იყო. ასეთმა მტრობამ თავისი შედეგი გამოიღო, 559 წელს ბალკანეთში მოსულ ავარებს ისინი ურთიერთბრძოლაში დასუსტებულნი დახვდნენ (65:38—39). ავარებმა

---

[17] 558 წლის იენისში კონსტანტინოპოლს თურქთა ელჩობაც ეწვია. ისინი იუსტინიანემ კარგად მიიღო. ეს გარემოება იმის დასტურად უნდა იქნეს მიჩნეული, ბიზანტია შუა აზიასა და ცენტრალურ აზიაში მომხდარი ამბების საქმის კურსში რომ იყო.

კუთურგურები[18] და უთურგურები ადვილად დაიმორჩილეს. შემდეგ კი მათი ელჩობა იუსტინიანეს კარს მიადგა. იმპერატორისაგან ამჯერად მათ იმპერიის ტერიტორიაზე დასახლება მოითხოვეს. ასეთი ნებართვა ავარებს პირველ ხანებში სჯირდებოდათ, სანამ ბალკანეთში ფეხს მოიკიდებდნენ. ავარები რომის იმპერიის ყოფილი პროვინციის პანონიის (ახლანდელი უნგრეთის, იუგოსლავიისა და ავსტრიის მიწების ნაწილს მოიცავდა) ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ. აქ მათ ძლიერი გაერთიანება შექმნეს და ევროპის ხალხებს თავი დაამახსოვრეს, როგორც დაუნდობელმა, ველურმა დამპყრობლებმა (იხ. ქვემოთ).

პანონიაში ავართა მისვლისას გერმანელი ლანგობარდები იქ ახალი დასახლებულნი (546 წლიდან) იყვნენ. გრძელთმიანი ავარები და გრძელწვერა ლანგობარდები (გერმ. „ლანგობარდენ" სიტყვასიტყვით გრძელწვერას ნიშნავს) თავიდან ერთმანეთს კარგად შეეწყვნენ. 565 წელს ავარებმა (ალბათ ლანგობარდებთან ერთად) გერმანიაში თიურინგიის (მდ. ელბისა და მდ. დუნაის, ასევე მათი შენაკადების ზემო წელზე მდებარე მიწები) მოსახლეობა დაარბიეს, წარმატებით დაიწყეს ბრძოლა ფრანკთა მეფე სიგიზბერთის წინააღმდეგ (იმ ხანად თიურინგია ფრანკთა მეფეს ეკუთვნოდა). 567 წელს ავარებმა ლანგობარდებთან კავშირში დაიმორჩილეს გერმანელი გეპიდები (ვეპიდები ბიზანტიის მფარველობამ ვერ დაიცვა ავართა აგრესიისაგან) და მდ. ტისის ველს დაეუფლნენ (65:39).

თანდათან გაირკვა, რომ პანონიის მიწაზე ავართა და ლანგობარდთა ერთად არსებობა შეუძლებელი იყო. 568 წელს ლანგობარდები (ამ დროს მათ კავშირში შეღიოდნენ: სარმატები, სლავები. გერმანელი ტომები: სვევები, საქსები, გეპიდები და თურქული მოდგმის ბოლგარები) მეფე ალპოინის სარდლობით ჩრდილოეთ იტალიაში შეიჭრნენ და დაიპყრეს (ამ მხარემ შემდეგ ლანგობარდებისაგან მიიღო სახელი — ლანგობარდია, ლომბარდია). ბიზანტიამ, რომელსაც იმ დროს ჩრდილოეთი იტალია ეკუთვნოდა ლანგობარდებთან ვერაფერი გააწყო. ასე შეიქმნა ჩრდილოეთ იტალიაში ლანგობარდების სამეფო.

---

[18] ავართა პირველ კავანს 568 წელს, როცა ბიზანტიას თაედასხმით ემუქრებოდა ციინიკურად უთქვამს: „რომაელთა მიწაზე მე ისეთ ხალხს გავგზავნი, რომელთა დაკარგვა ჩემთვის საგრძნობი არ იქნება, ოუნდაც ყველა დაიღუპოს"-ო. და მართლაც გაუგზავნია იმპერიის წინააღმდეგ სალაშქროდ 10 ათასი კუთურგური (102:391; 65:39).

პანონიიდან ლანგობარდების წასვლის შემდეგ, ავარები პანონიის სრულუფლებიანი მფლობელები გახდნენ. V საუკუნის 70-იანი წლებიდან ბიზანტიის იმპერია აიძულეს მათთვის ხარკი ეძლია. ჩქარა ავარები აღარც ხარკს დასჯერდნენ და იმპერიის დაპყრობა მოინდომეს. VII საუკუნის დამდეგიდან, როგორც ზემოთ ვნახეთ, ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი ირანთან ერთად გამოდიოდნენ.

ასე რომ, ავარებს ირანთან კავშირი ბიზანტიის დასამარცხებლად სჭირდებოდათ, მაგრამ ისინი ბიზანტიის შორეული მოკავშირის თურქთა დასავლეთი კაგანატისადმი არანაკლებ მტრულად იყვნენ განწყობილნი. გარდა იმისა, რომ მათი სახელმწიფო ცენტრალურ აზიაში სწორედ თურქებმა გაანადგურეს, როგორც ნ. პიგულევსკაია წერს, როცა აღმოსავლეთ ევროპაში ავარები მოვიდნენ და ბიზანტიის იმპერატორს პანონიაში დასახლება სთხოვეს, თურქებს ბიზანტიისათვის უთხოვიათ, „არ მიეღოთ ავარები" (112:96).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ავართა კაგანატს საკმაო საფუძველი ჰქონდა თურქთა დასავლეთი კაგანატისა და მისი მოკავშირის — ბიზანტიის წინააღმდეგ ებრძოლა. თუმცა, მისთვის ამ ბრძოლაში ძირითადი განმსაზღვრელი მაინც ნადავლის შოვნა უნდა ყოფილიყო. მათ ყველაზე მეტად ძარცვა-გლეჯა იზიდავდათ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კოალიციის მესამე წევრად თურქთა აღმოსავლეთი კაგანატი არის მიჩნეული. თურქთა აღმოსავლეთ კაგანატის მბრძანებელს თურქთა დასავლეთი კაგანატის სიძლიერე ისე არ აშინებდა, როგორც ერთიანი და ძლიერი ჩინეთის სახელმწიფოს შექმნა. 618 წლიდან ჩინეთი, ახალი ტანის იმპერატორთა ბრძნული პოლიტიკის წყალობით თანდათან ძალას იკრებდა. გაძლიერებული ჩინეთი კი გარდა იმისა, რომ ეკონომიკურად დაასუსტებდა თურქთა აღმოსავლეთ კაგანატს (ხარკს აღარ გადაუხდიდა), საფრთხეს უქმნიდა კაგანატის არსებობას (როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს ასეც მოხდა). ამიტომ, თურქთა აღმოსავლეთ კაგანატის ხანები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ხელი შეეწყოთ აჯანყებებისა და უწესრიგობებისთვის ჩინეთში. თავშესაფარს აძლევდნენ ათასობით პოლიტიკურ ემიგრანტს ჩინეთიდან (65:185-186).

ამრიგად, მეორე კოალიციის ძირითად ბირთვს ირანი, ავართა კაგანატი და თურქთა აღმოსავლეთი კაგანატი შეადგენდა.

* * *

დასახელებულ კოალიციებში გაერთიანებული სახელმწიფოები ომის დროს, მართალია, ერთად მოქმედებდნენ, მაგრამ მათ შორის არსებულ კავშირზე არის რაიმე ცნობა საისტორიო წყაროებში?

ლ. გუმილიოვის თანახმად, ორივე კოალიციაში მონაწილე ქვეყნებიდან ირანსა და ავართა კანაგატს შორის სამხედრო კავშირი არსებობდა. ასევე ნათელია კავშირი თურქთა დასავლეთი კაგანატისა ბიზანტიასთან. რაც შეეხება თურქთა დასავლეთი კაგანატის ხანების კავშირს ჩინეთთან, იგი ოფიციალურადაა ფიქსირებული ჩინურ წყაროებში (51:283, 65:184). ღიად რჩება საკითხი, — განაგრძობს იგი, — ჰქონდა თუ არა კავშირი ბიზანტიას ჩინეთთან და ირანს თურქთა აღმოსავალეთ კაგანატთან და იქვე დასძენს, რომ მასალები, რომლებიც ასეთ კავშირს დაამოწმებენ არ არის. მაგრამ ეს არის reductio ad silentium ლოგიკისათვის დაუშვებელი. ირანს შორეულ აღმოსავლეთთან ურთიერთობა ჰქონდა ამ ამბებამდეც და შემდეგაც[19]. უფრო სარწმუნოა ვიგულისხმოთ, რომ დიპლომატიური კავშირი ჩინეთსა და ირანს შორის VII საუკუნის 20-იან წლებში არსებობდა. ცნობები ამის შესახებ არაბი დამპყრობლების მიერ სასანიანთა არქივების მოსპობის დროს უნდა განადგურებულიყო[20], ხოლო ჩინელებს შეიძლება მართლაც არ სცოდნოდათ მათი მტრების საიდუმლო დიპლომატიის შესახებ (65:184—185).

რაც შეეხება კავშირს ბიზანტიასა და ჩინეთს შორის, ლ. გუმილიოვი ფიქრობს, რომ მხოლოდ ამ კავშირის არსებობით შეიძლება აიხსნას, იმპერატორ ჰერაკლეს სეპარატული ზავი ხოსრო II ფარვიზის მემკვიდრესთან — კავად შიროესთან (იხ. ქვემოთ). ეს ზავი უცნაურად ემთხვევა თურქთა აღმოსავლეთი კაგანატის მბრძანებლის გალაშქრებას ჩინეთში (65:191).

ომის წინ, შექმნილი ორი გრანდიოზული კოალიციიდან, ორივე დიპლომატიური მოლაპარაკების ნაყოფი იყო. აღნიშნულის დამადასტუ-

---

19 ჩინელი ისტორიკოსების თანახმად კავშირი ირანისა ჩინეთთან ნამდვილად არსებობდა. ირანში არაბთა შემოსევისას, ირანის შაჰის თხოვნით, ტანის იმპერიის იმპერატორ ტაოძიანს თავისი სარდალი დიდი ლაშქრით გაუგზავნია ირანის უკანასკნელი შაჰის იეზდიგერდ III დასახმარებლად (108:212).

20 სასანიანთა ირანში სამეფო არქივები რომ არსებობდა და იგი ყოველი შაჰის ტახტზე ასვლისას ახლდებოდა, ეს მოვსეს ხორენაცის ცნობიდანაც ჩანს.

რებლად უნდა მივიჩნიოთ ისიც, ორივე კოალიციის წევრ სახელმწიფოთა სამხედრო მოქმედებათა შორის გარკვეული კავშირი რომ შეიმჩნევა (65:184). თუ განვისილავთ ამ ომში პირველი კოალიციის ძირითად ძალებს, მაშინ აუცილებელია აღინიშნოს, რომ კოალიციის წევრებს: ბიზანტიას, ჩინეთსა და თურქთა დასავლეთ კაგანატს კერძო და ადგილობრივ ინტერესთა გვერდით, ჰქონდათ საერთო მისწრაფებაც — დაემყარებინათ თავისუფალი ვაჭრობა ევროპასა და ჩინეთს შორის (65:185). მოწინააღმდეგე კოალიციის წევრთა საომარი მოქმედება, ძირითადად ირანის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზნად ისახავდა: ბიზანტიის დამარცხებას, თურქთა დასავლეთი კაგანატის ეკონომიკურ დასუსტებასა და ხელიდან არ გაეშვა კონტროლი დიდ საქარავნო გზაზე — კვლავ თვით ყოფილიყო შუამავალი სოღდიელებსა და ბიზანტიელებს შორის აბრეშუმით ვაჭრობის საქმეში.

ამრიგად, VII ს-ის 20-იანი წლებისათვის უკვე შექმნილი იყო ორი გრანდიოზული კოალიცია. ერთი მხრივ ჩინეთი, თურქთა დასავლეთი კაგანატი და ბიზანტიის იმპერია, მეორე მხრივ, თურქთა აღმოსავლეთი კაგანატი, ირანი და ავართა კაგანატი[21]. კოალიციის გარეშე რჩებოდა მხოლოდ დასავლეთში ბრიტანეთი და აღმოსავლეთში იაპონია. თუმცა ამ უკანასკნელს უკვე დაწყებული ჰქონდა სამზადისი კორეაში შესაჭრელად (66:105).

გამოდის, რომ, როცა ჰერაკლე ელჩს აგზავნიდა თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებელთან, ელჩობას მხოლოდ ლაშქრობის დროის შეთანხმება ევალებოდა.

თავი VI

ჰერაკლეს ელჩი თურქთა დასავლეთ კაგანატში. ელჩობის შედეგები

625 წლის ბოლოს ან 626 წლის დამდეგს, როგორც ვნახეთ, ჰერაკლემ ანდრეს ხელმძღვანელობით ელჩობა გააგზავნა თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებელთან. თურქთა დასავლეთი კაგანის

---

[21] თავისთავად ცხადია, ომში მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის ხალხებიც. ქართველები (როგორც ბიზანტიის ისე ირანის მხარეზე), ეგრისელები, ლაზები, აბაზეები, ალბანელები, სომხები და სხვანი.

რეზიდენციაში ჩასულ ანდრეს და მის მხლებლებს ხელსაყრელი ვითარება დაუხვდათ, რათა თურქები უახლოეს დროში ირანის წინააღმდეგ ლაშქრობაზე დაეყოლიებინათ.

როგორც ჩინური წყაროები მოგვითხრობენ 625 წლის ზაფხულში თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებელს ტუნ შეჰუს ასული უთხოვია ჩინეთის იმპერატორისათვის. იმპერატორს დიდებულები მიუწვევია სათათბიროდ და მათ ურჩევიათ ქორწინებაზე დათანხმებულიყო (51:284; 90:191). ისინი ფიქრობდნენ, რომ ტანის დინასტიის დამოყვრება თურქთა დასავლეთი სახელმწიფოს კაგანთან მათ ჩრდილოელ მეზობელს — თურქთა აღმოსავლეთი კაგანატის მბრძანებელს კატილ ხანს დააშინებდა.

თურქთა აღმოსავლეთი და დასავლეთი კაგანატები, როგორც ზემოთაც ითქვა, ერთმანეთს მტრობდნენ. თურქთა აღმოსავლეთი კაგანატის მბრძანებელი კატილ ხანი, რა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდა ეს საქორწინო კავშირი მის სამხრეთელ მეზობელ ჩინეთს და დასავლელ ნათესავებს გააძლიერებდა. ამიტომ იგი ამ საქორწინო კავშირის წინააღმდეგ გამოვიდა, ტუნ შეჰუც გააფრთხილა, რომ ტანის დინასტიის იმპერატორის ასულს თავის მიწაზე არ გაატარებდა.

გარდა იმისა, რომ კატილ ხანი ქორწინების წინააღმდეგი იყო, თურმე არც თვით ჩინეთის საიმპერატორო კარი ჩქარობდა ტუნ შეჰუსათვის ქალის გატანებას. 618 წლიდან ხელისუფლების სათავეში მოსული ტანის დინასტია ძალას იკრებდა. აინტერესებდა, როგორ წარიმართებოდა მისი ჩრდილოელი მეზობლების შემდგომი ბედი. ჩინური წყაროების ცნობით, იმპერატორისათვის კარისკაცებს ურჩევიათ, ქორწინებაზე თანხმობის მიუხედავად „მოეცადათ რამდენიმე წელი, დამშვიდებით მოეფიქრებინათ საქორწილო კავშირის თაობაზე". იმპერატორი დათანხმებულა (90:191). ეს უკვე უარს ნიშნავდა.

ჩაშლილი ქორწილის გამო კაგანი ტუნ შეჰუ წუხდა (51:284; 65 197). იმის ფიქრში იყო, სად მოენახა საცოლე. სწორედ ამ დროს ჩავიდა მასთან ჰერაკლეს ელჩი ანდრე. ანდრემ, რა თქმა უნდა, არ იცოდა, თურქთა მბრძანებელი რომ საცოლეს ეძებდა (როგორც ზემოთ ვნახეთ, მოვსეს კალანკატუაცი მოგვითხრობს რა ანდრეს გამგზავრების ამბებს, ჰერაკლეს ასულის თურქთა მბრძანებლისათვის მითხოვების შესახებ არაფერს წერს), მაგრამ იქ ჩასულმა შეიტყო, ტუნ შეჰუს გასაჭირი. მან ისიც თუ იცოდა, იმპერატორს ლამაზი ასული რომ ჰყავ-

და, ცხადია, მოლაპარაკებისას ტუნ შეჰუს საცოლეზეც იქნებოდა საუბარი. საქმის ასე კეთილად შემობრუნებით გახარებულმა ტუნ შეჰუმ, როგორც მოვსეს კალანკატუაცი გადმოგვცემს ჰერაკლეს შემოუთვალა (მოვსესის ცნობით, ანდრეს ელჩობა თვით კაგანთან კი არ იყო, არამედ „ჩრდილოეთის მეფის ნაცვალთან", „რომელიც მეორე კაცი იყო სამეფოში, სახელად ჯებუ ხაქანი") „მე გამოვალ შურისმაძიებლად მის მტრებზე, მე თვითონ წამოვალ და მოვაღწევ ჩემი მამაცი ჯარებით მის დასახმარებლად. საომარი მოქმედებებით, ჩემი მახვილითა და მშვილდით ვაამებ მის გულს ისე, როგორც მას სურს" (25:72). ამ სიტყვებთან ერთად, უკან გამობრუნებულ ანდრეს თავისი ელჩობა გამოატანა. „ამავე დროს, — წერს მოვსეს კალანკატუაცი, — იმ ნახარართან (ე. ი. ანდრესთან. — ნახარარი ძველ სომხეთში ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელს ეწოდებოდა. ვ. გ.) ერთად შეთანხმების განსამტკიცებლად გაუგზავნა ათასამდე მხედარი — რჩეული სიმამაცით და ძლიერნი მშვილდოსნობით, ისინი მოულოდნელად გაემართნენ ჩორის (დარუბანდის. ვ. გ.) კარისაკენ, არაფრად ჩაუგდეს სპარსეთის მეფის ქალაქის მცველი რაზმები, რომლებიც დიდი კარის დასაცავად იყვნენ დაყენებულნი და როგორც არწივები, ისე გაფრინდნენ დიდ მდინარე მტკვრისაკენ. არავის ინდობდნენ, ვინც მათ წინააღმდეგ გამოვიდოდა, გეზი აიღეს ქართველთა და ეგერთა (ე. ი. ეგრისისაკენ. — ვ. გ.) ქვეყნებისაკენ. გადალახეს დიდი ზღვის ნაპირები და მიაღწიეს სამეფო კარს. წარუდგნენ დიდ კეისარ ჰერაკლეს. თითოეულის წესების მიხედვით განამტკიცეს ფიცი ერთმანეთში და [ჩრდილოელებმა] მიიღეს ბრძანება მისგან [ბრძოლაში] გასვლის შესახებ, რათა არვინ დაეჯვებულიყო მათში" (25:72—73).

ჩრდილოეთიდან წამოსულმა ელჩებმა, როგორც ვნახეთ, დარუბანდის, ქართლისა და ეგრისის გავლის შემდეგ, „დიდი ზღვის ნაპირების გადალახვის" შედეგად მიაღწიეს ჰერაკლეს კარს და დადეს კავშირი — „თითოეულის წესების მიხედვით განამტკიცეს ფიცი".

სად იმყოფებოდა ამ დროს ჰერაკლე?

ირანის წინააღმდეგ 622—624 წლების მარცხიანი ლაშქრობის შემდეგ, ჰერაკლე მდ. ჰალისის პირას ქ. ამისოსთან ემზადებოდა ახალი ომისათვის. 626 წლის ივნისში კი, როცა კონსტანტინოპოლს ავარები დაესხნენ თავს, მან დატოვა ამისო და ტრაპიზონში გადაინაცვლა. სწორედ ტრაპიზონში უნდა მისულიყვნენ მასთან თურქთა ელჩები „დიდი ზღვის ნაპირების გადალახვის" შემდეგ. ე. ი. 626 წლის ბოლოს (კა-

ლანკატუაცის ცნობით, ეს ამბავი ირანის შაჰის ხოსრო II-ის მეფობის 36-ე წელს მოხდა. 25:72—73) ჰერაკლე — ისევ ტრაპიზონში ყოფილა და იქ ელოდა თურქებთან გაგზავნილი ანდრესაგან პასუხს. ვფიქრობ, მხოლოდ ანდრეს ელჩობის დაბრუნების შემდეგ გაიგებდა იმპერატორი, თურქი მოკავშირე მას ასულსაც რომ სთხოვდა. ამავე დროს შეიტ-ყობდა იგი, მოკავშირეები მას შეხვედრას ამიერკავკასიაში — თბილისის კედლებთან რომ სთავაზობდნენ. ჰერაკლე, როგორც ჩანს, იძულებული იყო თურქთა წინადადებები მიეღო. მას ისღა დარჩენოდა, მოეცადა მომავალ — 627 წლის — ზაფხულამდე, როცა თურქები ამიერკავკასიაში გადმოვიდოდნენ და შემდეგ თვითონაც მისულიყო თბილისთან.

ასე რომ, ჰერაკლეს მხოლოდ ელჩობის დაბრუნების შემდეგ უნდა გაეგო თურქთა მბრძანებელს ბიზანტიასთან სამხედრო კავშირის დადებაზე არანაკლებ მისი ასულის ნახვა რომ აინტერესებდა. ამით უნდა აიხსნას, თურქების მიერ ალყაშემორტყმულ თბილისთან მოსულმა ჰერაკლემ თურქთა სარდალს თავისი ასულის — ევდოკიას სურათი რომ აჩვენა.

ბიზანტიაში გამობრუნებულ ანდრეს, როგორც ვნახეთ, თურქთა ელჩობა ათასი მხედრით გამოჰყვა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ათას მხედარს ირანის ქვეშევრდომი ამიერკავკასიის ქვეყნებზე გავლისას ელჩობის დაცვა ევალებოდა. სხვა მხრივ, კალანკატუაცის ცნობა უცნაურად ჩანს. ამიტომ იყო, რომ ივ. ჯავახიშვილმა ეს ათასკაციანი რაზმი ჰერაკლეს მოკავშირედ ჩათვალა. „სომეხ მემატიანის სიტყვით, — წერს იგი, — ჰერაკლე მეფეს 626 წელს (ხოსრო მეორის მეფობის 37 წელს) მეშველად იმიერ-კავკასიიდან გადმოუყვანია ჯიბღუ ხაკანი... თავისი 1000 მხედრით და შვილით შათითურთ". იგი „627 წ. გადმოვიდა... ამიერკავკასიაში. იმავე წელს ჰერაკლე კეისარი და ჯიბღუ ხაკანი შეერთებული მხედრობით აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქს თბილისს მიადგა" (38:302).

ელჩობისა და 1000 მხედრის ამიერკავკასიაში გადმოსვლის თარიღად კალანკატუაცი, როგორც ვნახეთ, ხოსროს მეფობის 36-ე (ე. ი. 626) წელს მიიჩნევს[22]. რაც მთავარია, 626 წელს თურქები თბილისთან

---

[22] როგორც ზემოთ ითქვა, მოვსესი ხოსრო II-ის ზეობის წლებს 590 წლიდან უნდა ითვლიდეს.

არ მოსულან. ელჩობამ დარუბანდიდან გზად ქართლი და ეგრისი გაიარა და „დიდი ზღვის ნაპირების გადალახვის“ შემდეგ ჰერაკლესთან მივიდა.

ის გარემოება, რომ ათასმა კაცმა ადვილად გადმოლახა ირანელთა მსერ გამავრებული დარუბანდის კარი, მავარაუდებინებს, რომ შუა აზიიდან წამოსულ ათასამდე ხეხედარს, შესაძლოა გზაში, ძირითადად კი ჩრდილოეთ კავკასიაში, თურქთა ქვეშევრდომები შეემატნენ და მათი დახმარებით შეძლეს დარუბანდის გადმოლახვა. ან არა და გამორიცხული არაა, კალანკატუაცი ცდება როცა ამ ელჩობის გზად: დარუბანდს, ალბანეთსა და ქართლს ასახელებს. უფრო საფიქრებელია, ელჩობას ჩრდილოეთი კავკასიიდან დასავლეთ საქართველოში გადამავალი რომელიმე ზეკარი აერჩია. ეს გზა, როგორც ბიზანტიელებისათვის, ისე თურქებისათვის ნაცნობი იყო, თანაც უხიფათო. იმ დროისათვის სვანეთში ირანელთა გარნიზონები აღარ იდგა.

626 წელს ჰერაკლესთან თურქთა ელჩობას, ჩქარა თურქთა ლაშქრობაც მოჰყოლია. აღნიშნული ელჩობის ამბის გადმოცემის შემდეგ, კალანკატუაცი წერს: „ხოსროვის ოცდამეჩვიდმეტე წლის დასაწყისში (ე. ი. 627 წლის დამდეგს. — ვ. გ.) ჩრდილოეთის მეფემ (უნდა ვიგულისხმოთ ტუნ შეჰუ. — ვ. გ.) შეპირებული... ჯარები გაგზავნა. მხედართმთავრად დააყენა თავისი ძმისწული, რომელსაც სამთავროს პატივსაცემად შათს უწოდებდნენ“. მან „დალაშქრა ალვანეთის ქვეყნის ყველა საზღვარი და ატრპატაკანის ერთი ნაწილი, მახვილის პირით გაანადგურა მრავალი ქრისტიანი და წარმართი. ხოლო ვინ შეძლებს, — დასძენს მოვსესი, — მათ მიერ დატყვევებულთა რიცხვის გაგებას და დათვლას. ისინი დაბანაკდნენ მდინარე ერასხთან (არაქსი. — ვ. გ.) [შათმა] მაცნეთა საშუალებით გააგებინა დიდ მეფე ხოსროვს კეისართან თავისი შეერთებისა და მის დასახმარებლად მოსელის ამბავი. თან შეუთვალა, „თუ შენ პირს არ იბრუნებ, ჰრომაელთა მეფისაგან, არ დაუტოვებ მას ყველა ქვეყანასა და ქალაქს, რომლებიც ძალით აიღე, არ დააბრუნებ ამჟამად შენს ხელში მყოფ მისი ქვეყნის ყველა ტყვეს ხის ჯვარითურთ, რომელსაც ყველა ქრისტიანი თაყვანსა სცემს და ადიდებს, თუ არ გაიხმობ მთელ შენს ჯარს მისი საზღვრებიდან, — ასე ამბობს ჩრდილოეთის მეფე მთელი ქვეყნის მფლობელი, შენი და ყველა მეფის მეუფე, — მაშინ მეც პირს შენკენ ვიბრუნებ ასურეთის მმართველო, და ერთი ბოროტების მაგიერ, რაც მას გაუკეთე, ორმაგად მოგიზღავ. გამოვეშურები ყველა შენი საზღვრისაკენ ჩემი მახვილით, როგორც

შენ გაიარე მახვილით მის საზღვრებში. არ მოგეშვები და არ დავაყოვნებ იმის გაკეთებას, რასაც გპირდები“ (25:73).

ირანის შაჰს ხოსრო II ფარვიზს, როცა შათის მუქარა გაუგია ძალიან განრისხებულა. „...აზვირთდა, — წერს მოვსესი, — როგორც საშინელი ნიაღვარი, ან როგორც მონადირეების პირისპირ [მდგარი] ლომი, ანდა როგორც ბელმოკლული დათვი,... თუმცა ხედავდა, რომ მის წინააღმდეგ შეკავშირდნენ და გამრავლდნენ, მაგრამ თავისი ეშმაკობით არ გამოხატავდა სახეზე შიშსა და ძრწოლას, არამედ სიამაყითა და დიდი სიმკაცრით უპასუხა: „წადი უთხარი შენს მეფეს და ჩემს ძმა ხაქანს, რომ ძველთაგანვე მიჩნეული და პატივცემული იყო თქვენი სახლი, როგორც ჩვენი საყვარელი ძმისა, ჩემი წინაპრებისაგან და ჩემგან. ამიტომ ვაჟიშვილებისა და ქალიშვილების საშუალებით ერთმანეთს ვუმოყვრდებოდით. ახლა კი არ იქნება რიგიანი და ღირსეული შენი [საქციელი], რომ მიატოვო შენი წევრები და გაგიტაცოს ჩემი მონის, ჰრომაელთა მამაცის სიტყვებმა“ (25:73).

ვფიქრობ, 627 წლის დამდეგს შათის ამიერკავკასიაში ლაშქრობას უნდა განეკუთვნებოდეს ხოსრო II ფარვიზის შემდეგი სიტყვებიც: როცა ხოსროს ჩრდილოეთის ლაშქრის ამიერკავკასიაში გადმოსვლის ამბავი გაუგია, მათთან შიკრიკნი გაუგზავნია და შეუთვლია — „ვისი ბრძანებით მოხვედით თქვენ ჩემს ქვეყანაში? იმისი, ვინც თავს არიდებდა ჩემს სახეს და დასავლეთის ზღვის კუნძულებზე დაეხეტებოდა? თუ თქვენ შეგეხარბათ მისი ოქრო და ვერცხლი, პატიოსანი თვლები, ანდა ოქროთი და მარგალიტებით მოოჭვილი ბისონისა და ძოწის სამოსელი, მე შემეძლო ორჯერ მეტად ვიდრე მას, თქვენი სურვილების დაკმაყოფილება. ამიტომაც გეუბნები შენ. ნუღარ გაიმეორებ ამ საქმეს მისი თხოვნით, თუ არა და იყოს ნება შენი. მაგრამ აი, წინასწარ გეტყვი რასაც ჩავიდენ... მე მოვუხმობ მისი ქვეყნიდან ჩემს ძლევამოსილ ზორავარს — შაჰვარაზს[23] ორ მამაც მებრძოლთან შაჰენთან და ქრტიკარინთან ერთად, ასევე ურიცხვსა და ათასობით სამაგალითოდ შეიარაღებულ ჩემს ჯარს, რომელიც დასავლეთის წინააღმდეგ გავგზავნე, ახლა პირს ვუზამ აღმოსავლეთისაკენ, მთელი ჩემი ძლიერებით აღვდგები შენზე, არ დაგეხსნები და არ მოგცემ მოსვენებასა და სიმშვიდეს, ვიდრე სამყაროს პირიდან არ ამოგაგდებ. მაშინ გაიგებ და გულისხმასყოფ ჩემს განმარისხებელ შენს შეუგნებელ მოქმედებას, რასაც

---

[23] ამ პიროვნების შესახებ იხ. ზემოთ.

სჩადიხარ. სად წავიყვანო დასასვენებლად ეს უთვალავი ლაშქარი, როდესაც მე მანდედან წამოვალ, რომელი ქვეყანაა, რომ საკმარისი იყოს მათთვის? [არ იფიქრო], რომ ამ სიტყვებისამებრ არ მოვიქცევი"! (25:68).

როგორც ზემოთ ვნახეთ, 626 წლის ზაფხულში კონსტანტინოპოლთან ავართა კაგანის ბაიანის გამოჩენის თანადროულად, აღმოსავლეთიდან იმპერიის დედაქალაქს შაჰვარაზის სარდლობით ირანელები მიადგნენ. ჰერაკლემ კი ამისოდან აღმოსავლეთით — ტრაპიზონში გადმოინაცვლა. ტრაპიზონსა და მის სანახებს მცირე აზიის შიდა რაიონებიდან აღმოსავლეთ პონტოს მთები ყოფს, რის გამოც, ტრაპიზონთან მდგომი ჰერაკლე და მისი ლაშქარი ირანელთა მოსალოდნელი თავდასხმისაგან საიმედოდ იყო დაცული. ალბათ ამას უნდა გულისხმობდეს ხოსრო II-ის სიტყვები, თითქოს ბიზანტიის იმპერატორი თავს არიდებდა მას და „დასავლეთის ზღვის კუნძულებზე დაეხეტებოდა". 626 წლის 7 აგვისტოს ავარების კონსტანტინოპოლთან მარცხის შემდეგ, შაჰვარაზი თავის ლაშქრით უკან გამობრუნდა, მაგრამ იგი კვლავ იმპერიის ტერიტორიაზე — შუამდინარეთში რჩებოდა. ამიტომ უთვლის ხოსრო II შათის „მოვუხმობ მისი ქვეყნიდან ჩემს ძლევამოსილ ზორაავარ შაჰვარაზს ორ მამაც" სარდალთან ერთადო.

შათი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, თურქთა დასავლეთ კაგანატში, დასავლეთის ერთ-ერთი აიმაკის მფლობელი იყო და 627 წლის დამდეგს იგი ამიერკავკასიაში თავისი აიმაკის ლაშქრით უნდა ყოფილიყო გადმოსული. ამიტომ, როცა ხოსრო II-ის მუქარა გაიგო შემდგომი ბრძოლებისაგან თავი შეიკავა. მუქარის ცნობის მიღების შემდეგ, — წერს კალანკატუაცი, — „იმ წელიწადს დაცხრნენ და იქიდან იმავე კარით დაბრუნდნენ" (25:68). თუმცა, ამ ლაშქრობიდან შათის იმდენი ტყვე და ნადავლი ჩაუტანია ჩრდილოეთში, რომ მისმა მამამ — ჯაბღუმ გადაწყვიტა მომავალ ლაშქრობაში თვითონაც მიეღო მონაწილეობა. როცა მან „...დაინახა მთელი სიუხვე, — წერს მოვსესი, — დატყვევებული ნადავლის, — ადამიანისა თუ პირუტყვის, ოქროს ჭურჭლისა თუ ძვირფასი სამოსელის სახით, გადაწყვიტა თავის გონებაში იმ მხარეს თვითონ წასულიყო. ამის შემდეგ ყველას აცნობა, ვინც მის ხელქვეით იმყოფებოდნენ ტომიდან ტომს და ხალხიდან ხალხს, მთიელებსა და ბარელებს, ბინადრებს და მომთაბარეებს, ზღვასა თუ ხმელეთზე მცხოვრებთ, თმაგადაპარსულებსა და თმიანებს, რომ მის ნიშანზე მთლიანად ვამზადებული ყოფილიყვნენ" (25:68).

ასე შედგა თურქთა და მათ ხელქვეით გაერთიანებული ათეულობით მომთაბარე თუ ბინადარი ხალხისაგან დიდი არმია. 627 წლის ზაფხულში, ამჯერად უკვე „ჩრდილოეთის მეფის“ — ტუნ შეჰუს ძმის — ჯაბღუსა და „ჩრდილოეთის მეფის ძმისშვილის“ (ჯაბღუს ძის) — მათის სარდლობით ჰერაკლესთან შეპირებისამებრ ისინი თბილისისაკენ გამოემართნენ.

ბიზანტიელებისათვის სამხედრო დახმარების გაწევა ტუნ შეჰუსათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მის უზარმაზარ სამფლობელოში მომთაბარე მეომარი ტომებისათვის ყოველი ახალი ლაშქრობა ხომ ძარცვა-ტლეჯით გამდიდრების ძირითადი საშუალება იყო.

ახლა ვნახოთ 626 წელს ბიზანტიასა და თურქთა დასავლეთ კაგანატს შორის როცა მოლაპარაკება წარმოებდა, რა ხდებოდა ცენტრალურ აზიაში. იმ დროს, როცა ირანის ლაშქარმა აღმოსავლეთიდან, ხოლო ავართა კაგანატმა დასავლეთიდან ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქზე დაიწყო შეტევა, მათი მესამე მოკავშირე თურქთა აღმოსავლეთი კაგანატის მბრძანებელი კატილ ხანი 626 წლის 23 სექტემბერს 100 ათასიანი არმიით ჩინეთის დედაქალაქ ჩანანს[24] მისდგომია. ჩინეთის იმპერატორმა თურმე გადაწყვიტა ბრძოლა მიეღო. მაგრამ, იმავე დღეს, ჩინეთსა და თურქთა აღმოსავლეთ კაგანატს შორის მდ. ვეიზე ზავი დადებულა (60:245; 65:191).

რა მოხდა, რატომ შეიკავა თავი კატილ ხანმა ჩინეთზე შეტევისაგან. ეს წელი, როგორც წყაროებიდან ჩანს, ყველაზე ხელსაყრელი დრო იყო კატილ ხანისათვის გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინა თავისი სამხრეთელი მოწინააღმდეგისათვის. ამ დროისათვის ჩინეთი ეკონომიკურად ძალიან დასუსტებული ყოფილა. ხშირ წყალდიდობებსა და გვალვებს (რომელიც რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა) სახნავსათესები გაუკაცრიელებია. ღარიბი მოსახლეობის სიკვდილიანობას მოსახლეობის მკვეთრი შემცირება გამოუწვევია. ასეთ რთულ ვითარებაში 626 წლის 4 სექტემბერს ტახტიდან გადადგა ჩინეთის ახალი — ტანის დინასტის დამაარსებელი ლი იუანი და მისი ძე იმ დროის უდიდესი სარდალი ლი-ში-მინი გამეფდა. აი ამ ახალგაზრდა იმპერატორმა თურმე კატილ ხანთან შებრძოლება გადაწყვიტა, მაგრამ, როგორც ითქვა, ბრძოლაზე თვით კატილ ხანმა სთქვა უარი (60:245, 246—247).

---

[24] ბერნშტამის თანახმად ჩანანი არის გვიანდელი სიანფუ (49:124). ჩანანის მდებარეობის შესახებ იხ. რუკა. საბჭ. ისტ. ენციკლოპედიაში, ტ. 7, სვეტი 309—310.

ლ. გუმილიოვის ვარაუდით, კატილ ხანის მიერ ბრძოლაზე უარის თქმა და ზავზე დათანხმება, თურქთა დასავლეთი სახელმწიფოს კაგანის ტუნ შეჰუს საომარი სამზადისის შედეგი უნდა ყოფილიყო. უნდა ვიგულისხმოთ, —წერს იგი,—რომ საქმის ასე შემობრუნებას ჩინეთის მოკავშირის — თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებლის საბრძოლველად მზადყოფნამ შეუწყო ხელი. ჩინეთში შეჭრილმა კატილ ხანმა ველარ გაბედა დაუცველი დაეტოვებინა თავისი დასავლეთი სამფლობელოები (65:191).

მეორე მხრივ, კატილ ხანის მიერ ბრძოლაზე თავის არიდება, როგორც ჩანს, არ იყო სასიამოვნო ტუნ შეჰუსათვის. ეს უკანასკნელი ხომ სულ იმის ცდაში იყო, თურქთა აღმოსავლეთი კაგანატისათვის მაშინ დაერტყა ზურგში, როცა იგი ჩინეთთან ომში იქნებოდა ჩაბმული. ამიტომ, ვეიზე დაზავებამ ტუნ შეჰუს აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობის გეგმა ჩაუშალა. მაგრამ, ამ ჩაშლილი ლაშქრობის კომპენსაცია ტუნ შეჰუმ შემდეგში დასავლეთში მოახდინა. სადაც 627—628 წლებში ბიზანტია-ირანის ომმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია (65:191).

ჰერაკლე როგორც ითქვა, იძულებული იყო თავის თურქ მოკავშირეებს თბილისთან შეხვედრაზე დათანხმებულიყო. მაგრამ ასეთ გეგმას ჰერაკლეს აღფრთოვანება რომ არ გამოუწვევია, ეს კარგად ჩანს იმ პასიურობით, რასაც იგი იჩენდა ქალაქის ალყის დროს. ჰერაკლეს ძირითადი ამოცანა, რა თქმა უნდა, თბილისის აღება არ იყო. მას ირანის დამარცხება აინტერესებდა. იმ ხანად ქართლი მართალია ირანის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო და თბილისის დამცველთა შორის ირანელებიც იყვნენ, მაგრამ თბილისის აღებით ირანის სამეფოს არაფერი დააკლდებოდა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჰერაკლე მართლაც ასე მოიქცა. მან მიატოვა ალყაშემორტყმული თბილისი და სალაშქროდ ირანისაკენ გაემართა.

თბილისთან მოკავშირეთა შეხვედრის ინიციატორები მართალია თურქები იყვნენ, მაგრამ მაინცდამაინც თბილისი რატომ არჩიეს თურქებმა შეხვედრის ადგილად? ვინ აიძულა თურქები ირანის წინააღმდეგ საომარ ასპარეზად ამიერკავკასიის ქვეყნები ალბანეთი და ქართლი აერჩიათ?

თავისთავად იგულისხმება, რომ ირანის წინააღმდეგ მიმართული კოალიციის წევრებს უშუალოდ ირანის წინააღმდეგ უნდა გაელაშქრათ. ბიზანტიის სამხედრო ძალები თუ მესოპოტამიიდან შეუტევდნენ, შუა აზიელი თურქები ირანში მათი ტერიტორიის მოსაზღვრე აღმოსავლეთ

ირანის პროვინციებში უნდა შეჭრილიყვნენ. მითუმეტეს ირანის აღმოსავლეთი საზღვრები ხოსრო II-ის ბიზანტიასთან ომის გამო 620 წლიდან დაუცველი იყო (65:158). აღნიშნულის მაგიერ, ჰერაკლეს შესახვედრად მომავალმა თურქებმა შორი გზა გამოიარეს, კასპიის ზღვას ჩრდილოეთიდან შემოუარეს და დარუბანდის კარით ჯერ ალბანეთში შეიჭრნენ, შემდეგ კი თბილისს მოადგნენ.

ბიზანტიელთა და თურქთა ჯარების თბილისთან თავმოყრა, შეიძლებოდა იმით გაგვემართლებინა, მოკავშირეები თბილისიდან რომ აპირებდნენ ირანის წინააღმდეგ გალაშქრებას. ეს მართლაც ასე მოხდა. მაგრამ, ირანისაკენ მიმავალ ჰერაკლეს რატომ ჩამოშორდა გზიდან თითქმის ყველა თურქი მოლაშქრე? განა ესეც ადრე იყო დაგეგმილი?

ზემოთ უკვე მქონდა საუბარი იმაზე, ჰერაკლეს შუაზიელი მოკავშირეები თავიანთი მდიდარი ქვეშევრდომების — სოღდიელი ვაჭრების ნება-სურვილით რომ მოქმედებდნენ. თურქებმა ამიერკავკასიის ქვეყნები რომ გასწირეს ასაოხრებლად, ლ. გუმილიოვის თანახმად, ეს სოციალურ ძალთა იმ თანაფარდობით უნდა აიხსნას, რომელიც თურქთა დასავლეთი კაგანატის ხელისუფლების სათვეში ნუშუბის ტომთა გაერთიანების მოქცევას მოჰყვა. თურქთა დასავლეთი კაგანატის მმართველი აშინას დინასტიის კაგანები ნუშუბის ტომთა კავშირის ბეგების ნება-სურვილს უწევდნენ ანგარიშს (კაგან ტუნ შეჰუს უფროსმა ძმამ — შეეუიმ, სწორედ მათზე დაყრდნობით დაიკავა ტახტი). ნუშუბის ტომთა ბეგებს კი სრულიადაც არ აინტერესებდათ გლობალური პოლიტიკის თვალით შეეხედათ ბიზანტიის იმპერიასთან ტუნ შეჰუს კავშირისათვის. როგორც აშინას დინასტიის წარმომადგენლებს, ისე ნუშუბის ტომების ბეგებს სოღდიელი ვაჭრებისაგან მოსდიოდა მოგება. ამ უკანასკნელთ კი, მხოლოდ სავაჭრო მოგებები აინტერესებდათ. მათ სულაც არ აშფოთებდათ, აბრეშუმით თავიანთი ბატონებისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოს — ირანს რომ ამარაგებდნენ. რაც მთავარია, მათ კარგად იცოდნენ: ირანთან ომში გამარჯვების პერსპექტივა საეჭვო რომ იყო, სავაჭრო გარიგებებიდან კი მოგება პირდაპირ მათ ჯიბეში მიდიოდა (65:158). ამიტომ, მათ ამჯობინეს ირანთან ასე თუ ისე, მაინც კეთილმეზობლურ ურთიერთობაში დარჩენილიყვნენ (თურქთა ლაშქარს ირანის წინააღმდეგ ჰერაკლეს გადამწყვეტ ბრძოლაში 627 წლის 12 დეკემბერს მონაწილეობა არ მიუღია). აღნიშნულთან ერთად, მათ ახსოვდათ 589 წელს საევ ხანის ხელმძღვანელობით თურქთა მარცხიანი

ლაშქრობის ამბავი (ამ ლაშქრობის შესახებ იხ. ქვემოთ თავი IX). ამ-ჯერად ირანთან ვაჭრობის საქმე საეჭვოდ აღარ გაიხადეს. როგორც ლ. გუმილიოვი წერს, სოღდიელი ვაჭრები ურიგდებოდნენ რა თურქთა კაგანს ირანთან მომავალი ომის საქმეში, მათ აიძულეს იგი ლაშქარი კასპიის ზღვის გადაღმა გადაესროლა და განადგურებისათვის ამიერ-კავკასიის ქვეყნები გაწირეს (65:159).

თავი VII

ჰერაკლეს ქართლში შემოსვლის გზა

626 წელს, შუა აზიიდან გამობრუნებულ ჰერაკლეს ელჩს ანდრეს, როგორც ვნახეთ, თურქებმა თავიანთი ელჩობა და 1000 კაციანი რაზმი გამოატანეს. ამ ელჩობამ ჰერაკლესთან „დიდი ზღვის ნაპირების გადალახვის“ შემდეგ მიაღწია. აღნიშნულიდან ვამომდინარე, დავასკვნით, რომ 626 წლისათვის ჰერაკლე ჯერ კიდევ ტრაპიზონში უნდა ყოფილიყო და თურქებთან შეპირებისამებრ ტრაპიზონიდან უნდა მოსულიყო 627 წელს თბილისში.

საინტერესოა, რა გზით შემოვიდა ბიზანტიის ლაშქარი ქართლში.

ირანის წინააღმდეგ ჰერაკლეს 622—628 წლების ლაშქრობების მარშრუტებს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ი. მანანდიანმა. გზა, რომლითაც იმპერატორი მივიდა 627 წელს თბილისის კედლებთან მოკავშირესთან შესახვედრად, ი. მანანდიანის თანახმად, საკამათოა. ქართულ წყაროთა, განხილვის შემდეგ, — წერს იგი, — ეჭვის ქვეშ დგება იმ მეცნიერთა მოსაზრება, რომლებიც ფიქრობენ, რომ ირანის წინააღმდეგ თავისი მეორე ლაშქრობისას ჰერაკლე თბილისში შემოვიდა არა ტრაპიზონიდან, არამედ დღევანდელი სამეგრელოს ან აჭარის მხრიდან (მდ. რიონის ამოყოლებით შორაპნამდე, შემდეგ სურამის გადასასვლელით და მდ. მტკვრის დაყოლებით თბილისამდე[25]. 98:147).

ი. მანანდიანის მტკიცებით, ტრაპიზონიდან წამოსულ იმპერატორსა და მის ლაშქარს უნდა გაევლოთ ერზინჯანი, მდ. ევფრატის ნაპირზე კოტურას სამხრეთით მდებარე ვიზანა. იქიდან კარინისა და ვანან-

---

[25] ამ მარშრუტის დამცველები თელიან, რომ ჰერაკლე სამხედრო სამზადისისას ქალაქ ფაზისში იმყოფებოდა.

	is oldebis gavlenit misulidyo Sirakši, šemdeg tbilisši (98:148).

heraklesi tbilisši mosvlis gzad, zemodasaxelebuli marSrutiT fazisi-Sorapani-tbilisi ivaraudeba i. kulakovskisTanac (89:93). magram yvela wyaro heraklesi gaCerebis adgilad trapizonis asaxelebs. magalitad, saqarTvelos šesaxeb nikifore konstantinoPolelis cnobebis gamocemisas al. gamyrelidze werda: „aleqsandriis patriarqi evtiqis cnobiT, axrevdeve zemoxsenebuli qarTuli ZeglisTvis (mxedvelobaši aqvs antioqi strategis TxzulebiTan m. xanaSviliseuli gamocema. — v. g.) miXedviT, iraklis keisari trapizonis CaviDa, dadga da xaris mogrovebasac iq šeuxdaTanac... trapizoni da misi sanaxebi lazikis teritoriad aris gamocxadebuli“ (10:220). z. aleqsiZis TanaxmaD, evtiqi martaliaa lapaRaraKobs heraklesi trapizonši CasvlisTvis „magram mas piveli laSqrobas aqvs mxedvelobaši da TanaC aRar iXsenebs lazikas. asea rom, — dasZens igi, — qarTuli ZeglisTvis wyaro, martaliaa, aris nikifore konstantinoPolelis TxzulebaTvis, magram trapizoni saidan aqvs dasaxelebuli, uCnobia (šeiZleba aerTianebs evtiqisa da nikifores cnobebs). amasac TavisTvis rom davanebT, qarTuli cnobaTvis trapizonis heraklonas (heraklona imperatori heraklesi asuli iyo. v. g.) dabadebis adgilad acxadebs da šemdeg kvlav misdevs nikifore konstantinoPolelis tekstis. xom šeiZleba, heraklona trapizonši dabadebulidyo, xolo keisars gza uflo CrdiloeTisakenaa gaxsnili?“ (18:205).

xeri erTi, rogorc vnaxeT, heraklesi trapizonši 626 wlis xaflulši gadavida da amitom, iranis winaaRmdegi 622—624 wlebši misi piveli laSqrobaa aq araferi šuaSia. meoresac, arsaidan xanis heraklesi trapizonis 627 wlesTvis adre rom daeTovebinos. z. aleqsiZe imitom cdilobs heraklesi fazisši (axlandel. q. foTi) mosvlas daamtkicos, rom misi vaRaudiT, sworad fazisši šexvda imperatori heraklesi qarTlis yofil katalikosis, imiamad uqve fazisis mitropoliti kiros (kiros).

z. aleqsiZis TanaxmaD, im droisaTvis rocaa fazisši mdgari heraklesi salaSqrod emzadebodaT, fazisis mitropolitis religiur sakiTxebze saubari hqondaT imperatoristan. am azris gasamyarebliad z. aleqsiZe cdilobs iranis winaaRmdegi saomari samzadisis Cazad fazisi miiCnios. gza, romlisac manandianiis TanaxmaD heraklesi

ლე თბილისში მივიდა, — წერს იგი, — არ არის სწორი. საქმე ისაა, რომ მეორე ლაშქრობისას ტრაპიზონს არ ახსენებს არც ერთი სხვა წყარო და ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი და მოსე კალანკატუელი ზოგადად ლაზიკაზე (სამეგრელოზე მოსე კალანკატუელი) მიუთითებენ (18:205). „ — ჩვენ არ გვგონია, რომ მანანდიანმა, — ასკვნის ზ. ალექსიძე, — შეძლო გაებათილებინა ვარაუდი იმ სპეციალისტთა, რომელთაც ფაზისი მიაჩნიათ ჰერაკლე კეისრის თბილისში ლაშქრობის ბაზად. ჰერაკლე კეისრის ფაზისში ყოფნა და თათბირი კიროს ფაზისის მიტროპოლიტთან თანადროული დოკუმენტების მიხედვით... ეჭვს გარეშეა“ (18:206). ზ. ალექსიძე ფიქრობს, რომ კიროს ფაზისელი იმპერატორს მარტო რელიგიურ საკითხზე კი არ ესაუბრა, იგი „ჩარეული ჩანს ჰერაკლე კეისრის მოლაპარაკებაში ხაზარებთან (ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ითქვა, ჰერაკლეს მოკავშირეებად ხაზარები არიან მიჩნეულნი. ვ. გ.) თბილისზე სალაშქროდ. უფრო მეტიც, — დასძენს იგი, — კიროსი მონაწილე უნდა იყოს ხაზართა ხაკანისათვის ჰერაკლეს ქალიშვილის ევდოკიას შეთავაზებაში ცოლად პოლიტიკური კავშირის განსამტკიცებლად“ (18:206).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, წყაროთა საერთო მითითებით, ჰერაკლე ტრაპიზონში იმყოფებოდა და იქვე მიიღო თურქთა ელჩები. თუ მას კიროს ფაზისელთან მართლაც ჰქონდა მოლაპარაკება რელიგიურ საკითხებზე, რატომ არ შეიძლებოდა ისიც ტრაპიზონში მიეღო?

ჰერაკლეს მთავარი მიზნითა და ინტერესით (ჯარის შეგროვება და ორგანიზაცია, შემდეგ ირანის დამარცხება) თუ ვიხელმძღვანელებთ, მაშინ მას ამჯერად არავითარი საქმე აღარ ჰქონდა ფაზისში. ახალი ლაშქრობისათვის იგი არმიას სომ ძირითადად იმპერიის აზიური თემებიდან აკომპლექტებდა (ამიერკავკასიის ქრისტიანმა ხალხებმა მისი იმედები არ გაამართლეს. იბერები, აბაზგები და ეგრისელები პირველ ლაშქრობისას მის არმიას გაჭირვებისას ჩამოშორდნენ).

აღნიშნულთან ერთად, საკამათოა, ჰერაკლემ რელიგიური საქმეების მოგვარება ირანის წინააღმდეგ ომის დროს დაიწყო თუ ომის შემდეგ. არაა გამორიცხული ასეთი საქმიანობა ჰერაკლეს მართლაც ტრაპიზონში დაეწყო მის ლაშქარში მყოფი მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების შესარიგებლად, მაგრამ იმპერატორის ასეთი ნაბიჯი მაინც ეჭვს იწვევს. საქმე ისაა, რომ დოგმატი მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების შერიგების შესახებ (მონოთელიტობა) ზ. ალექსიძის თანასმად 620-იანი წლების კავკასიაში (ზემომოტანილი მასალის მიხედვით 626—

627 წლებში) ჰერაკლე კეისრის, სერგი კონსტანტინოპოლელისა და კიროს ფასისელის თათბირისა და მიმოწერის შედეგად ჩამოყალიბდა (იხ. ქსე, ტ. 7, სტ. მონოთელიტობა). მაგრამ 629 წელს[26], როცა იერო-პოლისში მყოფ ჰერაკლესთან იაკობიტების პატრიარქი ათანასი მოვიდა და „აღძრა მეფის წინაშე სიტყვა სარწმუნოების შესახებ“ (ათანასი მეფეს შეკითხვია: მოქმედებითი ძალისა და ნებათა შესახებ, როგორ დგას ამ მხრივ საკითხი ქრისტეს მიმართ ორმაგია მისი ნება თუ ერთიო?) როგორც თეოფანე ჟამთააღმწერელი წერს „მეფეს უცხოდ ეჩვენა ასეთი ლაპარაკი და მისწერა ამის შესახებ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს სერგის; მოიწვია აგრეთვე ფაზისის ეპისკოპოსი კვიროსი და მას ჰკითხა ამის შესახებ“ (22:101—102).

629 წელს მონოთელიტური დოგმის შესახებ ათანასის შეკითხვა ჰერაკლეს თუ „უცხოდ ეჩვენა“ და მხოლოდ ამის შემდეგ მიიწვია თავისთან კიროს ფაზისელი, მაშინ უფრო ადრე კიროსისა და ჰერაკლეს საუბარი მონოთელიტობის შესახებ საეჭვოა. ასე რომ, ფაზისის მისაჩნევად 626 წლიდან ჰერაკლეს საომარი სამზადისის ადგილად, ჰერაკლესი და კირონის მოლაპარაკება არ გამოგვადგება.

აღნიშნულთან ერთად არაბი ისტორიკოსის ტაბარის ცნობით ამ ლაშქრობისას ჰერაკლეს 70 ათასიანი არმია ჰყავდა (129:295) და განა 626 წლის აგვისტოდან თითქმის ერთი წლის განმავლობაში ეკრისის მოსახლეობა შეძლებდა ასეთი რაოდენობის ლაშქარი გამოეკვება?

ეფიქრობ, ფაზისი სხვა მხრივაც მიუღებელი იყო ჰერაკლესათვის როგორც ახალი ლაშქრის რეორგანიზაციისა და თავშეყრის ადგილი.

ირანის წინააღმდეგ 622—624 წლების მარცხიანი ლაშქრობის შემდეგ, ჰერაკლე ქ. ამისოში რომ მივიდა და იქ დაიწყო ახალი ომისათვის სამზადისი, ხოლო 626 წელს კონსტანტინოპოლზე ირანელთა და ავართა შეტევისას ამისოდან ქ. ტრაპიზონისაკენ გადაინაცვლა, ეფიქრობ, შემთხვევითი არ იყო. საეჭვო არ უნდა იყოს, ეს ადგილები თავის საადგომად ჰერაკლემ განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო რომ აირჩია.

შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ჩრდილო პონტოს მთათა სისტემა (იგივე აღმოსავლეთ და დასავლეთ პონტოს მთები) აკრავს. ამ მთების

---

26 თეოფანეს თანახმად, ეს შეხვედრა შესდგა არაბთა ბელადის მუჰამედის მე-9 და ირანის შაჰის — ჰორმიზდის პირველ წელს (92:243). მუჰამედის მე-9 (622+9) და ჰორმიზდ V-ის (631—632) პირველი წელი 631 წელზე მოდის.

ფართო და ძნელად გასასვლელი მთაგრეხილები დაახლ. 1000 კილომეტრზეა გადაჭიმული ზღვის გასწვრივ, სამხრეთ კავკასიის მთებიდან თრაკიის ბოსფორამდე. მთათა ამ სისტემას რამდენიმე ადგილას კვეთს ისეთი დიდი მდინარეები, როგორებიცაა: ყიზილ-ირმაქი (ძველი პალისი), იეშილ-ირმაქი (ძველი ირისი), თერმიჩაი (ძველი თერმოდონტი), ჭოროხი, ასევე მრავალი, შედარებით პატარა მდინარე. მაგრამ, ეს მდინარეები სანაოსნოდ არ გამოიყენება და, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული უფრო აძნელებენ მცირე აზიის შიდა რაიონების ზღვასთან კავშირს, ვიდრე ხელს უწყობენ (96: 13—14).

ჩრდილო პონტოს მთათა სისტემა, ტყიანი ფერდობებითა და ღრმა ეიწრო ხევებით, გაუვალია. შავი ზღვის მთელ სანაპიროზე მცირე აზიის დასავლეთში მდებარე ქ. ამასტრიიდან ტრაპიზონამდე მხოლოდ ამისო (ახლანდ. სამსუნი. სადაც პერაკლე 624 წელს მივიდა) წარმოადგენს ერთადერთ ღია კარს შიდა ქვეყანაში დასაკავშირებლად. აქ ჩრდილო პონტოს მთები შედარებით დაბალია და ზღვის პირას მდებარე ქ. ამისოდან გზა გადის ამასიაზე გავლით მცირე აზიის შიდა რაიონებისაკენ. ეს იყო ერთადერთი მოხერხებული გზა მცირე აზიის შიდა რაიონებიდან ჩრდილოეთში — შავი ზღვის პირას გასასვლელად (96:14). უძველესი დროიდან ჩრდილო შავიზღვისპირეთი ამ გზით უკავშირდებოდა სამხრეთში ხმელთაშუა ზღვას და სირია-პალესტინას (დღეისათვის სწორედ ამ ძველ გზაზე ვადის რკინიგზა. 96:14, შენ. ვ.).

ზემომოტანილი მასალის შემდეგ, ვფიქრობ ნათელია, 622—624 წლებში ირანთან ომში დამარცხებულმა ჰერაკლემ ახალი არმიის რეორგანიზაციისათვის რატომ აირჩია ამისო. საკმარისი იყო, მას მცირე აზიის შიდა რაიონებიდან ზღვაზე გამავალი ერთადერთი გზა ჩაეტეხა, რათა გულდამშვიდებულს განეგრძო თავისი საქმიანობა. ჰერაკლე ასეც იქცეოდა, მაგრამ მისი თავდაცვის მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, როცა ირანელები მცირე აზიის შიდა რაიონებზე გავლით კონსტანტინოპოლს მიადგნენ (არაა გამორიცხული კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალ ირანელებს ამისოში მდგომ ჰერაკლესთან შებრძოლება ეცადათ, მაგრამ ალბათ, ზღვისკენ გასასვლელი გზა ჰერაკლეს საიმედოდ ჰქონდა ჩაკეტილი). თუ ირანელები აქ გაიმარჯვებდნენ, მაშინ მათ შეეძლოთ ჰერაკლეს წინააღმდეგ ქ. ამასტრიისა და სინოპის (ეს ქალაქიც ზღვისპირასაა ამისოს დასავლეთით) გავლით გამოელაშქრათ. იმავდროულად აღმოსავლეთიდან შავი ზღვის პირის გაყოლებით თუ შეუტევდნენ, ხოლო სამხრეთიდან მცირე აზიის ერთადერთ გასასვლე-

ლსაც თვით ჩაკეტავდნენ, ჰერაკლე თავისი ლაშქრით ხაფანგში მოექცეოდა.

აღნიშნულით უნდა აიხსნას, გაიგო თუ არა ჰერაკლემ კონსტანტინოპოლზე ირანელთა და ავართა შეტევის ამბავი, სასწრაფოდ რომ დატოვა ამისო და ტრაპიზონში გადაინაცვლა.

ტრაპიზონი და მისი მიდამოები უფრო მიუდგომელი იყო, ვიდრე ამისო. ჩრდილო პონტოს მთები (აღმოსავლეთ პონტოს მთები) განსაკუთრებით მაღალი და გაუვალი სწორედ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან არის. მთათა უმაღლესი მწვერვალები 4000, ხოლო გვერდითი მწვერვალები 3300 მეტრს აღწევს. მთებს შორის მდებარეობენ მრავალრიცხოვანი მთის მდინარეების მიერ გაჭრილი ღრმა და ვიწრო ღრმულები და ხევები.

ზღვის პირიდან, აღმოსავლეთ პონტოს მთებზე, მცირე აზიის შიდა რაიონებისაკენ დღესაც ერთი გზა გადადის. ივი სწორედ იმ ადგილზეა გაყვანილი, სადაც უძველესი დამაკავშირებელი მაგისტრალი გადიოდა. ეს გზა გადაკვეთს სამ უღელტეხილს, რომელთაგან ერთი — ზიგანისა ზღვის დონიდან 2025 მეტრზეა და ტრაპიზონს სადაღდთან [27] (ძველი სატალა) და ერზერუმთან (ძველი ქართული წყაროების კარახპოლა, იგივე კარნუ ქალაქი. იმ ხანად ბიზანტიელები მას თეოდოსიოპოლისს უწოდებდნენ იმპერატორ თეოდოსი II-ის 408—450, პატივსაცემად) აკავშირებს. შავი ზღვის სანაპიროს დანარჩენი დამაკავშირებული გზები ანატოლიის შიდა რაიონებთან მთის ბილიკებია. ისინი მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის არის გამოსადეგი და ისიც ზაფხულში (96: 13—14).

ამრიგად, ცხადია, ტრაპიზონის სანახებში ჰერაკლეს უფრო უშიშრად შეეძლო სამხედრო სამზადისი გაეგრძელებინა. თეოდოსიოპოლიდან გადმომავალი ზეკარის უფრო საიმედოდ ჩაკეტვა შეიძლებოდა, ირანელები თუ დასავლეთიდან — ზღვისპირის გამოვლით წამოვიდოდნენ, მას შეეძლო სწრაფად გამოსულიყო შავი ზღვის პირით ეგრისში, სადაც უკვე მანევრირების მეტი შესაძლებლობა იყო. მაგრამ 626 წლის აგვისტოში კონსტანტინოპოლთან ავართა მარცხის გამო, ეს არ დასჭირდა. როგორც ზემოთ ითქვა, ამ მარცხის შემდეგ ქალ-

---

27 უღელტეხილის გადავლას ტრაპიზონიდან სატალამდე მგზავრი სამ დღეს ანდოვებდა (27:317).

კელონთან მდგომი ირანელთა სარდალი შაჰვარაზი თავისი ლაშქრით სირიისაკენ გაემართა.

ალბათ, ზღვისპირას მყოფი ჰერაკლეს ეს მიუდგომელი მდგომარეობა ჰქონდა მხედველობაში ხოსრო II-ს, როცა 627 წლის გაზაფხულზე ირანის პროვინციებში მოთარეშე შათის წერდა: „ვისი ბრძანებით მოხვედით თქვენ ჩემს ქვეყანაში? იმისი, ვინც თავს არიდებდა ჩემს სახეს და დასავლეთის ზღვის კუნძულებზე დაესტებოდა?“ (25:68).

ჰერაკლე თავიდანვე რომ ეგრისში — ფაზისთან ყოფილიყო, ირანელთა ძლევამოსილი სარდლის შაჰვარაზისათვის ძნელი არ იქნებოდა ამ დაუცველ ადგილას ჰერაკლეს იმ ხანად, ალბათ, ჯერ კიდევ მცირეცხოვანი ლაშქარი გაენადგურებინა.

არავითარი საბუთი და საფუძველი არა გვაქვს ფაზისის ნიტროპოლიტი ჩავრთოთ ბიზანტიის საგარეო პოლიტიკის წარმმართველთა შორის. იმის მტკიცება, თითქოს კიროსმა მონაწილეობა ნიიღლო „ხაზარებთან ჰერაკლეს მოლაპარაკებაში“ და იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი „პოლიტიკური კავშირის განსამტკიცებლად“ ჰერაკლეს ასული ევდოკია ხაზართა (თურქთა) კაგანისთვის „შეეთავაზებინათ ცოლად“, არ შეიძლება. როგორც ვნახეთ, ეს საკითხი თვით თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებელმა ტუნ შეჰუმ დასვა. მანამდე თვით ჰერაკლემ არ იცოდა თურქთა მბრძანებელი თუ საცოლეს ეძებდა.

ასევე საეჭვოა, ზ. ალექსიძის ვარაუდი, თითქოს კირონსეე გამოეყვანოს „აფსაზები ჰერაკლეს მხარეზე“. „მისივე მონაწილეობით“ გამოჩენილიყვნენ „ჰერაკლეს ლაშქარში იბერიელებიც“ (18:270).

ირანის წინააღმდეგ 627—628 წლების ჰერაკლეს ლაშქრობაში დასავლეთ საქართველოს ხალხები, როგორც ბიზანტიელთა ქვეშევრდომები, ვალდებულნი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ. აქ კიროს ფაზისელი არაფერ შუაშია. ასევე ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩავთვლით ამ ლაშქრობაში იბერიელთა (ქართლელთა) მონაწილეობას კიროსის დამსახურებად. იმ დროს ქართლი ირანის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო და ქართლის ერთი ნაწილის მეომრები თუ მაინც მონაწილეობდნენ ბრძოლებში ბიზანტიის მხარეზე, ეს სულ სხვა რამით იყო განპირობებული (იხ. ქვემოთ).

საბოლოოდ უნდა დავასკვნა: თურქთა ლაშქრის მოლოდინში ჰერაკლე თავის ჯარით ტრაპიზონის სანახებში — „ლაზიკაში“ იდგა. მას

შემდეგ რაც, მისი მოკავშირე ჯაბღუ და შათი თბილისთან მოვიდა, მან დატოვა ტრაპიზონი და თბილისისაკენ გამოემართა.

რა გზით შემოვიდა იგი ქართლში?

არაა გამორიცხული იგი ტრაპიზონიდან ჯერ ფაზისში მოსულიყო, შემდეგ კი სურამის უღელტეხილით გადმოსულიყო ქართლში, მაგრამ ძველი ავტორები მცირე აზიიდან ქართლში შემოსასვლელ გზად სულ სხვა მიმართულებას აჩვენებენ.

ჯუანშერის თანახმად, 460 წელს ქართლიდან პეროზთან ერთად ირანში მიმავალი ვახტანგ გორგასალი (ასევე ვახტანგის დედა საგდუხტი და დაჲ ხვარანძე, რომლებიც იერუსალიმში მიღიოდნენ) წავიდა „გზასა ადარბადაგანისასა“ (40:186). იქვე ჯუანშერი ამ გზას „რანის გზას“ უწოდებს (40:187). 491 წელს, სწორედ ზემოდასახელებული გზით შემოვიდნენ ქართლში სალაშქროდ ირანელები (40:201). „რანის გზით“ წავიდნენ 453 წელს ვახტანგ გორგასალი და მისი ბიძა ქართლ-ალბანეთის მარზპანი ვარაზ-ბაკური ბიზანტიის წინააღმდეგ სალაშქროდ და ბიზანტიის ტერიტორიაზე შესვლისას პირველად სწორედ თეოდოსიოპოლს (კარნუ-ქალაქს) მიადგნენ (40:159). ჯუანშერისავე ცნობით, 628 წელს ირანის დამარცხების შემდეგ, როცა ჰერაკლემ „ძელი ცხოვრებისა“ იმპერიაში დააბრუნა, „აღმოელო... გზა რანისა და მეორედ შემოვიდა ქართლად“ (40:231).

რაღგან იმ დროს „გზა რანისა“ იყო ბიზანტიის იმპერიასა და ქართლს შორის დამაკავშირებელი მაგისტრალი, 627 წლის ზაფხულში ჰერაკლე ტრაპიზონიდან ზიგანის უღელტეხილით ჯერ სატალაში, შემდეგ თეოდოსიოპოლისში (კარნუ-ქალაქი) მივიდოდა. იქიდან კი ძველი „დიდი სამეფო გზის“ შემადგენელი „რანის გზით“ ქართლში შემოვიდოდა. დანამდვილებით არ შემიძლია ვთქვა, ჰერაკლემ მართლა მანანდიანის მიერ დადგენილი მარშრუტით იმოძრავა თუ არა, მაგრამ იგი ქართლში მართლაც კარნუ-ქალაქით რომ შემოვიდა, ამის დასტურად ვფიქრობ, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელის მიერ ტექსტში ჩამატებული ჰერაკლეს გზის აღწერა უნდა გამოდგეს. მთარგმნელის თანახმად, „დასავლელ თურქებთან“ შესახვედრად მომავალმა ჰერაკლემ „გზა სომხეთზე დაიდვა, მოვიდა ბზნუნის (ვანის ტბა. — ვ. გ.) და იქიდან გადავიდა ტფილისს“ (33:189).

თავი VIII

ბრძოლა თბილისისათვის

§ 1. მოკავშირეთა მოსელა თბილისთან. თბილისის ორთვიანი ალყა 627 წლის ზაფხულში

ჩინეთსა და თურქთა აღმოსავლეთ კაგანატს შორის 626 წლის 23 სექტემბერს მდ. ვეიზე დადებული ზავის შემდეგ თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებელმა ტუნ შეჰუმ კარგად იცოდა, თურქთა აღმოსავლეთი კაგანატის სახით მას ზურგში ძლიერი მტერი რომ დარჩა. მაგრამ ჰერაკლესთან დადებული ხელშეკრულების თანახმად იგი იძულებული იყო, თავისი ლაშქრის ნაწილი ირანის წინააღმდეგ საომრად გაეგზავნა.

ჰერაკლესთან შეთანხმებისამებრ თურქთა ლაშქარმა, ისე როგორც 626 წელს, ამჯერადაც თავისუფლად გადმოლახა დარუბანდის 40 კილომეტრიანი კედელი და ალბანეთის საზღვრებში შეიჭრა. ამ ამბავს აი როგორ აღწერს მოვსეს კალანკატუაცი: ხოსროს „მეფობის ოცდამეთვრამეტე წელს“[28], „მოვიდა... ჯებუ ხაქანი, თავის შვილთან ერთად. არავის შეეძლო მისი ჯარის დათვლა“. ალბანეთის მაშინდელმა ირანელმა მმართველმა გაიშაქმა, გადაწყვიტა ალბანეთის დედაქალაქის ბარდავის ციხეში გამაგრებულიყო, მაგრამ დაინახა რა, რომ დარუბანდის დიდი კედლის დამცველებმა ვერაფერი გააწყვეს თურქებთან, ირანში გაიქცა. დარუბანდის გადმოლახვის შემდეგ მოსახლეობამ „დაინახა საშინელი რისხვა ბოროტი, უტიფარი, ფართოსახიანი, უწამწამო, ქალივით თმაგაშვებული“ (ბრბო), რომელიც მათზე მოიწევდა. ხალხი „ცახცახმა შეიპყრო. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იხილეს ზუსტი შორსმსროლელები, რომლებმაც ძლიერი სეტყვასავით დაუშინეს (ისრები). როგორც ლეშისმჭამელი მგლები მოურიდებლად ეკვეთნენ და შეუბრალებლად დახოცეს (ხალხი) ქალაქის გასასვლელებსა და ქუჩებში“.

---

[28] კალანკატუაცის ცნობები აქ არეულია. ხოსროს მეფობის 38-ე წელი 628 წელზე ვრცელდება. ჯაბღუ და შათი კი თბილისთან ჰერაკლესთან შესახვედრად, როგორც ეს კალანკატუაცის სხვა ცნობიდან (25:68) ჩანს, 627 წლის ზაფხულში მოვიდნენ. ამიტომ, იგი არაა სწორი, როცა ამის შემდეგ ყვება 627 წლის გაზაფხულზე ირანის წინააღმდეგ შათის ლაშქრობის ამბავს.

„მათი თვალი არ ინდობდა ლამაზსა და მშვენიერ ახალგაზრდა ქალებსა და ჭაბუკებს, არც დაუძლურებულებსა და შეუძლოებს, არც ხეიბრებსა და მოხუცებს ტოვებდნენ (ხელუხლებლად). არ ებრალებოდათ და გული თანაგრძნობით არ ეკუმშებოდათ, როდესაც ბავშვები დახოცილ დედებს ეხვეოდნენ და მათი მკერდიდან რძის ნაცვლად სისხლს სწოვდნენ. როგორც ცეცხლი ლერწამში, ისე შედიოდნენ ერთ კარში და მეორედან გამოდიოდნენ, შიგ კი მხეცებისა და (მტაცებელი) ფრინველების ნამოქმედარს ტოვებდნენ“ (25:68—69).

ალბანეთის განადგურების შემდეგ, — განაგრძობს მოვსეს კალანკატუაცი, — „...დაიძრა აზვირთებული ნიაღვარივ და აბობოქრებული მდინარე ქართველთა ქვეყნის წინააღმდეგ, გარემოიცვეს ნებიერი, საკაჭრო და სახელოვანი დიდი ქალაქი ტფილისი. როდესაც ამის შესახებ დიდმა კეისარმა ჰერაკლემ შეიტყო, შეკრიბა მთელი თავისი ძლევამოსილი ჯარი, სწრაფად წავიდა და თავის მოკავშირემდე მიაღწია“ (25:70). ე. ი. თბილისთან ჯერ ჯაბღუ და შათი მოვიდნენ თავიანთი ლაშქრით, შემდეგ ჰერაკლე.

თბილისის კედლებთან მოსულ მოკავშირეებს ქალაქი გამაგრებული დახვდათ, ამიტომ სანამ შეტევას დაიწყებდნენ, ჰერაკლემ და ჯაბღუმ ერთმანეთი მოიკითხეს. მათი შეხვედრა რამდენიმე ავტორს აქვს აღწერილი. „მეფური საჩუქრებისა და საბოძვრების მირთმევასთან ერთად, — წერს მოვსეს კალანკატუაცი, — მეტად გაიხარეს ერთმანეთის ხილვით“ (25:70). ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის ცნობით, შეხვედრის შემდეგ ჰერაკლემ თურქთა ჯარის სარდლები დაასაჩუქრა და ღრეობაზე მიიწვია. მას ეშინოდა, — დასძენს ნიკიფორე — იგივე არ განმეორებულიყო, რასაც ადგილი ჰქონდა ავარებთან (მხედველობაში აქვს 620 წლის ზავი ავარებთან, როცა დიდი გამოსასყიდისა და მძევლების მიცემის შემდეგ კონსტანტინოპოლს ალყა მოხსნეს, მაგრამ ირანელთა მოთხოვნით 626 წელს ხელახლა მიადგნენ კონსტანტინოპოლს. — ვ. გ.) და კავშირი რომ უფრო მყარი გაეხადა, მან აჩვენა თავისი ქალიშვილის—ევდოკიას გამოხატულება და უთხრა... ეს ჩემი ქალიშვილი და რომაელთა ავგუსტა. თუ შენ მომეხმარები მე და მომცემ დამხმარე ჯარს მტრის წინააღმდეგ, მას გაძლევ შენ ცოლად[29] (107:355). თეოფანე ყამთააღმწერლის თანახმად, ჯაბღუმ სამა-

---

[29] ჰერაკლესი და ჯაბღუს შეხვედრა კარგადაა აღწერილი ბერძნულიდან თარგმნილ ქართულ ძეგლში. „...მეფე თურქთაჲ ყოვლითა ერითა თჳსითა მიეგება ერეკლეს პატივითა

გიეროდ ჰერაკლეს თავისი ძე შათი წარუდგინა. შათის იმ ხანად „სახეზე ღინღლები ახლად ამოსული ჰქონდა“ (44:147).

ნიკიფორეს ზემომოტანილი ცნობიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ჯაბღუმ თბილისთან პირველად შეიტყო, ჰერაკლე დახმარების სანაცვლოდ მას თავის ქალიშვილს რომ პირდებოდა. თანაც იგულისხმება, რომ ჰერაკლე ასე იმიტომ მოიქცა, თურქებს რომ არ მოეტყუებინათ. ნამდვილად კი ევდოკიას შესახებ მოლაპარაკება, როგორც ზემოთ ითქვა, ტუნ შეჰუსთან ანდრეს ელჩობის დროს უნდა შეგდგარიყო. აღნიშნულთან ერთად, საინტერესოა, ვისი საცოლე იყო ევდოკია, თვით კაგან ტუნ შეჰუსი (როგორც ზემოთ ვწერდი) თუ ჯაბღუსი, როგორც ეს ნიკიფორეს ცნობიდან ივარაუდება?

„თურქი კი, — წერს ნიკიფორე, — ...სურათის სილამაზით აღფრთოვანებული და მისი სიყვარულით ალმოდებული... უფრო მეტად მიემხრო კავშირს და სასწრაფოდ გადასცა იმპერატორს არქონტი, მრავალი თურქითურთ...“ (107:356).

ამ ბოლო სიტყვებიდან ჩანს, თითქოს ჯარის უფროსი ჯაბღუ არის, რომელმაც თავისი ჯარის ნაწილი დატოვა ჰერაკლესთან შათის სარღლობით, რათა მათ ერთად გაელაშქრათ ირანის წინააღმდეგ.

ევდოკიას ჯაბღუს საცოლედ თელის ლ. გუმილიოვი (65:195), მ. არტამონოვი (44:148), ა. ბოგვერაძე (6:281),

შ. მესხიამ „თბილისის ისტორიის“ გადმოცემისას, სწორედ ნიკიფორეს ზემომოტანილ ცნობაზე დაყრდნობით ევდოკია შათის საცოლედ ჩათვალა: ჰერაკლემ, — წერს იგი, „ხაკანის ახალგაზრდა შვილს... თავისი მშვენიერი ასულის ევდოკიას სურათი უჩვენა და ცოლად მიცემას შეპირდა. 19 წლის[30] შათი ამ დაპირებამ კიდევ უფრო წაახალისა და

დიდითა და გარდაუხდა ესა ჰუნისაგან თჳსისა და ყოველი ერი მის თანა და თაყუანისცეს; ხილო ერაკლე მიითუალა ფრიად ღა უბრძანა, რათა აღჯდეს და ეითარცა ძე მისი ეიდოდეს მის თანა, და ესრეთ ამბორს უყუეს ურთიერთას, ღა აღიხადა გჳრგჳნი თჳსი ერაკლე. და დაარქუა მას, და უქმნა მას სერი, ღა რაედენნიცა ერსა მას აქუნდეს ჴურჴელნი ოქროჲსა და ვეცხლისანი—მიანიჭა მას და ყოველთა მთავართა მისთა, და სავართაგან განსამტკიცებელად, რომელთა ვერ წარიპარონ ლიქნით მეფე იგი თურქთაჲ უჩუენა ხატი ასულისა თჳსისაჲ და აღუთქუა მიცემაღ მისა ცოლად; რომელიცა იხილა რაჲ, განჰკრთა, და თაეისა თჳსისა ღადებაჲ შეწევნაღ მისსა აღუთქუა ღა სიმრავლე დიდ ძალი ლაშქართაჲ ერაკლეს მოჰგვარა შეწევნაღ მისსა“ (34:38—39; 108:48—50). მოქცევაჲ ქართველისაჲ“-ს მატიანე ძალიან სქემატურად აღწერს ბიზანტიელთა მოსელას თბილისში (ᲘᲮ. ᲥᲕᲔᲛᲝᲗ).

30 არც ერთ წყაროში შათის წლოვანება არაა მითითებული.

კეისრის ერთგული მოკავშირე გახდა“ (24: 16—17. შ. მესხიას ეს მოსაზრება გაიმეორა ვ. ჯელიძემ[31]. 36: 332—334).

ჰერაკლემ თავისი ასულის სურათი ჯაბღუს რომ უჩვენა, ვფიქრობ, ეს იმის მტკიცების საბაბს არ იძლევა ევდოკია მაინცდამაინც ჯაბღუს, მითუმეტეს შათის საცოლედ მივიჩნიოთ. როგორც ზემოთ ვნახეთ, 628 წლისათვის საცოლეს თვით კაგანი ტუნ შეჰუ ეძებდა და როგორც ვარაუდობენ, 620—626 წლებს შუა იმ ელჩობას, რომელმაც ჩინეთის იმპერატორს ტუნ შეჰუსათვის საცოლე სთხოვა, თუ მართლაც ჯაბღუ მეთაურობდა, მაშინ ადვილი ასახსნელია, ჰერაკლეს ლამაზი ასულის სურათის ხილვით ჯაბღუმ რატომ გაიხარა. 627 წლის შემოდგომაზე, თბილისიდან უკან გაბრუნებულმა ჯაბღუმ ალბათ ევდოკიას სურათიც თან წაიღო, რათა იგი თავისი უფროსი ძმისათვის ეჩვენებინა. საბოლოოდ როგორ დაჰთავრდა ეს საქორწინო გარიგება, წყაროებში არაფერია ნათქვამი. უფრო სავარაუდებელია, 630 წელს ტუნ შეჰუსი და ჯაბღუს დაღუპვის შემდეგ, ეს საქმეც ჩაშლილიყო.

ახლა კვლავ თბილისის გარემოცვის ამბავს დავუბრუნდეთ.

თბილისის დაცვის გაძლიერებაზე, ქართლის მაშინდელ სიუზერენს ირანის შაჰს ხოსრო II ფარვიზსაც უზრუნვია. ქალაქის დამცველებისათვის მას დამხმარე რაზმი მიუშველებია. „გაიგო თუ არა ხოსროვმა, — წერს მოვსეს კალანკატუაცი, — ორივე დიდი მეფის (ე. ი. იმპერატორისა და თურქთა კაგანის. — ვ. გ.) შეთანხმება ქალაქთან შეხვედრაზე გარემოცვის (დაწყებამდე), დასახმარებლად და ქალაქის დასაცავად სწრაფად გაგზავნა მარჯვე და მამაცი მებრძოლი, თავისი მხედართმთავარი შარჰაპალი. ასევე ათასამდე რჩეული მხედარი თავისი ქეშიკებიდან და კარისმცველებიდან. როდესაც ქალაქის მცხოვრებლებმა გამოგზავნილი მაშველი ძალა იხილეს ძლიერი და გამოცდილი მეომრებით, მეტად გამხნევდნენ და ორივე მეფის დაცინვა დაიწყეს“ (25:70).

ალყაშემორტყმულ თბილისთან მომხდარი ამბები ვრცლად აქვს აღწერილი კალანკატუაცის.

---

[31] ვ. ჯელიძის წიგნის რეცენზიაში დ. მელუხამ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრებიდან გამომდინარე, ჰერაკლეს მოკავშირეებად ხაზარები მიიჩნია. ასევე, თბილისის აღება მხოლოდ ჰერაკლეს მიაწერა (რაც საეჭვოა. იხ. ქვემოთ), მაგრამ რომელ წყაროში ამოიკითხა, თითქოს ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ წასულ ჰერაკლეს თბილისის „საალყოდ... შვილი დაეტოვებინოს... გაცილებით მცირე ლაშქრით“, გაუგებარია (იხ. 23).

„...ჩრდილოეთისა და დასავლეთის უთვალაური სიმრავლე“... მთებივით შემოერტყნენ ქალაქს გარშემო. „მათ თან ჰქონდათ ოთხთვლიანი მანქანები და ჰრომაელ ოსტატთა ხელით გაკეთებული სხვა ნაირნაირი საშუალებანი, რომლებიდანაც ზუსტად ისროდნენ და უზარმაზარი ქვებით კედლებს ანგრევდნენ. ასევე ჰქონდათ ლოდებით გატენილი რუმბები, რითაც ქალაქის მხარეს მიმდინარე დიდ მტკვარს უკან აბრუნებდნენ და მიმართავდნენ კედლისაკენ. მიუხედავად ამისა, მათ არაფრის არ შეშინებიათ, არც ერთი საქმისა, ერთმანეთს ამხნევებდნენ და იმათგან დანგრეულს იქვე აშენებდნენ და დგამდნენ.

შემდეგ, როდესაც ორივე მეფის ჯარები დასუსტდნენ, დაძაბუნდნენ და გადაიქანცნენ, როდესაც მათი ქვეითი ლაშქრის არცთუ მცირე ნაწილი ომში დაეცა, მეფეებმა ერთმანეთში ბჭობა გამართეს და თქვეს: „რისთვის დავღუპოთ ჩვენი ჯარები, უმჯობესია ძლიერი (ე. ი. ირანის შაჰი. — ვ. გ.) შევიპყროთ, ხოლო მისი სახლი, როგორც მოგვესურვება ისე დავარბიოთ“.

მაშინ შურისმაძიებელი დიდი კეისარი ჰერაკლე მოემზადა შესაფერისი მოქმედებისათვის. მან უთხრა მის დასახმარებლად მოსულ კაცს (ე ი. ჯაბღუს. — ვ. გ.); „შენ ამ წელიწადს ჯარითურთ მშვიდობიანად დაბრუნდი შენს ქვეყანაში, რადგანაც ჩვენ ვხედავთ თქვენს დაქანცვას, ამიტომ ახლა ზაფხულის სიცხეებში ვეღარ შესძლებთ მიღწევას ასორესტანის ქვეყნამდე, სადაც დიდ მდინარე ტიგროსთან სპარსეთის დედაქალაქია. მეორე წელს კი, ცხელი თვეების გავლის შემდეგ, სასწრაფოდ გამოეშურე აქეთ, რათა ჩვენი სურვილი ავისრულოთ. (ამასობაში) მე არ დავცხრები, შევებრძოლები სპარსეთის მეფეს, შევაშფოთებ და შევავიწროებ მის ქვეყნებსა და ქვეშევრდომებს“ (25:71).

როდესაც ქალაქის მცხოვრებლებმა მოკავშირეთა უკანდახევის სამზადისი დაინახეს, — განაგრძობს მოვსეს კალანკატუაცი, — „...უფრო გაამაყდნენ და დაიწყეს თავიანთი დაღუპვის ოინის გათამაშება. მოიტანეს ერთი უზარმაზარი გოგრა, ზედ დახატეს ერთი წყრთის სიგრძისა და ამდენივე სიგანის ჰონთა მეფის სახე, თვალ-წამწამის ადგილას დახაზეს მოტეხილი ტოტი, რომლის შემჩნევა არც კი შეიძლებოდა. წვერების ადგილი უტიფრად მოაშიშვლეს, ცხვირის ნესტოები — მტკაველის სიგანე, ხოლო ულვაშებად მეჩხერი თმები (დაუხატეს), საეჭვოა, რომ მისი ცნობა ვინმეს შეძლებოდა.

აიღეს და დადგეს (ეს გოგრა) მათ მოპირდაპირე კედელზე. უყვიროდნენ მის ჯარს და ეუბნებოდნენ: „აი, თქვენი მეფე კეისარი, დაბრუნდით, თაყვანი ეცით მას, ეს ჯებუ ხაქანიაო". აიღეს შუბები ხელში და მათ წინ ხვრეტდნენ მისი სახის მიმსგავსებულ გოგრას.

ასევე დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ მეორე მეფესაც, ბილწსა და მამათმავალს უწოდებდნენ. ამის მნახველი და გამგონე მეფეები მძვინვარებდნენ, იფხორებოდნენ, გულში სიძულვილს იგროვებდნენ, თავებს აქნევდნენ და უდიდესი წყევლით იფიცებოდნენ, რომ არც ერთ სულიერს არ დატოვებდნენ მათ სამეფოში, ვიდრე შურს არ იძიებდნენ ამ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მათგან მიიღეს. შემდეგ კი პირი იბრუნეს და იმავე მუქარით წავიდნენ (25:71—72. თბილისის დამცველთა მიერ მომხდურთა მასხრად აგდების შესახებ XIII ს-ის სომესი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეციც მოგვითხრობს).

ძველ ქართულ წყაროებში თბილისთან ბრძოლის ამბები შედარებით მოკლედ არის გადმოცემული, მაგრამ მათში ერთი საინტერესო დეტალია დამატებული. ჯუანშერის თანახმად როცა „ციხისთავმან აგინა მეფესა და რქუა: „ვაცისა წუერნი გასხენ და ვაცბოტისა კისერი გათქუ". მაშინ იმპერატორს უთქვია, „დაღაცათუ კაცმან ამან ბასრობით მრქუა მე ვაცბოტობა, არა არს ცუდ სიტყუა მისი" და მოიღო წიგნი დანიელ, და პოვა მას შინა წერილი ესრეთ: „გამოვიდეს ვაცი დასავლისა, და შემუსრნეს რქანი ვერძისა აღმოსავლისანი". მაშინ განიხარა მეფემან და დაიდასტურა, რამეთუ ყოველივე განემარჯუებოდა სპარსთა ზედა"[32] (40:224).

ე. ი. თბილისის ციხის დამცველთა დასაცინი სიტყვის ასახსნელად მოხმობილმა „დანიელის წიგნმა" ჰერაკლეს ირანის შაჰზე გამარჯვება „უწინასწარმეტყველა". ამით გახარებულმა ჰერაკლემ „მოუწოდა" კახეთის ერისთავს ადარნასეს „მისცა მას ტფილისი და მთავრობა ქართლისა და დაუტევა მის თანა ერისთავი, რომელსა ერქუა ჯიბღა, და უბრძანა ბრძოლა კალისა, და თჳთ წარემართა მეფე ბრძოლად სპარსთა"

---

[32] „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში ეს დეტალი ასეთი ვარიანტითაა: „და უხმო ციხისთავმან კალაჲო ტფილისისაჲთ მეფესა ჰერაკლეს ვაც-ბოტობით.

ხოლო მან ფერხი დააპყრა და დანიელი მოიღო და მოიძია (სიტყუაჲ) ესე: „მოვიდეს ვაცი იგი მზის დასავლისაჲ და შემუსრნეს რქანი ვერძისა მის მზის აღმოსავალისანი". და მეფემან ჰრქუა „(უკუეთუ ჩემთჳს) ესრეთ იყოს სიტყუაჲ, მე მიგჳგო მისაგებელი შენი" (26:326).

40:225. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-შია „...დაუტევა ჯიბღო[33] ერისთავი ბრძოლად. და თჳთ წარვიდა ბაღდადს ბრძოლად ხუასრო მეფისა.

ხოლო ამან ჯიბღო მცირეთა დღეთა შემდგომად კალაჲ გამოიღო...“. 26:326).

თბილისის კედლებთან მდგარ მოკავშირეებს უზარმაზარი არმია ჰყავდათ. მათ შეტევებს ქალაქის დამცველები გმირულად იგერიებდნენ. ორთვიანი ალყის შემდეგ მოკავშირეებმა ქალაქზე შეტევა შეწყვიტეს. ჰერაკლე ირანისაკენ გაემართა, ჯაბღუ კი მომავალი წლის შემოდგომისათვის ისევ თბილისთან დაიბარა.

როგორ გაუძლო თბილისმა მოკავშირეთა შეტევას 627 წელს?

უნდა ვივარაუდოთ, რომ თურქების, განსაკუთრებით კი ბიზანტიის ლაშქრის შეტევა თბილისზე მაინცდამაინც ინტენსიური და თავგანწირული არ უნდა ყოფილიყო. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, თბილისის აღება ჰერაკლეს არ აინტერესებდა, არ უნდოდა ძალები ქალაქის აღებისათვის შეელია. თურქებთან ერთად თბილისი რომ აეღო, ხოლო ირანი დაუმარცხებელი დაეტოვებინა, ეს მას სულაც არ აძლევდა ხელს (მოსალოდნელი იყო თბილისის აღების შემდეგ მის მოკავშირეებს სამოკავშირეო ამოცანა შესრულებულად მიეჩნიათ). ამით უნდა აიხსნას, ჰერაკლემ თვითონ რომ სთხოვა ჯაბღუს კვლავ თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო.

როცა ჰერაკლე თავის ლაშქრობის ძირითად მიზანს განახორციელებდა — ირანს დაამარცხებდა და იერუსალიმიდან გატაცებულ მაცხოვრის ძელს დაიბრუნებდა, მაშინ მას შეეძლო თურქებთან ერთად გულდამშვიდებულად ებრძოლა ირანის ამიერკავკასიული სამფლობელოების — ქართლისა და ალბანეთის დასამორჩილებლად. ამ ქვეყნებზე თურქთა და ბიზანტიელთა კონტროლის დამყარებით მათ ხელში მოექცეოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გადმომავალი დარიალისა და დარუბანდის ზეკარები. რის შედეგადაც ჩინური და შუა აზიური აბრეშუმის ბიზანტიაში შეტანა ირანის გვერდის აავლით მო-

---

[33] ძველი ქართული წყაროები აქ ცდებიან. როცა ჰერაკლე ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჯაბღუ ჩრდილოეთში გაბრუნდა. აჩიტომ მას, თბილისიდან ჰერაკლეს წასვლიდან „მცირეთა დღეთა შემდგომად“ კალა არ აუღია. კალა თურქებმა 628 წელს აიღეს (იხ. ქვემოთ). 627 წელს ჯაბღუმ ჰერაკლესთან ლაშქარი დატოვა შათის სარდლობით, რათა მას ჰერაკლესთან ერთად ირანში ელაშქრა.

ხერხდებოდა. თუმცა, ასეთი საშუალება ბიზანტიასა და მის შუა აზი
ელ მოკავშირეს 575 წლიდან — სვანეთზე კვლავ ბიზანტიელთა გავლე
ნის დამყარებით მიეცა. როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ დროიდან, ჩრდი
ლოეთ კავკასიიდან დასავლეთ საქართველოში გადამავალი ზეკარებ
აბრეშუმით ინტენსიური ვაჭრობის გზები გამხდარა.

თბილისის კედლებთან ჰერაკლეს ორთვიანი ყოფნა, შესაძლებელი
სხვა გარემოებითაც იყო ნაკარნახევი, უპირველეს ყოვლისა, ზაფხუ
ლის ცხელ თვეებში ირანში ლაშქრობა ძნელი იყო. მიიწურა თუ არ
ზაფხული იგი ირანისაკენ გაემართა. მეორეც, არაა გამორიცხული
თბილისთან მდგომი ჰერაკლე თავისი ლაშქრის შევსებასაც რომ უცდი
და.

§ 2. მოკავშირეთა ჯარის რაოდენობა და შემადგენლობა

627 წლის შემოდგომის დამდეგს, როგორც ითქვა, მოკავშირეებმ
თბილისის ასაღებად ბრძოლა შეწყვიტეს. ჯაბღუ ჩრდილოეთში გაბრუნ
და, ჰერაკლე კი ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა.

ორთვიანი ალყის დროს მოკავშირეებმა არაერთხელ მიიტანეს ი
რიში თბილისზე „ოპლას“ ყვირილით (ძველი თურქები ამ სიტყვას ი
რიშის დროს ხმარობდნენ. 70:62), მაგრამ უშედეგოდ. ამიტომ ისმებ
კითხვა. თბილისის დამცველთა გმირობამ გადაარჩინა ქალაქი 627 წელ
განადგურებისაგან, თუ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჰერაკლე არ იყო და
ინტერესებული თბილისის აღებით?

უფრო სარწმუნო მეორე მოსაზრება ჩანს. როგორც ლ. გუმილიო
შენიშნავს, ქალაქმა, რომელმაც ბიზანტიელთა სამხედრო ტექნიკის შ
ტევას გაუძლო, 628 წლის შემოდგომაზე მხოლოდ ხელჩართული ბრძო
ლისათვის შეიარაღებული თურქების მიერ იქნა აღებული (65:199).

თავისთავად ცხადია, ჰერაკლეს რომ მოენდომებინა, თბილისს 62
წელსაც აიღებდა. მოვსეს კალანკატუაცის ხატოვანი თქმით, თბილისი
კედლებთან ხომ „ჩრდილოეთისა და დასავლეთის ჯარების უთვალავ
სიმრავლე მთებივით იდგა“.

მაინც რამდენი მეომარი ჰყავდათ მოკავშირეებს თბილისთან და ვ
იბრძოდნენ მოკავშირეთა დროშის ქვეშ?

თბილისის ასაღებად მებრძოლი მოკავშირეთა არმია, რომ მრავალ
რიცხოვანი იყო, ეს სახისტორიო წყაროთა მონაცემებით დასტურდებ

არაბი ისტორიკოსი ტაბარი იმ დროს ჰერაკლეს ლაშქარში 70000 მეომარს ასახელებს (129:295).

ი. კულაკოვსკის თანახმად, თვით ბიზანტიურ წყაროებში ჰერაკლეს ლაშქრის რაოდენობის შესახებ ცნობები არაა. რაც შეეხება ტაბარის ზემომოტანილ ცნობას, ეს რიცხვი მას გაზვიადებულად ეჩვენება (89:95. თავისთავად ცხადია, გადაჭარბებულია აღაპი მანბიჯელის ცნობა 310 ათასი. 89:95).

ვფიქრობ, ტაბარის ცნობა ჰერაკლეს ჯარის რაოდენობის შესახებ საეჭვო არ უნდა იყოს. 70 ათასიანი არმიის გამოყვანა იმ დროს ბიზანტიას არ გაუჭირდებოდა, თუმცა ჰერაკლეს თბილისთან მხოლოდ ამ ლაშქრის ნაწილი — დაახლოებით ნახევარი უნდა მოეყვანა.

627—628 წლების ლაშქრობაში ჰერაკლეს არმიის ძირითად ბიროვს, როგორც ჩანს, იმპერიის აზიური თემებისაგან შეკრებილი მეომრები შეადგენდა. მის ლაშქარში იყვნენ: სომხები, აფხაზები, ეგრისელები და უნდა გვევარაუდა ქართლელებიც (ის ხალხი, რომელიც ადარნასეს ემორჩილებოდნენ), მაგრამ, ჯუანშერის ცნობებიდან ასეთი დასკვნის გამოტანა ძნელია. ჯუანშერის თანახმად, ჰერაკლე როცა ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ „წარემართა“, კახეთის ერისთავს ადარნასეს „მისცა ტფილისი და მთავრობა ქართლის“ „და უბრძანა ბრძოლა კალისა“ (40:225). ე. ი. ადარნასე თავისი ჯარით თბილისის წინააღმდეგ საბრძოლველად დარჩა.

1948 წელს გამოცემულ ნაშრომში „ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან“ ს. ყაუხჩიშვილმა შესაძლებლად ჩათვალა 627 წლის ჰერაკლეს ლაშქრობაში ირანის წინააღმდეგ იბერიელთა მონაწილეობა. იბერიელები ჰერაკლეს ლაშქრობაში რომ მონაწილეობდნენ, — წერს იგი, — ამის შესახებ კონსტანტინე პორფიროგენეტიც გადმოგვცემსო (35:153).

1952 წელს, საქართველოს შესახებ კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობების გამოცემისას ს. ყაუხჩიშვილი კვლავ შეეხო აღნიშნულ საკითხს და შენიშნა: კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა ირაკლი კეისრის ლაშქრობაში სპარსეთის წინააღმდეგ იბერიელების მონაწილეობის შესახებ, ირაკლის პირველ 622—623 წლების ლაშქრობას უნდა ეკუთვნოდეს. ამას გვაფიქრებინებს, — დასძენს იგი, — ის გარემოება, რომ თეოფანე ყამთააღმწერელი, რომელიც დაწვრილებით აგვიწერს ირაკლის ლაშქრობას, სწორედ 622—623 წლის ქვეშ მოგვითხრობს ამ ამბებსო (იხ. გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. II, თბ., 1952, გვ. 257—258, შენ. 2).

ს. ყაუხჩიშვილის დასკვნა ჯუანშერის ცნობის სანდოობის დასადა-
ტურებლად მოვიტანე. ჯობდა კი ადარნასეს ირანის წინააღმდეგ ჰერ-
აკლეს ლაშქრობაში მიეღო მონაწილეობა, ვიდრე ქართლის დედაქალ-
ქის დამცველთა წინააღმდეგ ებრძოლა. მაგრამ ქართლის ტახტის მაძ-
ებელი პიროვნებისათვის, ასეთი მოქმედება მაშინ ჩვეულებრივ მოვლ-
ნად ითვლებოდა.

ქართლის იმ ნაწილიდან კი, რომელიც სტეფანოზს ემორჩილებოდ-
ზოგი თუ თბილისს იცავდა, ზოგი ქართველი მთავრის — ვარსამუს-
ხელმძღვანელობით ხოსრო II-ის ლაშქარში იბრძოდა (იხ. ქვემოთ).

* * *

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ჰერაკლეს მოკავშირე თუ-
რქთა დასავლეთი კაგანატის სარდლების — ჯაბღუსა და შათის დრო-
შის ქვეშ ვინ იბრძოდა.

თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებლის „ჩრდილოეთის მეფის
ტუნ შეჰუს სამფლობელო 627 წლისათვის ალტაის მთებიდან მდ. დონი-
ალმოსავლეთით მდებარე ველებამდე იყო გადაჭიმული. ამ უზარმაზა-
ტერიტორიაზე თურქებმა დაიმორჩილეს და თავის ხელქვეით გააერთი-
ანეს როგორც აბორიგენი მოსახლეობა, ისე ცენტრალური, შუა აზი-
იდან და დასავლეთი ციმბირიდან მოსული ჰუნურ-თურქული, უგორულ-
ირანული და არაირანული მოდგმის ხალხები.

თურქთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიებიდან ეთნიკურად განსა-
კუთრებულად მრავალფეროვანი ჩრდილოეთი კავკასია და მისი მიმდებ-
რე აზოვის ზღვის ველები იყო.

უძველესი დროიდან, განსაკუთრებით კი ხალხთა დიდი გადასახლ-
ების ეპოქიდან, ცენტრალური და შუა აზიიდან წამოსული მთელი რიგ-
ხალხები და მონათესავე ტომთა გაერთიანებები მდ. ურალზე გადასვ-
ლის შემდეგ, ზოგჯერ გზას აღარ აგრძელებდნენ დასავლეთ ევრო-
პის ველებისაკენ და სამომთაბარეოდ ჩრდილოეთი კავკასიის ველებ-
ზე რჩებოდნენ. ეს ხალხები დროთა განმავლობაში დაკავებულ ტერი-
ტორიაზე თანდათანობითი დამკვიდრების, ბინადარ ცხოვრებაზე გადასვ-
ლისა და ადგილობრივ — აბორიგენ მოსახლეობასთან შერევის გამ-
ეთნიკურად ახალი ერთეულების ჩამოყალიბების უცილობელი კომპო-
ნენტები შეიქნენ.

627—628 წლებისათვის ჩრდილოეთ კავკასიის, აზოვისპირა და შავი ზღვის ჩრდილოეთ ველებზე ირანულენოვანი ხალხის ალანებისა და სხვათა გარდა უკვე მოსულები იყვნენ: ჰუნურ-თურქული და უგორული მოდგმის საბირები, აკაცირები, სარაგურები, ონაგურები, უთურგურები, ბელანჯერები, ბოლგარები, ჩვენთვის ცნობილი თურქები (ტურკიუტები) და მრავალი სხვა.

კავკასიონის ქედს მომდგარ ამ აუარებელი ხალხის მასას თვალი ყოველთვის ამიერკავკასიისა და წინა აზიის მდიდარი ქვეყნებისაკენ ეჭირა. ბინადარი ხალხის ძარცვა-გლეჯა ჰუნ-თურქებისათვის არსებობისა და გამდიდრების მთავარი წყარო იყო. აღნიშნულით უნდა აიხსნას, როგორც აღმოსავლეთის, ისე ევროპის ბინადარი ხალხებისათვის სიტყვა „ჰუნი“ ძალადობისა და ძარცვა-გლეჯის სინონიმი რომ იყო. ამერიკელი ირანოლოგის რიჩარდ ფრაის თანახმად, „სიტყვა „ჰუნი“ ძალიან ადრე იქცა მეზობელი ხალხებისათვის მძვინვარებისა და საშინელის აღმნიშვნელად“. ასადი ტუსის ლექსიკონში, — დასძენს იგი, — ეს სიტყვა განმარტებულია როგორც „მტერი“[34] (123:309).

„ჰუნის“ ასეთი განმარტება ნათელი გახდება, ქვემოთ თურქების მიერ თბილისის აღების შემდეგ დატრიალებულ ამბებს როცა გავეცნობით.

VII ს-ის დამდეგისათვის ზემოდასახელებული ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხებიდან ბოლგართა მონათესავე კუთურგურებს შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველები, ასევე მდ. დნეპრისა და დონის ქვემო წელის მიწები ეჭირათ. უთურგურები ყუბანში ცხოვრობდნენ. უთურგურების აღმოსავლეთით მდ. კუმის აუზში და დაღესტანში ჰუნი საბირები და ინდოევროპული მოდგმის ალანები სახლობდნენ.

ჰუნ საბირებს ჩრდილოეთ კავკასიაში თურქების მოსვლამდე ძლიერი გაერთიანება ჰქონდათ შექმნილი. ისინი როგორც დაქირავებული მოლაშქრეები ხშირად მონაწილეობდნენ ხან ირანის, ხან კი ბიზანტიის მხარეზე ქართლსა და ეგრისში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში. საბირები, რა თქმა უნდა, ამჯერადაც ხალისით დათანხმდებოდნენ

---

[34] ასადი ტუსი მაპმუდ ღაზნევის (998—1030) თანამედროვე იყო. სიტყვა „ჰუნშა“ და „ავარამ“ მსგავსი მნიშვნელობა შეიძინა ევროპის ხალხებშიც (იხ. ქვემოთ).

თავიანთ ბატონებს და მონაწილეობას მიიღებდნენ ჯერ თბილისის გარემოცვაში, შემდეგ კი აღებასა და და დარბევაში[35].

627—628 წლებში თურქთა დროშის ქვეშ გაერთიანებულნი უნდა ყოფილიყვნენ აკაცირები, ონაგურები[36] და სარაგურებიც. ეს ხალხები ჯერ კიდევ 466 წლის ახლო ხანებში შემოიჭრნენ ამიერკავკასიაში, მართალია ამის შემდეგ აკაცირები და სარაგურები საისტორიო წყაროებში აღარ ისხსენიებიან, მაგრამ როგორც მ. არტამონოვი ფიქრობს, ეს მათ ამ ადგილებიდან წასვლაზე კი არ მიგვითითებს, არამედ იმაზე, რომ მომთაბარე ტომთა შორის ხელმძღვანელი როლი უნდა დაეკარგათ (44:64).

ცალკე უნდა შეეხო თურქთა ქვეშევრდომების ხაზარების 627—628 წლების ლაშქრობებში მონაწილეობის საკითხს.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოენოვან და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია იმპერატორ ჰერაკლეს მოკავშირედ თურქთა დასავლეთი კაგანატია მიჩნეული (ამ საკითხზე იხილეთ ქვემოთ თავი IX), ქართულ ისტორიოგრაფიაში ჰერაკლეს მოკავშირეებად ხაზარები ითვლებიან, მას შემდეგაც კი, რაც ამ საკითხის შესახებ 1977 წელს ჩემი სპეციალური გამოკვლევა გამოქვეყნდა (იხ. „ჯუანშერის თხზულებაში მოხსენიებული „თურქთა მეფე საბა“ და „ჯიბღა ერისთავი“).

ხაზარები წარმოშობით თურქულენოვანი ხალხი იყო, მაგრამ ისინი თურქებისაგან მაინც საგრძნობლად განსხვავდებოდნენ. ფრანგი სინოლოგის ე. შავანის თანახმად თურქები და ხაზარები იმდენად განსხვავ-

---

35 მიუხედავად იმისა, რომ ღღეს საბირების ჰუნურ-თურქული წარმოშობა აღარაეის ეეჭვება საბჭოთა ენციკლოპედიებში (იხ. სტ. Савири, Савары; დიდი საბჭ. ენციკლოპედია, 2-ე გამოცემა ტ. 37; მესამე გამოცემა, ტ. 22; საბჭ. ისტ. ენციკლოპედია, ტ.12) და მ. არტამონოვის ზოგიერთ ნაშრომში (44:65; 45:27) ისინი ძველი ბერძენი გეოგრაფის პტოლემეოსის მიერ ახ. წ. 180 წელს მოხსენიებულ სლავური წარმოშობის საკარებთან არიან გაიგივებული.

1979 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში (იხ. 16) მე ვაჩვენე ასეთი გაიგივების ბცდარობა. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში საბირების შესახებ წერილი მაინც რუსული ენციკლოპედიებიდან იქნა გადმოღებული და შეცდომაც განმეორდა (იხ. ქსე, ტ. 8, სტ. საბირები).

36 VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი ევრისში მიუთითებს ტოპონიმ ონაგურისის შესახებ. მისი ცნობით, ეს სახელი ჰუნი ონაგურებისაგან მიიღო. ამ ციხემ (42:74).

დებოდნენ ერთმანეთისაგან, რომ იგი სპეციალურად აფრთხილებდა მკითხველს ხაზარები და თურქები არ გაეგივებინათ.

ხაზართა ძირითადი მასა აღმოსავლეთ ევროპაში თურქთა დასავლეთი კაგანატის დაცემის (630) შემდეგ მოვიდა. ისინი თურქთა ყოფილი ქვეშევრდომების ნუშუბის ტომის თურქები უნდა ყოფილიყვნენ. თურქთა ამ ნაწილს აღმოსავლეთ ევროპაში მოსვლის შემდეგ მათი ბელადის „ხაზარიგის" სახელის მიხედვით ხაზარები ეწოდა. ხაზარებმა საკუთარი სახელმწიფო, თურქთა დასავლეთი კაგანატის დაცემის შემდეგ, დაახლოებით 651 წელს შექმნეს.

ჩრდილოეთ კავკასიისა და შავი ზღვის ჩრდილოეთი ველების შომთაბარეებიდან ლ. გუმილიოვის თანახმად თურქთა ამიერკავკასიულ ლაშქრობებში მხოლოდ ბოლგარებს არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა. მისი ვარაუდით, რადგან ავართა კაგანატის კონტროლის ქვეშ იყო კუთურგურთა მიწები — შავი ზღვისპირა ველები დონამდე, თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებელს, კაგანატის დასავლეთი საზღვრების დაცვა ავართა ქვეშევრდომების — კუთურგურების შესაძლო შემოტევისაგან სწორედ ბოლგარებისათვის უნდა დაევალებინა.

ასეთი მოსაზრება, ლ. გუმილიოვის თანახმად, შემდგომი მოვლენებით დასტურდება. მაგრამ, ბოლგარებისათვის, — დასძენს იგი, — ეს იყო მძიმე და სახიფათო დავალება. ჯერ ერთი, ისინი ჰკარგავდნენ საშუალებას ლაშქრობისას ნადავლი ეშოვნათ, რაც მთავარია, ისინი მარტო — პირისპირ რჩებოდნენ კუთურგურთა ძლიერი ტომების წინაშე (65:160);

ზემოდასახელებული თურქული, ჰუნურ-თურქული, უგორული და სხვადასხვა მოდგმის ხალხებთან შედარებით თვით თურქები, რა თქმა უნდა, შედარებით მცირერიცხოვანნი იყვნენ. როგორც ლ. გუმილიოვი წერს, მოსალოდნელი იყო ამ ზღვა ხალხში ისინი უკვალოდ გათქვეფილიყვნენ ან მათი მსხვერპლნი გამხდარიყვნენ, მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო. შვიდმდინარეთის, ვოლგისა და ყუბანის ქვემო წელის, ირტიშის ზემო წელისა და იშიმის მომთაბარეებმა სრული ნდობა გამოუცხადეს თურქთა კაგანატის მმართველ აშინას დინასტიის ხანებს. ზუსტად ასევე მოიქცნენ ჰინდიკუშისა და კავკასიის მთიელები — თურქებმა მათ ზეც შეინარჩუნეს გაბატონებული მდგომარეობა (65:148).

ასე რომ, თურქთა დასავლეთი კაგანატის ეთნიკური შემადგენლობა მეტად ჯრელი იყო. იგი სხვადასხვა ტომების სამხედრო-პოლიტი-

ურ გაერთიანებას წარმოადგენდა (როგორც ა. გადლომ მიაქცია ყურადღება მოვსეს კალანკატუაცის თხზულებიდან კარგად ჩანს ალბანეთში მყოფ შათის ლაშქარში მრავალი ბელადი რომ იყო. 56:135). კაგანატში შემავალი ხალხები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ როგორც ენით, ისე სამეურნეო და კულტურული განვითარების დონით, ცხოვრების წესით (85:158).

* * *

ასლა რაც შეეხება თურქთა ჯარის რაოდენობას.

627 წლის ზაფხულში თბილისის კედლებთან მოსული თურქთა ლაშქარი, როგორც ეს ძველი წყაროებიდან ჩანს, მართლაც მრავალრიცხოვანი ყოფილა. თეოფანე ჟამთააღმწერლის თანახმად სამშობლოში ვაბრუნებულმა ჯაბღუმ ჰერაკლესთან თავისი ძის — შათის სარდლობით 40 ათასი მეომარი დატოვა (92:235). არ ჩანს, რა წყაროს ეყრდნობა, მაგრამ მსგავსი ცნობებია ანონიმურ სირიულ ქრონიკასა (75:268) და „დერბენდ ნამეში" (117:91). ამ რიცხვის სისწორეში ეჭვი არ შეუტანიათ ი. კულაკოვსკის (89:94), მ. არტამონოვს (44:149), ლ. გუმილიოვს (65:195), მაგრამ ვფიქრობ, აქ შემდეგიც უნდა გაეითვალისწინოთ: ჯაბღუ როცა უკან გაბრუნდა, იგი სულ მცირე 10 ათას მეომარს მაინც გაიყოლებდა. ასე რომ თურქთა ლაშქრის საერთო რაოდენობა თბილისთან სულ მცირე 50 ათასი მაინც უნდა ყოფილიყო. ტუნ შეჰუს სამხედრო სიძლიერეს თუ გავითვალისწინებთ (ჩინური ცნობით მას ხომ 100 ათასი მშვილდოსნის გამოყვანა შეეძლო), მაშინ მას თავისი ლაშქრის ნახევარი მაინც უნდა გაეგზავნა ჰერაკლეს დასახმარებლად.

ამრიგად, 627 წლის ზაფხულში თბილისთან სულ მცირე 80/90 ათასი მეომარი უნდა მოეყვანათ მოკავშირეებს. ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, ასეთი დიდი არმიის შეტევისათვის თბილისს გაეძლო, იმ წელს მოკავშირეები თბილისის აღებით რომ ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი. იქნებ 627 წელს ჰერაკლეს გეგმაში თბილისის აღება არ შედიოდა.

§ 3. სომხები თურქთა ჯარში

627 წლის ზაფხულში თბილისის კედლებთან მოსულ თურქთა მრავალრიცხოვან და მრავალეროვან ლაშქარში, როგორც წყაროებიდან ჩანს, სომხებიც ყოფილან.

627 წელს თურქთა დროშის ქვეშ მებრძოლი სომხები ხოსრო II ფარვიზის დავალებით, მანამდე შუა აზიაში ირანის აღმოსავლეთ საზღვრებს იცავდნენ. შემდეგ აჯანყდნენ ირანის წინააღმდეგ და თურქებს შეუერთდნენ.

VII ს-ის სომეხი ისტორიკოსი სებეოსი აღნიშნული ფაქტის შესახებ მოგვითხრობს: „...სომეხი ნახარარები აჯანყდნენ ჩინელი ტჩეპეტუხის მხარდაჭერით, გადავიდნენ ჩრდილოეთის მეფის — ხაკანის სამსახურში და წავიდნენ ჩრდილოეთის ქვეყნებით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ტჩეპეტუხის ჯართან შესაერთებლად. მათი მეფის — ხაკანის სურვილისამებრ დიდ ლაშქართან ერთად გაიარეს ჩორას (დარუბანდის. — ვ. გ.) გასასვლელი და წავიდნენ ბერძენთა მეფის მოსახმარებლად“ (81:61).

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ სებეოსის ზემომოტანილი ცნობა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თურქები 627 წელს ამიერკავკასიაში შუა აზიიდან რომ მოვიდნენ და არა ჩრდილოეთ კავკასიიდან.

სებეოსის მიერ დასახელებული „ტჩეპეტუხი“ (იგივე სომხური წყაროების „ჯემბუხი“) ქ. პატკანოვმა სამართლიანად მიიჩნია ჩრდილოეთის ჯარების წინამძღოლად (82:203; შენ. 159). ეხება რა სებეოსის ზემოთ მოტანილ ცნობას მ. არტამონოვი წერს: „თურქებთან ერთად გამოემართნენ სომხების რაზმები, ისინი თავიანთი ნახარარების ხელმძღვანელობით ირანის აღმოსავლეთ საზღვრებს იცავდნენ. შემდეგ აჯანყდნენ და გადავიდნენ „ჩრდილოეთის მეფის, დიდი კაგანის“ მხარეზე და მისი სურვილით წავიდნენ ჩრდილო-დასავლეთისაკენ, რათა შეერთებოდნენ „ტჩეპტუხის“ ე. ი. ჯაბღუ კაგანის ჯარს. მათთან ერთად გაიარეს ჩორის გასასვლელი და მივიდნენ ჰერაკლეს დასახმარებლად (44:147. სებეოსის ცნობას მსგავს ინტერპრეტაციას უკეთებს ი. კულაკოვსკი. 89:93).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, სომეხ ნახარართა სარდალი აჯანყების დროისათვის ცნობილი სომეხი სამხედრო მოღვაწის სმბატ ბაგრატუნის (გარდ. 618) ძე ვარაზ ტიროცი უნდა ყოფილიყო (18:155, შენ. 9. სომხეთის ისტორიის ავტორთა თანახმად, ვარაზ ტიროცი 628 წელს ბიზანტიასთან დადებული ზავის შემდეგ დაინიშნა აღმოსავლეთ სომხეთის მარზპანად).

თ ა ვ ი IX

ვინ იყვნენ ჯაბღუ, შათი და „თურქთა მეფე საბა“?

ზემოთ არაერთხელ ითქვა, ჯაბღუ თურქთა დასავლეთი სახელმწიფოს კაგანის — „ჩრდილოეთის მეფის“ ძმა, ხოლო შათი „ჩრდილოეთის მეფის ძმის შვილი“ რომ იყო, მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჰერაკლეს მოკავშირეებად რადგან ხაზარებია მიჩნეული, ხოლო ჯაბღუ „ხაზართა ხაკანად“ ითვლება, ქვემოთ ამ საკითხებსაც შევეხები. გავარკვევ „თურქთა მეფე საბას“ ვინაობას.

ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში (8:103; 38:301—308; 5: 136—137; 4:112—114; 24:16—17; 6:280—283)[37] მიღებულია, რომ იმპერატორ ჰერაკლეს მოკავშირენი ირანის წინააღმდეგ 627—628 წლების ომში ხაზარები იყვნენ და სწორედ მათი „ხაკანის“ ჯაბღუს (ძველი ქართული წყაროების „ჯიბღა“, „ჯიბღუ“) და მისი ძის — შათის შემწეობით შესძლო ჰერაკლემ თბილისის აღება 628 წელს.

ჯაბღუს პიროვნების შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ამ ხაკანს ჩვენი მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ „ჯიბღუ“-ს ეძახის. ხოლო სომეხთა ისტორიკოსი მოსე კალანკატუელი „ჯებუ“-ს, ბიზანტიელი ისტორიკოსი კი „ძიებელ“-ს. შემდეგ გერმანელი მეცნიერის ი. მარკვარტის ნაშრომზე (იხ. 128:394, 498) დაყრდნობით მიუთითა: ჯაბღუ „ჩინური წყაროებისდა მიხედვით დასავლეთელი თურქების ხაკანი „ტონგ ჯაბღუ ხაგან“-ი (619—630) ყოფილა“-ო (38:302).

ივ. ჯავახიშვილის მომდევნო თაობის ისტორიკოსებს ყურადღება აღარ მიუქცევიათ ჩინური ცნობისათვის, არ დაინტერესებულან, მართლა ხომ არ იყო ჯაბღუ „დასავლეთელი თურქების ხაკანი“ მაშინ, როცა ეს საკითხი რუსულ ისტორიოგრაფიაში საფუძვლიანად აისახა და ვადაიჭრა კიდეც (იხ. 44:142—156; 65:193—204).

ჯაბღუსა და შათის ვინაობაზე მუშაობისას ჩემი ყურადღება მიი-

---

[37] ხაზართა ისტორიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში მ. არტამონოვი წერს: „ტურკიუტთა არმია თავს დაესხა დერბენდს“ (44:147). იმოწმებს, რა ამ ადგილს ა. ბოგვერაძე „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომში „ტურკიუტების“ (თურქების) ნაცვლად მაინც „ხაზარებს“ ხმარობს (6:280). ასევეა „აზერბაიჯანის ისტორიაში“. მასში შათი „ხაზართა ხაგანის ძმისწულად“ არის მიჩნეული, ხოლო ჰერაკლეს მოკავშირეებად ხაზარები არიან დასახელებულნი (78:97).

პყრო ძველი ქართველი ავტორის ჯუანშერის[36] თხზულებაში 589 წლის ამბებთან დაკავშირებით მოხსენიებულმა „თურქთა მეფე საბამ". დასახელებული პიროვნებანი რადგან ერთი ოჯახის წევრები ჩანან, ქვემოთ საბას ირანში ლაშქრობის ამბავსაც მოგითხრობთ.

რას იძლევიან დასმული საკითხების შესახებ ძველი ქართული წყაროები; არის მათში ჯაბღუ „ხაზართა ხაკანად" მოხსენიებული, ან მათი ნათესაობის შესახებ თუ არის რაიმე ცნობა?

ჯუანშერი მათი ნათესაობის შესახებ არაფერს წერს, ასევე არაფერს ამბობს ჯაბღუს „ხაზართა ხაკანობის" თაობაზეც (40:220—225. ჯაბღუს „ხაზართა ხაკანობის" შესახებ ასევე არაფერს წერენ „მოქცევაჲ ქართლისაჲ". 26:326. და სუმბატ დავითის ძე. 29:374—375). პირიქით, ჯუანშერი საბას იხსენიებს „თურქთა მეფედ", ჯაბღუს — „დასავლელი თურქების ერისთავად". ასე რომ, ძველი ქართული წყაროები (უცხოენოვანი წყაროების შესახებ იხ. ქვემოთ) არ იძლევიან არავითარ საფუძველს, რათა ჯაბღუ „ხაზართა ხაკანად" იქნეს მიჩნეული.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯუანშერის ცნობას საბას თურქთა მეფობის შესახებ ეჭვი არ გამოუწვევია (არც არავის უკვლევია მისი ვინაობა და ისიც თუ რატომ მოხვდა იგი ჯუანშერის თხზულებაში). სამაგიეროდ, „დასავლელი თურქების ერისთავი" ჯაბღუ, როგორც ითქვა, „ხაზართა ხაკანადაა" მიჩნეული. მართალია, სრულიად შესაძლებელია ოჯახის ერთი წევრი „თურქთა მეფე" ყოფილიყო, ხოლო მეორე — „ხაზართა ხაკანი", მაგრამ ამ შემთხვევაშიც წინაალმდეგობას ვაწყდებით, რადგან იმ დროისათვის თუ თურქთა კაგანატი არსებობდა და შეიძლებოდა საბა „თურქთა მეფე" ყოფილიყო (როგორც ქვემოთ ვნახავთ, საბა თურქი უფლისწული იყო), სამაგიეროდ ჯაბღუს „ხაზართა ხაკანობის" საკითხი საეჭვოა, რადგან 627—628 წლებისათვის ხაზარებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შექმნილი კაგანატი და ამიტომ, მათ არც სახელმწიფოს მმართველი კაგანი ეყოლებოდათ.

---

36 ჯუანშერი V ს. ავტორად მიმაჩნია (იხ. ვ. გოილაძე, როდის მოღვაწეობდა ჯუანშერ ჯუანშერიანი? „მნათობი", 1990, № 10), მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მოსაზრებიდან გამომდინარე, ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში" ტექსტის ის ნაწილი, რომელშიც ქვემომოთხრობილი ამბავია გადმოცემული ჯუანშერისადმია მიკუთვნებული, ამიტომ ქვემოთ პირობითად ჯუანშერს მეც ავტორად ვიმოწმებ (ჯუანშერის ავტორობის შესახებ იხ. აგრეთვე ჩემი, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991).

ი. მარკვარტი იმ დროის ხაზარებზე წერს: „სომხური და ჩინური ცნობების შეჯერებით დგინდება, რომ 627—630 წლებში ხაზარები ჯერ კიდევ დასავლეთ თურქების სახელმწიფოს განეკუთვნებოდნენ“ (128: 498). ამავე აზრისაა ხაზართა ისტორიის ცნობილი მკვლევარი მ. არტამონოვი. იგი აღნიშნავს, რომ ხაზარები კავკასიის ჩრდილოეთით თურქებზე ადრე უნდა მოსულიყვნენ, რადგან მათ ვერ მოასწრეს საბირების ბატონობისაგან განთავისუფლება, რომ თურქებს დაექვემდებარნენ (44:133). ლ. გუმილიოვის თანახმად, იმ დროისათვის ხაზარები „...ვოლგისა და თერგის ქვემოწელზე სახლობდნენ“. მათთვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი არ ყოფილა ახალ დამპყრობთა ხელქვეით მოქცევა. ირანის წინააღმდეგ „...589 და 626—630 წლების ომში ხაზარებმა თავიანთი ბედი ისე მჭიდროდ დაუკავშირეს აშინას (დინასტიის. — ვ. გ.) ხანებს, რომ ბერძენი და ირანელი ავტორები „თურქებსა“ და „ხაზარებს“ ხმარობდნენ, როგორც სინონიმებს“ (65:159—160). რაც შეეხება ხაზართა დამოუკიდებელი სახელმწიფოს — ხაზართა კაგანატის შექმნას, ეს უფრო გვიანდელი ფაქტია. ხაზართა კაგანატი დაახლოებით 650 წლის შემდეგ შეიქმნა (46; 44:171), როცა ჯაბღუ ცოცხალი აღარ იყო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში „ხაზართა ხაკანად“ ცნობილი ჯაბღუ, როგორც კაგანატის მმართველი აშინას დინასტიის უფლისწული, თურქთა დასავლეთ კაგანატში ერთ-ერთ საუფლისწულოს განაგებდა, მას ჯუანშერიც ხომ „დასავლელ თურქთა ერისთავად“ იხსენიებს. ჯაბღუსა და საბას ვინაობისა და მათი ნათესაობის გასარკვევად, ჩემს მიერ ზემომოთხრობილი თურქთა კაგანატის შექმნის ისტორია უნდა გავიხსენოთ.

როგორც ითქვა, თურქთა კაგანატის შექმნისთანავე კაგან ბუმინის უმცროსმა ძმამ — ისტემიმ დასავლეთისაკენ ლაშქრობა დაიწყო. სწორედ მის მიერ დასავლეთში ახლად დაპყრობილ მიწებზე ჩამოყალიბდა თურქთა კაგანატის დასავლეთი ნაწილი (კაგანატის გაყოფის შემდეგ თურქთა დასავლეთი კაგანატი). თურქთა დასავლეთი კაგანატი, — წერს ლ. გუმილიოვი, — ...ზოგჯერ იხსენიება „ჯაბღუს თურქებად“, რომლის ქვეშ იგულისხმებიან დასავლეთ კაგანატში მცხოვრები თურქები, იმის მოსაგონებლად რომ ილხან ბუმინის დროს ისტემი იაბღუ იყო“ (65:150. ლ. გუმილიოვის თანახმად, „იაბღუ იგივეა, რაც ჯაბღუ, განსხვავება მხოლოდ დიალექტებშია“. 65:150, შენ. 3; 62:73, შენ., 42).

თურქთა კაგანატში პირველი პირი კაგანის შემდეგ „ჯაბღუ“ იყო და კაგანები „ჯაბღუს“ ტიტულს უბოძებდნენ ხოლმე იმ პირს, რომელიც

კაგანატში მათ მემკვიდრედ, მოადგილედ ითვლებოდა. ეს ზემომოყვანილი ციტატიდანაც ჩანს. ისტემი თავისი უფროსი ძმის ბუმინის მმართველობის ჟამს იაბღუ (ჯაბღუ) იყო.

თურქთა კაგანატში „ჯაბღუ" და „შათი" თანამდებობის უმაღლესი რანგის აღმნიშვნელი ტიტულები რომ იყო, ეს ერთხმადაა აღიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ წოდებების შესახებ საინტერესო მასალას იძლევა ძველი თურქული წერილობითი ძეგლები. კერძოდ, კაგან მოგილიანისა (ბილგე კაგანი — ასე იწოდება იგი საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაში. ტ. 14, სვეტი 632) და ქიულ თეგინის საფლავების წარწერა, სადაც ლაპარაკია, რომ მათ „ტელეს და ტარდუშის ხალხს მისცეს მმართველობა, დაუნიშნეს ჯაბღუ და შათი" (100:38). „ჯაბღუ" და „შათი" თურქთა კაგანატის უმაღლეს ტიტულებად მიაჩნია მ. არტამონოვს. იგი წერს: „იაბღუ და შათი თურქთა კაგანატის უმაღლეს მოხელეთა ტიტულებია" (44:146), ხოლო როცა ლ. გუმილიოვი შეეხო „ჯაბღუს" მნიშვნელობას აღნიშნა: „სახელმწიფოში პირველი პიროვნება ხანის (კაგანის. — ვ. გ.) შემდეგ იყო იაბღუ... იაბღუ იყო ვიცე-მეფე..." (65:53); „...დასავლეთის თურქები ცენტრალური კაგანატის მორჩილების დროს იწოდებოდნენ ჯაბღუს (იაბღუს) თურქებად" (67:25). ტიტულ „შათის" შესახებ კი მიუთითა: „წოდება იაბღუსაგან განსხვავებით ტიტული შათი ეძლეოდათ მხოლოდ სამეფო სისხლის მქონე პიროვნებებს" (67:24). ნ. კიუნერმა ჩინური წყაროების გამოცემისას ტიტული „შათი" ასე განმარტა: „ცალკეული აიმაკების ჯარების სარდლებს ეწოდებოდათ შათი ან შე" (90:327).

ზემომოტანილი მასალებით თუ ვიხელმძღვანელებთ, უნდა ვიფიქრობ, რომ თურქთა კაგანატის მმართველი აშინას დინასტიის სხვა წარმომადგენლებსაც უნდა ჰქონოდათ ტიტული „ჯაბღუ" და „შათი". მაგ., ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ ასევე ჯაბღუდ („ჯიბღად", „ჯიბღუდ") იწოდებოდა ქართულ საისტორიო ლიტერატურაში „ხაზართა ხაკანად" ცნობილი თურქი უფლისწული, ხოლო მისი ძე — შათად. ამიტომ დგება საკითხი, ასევე ტიტულის აღმნიშვნელი ხომ არ არის მათი სახელები? საინტერესოა რას იძლევიან ამ მხრივ ძველი ქართული, ბიზანტიური და სომხური წყაროები.

სომეხი ისტორიკოსი მოვსეს კალანკატუაცი, მართალია, ჯაბღუს (ჯებუს) საკუთარ სახელად იხსენიებს, მაგრამ, სამაგიეროდ გარკვევით მიუთითებს, რომ ჯაბღუ იყო „ჩრდილოეთის მეფის ნაცვალი...", რომ იგი „...მეორე იყო მის სამეფოში" (25:72). თეოფანე ჟამთააღმწერლის

თანახმად კი, იმპერატორ ჰერაკლეს მოკავშირეებმა „...გადმოლახეს კასპიის კარი, შეიჭრნენ აზკონგამის (ალბანეთი. — ვ. გ.) ქვეყანაში ძიებელის ხელმძღვანელობით, რომელიც ღირსებით მეორე იყო კაგანატში“ (92:235).

როგორც ვხედავთ, მოვსეს კალანკატუაცი და თეოფანე ეამთააღმწერელი გარკვევით მიუთითებენ, რომ ჯაბღუ იყო „ჩრდილოეთის მეფის ნაცვალი“ და „ღირსებით მეორე კაგანატში“. ეს ცნებები კი შინაარსით თურქული ტიტულის „ჯაბღუს“ იდენტურია.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ძველ ქართულ წყაროებში?

ჯუანშერი როცა ჩვენთვის საინტერესო ამბებზე იწყებს თხრობას, წერს, რომ იმპერატორმა ჰერაკლემ ირანის წინააღმდეგ ომში მოკავშირედ „...მიიყვანნა დასავლეთით თურქნი...“ (40:223). ჯუანშერი, როგორც ვხედავთ, გარკვევით უთითებს ჰერაკლეს მიერ მოკავშირედ მოყვანილ „დასავლელ თურქებზე“. რა თქმა უნდა, ჯაბღუ არც ჯუანშერის მიერ გამოყენებულ წყაროში იქნებოდა დასახელებული „ხაზართა ხაკანად“, რის გამოც, ჯაბღუს „ხაზართა ხაკანობის“ ამბავი არც ჯუანშერთან აისახა.

აქვე დგება საკითხი. რადგან „ჯაბღუ“ სახელმწიფოში „ღირსებით მეორეს“ ნიშნავდა, ჯუანშერის მიერ ნახმარ გამოთქმაში „ჯაბღუ ერისთავი“ — „ერისთავი“ ხომ არაა „მეფის ნაცვლის“ სინონიმად გამოყენებული?

ი. აბულაძე „ერისთავს“ ასე გამარტავს: „ერის-თავ-ი „მთავარსპადპეტი“, „წინამძღუარი“, მხედართმთავარი, მთავარი,... კუთხის მმართველი“ (1:150). ივ. ჯავახიშვილის თანახმად, „დაბადების ქართულ თარგმანში ჯარის უფროსის აღსანიშნავად... „ერისმთავარი“ არის ნახმარი“ (38 ᵃ:165).

„ძველი ქართული ტრადიციით, — წერს გ. მელიქიშვილი, — სახელმწიფოში პირველ ადგილზე სამხედრო უწყება იმყოფებოდა, რომლის სათავეში იდგა „სპარაპეტი“ — „მეორე პიროვნება სამეფოში“. ძველქართულად იგი ალბათ „ერისმთავრად“ („ერის (=ხალხი, ჯარი) თავი“) იწოდებოდა“ (101:459). გ. მელიქიშვილი იქვე უმატებს „ერისთავი“, გარდა სამხედრო ფუნქციებისა, სამოქალაქო საქმეებსაც განაგებდა და ამიტომ „...ქართლში ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სათავეში მდგომ პიროვნებებს „ერისთავები“, „ერისმთავრები“ ეწოდებოდათ“ (101:463).

ერისთავებს ქართლში ასეთი ფუნქციები კარგა ხანს უნდა შემორჩენოდათ. ასე რომ, ჯუანშერს თავისუფლად შეეძლო თურქული წოდების „ჯაბღუს“ ქართულ შესატყვისად „ერისთავი“ ეხმარა. როგორც ვნახეთ, ძველად „ერისთავი“ თავისი შინაარსით როგორც მსედართმთავრის, ისე კუთხის მმართველის აღმნიშვნელი იყო. ამრიგად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჯუანშერთან „ჯაბღუ“ საკუთარ სახელად არის ნახმარი, მას ამ ტიტულის შინაარსი უნდა სცოდნოდა, რის გამოც „ჯაბღუს“ შინაარსობლივ შესატყვისად „ერისთავი“ უხმარია.

ახლა რაც შეეხება ტიტულს „შათი“. როგორაა იგი ასახული ძველ წყაროებში?

ტიტულ „შათის“ შესახებ საინტერესო ცნობაა მოვსეს კალანკატუაცის თხზულებაში. მოვსესი წერს: ჰერაკლეს „...ჩრდილოეთის მეფემ გაგზავნა შეპირებული ლაშქარი თავისი ძმისწულის სარდლობით, რომელსაც მისი მთავრული ხელისუფლების აღსანიშნავად შათის უწოდებდნენ“ (105:81).

მოყვანილი ციტატიდან ნათლად ჩანს: 1. შათი „ხაზართა ხაკანის“ ძე კი არ იყო, არამედ „ჩრდილოეთის მეფის“ (კაგანის. — ვ. გ.) ძმისწული; 2. მას „მთავრული ხელისუფლების გამო უწოდებდნენ შათის“[39].

ზემომოტანილი მასალიდან გამომდინარე „ჯაბღუ“ და „შათი“ თურქთა კაგანატში უმაღლეს ხელისუფალთა ტიტულები იყო. ამიტომ ჰერაკლეს მოკავშირე თურქთა ჯარის სარდლებისთვისაც „ჯაბღუ“ და „შათი“ ტიტულები უნდა ყოფილიყო და არა მათი საკუთარი სახელები. მაშ რა ერქვათ მათ?

ჯაბღუსა და შათის საკუთარი სახელების, ასევე ჯაბღუსა და „თურქთა მეფე საბას“ ნათესაობის გასარკვევად თვალი გადავავლოთ ისტემის შთამომავლობას. თხრობას დავიწყებ კაგან ტუნ შეჰუდან[40].

---

[39] შათის ტიტულის შესახებ ძველ თურქულ წერილობით ძეგლში ვკითხულობთ: „როცა ტახტზე იჯდა ჩემი ბიძა — კაგანი, მე თვითონ ტარდუშის ხალხის შათი ვიყავი“ (100:38). მოვსეს კალანკატუაცის თხზულების რუსულ ენაზე მთარგმნელმა შენიშნა, რომ შათს ნ. ადონცი ტიტულად თვლიდაო (105:201, შენ. 62).

[40] ტუნ შეჰუ საბჯოთა ისტ. ენციკლოპედიაში ტონ იაბღუდ 618—630 იწოდება (იხ. ტ. 14, სვეტი 632); ნ. ბიჩურინის განმარტებით „ტუნ სახელია, შეჰუ დიდებულია ხაერთო წოდება“ (51:283, შენ. 3). ი. მარკვარტი შე-ჰუს იყენებს ჯაბღუს, ხოლო „შა“-ს შათის სინონიმად (127:85). მ. არტამონოვს „შეჰუ“ ტიტულ „ჯაბღუს“ ჩინურ შესატყვისად მიაჩნია (44:143).

619 წელს თურქთა დასავლეთი კაგანატის ტახტი კაგან შეგუის მომდევნო ძმამ ტუნ შეჰუმ დაიკავა (იგივე ტუნ ჯაბღუ, რადგან უფროსი ძმის, შეგუის კაგანობის დროს იგი ჯაბღუდ — მოადგილედ ითვლებოდა).

მ. არტამონოვისა და ლ. გუმილიოვის თანახმად, იგი არის მოვსეს კალანკატუაცისა და თეოფანე ჟამთააღმწერელის თხზულებებში მოხსენიებული „ჩრდილოეთის მეფე" და „დიდი კაგანი". „ამ დროს დასავლეთ თურქთა სახელმწიფოს ხანი, — წერს ლ. გუმილიოვი, — სუვერენული ხელმწიფე, ტუნ ჯაბღუ იყო. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგია „ჩრდილოეთის მეფე". მით უმეტეს, რომ ჯაბღუ ხანისა და „ჩრდილოეთის მეფის" ფაღუპვის თარიღი ერთი და იგივეა — 630 წელი" (65:159). ტუნ შეჰუს რეზიდენცია ჩაჩას ოაზისის (ღღევანდელი ქ. ტაშკენტის მახლობლად) ჩრდილოეთით მდებარეობდა. იქ ღებულობდა იგი აღმოსავლეთისა (ჩინეთის) და დასავლეთის (ბიზანტიის) იმპერატორთა ელჩებს (65:163).

კაგან ტუნ შეჰუს შემდეგ „მეორე პიროვნება კაგანატში" — „ჯაბღუ კაგენი" (ე. ი. მოადგილე კაგანი) იყო ტუნ შეჰუს მომდევნო ძმა მოხო შათი, დიდი კაგანი ძმისწულის შათის მამა (44:146).

ასე რომ, მოხო შათი არის საქართველოს ისტორიაში „ხაზართა ხაკანად" ცნობილი, იმპერატორ ჰერაკლეს სამხედრო მოკავშირე ჯაბღუ. ამიტომ, მასზე უფრო ვრცლად შევჩერდები.

მოხო კაგან ტუნ შეჰუს მომდევნო და ყველაზე უმცროსი ძმა იყო (იხ. 15:101, ცხრილი). საინტერესოა, სად მდებარეობდა მისი სამფლობელო თურთქა დასავლეთი კაგანატის კუთვნილ უზარმაზარ ტერიტორიაზე. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ველებზე მცხოვრები და მომთაბარე ხალხები თურქთა კაგანატის გაყოფის შემდეგ თურქთა დასავლეთი კაგანატის ხელქვეით მოექცნენ. სწორედ ამ მიწების ნაწილის გამგებელი (კაგანის ნაცვალი — ჯაბღუ) უნდა ყოფილიყო ტუნ შეჰუს მომდევნო ძმა მოხო შათი-ჯაბღუ. სწორედ მოხოა მოვსეს კალანკატუაცისა და თეოფანე ჟამთაღმწერლის „ჩრდილოეთის მეფის ნაცვალი", „ღირსებით მეორე კაგანატში", „დიდი კაგანის უმცროსი ძმა" და „ჩრდილოეთის მეფის ძმისწულის მამა". იგია ჯუანშერის „ჯიბღა დასავლელ თურქთა ერისთავი".

626—628 წლებისათვის ტუნ შეჰუს უფროსი ძმები (ნილი, პოშო, შეგუი) ცოცხლები აღარ იყვნენ (65:159). კაგანი შეგუი ტუნ შეჰუმ შეცვალა. ამ დროს ცოცხალი იყო მხოლოდ კაგან ტუნ შეჰუს უმცროსი ძმა მოხო შათი.

რატომ შემორჩა მის სახელს შათის ტიტულიც?

უნდა ვიგულისხმოთ, რომ თურქთა კაგანატში არსებული ტახტის მემკვიდრეობის წესის თანახმად, მოხოს ჯაბღუს ტიტულის მიღებამდე შათის ტიტული უნდა ეტარებინა. ე. ი. სანამ ჯაბღუდ შეგუის კაგანობის დროს, შეგუის მომდევნო ძმა ტუნ შეჰუ იწოდებოდა, მოხოს მხოლოდ შათის ტიტული შეიძლებოდა მიეღო. მაგრამ, შეგუის გარდაცვალების შემდეგ, როცა მოხოს უფროსმა ძმამ, ტუნ შეჰუმ, კაგანის ტახტი დაიკავა, მოხო შათი უკვე ჯაბღუ-კაგანის მოადგილე გახდა. ჯაბღუს წოდების მიღებასთან ერთად იგი კაგანატის დასავლეთის მიწების გამგებელი შეიქმნა. სწორედ ამ დროს დაემთხვა მისი ამიერკავკასიაში სალაშქროდ გადმოსვლა და წყაროებში იხსენიება როგორც „ჩრდილოეთის მეფის ნაცვალი" (ძველ თურქებში ტახტის მემკვიდრეობის წესის შესახებ იხ. 67).

კაგან შეგუის დროს მოხო უკვე სახელმწიფო საქმეებში ჩანს ჩარეული, ხოლო ტუნ შეჰუს დროს 619—626 წლებს შორის დიპლომატიური მისიით ყოფილა ჩინეთში[41] (65:159; 44:146—147). 626 წლის შემდეგ ჩინურ წყაროებში მასზე ცნობები აღარ მოიპოვება. „ყველაზე ბუნებრივია ვიგულისხმოთ, — წერს ლ. გუმილიოვი, — რომ მან მიიღო იაბღუს ტიტული, გახდა კაგანატის დასავლეთი ნაწილის მმართველი და მეორე პირი კაგანის შემდეგ, რადგან იგი კაგანის ყველაზე ახლო ნათესავი იყო" (65:159). რაც შეეხება იმას, რომ ჩინური წყაროები მოხო შათზე არ იძლევიან არავითარ ბიოგრაფიულ ცნობას, ეს ერთხელ კიდევ არაპირდაპირ მიუთითებს, რომ მისი საუფლისწულო სამფლობელო ჩინელი ავტორებისაგან შორს, დასავლეთში მდებარეობდა (65:159).

რაც შეეხება მოხო ჯაბღუს შვილს შათის.

მოხო ჯაბღუს სამი ძე ჰყავდა. ნიშუ, ტუნვო და ბული (44:147). ლ. გუმილიოვის თანახმად, „შათი მესამე ძმა უნდა იყოს, რადგან ამ ტიტულს ოურქთა დასავლეთ კაგანატში დასავლეთის საუფლისწულოების მფლობელები ატარებდნენ..." (65:159). შათის უფროს ძმას ნიშუს ჰქონდა კიანია შათის (ბიჩურინთანაა გიანია) საუფლისწულო ტიტული. ნიშუს მომდევნო ძმა ტუნვო იყო ყაშღარის მფლობელის მეგობარი, ამიტომ ფიქრობენ, რომ მისი საუფლისწულო სამფლობელო ტიან-შანის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. მესამე ძმა ბული (ბური — ძველ თურქულად მგელი) შათი, თუ ვიმსჯელებთ მისი წოდების მიხედით კაგანატის დასავლეთი მიწების მფლობელი უნდა ყოფილიყო. ბური შათზე ჩინური წყარო-

---

41 ამ ელჩობის დროს უნდა ყოფილიყო მოლაპარაკება ტუნ შეჰუს საცოლის შესახებ.

ები არ გვაწვდიან ცნობებს. რადგან მისი სამფლობელო მათი მხედველობის არედან შორს იყო (44:147, შენიშვნა). სწორედ ეს შათია თეოფანე ყამთააღმწერელთან და მოვსეს კალანკატუაციისთან მოხსენიებული „ჩრდილოეთის მეფის ძმისწული“ და „ჯიბღა ხაკანის“ ძე. მ. არტამონოვის თანახმად „თუ ვიმსჯელებთ შათის ახალგაზრდობით, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი არის მოხო შათის უმცროსი ძე ბური შათი, რომელიც კავკასიაში იბრძოდა და რომელსაც თეოფანე ყამთააღმწერლის ცნობით საბეზე „ღინღლი ახალი ამოსული ჰქონდა“ (44:147).

* * *

ახლა ვნახოთ ვინ იყო „თურქთა მეფე საბა“ და რა ნათესაურ დამოკიდებულებაში იყო იგი ჩვენთვის ცნობილ მოხო ჯაბღუსთან.

თურქთა მეფე საბას ვინაობაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა რასთან დაკავშირებით მოხვდა იგი ჯუანშერის ტექსტში.

„მაშინ გამოჩნდა სპარსეთს კაცი ერთი, — წერს ჯუანშერი, — რომელსა ერქუა ბარამ ჩუბინი, ესე ეწყო თურქთა, სპარსეთს შემოსრულთა... მოკლა საბა, თურქთა მეფე, და აოტა ბანაკი მათი“ (40:220).

მოტანილი ციტატიდან ჩანს, საბა თურქთა მეფე ყოფილა (როგორც ჯაბღუ, ისე საბა ირანის წინააღმდეგ იბრძვიან), ისიც ნათელია, ჯუანშერი ირანში თურქების ლაშქრობის ამბავს რომ გადმოგვცემს. აღმოსავლეთ ირანში შუა აზიიდან შეჭრილი თურქები, რა თქმა უნდა, თურქთა დასავლეთი კაგანატის ლაშქარი უნდა ყოფილიყო (თვით მეფე საბა კი თურქთა დასავლეთი კაგანატის მმართველი აშინას დინასტიის წარმომადგენელი). როგორც ზემოთ ვნახეთ, ეფტალიტთა სახელმწიფოს განადგურების შემდეგ, თურქთა კაგანატი უშუალოდ ირანს დაუმეზობლდა ღა საზღვარი მათ შორის მდ. ამუდარიაზე დაიდო (85:157). ამის შემდეგ თურქებმა დაპყრობითი ომები გააგრძელეს და ჩქარა „სასანიანთა სამეფოს საერთო საზღვრები შეექმნა თურქთა იმპერიასთან არა მარტო შუა აზიაში, არამედ კასპიის ზღვის დასავლეთ ოლქებშიც“ (47:583). ამავე ხანებში თურქები ბიზანტიასაც დაუმეზობლდნენ და ბოსფორი წაართვეს (67:14). მაგრამ თურქთა საომარი მდგომარეობა ბიზანტიასთან მალე მათ შორის მეგობრობით შეიცვალა, რაც გამოწვეული იყო ინტერესთა ერთობით დაემყარებინათ პირდაპირი სავაჭრო ურთიერთობა ირანის გვერდის ავლით. ამიტომ, 589 წელს თურქთა კაგანატმა რო-

გორც ბიზანტიის მოკავშირემ ირანის წინააღმდეგ დაიწყო ომი (63:82. 589 წლამდეც, როგორც ზემოთ ვნახეთ, და ამის შესახებ ვ. ბარტოლდი მიუთითებს თურქებსა და ბიზანტიელებს შორის არაერთსელ იყო მოლაპარაკება სასანიანების წინააღმდეგ ერთობლივი ომის შესახებ. 47:582; შდრ., 35:128 და შემდეგი).

როგორც ჯაბღუსა და შათის ლაშქრობა „დასავლელ თურქებით" ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს მხარეზე ირანის წინააღმდეგ 627—628 წლებში, ისე „თურქთა მეფე საბას" შეჯრა 589 წელს ირანში შუა აზიიდან ქართულ სამყაროსთან კავშირში მოხდა. ისე, როგორც 627—628 წლებში, 589 წელსაც ქართლი ირანის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 589 წელს იგი ანტიირანული კოალიციის ქვეყნებს შორის მოხვდა.

იმ ხანადაც, ანტიირანულ კოალიციის სათავეში ბიზანტია იდგა. მან ომში ჩაითრია არაბი შეიხები, ასევე კავკასიელი მთიელები, რომელთაც „ქართლის მეფე გუარამი მეთაურობდა" (61:228).

ქართლის ერისთავთა მთავრის გუარამის ანტიირანულ კოალიციაში მონაწილეობის ამბავს ჯუანშერი ასე გადმოგვცემს: „მაშინ კეისარმან წარმოსცა განძი დიდი გუარამ კურაპალატისა თანა, და უბრძანა, რათა მით განძითა გამოიყვანნეს ჩრდილოს ლაშქარნი, და შეერთნეს თანა სპანი ქართველთანი, და შეგზავნნეს სპარსეთს. ხოლო გუარამ ყო ეგრე: გამოიყვანნა ოვსნი, დურძუკნი და დიდონი, და წარუძღუანნა წინა ერისთავნი ქართლისანი. შევიდეს ადარბადაგანს, დაუწყეს ტყუენვად. და ესეეითარნი ჯირნი და უცალოებანი მოიწივნეს სპარსთა ზედა" (40:219—220). ლ. გუმილიოვის თანახმად, სწორედ გუარამის შუამდგომლობით იქნა მიღწეული 589 წელს სამხედრო მოქმედებათა კოორდინაცია (64:64). 589 წლის დასაწყისში ანტიირანული კოალიციის მონაწილენი ერთდროულად შეიჭრნენ ირანში. გუარამის სამხედრო მოქმედებათა პარალელურად ბიზანტიელებმა რამდენიმე ადგილას დაჯმარცხეს ირანელები (ტაბარის ცნობით, ბიზანტიელებს ამ დროს 80 ათასი მეომარი ჰყავდათ. 129:269—270. ფირდოუსი კი 100 ათასს უთითებს. 115:17), არაბებმა გაძარცვეს მესოპოტამია და გაანადგურეს ირანელთა საბაჟოები. სწორედ ამავე ხანს აღმოსავლეთიდან ირანის წინააღმდეგ გამოილაშქრა „ჩინელ თურქთა" მეთაურმა საბა-შაჰმა, რომელიც ლ. გუმილიო-

ვის თანახმად იგივე იანსუ-თეგინია[42], თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებლის დიანგუ ყარა ჩურინის ძე (61:128). ირანის ლაშქარი, რომელიც საზღვარს იცავდა უკუიქცა და თურქებს გზა გაეხსნათ ხორასნისაკენ. მაგრამ, 589 წლის აგვისტოში ირანელებმა ბაჰრამ ჩუბინის სარდლობით სასტიკად დაამარცხეს თურქები ჰერათთან (ამ ბრძოლაში ბაჰრამს მხოლოდ 12000 მეომარი ჰყავდა. 129:270—271; 41:26).

ჰერათთან გამარჯვების შემდეგ ირანელებს საშუალება მიეცათ კვლავ კავკასიის ფრონტისათვის მიეხედათ. ჯუანშერის გადმოცემით უკან გაბრუნდნენ ბიზანტიელები, ასევე „...ჩრდილონი იგი, გუარამ კურაპალატისა შეგზავნილნი, წარმოვიდეს იგინიცა შინა; რამეთუ ვინაითგან მოიცალეს სპარსთა თურქთაგან, შეშინდეს, და დაეცა შიში და ძრწოლა ქართველთა სპარსთაგან“ (40:220).

ასეთი იყო ქართლისა და მისი ერისთავთა მთავრის — გუარამის როლი იმ ომში, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო პიროვნების „თურქთა მეფე საბას“ ვინაობის გარკვევასთან დაკავშირებით შევეხეთ.

ლ. გუმილიოვის თანახმად, საბა რომ მართლაც იანსუ-თეგინია, დასავლელ თურქთა უფლისწული, ამას ირანული საისტორიო ტრადიცია კატეგორიულად ამტკიცებს „სავე შაჰი, ხაკანის შვილი, რომელიც ჰორმიზდის ბიძა იყო დედის მხრივ“ (63:87). ლ. გუმილიოვის აზრით, „ხაკანში“ იგულისხმება ისტემი, რომლის ქალიშვილი ცოლად შეირთო ხოსრო I ანუშირვანმა[43]. მაგრამ, ამ ისტორიულ ტრადიციაში აღრევაა, რადგან იანსუ-თეგინი (იგივე საბა) ისტემის შვილი კი არა, შვილიშვილია, და ჰორმიზდი მისი მამიდაშვილი იყო (63:87—88). ირანული ისტორიული ტრადიციის აღრევას ლ. გუმილიოვი ასე ხსნის: „როცა ხოსრომ ისტემის უმცროსი ასული შეირთო, იგი თითქმის გოგონა იყო, ხოლო იანგ სოუხი — დიანგუ ყარა ჩურინ თურქის უმცროსი ძე, წლოვანებით თავისი მამიდის ტოლი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ირანელმა ელჩებმა ისინი და-ძმად მიიჩნიესო“ (63: 87—88).

როგორც ზემომოტანილი თხრობიდან ჩანს, ირანის შაჰი ჰორმიზდ IV

---

[42] იანსუ-თეგინი ტაბარისთან „შაბად“ იწოდება (129:260—270), მისი თურქული სახელი იყო იანგ სოუხი (თურქ. დიდი ყინვა). ამ ლაშქრობისას საბას ტაბარის ცნობით, 300 ათასი მეომარი ჰყავდა (129:269), ფირდოუსის თანახმად 400 ათასი (41;11; 115:16). გუმილიოვი საბას ლაშქარს 20 ათასს ანგარიშობს, რადგან ჰერათთან იდგა ერთი უფლისწული და ისიც არა ყველაზე ძლიერი (64:70).

[43] ფირდოუსი ხოსრო I-ზე წერს: «Хосров, по матери, — хакана внук» (41:330).

(579—590) იანგ-სოუხი-საბას მამიდაშვილი იყო, ხოლო „ჩრდილოეთის მეფის ნაცვალი“ ჯაბღუ იანგ-სოუხის ძეა (იხ. 15:101, ცხრილი).

ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში „ხაზართა ხაკანად“ ცნობილი ჯაბღუ (ჯიბღა) თურქთა დასავლეთი კაგანატის მმართველი აშინას დინასტიის უფლისწული იყო. იგია მოვსეს კალანკატუაცის „ჯებუ“ — „ჩრდილოეთის მეფის ნაცვალი“, თეოფანე ჟამთააღმწერლის „ძიებელი“ — „ღირსებით მეორე კაგანატში“ და ჯუანშერის — „ჯიბღა დასავლელ თურქთა ერისთავი“. ჯაბღუს ნამდვილი სახელია მოხო, ხოლო მის ძის შათისა — ბური. „ჯაბღუ“ და „შათი“ მათთვის ტიტულების აღმნიშვნელია. „თურქთა მეფე საბა“ მოხო ჯაბღუს მამა იყო.

თავი X

იმპერატორ ჰერაკლეს ლაშქრობა ირანში

627 წლის შემოდგომის დამდეგს ჰერაკლემ ალყა მოხსნა თბილისს და ჩქარი მარშით ირანის შუაგულისაკენ გაემართა. ჰ. მანანდიანის გამოკვლევის თანახმად, ირანისაკენ მიმავალი ჰერაკლე თბილისიდან ჯარით მდ. მტკვარს აუყვა. დღევანდელი ბორჯომიდან ბაკურიანის ან აწყურისა და მინაძის (ესენი სოფლებია ახლანდ. ახალციხის რაიონში) გავლით ავიდა ჯავახეთში. ჯავახეთიდან კი სომხეთის გავლით შევიდა ირანის ტერიტორიაზე (98:149).

ირანის შუაგულისაკენ მიმავალ ჰერაკლეს იმ 40 ათასი მეომრისაგან, რომელიც ჯაბღუმ ჰერაკლესთან დატოვა შათის სარდლობით, რათა ერთად ელაშქრათ ირანის წინააღმდეგ, გზადაგზა თითქმის ყველა ჩამოცილდა. თეოფანე ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს: სანამ გადამწყვეტი ბრძოლა მოხდებოდა (მისი ცნობით ეს ბრძოლა 12 დეკემბერს, შაბათ დღეს მოხდა ქ. ნინევიის ნანგრევებთან), სექტემბრის თვეში ჰერაკლე თურქებთან ერთად შევიდა ირანის ტერიტორიაზე.., მაგრამ თურქებმა ზამთრის დადგომისა, ირანელთა მხრივ განუწყვეტელი თავდასხმებისა და იმ მძიმე შრომის გამო, რომელიც უნდა გადაეტანათ მეფესთან ერთად, დაიწყეს ნელ-ნელა გაპარვა და ბოლოს იგი ყველამ მიატოვა (92:236).

ირანის წინააღმდეგ მიმავალი თურქ-ბიზანტიელთა ლაშქრიდან თურქთა გაქცევა ი. კულაკოვსკიმ სიცხითა და მტრულ ქვეყანაში ლაშქრობის მძიმე პირობებით ახსნა (89:94). მაგრამ, ასეთი მოსაზრება

მთლად დამაჯერებელი არ ჩანს. ვფიქრობ, შუა აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ველებზე მომთაბარე ხალხისათვის სექტემბრის თვეში ირანის ტერიტორიაზე სიარული მაინცდამაინც აუტანელი არ უნდა ყოფილიყო. თურქების მიერ ირანის წინააღმდეგ ლაშქრობისათვის თავის არიდება, ისევ თურქების მდიდარი ქვეშევრდომების, სოღდიელების ირანთან სავაჭრო პარტნიორობას უნდა განეპირობებინა. როგორც ზემოთაც მივუთითე, თურქები არ იყვნენ დაინტერესებულნი ირანში ლაშქრობით. ამას, როგორც მოვლენათა მსვლელობიდან გამოჩნდა, თვით ჰერაკლეც კარგად გრძნობდა. გავიხსენოთ — ორი თვე გადიოდა რაც მოკავშირეები თბილისთან იდგნენ, ქალაქი კი ვერ აიღეს. ჯაბღუს უკან გაბრუნება ეჩქარებოდა, ჰერაკლეს კი ირანში ლაშქრობა. ამიტომ, როგორც კალანკატუაცი გადმოგვცემს ჰერაკლემ თვით შესთავაზა მოხო-ჯაბღუას დაეტოვებინა თბილისი (25:71).

ჰერაკლემ, მართალია, თვით ურჩია მოკავშირეს თბილისის გარემოცვისათვის დროებით დაენებებინათ თავი, მაგრამ 40 ათასი თურქი მოლაშქრის ჩამოცილება მისთვის ნამდვილად არ იქნებოდა სასიამოვნო.

მოკავშირე თურქთა ჩამოცილების მიუხედავად ჰერაკლემ ლაშქრობა გააგრძელა. 627 წლის 1 დეკემბერს მისი ლაშქარი ნინევიის ნანგრევების (დღევანდელი ერაყის ქ. მოსულის მახლობლადაა ეს ნაქალაქარი) ახლოს მდ. ტიგროსის ნაპირზე განლაგდა (91:107). 12 დეკემბერს შაბათ დღეს გადამწყვეტ ბრძოლაში რაჰზადაჰის სარდლობით მებრძოლი ირანელები დამარცხდნენ[44] (89:96). ნინევიასთან გამარჯვების შემდეგ ჰერაკლე გაემართა ირანის დედაქალაქ ქტეზიფონისაკენ. გზაში აიღო და დაანგრია სამეფო რეზიდენცია დასტაგერდი[45]. ამ სამხედრო წარმატებების დროს, ირანის ტერიტორიაზე გამარჯვებით მავალ ჰერაკლეს, როგორც თეოფანე გადმოგვცემს ხოსრო II-ისათვის თვით შეუთავაზებია ზავი. „...ახლა მაინც დავყაროთ იარაღი, დავამყაროთ მშვიდობა, ჩავაქროთ ომის ცეცხლი“ შეუთვლია ჰერაკლეს, მაგრამ, დასძენს თეოფანე, ხოსრო ამჯერადაც არ დათანხმდა ზავს. ამიტომ მის წინააღმდეგ აღმოცენდა სპარსელთა სიძულვილი (92:240). ლ. გუმილიოვის ვარაუდით, ჰერაკლეს დაინტერესება ზავით გამოწვეული უნდა ყოფილიყო შიშით, შუა აზიაში ვითარე-

---

[44] თეოფანე ყამთააღმწერლის ცნობით ამ ბრძოლაში დაატყვევა ჰერაკლემ ირანელთა მხარეზე მებრძოლი ქართველი დიდებული — მთავარი („არქონ ტონ იბერონ“) ვარსამუსე (ვარსამიზისი) 92:237).

[45] ახლანდელი ისკი-ბაღდადი სოფ. შაპრაბანის მახლობლად, ერაყის ქ. ბაღდადიდან 16 ფარსანგის სავალზე (48:192).

ბის შეცვლას არ გამოეწვია თურქთა საბოლოოდ უკან გაბრუნება და იგი მოკავშირეთა გარეშე არ დარჩენილიყო (65:196. მართლაც, შემდეგში, 630 წელს შუა აზიაში მდგომარეობის შეცვლასთან დაკავშირებით თურქებმა სასწრაფოდ დატოვეს ამიერკავკასია).

ქტესიფონის მისადგომებთან ჰერაკლეს გზა გადაულობა ირანის არმიამ. ჰერაკლემ უკან დახევა გადაწყვიტა და განძაკისაკენ გაემართა. თითქოს უნდა განმეორებულიყო 624 წლის ამბავი, როცა ირანის სამფლობელოთა სიღრმეში შეჭრილმა, ძლივს დააღწია თავი მტრის ალყას. მაგრამ ამჯერად ბედმა გაუღიმა. განძაკში მისულ იმპერატორს 628 წლის 11 მარტს ირანის ელჩმა, როგორც ტაბარი წერს, 29 თებერვალს ირანში მომხდარი ტახტის გადატრიალების ამბავი შეატყობინა (129:382, 435; 98:153).

ი. კულაკოვსკის თანახმად, ჰერაკლემ იცოდა ირანის სამეფო კარზე ხოსრო II-ის წინააღმდეგ შეთქმულება რომ მზადდებოდა. იგი კონსტანტინოპოლში გაგზავნილ წერილებში თურმე იუწყებოდა თავისი ბრწყინვალე გამარჯვებისა და ირანში მოსალოდნელი გადატრიალების შესახებ (89:103). თეოფანე ჟამთააღმწერელი ტახტის გადატრიალების ამბავს ასე გადმოგვცემს: მისი ცნობით, დასტაგერდიდან გაქცეულ ხოსრო II-ს თითქოს სურდა ტახტზე თავისი უფროსი ძე შიროე კი არა, მეორე ძე — მარდასენი დაესვა. გაუგია თუ არა ეს შიროეს, ხოსროს ერთ-ერთ სარდალს დაწინაურებას შეპირებია, ხოლო ჯარს ხელფასის მომატებას. შეთქმულებს 23 მარტს მდ. ტიგროსთან ხოსროს თვალწინ მოუკლიათ მარდასენი (92:241). ამის შემდეგ თვით ხოსროც მოკლეს[46].

ირანის ტახტზე ასულმა კავად-შიროემ დაუყოვნებლივ დაიწყო საზავო მოლაპარაკება ჰერაკლესთან. 628 წლის 3 აპრილს ზავი დაიდო[47] (44:149).

---

[46] ხოსრო II-ის მკვლელობის დროდ ტაბარი თუ 628 წლის 29 თებერვალს უთითებს, ანონიმურ სირიულ ქრონიკაში არსებული ცნობით, ტახტის გადატრიალება ირანში „ხოსროს მეფობის 38-ე წელს თებერვლის 9 რიცხვში, შაბათს მოხდა" (75:269). ანტიოქ სტრატიგის თანახმად ხოსრო მოკლეს იერუსალიმის წარტყვევნის მეთხუთმეტე და პერაკლეს მეფობის მეცხრამეტე წელს მარტის თვეში (43:ად-ად). სახელმწიფო გადატრიალების დროდ ასევე მარტს უთითებს თეოფანე ჟამთააღმწერელი (92:240).

რადგან კავად-შიროემ ხოსროს მოკვლისთანავე გაგზავნა ელჩი ჰერაკლესთან ზავის დასადებად, ზავი კი 628 წლის 3 აპრილს დაიდო, უფრო სწორი უნდა იყოს ხოსროს მკვლელობის დროდ მითითებული მარტის თვე.

[47] საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაში ზავის დადების თარიღად 629 წელია მითითებული (იხ. 77).

628 წლის 8 აპრილს უკან გაბრუნებულ კავად-შიროეს ელჩობას ჰერაკლემ თავისი ელჩი ევსტაფიოსი გააყოლა და თან წერილი გაატანა. წერილში 614 წელს იერუსალიმიდან გატაცებული „ძელი ცხოვრებისას“ უკან დაბრუნებას მოითხოვდა (89:104—105). ელჩების გასტუმრებისთანავე 8 აპრილს ჰერაკლემ დატოვა განძაკი და ზემო მესოპოტამიის ცენტრში ქ. ამიდაში გადავიდა. იქ დაელოდა „ძელი ცხოვრების“ ირანიდან მოტანას (89:105—107).

628 წლის 3 აპრილს ბიზანტიასა და ირანს შორის დადებული ზავი ლ. გუმილიოვის თანახმად სეპარატული იყო (65:195). საქმე ისაა, რომ ზავის დადებაში მოკავშირეები არ მონაწილეობდნენ. რაც მთავარია, ჰერაკლეს მოკავშირე თურქები ომს აგრძელებდნენ. ჰერაკლე დებდა რა ზავს ირანთან, — დასძენს ლ. გუმილიოვი, — იგი მხოლოდ იმ ხანად შექმნილი ვითარებით ხელმძღვანელობდა. აღნიშნულთან ერთად, ჰერაკლეს ალბათ არ სურდა დაუძლურებული ირანის ნაცვლად თურქთა მრისხანე ძალა დამეზობლებოდა (65:198).

ირანთან ზავის საჩქაროდ დადების მიზეზი, როგორც ზემოთაც ითქვა, უნდა ყოფილიყო ჰერაკლეს შიში — თურქებს იგი არ მიეტოვებინათ. ზავი ირანთან, — წერს ლ. გუმილიოვი, — უცნაურად ემთხვევა თურქთა აღმოსავლეთი კაგანის ლაშქრობას ჩინეთში. გავიხსენოთ, 626 წელს ჩინეთთან ზავმა თურქთა აღმოსავლეთ კაგანატის მბრძანებელი კატილ ხანი უკმაყოფილო რომ დატოვა. მან იცოდა, ტანის იმპერია ჯერ კიდევ არ იყო ისეთი ძლიერი, რომ მისი დამარცხება გაჭირვებოდა. ახლა, როცა თურქთა დასავლეთი კაგანატის ლაშქრის ნაწილი ამიერკავკასიაში იმყოფებოდა, მას შეეძლო უფრო თავისუფლად ემოქმედა ჩინეთის წინააღმდეგ. კატილ ხანს ჯერ კიდევ 627 წელს დაუწყია ახალი ომისათვის სამზადისი (65:197). რაც, რა თქმა უნდა, სოღდიელ ვაჭრებს მხედველობიდან არ გამორჩებოდათ და შესაძლოა სწორედ მათი მეშვეობით იცოდა ჰერაკლემ ამიერკავკასიიდან თურქთა შესაძლო წასვლის ამბავი. კატილ ხანი თუ ჩინეთზე გაიმარჯვებდა, მაშინ იგი თურქთა დასავლეთი კაგანატის წინააღმდეგაც გაილაშქრებდა და ტუნ შეჰუ იძულებული გახდებოდა ამიერკავკასიიდან თავისი ჯარი გაეწვია. თავის მხრივ, ლ. გუმილიოვის ვარაუდით, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მუდმივად მოძრაკი სოღდიელ ვაჭართა მეშვეობით, ჩინელებს უნდა სცოდნოდათ ალბანეთში დასავლელ თურქთა წარმატებული ლაშქრობის შესახებ.

კატილ ხანის საომარი სამზადისის შესახებ ცხადია თბილისის კედლებთან მდგომ ჯაბღუსაც გააგებინებდნენ. თბილისიდან უკან გაბრუნებულ ჯაბღუს, ამ კრიტიკულ ვითარებაში საკუთრივ დასავლეთელ თურქთა სამხედრო ძალები კაგანატის დასაცავად უნდა წაეყვანა. ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა კატილ ხანის სამხედრო სამზადისი, — დასძენს ლ. გუმილიოვი, — ტელეს აჯანყებულ ტომებს წარმატებისათვის რომ არ მიეღწიათ, ხოლო ტოლოს ხანის ღალატს დაღუპვისაკენ არ ებიძგებინა როგორც კატილ ხანის, ისე თურქთა აღმოსავლეთი კაგანატისათვის" (65:198). კატილ ხანს რომ ომი დაეწყო, რა თქმა უნდა, ჰერაკლეს მოკავშირეები ხელიდან გამოეცლებოდნენ. ამიტომ ჰერაკლეს ზავი ირანთან დროული იყო (65:198). ამ ხანებში ჩინეთის ტანის იმპერია ძალას იკრებდა. იმპერატორმა ლი ში-მინმა აჯანყებები ჩააქრო და მთელი ქვეყანა გააერთიანა (108ა:199), მაშინ, როცა 627 წლის დიდთოვლიანმა ზამთარმა თურქთა აღმოსავლეთ კაგანატში აუარებელი საქონელი დახოცა. მძიმე გადასახადებმა თურქთა ქვეშევრდომი ტომების აჯანყება გამოიწვია. სწორედ ამ აჯანყების ჩაქრობის დროს დაიღუპა კატილ ხანი. თურქთა აღმოსავლეთ კაგანატში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა, ლი ში-მინმა, გაილაშქრა თურქთა წინააღმდეგ. თურქთა აღმოსავლეთ კაგანატმა არსებობა შეწყვიტა.

ასე რომ, თვით ირანის მოკავშირე თურქთა აღმოსავლეთი კაგანატის მბრძანებლის კატილ ხანის პასიურობის გამო აღარ დატოვეს ჰერაკლეს მოკავშირეებმა ამიერკავკასია და 628 წლის „ცხელი თვეების გავლის შემდეგ" კვლავ თბილისის კედლებს მოადგნენ.

თავი XI

თბილისის აღება. ომის დასასრული

§ 1. ირან-ბიზანტიის 628 წლის ზავის შედეგები

628 წლის მარტის ბოლოს ირანის ტახტზე ასულმა კავად-შიროემ იმავე წლის 3 აპრილს ჰერაკლესთან დადებული ზავით, იმპერიას ხოსრო II-ის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები დაუბრუნა. რის შედეგადაც, ორივე სახელმწიფო ხოსრო II-ისა და მავრიკიოსის დროინდელ (591 წლის) საზღვრებში აღდგა. ჰერაკლემ ირანიდან წაიღო იერუსალიმიდან გატაცებული „ძელი მაცხოვრისა".

აღნიშნულის შემდეგ, ერთი შეხედვით, ჰერაკლეს თითქოს ირანთან ომის გაგრძელების საბაბი აღარ უნდა ჰქონოდა. მაგრამ 628 წლის 3 აპრილის ზავით, ომის ძირითადი მიზეზი — ირანის ტერიტორიაზე გამავალი აბრეშუმის დიდი გზის პრობლემა გადაუწყვეტელი დარჩა. ყველა ის ტერიტორია, რომელზეც აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზის მთავარი მაგისტრალი ან განშტოებები გადიოდა, 591 წლის წინაც ირანისა იყო და ზავის პირობები მას არ შეხებია.

საკუთრივ ირანზე გამავალ აბრეშუმის დიდ გზაზე თურქთა და ბიზანტიელთა კონტროლის დამყარება იმ ხანად შეუძლებელი იყო (ამისათვის საჭირო იყო თვით ირანის, როგორც სახლმწიფო ერთეულის მოშლა, როგორც ეს არაბებმა გააკეთეს). მოკავშირეები ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართლსა და ალბანეთში გადმომავალ დარიალისა და დარუბანდის გზებს უნდა დაპატრონებოდნენ, რადგან 628 წლის 3 აპრილის ზავით დასახელებული ქვეყნები კვლავ ირანის ქვეშევრდომებად დარჩნენ, ამიტომ საჭირო იყო თბილისის აღება, ქართლსა და ალბანეთზე მოკავშირეთა ბატონობის დამყარება. რის შედეგადაც კავკასიის ყველა ზეკარი მათ ხელში იქნებოდა და ირანის შუამავალი როლი გამოირიცხებოდა.

§ 2. აი რას მოგვითხრობს მოვსეს კალანკატუაცი თბილისის აღების შემდეგ დატრიალებული უბედურების შესახებ

627 წლის შემოდგომის დამდეგს თბილისიდან მოკავშირეთა წასვლიდან ერთი წელი გავიდა თუ არა, 628 წლის „ცხელი თვეების გავლის შემდეგ“ თურქთა ლაშქარი კვლავ თბილისის კედლებს მოადგა. „მოულოდნელად მეორედ დაუბერა ჩრდილოეთის ქარმა, — წერს მოვსეს კალანკატუაცი, — და აღმოსავლეთის დიდ ზღვას დაარტყა. გამოვიდა გამანადგურებელი მხეცი თავისი სისხლისმსმელი ლეკვით, რომელსაც შათი ეწოდებოდა. მან თავისი სახე ჯერ ქართველთა ქვეყნის წინააღმდეგ — ქალაქ ტფილისისაკენ მიმართა. მაგრამ ვერვინ იპოვა შიგ უწინდელ მამაც კაცთაგან. ახლა შემთხვევა მიეცა მათგან წინანდელი შეურაცხყოფის გამო დაგროვილი შურისძიება გაეფანტა. ქალაქს ალყა შემოარტყა და ბრძოლა დაიწყო. ავიწროებდა მასში მყოფ მცხოვრებლებს, რომლებიც მის წინააღმდეგ დადგნენ და დიდად გაისარჯნენ ორი თვის მანძილზე. მაგრამ ამაოდ დაშვრნენ თავიანთი სისხლის ღვრისა და სიცოცხლის მოსპობის ბრძანების წინააღმდეგ“ (25:76).

ორთვიანი ალყის შემდეგ „გამანადგურებელმა მხეცმა“ (როგორც მოვსესი ჯაბღუს უწოდებს) და მისმა ძემ „სისხლისმსმელმა ლეკვმა“ — შათიმ გადამწყვეტი შეტევა წამოიწყეს ქალაქის დამცველთა წინააღმდეგ. „იმ დროს აბობოქრდა მათზე საშინელი მხეცი, — განაგრძობს კალანკატუაცი, — რომელმაც საკმაოდ მოინადირა და [ბევრიც]თავის ლეკვებს დაახრჩობინა. ნანადირევით შლამები აავსო, თავისი ჯარი კი — ნადავლით. მაშინ [ტფილისელებმა] ხმლები იშიშვლეს და ერთიანად გაემართნენ გალავნისაკენ, სადაც ერთმანეთზე დაზვინული [ხალხი] იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ კედლებს ასცდა. ქალაქის უბედურ მცხოვრებლებს ბნელი ჩრდილი დაეცათ, დაუსუსტდათ სხეულის ნაწილები, ხელებში ღონე გამოელიათ და დანებდნენ, გალავნიდან უკან დაიხიეს, როგორც მონადირის მასეში გაბმულმა ბელურებმა, ვერვინ შეძლო თავის სახლამდე მიღწევა, რომ საშინელი და სამწუხარო ამბავი მიეტანა თავისი საყვარელი ცოლისათვის, შეებრალებინა მუცლით შობილი, ანდა ეგრძნობინებინა მშობლისათვის მშობლიური მწუხარება. ამის ნაცვლად სიმხნევე დაკარგულნი იმალებოდნენ ზოგი სახლების სახურავებზე, ზოგი წყალსადენ მილებში, ბევრიც წმინდა ეკლესიების თაღებისაკენ გაეშურა. მათი გოდება ემსგავსებოდა ცხვრის დიდი ფარის ბღავილს კრავებისადმი, ანდა დედის მწუხარე კვნესას თავისი ყრმის მიმართ. მათ უკან კი [იდგნენ] შეუბრალებელი მომკალნი, რომელთა ხელები სისხლის ნაკადებს აყენებდნენ, ფეხებით გვამებს ქელავდნენ, ხოლო თვალებით სეტყვასავით უთვალავ დაცემულთ უყურებდნენ. როდესაც შეწყდა წუხილისა და გოდების ხმები და აღარც ერთი არ დარჩა ცოცხალი, მაშინ ისინიც მიხვდნენ, რომ გამძღარიყვნენ მათი ხმლები“ (25:76—77).

ამრიგად, 628 წლის შემოდგომაზე ჯაბღუმ და შათიმ თბილისი აიღეს და, როგორც მოვსეს კალანკატუაცის თხზულებიდან ზემომოტანილ ამონაწერიდან ჩანს, ისინი სასტიკად გაუსწორდნენ ქალაქის დამცველებსა და მოსახლეობას. განსაკუთრებული სიმკაცრით კი თბილისის დამცველთა მეთაურები დასაჯეს.

მოვუსმინოთ ისევ კალანკატუაცის: „მოიყვანეს ორი იშხანი (ე. ი. მთავარი. — ვ. გ.), ერთი მხარის მმართველი იყო სპარსეთიდან. მეორე კი — ქართველი, ქვეყნის ადგილობრივი მცხოვრები. შეპყრობილნი მეფის წინაშე დააყენეს. მან ბრძანა მათთვის თვალები დაეთხარათ, იმის სამაგიეროდ, რომ შეურაცხყოფის მიზნით მისი სახე სურათზე ბრმა დახატეს. [ბოლოს] კი მძიმე ტანჯვით დაახრჩო ისინი. გააძრო ტყავი მათი

სხეულის ნაწილებს, გაჭიმა, გაავსო თივით და გალავნის ზემოთ ჩაბიჯ-კიდა (25:77).

ვინ იყო ის ორი მთავარი, რომლებიც თბილისის დამცველთაგან ყველაზე მეტი წამებით დაიხოცნენ?

იმ დროისათვის, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, ქართლი ირანის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო. ამიტომ, ცხადია, ირანის მთავრობა თავს ვალდებულად თვლიდა, თბილისის დაცვაში მიეღო მონაწილეობა.

ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობისადმი სპეციალურად მიძღვნილ გამოკვლევაში იმ დასკვნამდე მივედი, რომ IV საუკუნის დასასრულიდან ქართლსა და ალბანეთს ერთი ირანელი მოხელე — მარზპანი განაგებდა. ამ სახელოს მთელს ირანში ცნობილი მიჰრან-გუშნასპთა საგვარეულოს წარმომადგენლები მემკვიდრეობით ფლობდნენ. ქართლ-ალბანეთის მარზპანთა ძირითადი რეზიდენცია ალბანეთის დედაქალაქი ბარდა (პარტავი) იყო. თუმცა ისინი თბილისშიც ხშირად ისხდნენ (დაწვრილებით იხ. 12).

სწორედ ქართლ-ალბანეთის მარზპანი უნდა ყოფილიყო, ირანელი მოხელე გაიშაქი 627 წლის ზაფხულში თურქთა ალბანეთში შეჭრისას, ჯერ ბარდაში რომ იყო გამაგრებული, შემდეგ „მთელი თავისი ოჯახით, სპარსეთის მხარეებისაკენ [რომ] გაეშურა“ (25:70).

ქართლ-ალბანეთის მარზპანის ირანში გაქცევის შემდეგ, ხოსრო II-მ თბილისის დამცველებს, როგორც კალანკატუაცი წერს, „თავისი მხედართმთავარი შარჰაპალი“ მიაშველა ათასი მხედრით (25:70). ვფიქრობ, სწორედ შარჰაპალი უნდა ყოფილიყო ის „მხარის მმართველი სპარსეთიდან“ რომელსაც კალანკატუაცის ცნობით, თბილისის აღების შემდეგ ჯაბღუმ წამებით ამოხადა სული.

§ 3. ქართლის ერისთავთა მთავარი სტეფანოზ I

ახლა რაც შეეხება ქართველ მთავარს. მართალია, კალანკატუაცი მის სახელს არ იხსენიებს, მაგრამ ვინ უნდა დგომოდა სათავეში ქართლის დედაქალაქის დაცვას, თუ არა ქართლის ერისთავთა მთავარი?

ქართლის ერისთავთა მთავარი კი იმ ხანად ჩვენთვის ცნობილი გუარაძის ძე სტეფანოზ I იყო.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ თურქთა მიერ თბილისის აღების ამბავს სამი წინადადებით გადმოგვცემს: „ხოლო ამან ჯიბღო მცირეთა დღეთა შემდგომად კალაჲ გამოიღო და ციხისთავი იგი შეიპყრა და პირი დრაჰკნითა

აღუვსო, და მერმე მრთელსა ტყავი გაჰხადა და მეფესა უკუანა მისწია გარდაბანს ვარაზ გრიგოლისსა შინა“ (26:326).

ქართლის ერისთავთა მთავრის სტეფანოზის სიკვდილით დასჯის შესახებ, როგორც ვხედავთ, ამ წყაროში არაფერია ნათქვამი. პირიქით, ამ თხზულებაში ომის დამთავრების შემდგომი ამბების თხრობისას, სტეფანოზი ცოცხალი ჩანს: „ხოლო ჰერაკლე განწმიდა შჯული ქრისტესი და წარვიდა. და ერისთვობდა ივივე დიდი სტეფანოზ, და კათალიკოზი იყო ბართლომე მეორედ.

და შემდგომად ერისთვობდა ადრნესე...“ (26:327).

ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში „უძველეს ეროვნულ მატიანედ“ მიჩნეულმა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკამ არაფერი იცის სტეფანოზის გმირულად დაღუპვის შესახებ.

თბილისის დაცვას რომ სტეფანოზ I ხელმძღვანელობდა, ამის შესახებ ჯუანშერი მოგვითხრობს, მაგრამ ამ ავტორის ცნობებს ჩვენი ისტორიკოსები სანდოდ არ თვლიან. ფიქრობენ, რომ სტეფანოზი დაახლ. 604 წელს გადაყენებული იქნა და ქართლის ერისმთავარი ადარნასე გახდა.

ახლა ჯუანშერის ცნობებს გადავხედოთ.

ქართლის პირველი ერისთავთა მთავრის გუარამის ძე სტეფანოზი, როგორც მორწმუნე, ამ წყაროში უარყოფითადაა დახასიათებული. „ესე სტეფანოზ იყო ურწმუნო და უშიში ღმრთისა, არა ჰმსახურა ღმერთსა არცა ჰმატა სჯულსა და ეკლესიათა“ (40:222). შემდეგ იქვე ნათქვამია, „და ძმა სტეფანოზისი, სახელით დემეტრე, აღაშენებდა ეკლესიასა ჯუარისა პატიოსნისასა“ (40:223).

როგორც ვხედავთ, წყარო გვარწმუნებს: სტეფანოზმა „არა მსახურა ღმერთსა“ და „არა ჰმატა ეკლესიათა“, მცხეთის ჯვრის ტაძარს სტეფანოზის ძმა დემეტრე აშენებდაო. ნამდვილად კი, ქრისტეს წინაშე შუხლმოდრეკილი სტეფანოზი ცენტრალურ ფიგურადაა წარმოდგენილი მცხეთის ჯვრის ტაძრის რელიეფურ გამოსახულებათა შორის. იქვე წარწერაა: „ჯუარო მაცხოვრისაო, სტეფანოს ქართლის პატრიკიოსი შეიწყალე“ (იხ. ქსე, ტ. 11. სტ. ჯვრის წარწერები, ავტორი ვ. სილოგავა; შდრ., იქვე, ჯვარი მცხეთისა, ავტორი ვ. ბერიძე).

ასე რომ, ქართველი მემატიანე ჩანს, რაღაცითაა განაწყენებული სტეფანოზის მიმართ. რატომაა იგი გამოცხადებული „ურწმუნოდ“?

ქართლის ერისთავთა მთავარი სტეფანოზ I ადრეფეოდალური ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი კოლორი-

ტული ფიგურა იყო. რთულ საერთაშორისო ვითარებაში მოუხდა სტეფანოზს ქართლის ერისთავთა მთავრის ტახტზე ყოფნა. მისი მმართველობის ბოლო ხანაში წინააღმდეგობამ ბიზანტიის იმპერიასა და ირანს შორის უმაღლეს წერტილს მიაღწია.

იმ დროისათვის, როგორც თვით ბიზანტიისა და ირანის ურთიერთობაში, ისე მათდამი დამორჩილებული ქვეყნების ცხოვრების ყოველ მხარეში განსაკუთრებული მნიშვნელობა რელიგიურ მრწამსს ენიჭებოდა. ბიზანტიელთა საწინააღმდეგოდ ირანის შაჰი ხოსრო II ფარვიზი მონოფიზიტებს მფარველობდა. სტეფანოზ I-იც მონოფიზიტი მოღვაწე ყოფილა.

მართალია, თავდაპირველად ქართლში დიოფიზიტური მიმართულების ქრისტიანობა დაინერგა (14:161—162), მაგრამ ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების (491) შემდეგ ქართლში ირანის პოზიციები თანდათან გამყარდა. დაახლ. 537 წელს მათ ქართლში მეფობაც გააუქმეს. ამის შემდეგ სასანიანები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ქართლში მონოფიზიტობა დაენერგათ და გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს კიდეც. სწორედ ასეთ დროს მოუხდა ქართლის მართვა სტეფანოზს.

ძველი ქართველი ავტორის მიერ სტეფანოზ I-ის „ურწმუნოდ" გამოცხადება თუ მართლაც სტეფანოზის მონოფიზიტობას გულისხმობს, შაშინ მის თანამედროვე, საეკლესიო მოღვაწეთა გაღიზიანებას სტეფანოზის მიმართ, მართლაც შეიძლება ახსნა მოეძებნოს. საქმე ისაა, რომ, თუ ქართლის ერისთავთა მთავარი სტეფანოზი ქართლში შექმნილი პირობების გამო სიცოცხლის ბოლომდე მონოფიზიტობის აღმსარებლად დარჩა, ქართლის მმართველ სასულიერო წრეებში მისი ზეობის ხანაში არსებითი შემობრუნება მოხდა.

591 წელს ხოსრო II-მ ბიზანტიის იმპერატორს, როგორც ადრეც აღვნიშნე, დახმარების სანაცვლოდ თავისი სამეფოს სხვა ტერიტორიებთან ერთად როცა „ქართლის დიდი ნაწილი თბილისამდე" დაუთმო, ქართლის მიმართ მისი მკაცრი პოლიტიკა, საგრძნობლად შერბილდა. ამის შემდეგ, რადგან იმპერატორი მავრიკიოსი, ჯუანშერის სიტყვით რომ ვთქვათ, „სრულსა სიყვარულსა ზედა" ყოფილა ირანის შაჰთან, მას შეთანხმებია: „ქართლი ჩუენ შორის იყავნ თავისუფალ მშჳდობით" და თვით მავრიკიოსს უკისრია „მწე და მოურავი [ყოფილიყო] ყოველთა ქართველთა და ყოველთა ქრისტიანეთა" (40:221). აღნიშნულიდან გამომდინარე, ფიქრობენ, რომ ირანელთა ბატონობიდან ქართლი სრულად უნდა განთავისუფლებულიყო (6:271).

აი, ასეთ პირობებში, 599 წელს ქართლის საკათალიკოსო ტახტი გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწემ კირონმა დაიკავა (ეს ის კირონია, რომლის შესახებ, როგორც ფაზისის მიტროპოლიტ კიროსზე ზემოთ ვისაუბრეთ. იხ. თავი VII). თავდაპირველად კირონიც მონოფიზიტი იყო. ძველი სომეხი ავტორის უხტანესის ცნობით, კირონი „...ორ წელს ემორჩილებოდა ჯუშმარიტებას, ხოლო ამის შემდეგ იწყო უღმერთოება და ჯეშმარიტების მოტყუება“ (31:25). ე. ი. ორი წლის შემდეგ — 601 წლიდან, როგორც ფიქრობენ, ქართლის კათალიკოსმა კირონმა აშკარად დიოფიზიტური პოლიტიკის გატარება დაიწყო. ზ. ალექსიძის თანახმად, კირონმა კურსი ბიზანტიისაკენ აიღო და ქართლი მონოფიზიტობიდან ქალკედონიანობაზე მოაქცია...“. დაიწყო ქართლის სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული არაქართული თემების გაქართველება, მათთვის სავალდებულო სამღვდელმსახურო ენად ქართული გამოცხადდა. მზადდებოდა ნიადაგი იმისათვის, რომ ქართლად ის „ქვეყანა აღრიცხულიყო, სადაც ლიტურგიკა ქართულად სრულდებოდა“..., რომ პოლიტიკურად „ქართველი“ რელიგიურად და ნაციონალურად „ქართველი“ ყოფილიყო (18:269—270).

ქართლის მოსახლეობის რელიგიური მრწამსის ასე რადიკალურად შემობრუნების დროს, რადგან სტეფანოზი მაინც მონოფიზიტი რჩებოდა, ცხადია, ქართველ მემატიანეს მართლაც შეიძლებოდა მისთვის „ურწმუნო“ ეწოდებინა. მაგრამ, ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, თითქოს ამ „ურწმუნოებისათვის“ ქართლის კათალიკოს კირონს 604 წელს იგი გადაეყენებინოს და მის მაგიერ ბიზანტიური ორიენტაციის — დიოფიზიტი ადარნასე დაესვას ქართლის ერისთავთა მთავრის ტახტზე.

გარდა იმისა, რომ ქართლის კათალიკოსს ასეთი უფლება არ ჰქონდა, დაუშვებლად მიმაჩნია, 602 წელს ქართლის მფარველი მავრიკიოსის მკვლელობის შემდეგ სტეფანოზის ხელისუფლებას ვინმე შეხებოდა. აი რატომ:

602 წლის 23 ნოემბერს „ფოკა მხედარმა“ იმპერატორი მავრიკიოსი მოკლა, და იმ დღიდანვე ხოსრო II ფარვიზმა „იწყო ძებნად სისხლსა სიმამრისა“... და იმპერიის წინააღმდეგ ჩქარა ომიც დაიწყო. ქართლის ერისთავთა მთავარი სტეფანოზი „განუდგა ბერძენთა და მიექცა სპარსთა“ (40:223). ე. ი. 602/604 წლიდან სტეფანოზი მონოფიზიტების მფარველი ირანის შაჰის ხოსრო II-ის მხარეზე გადავიდა. სწორედ ამიტომ, ყოვლად წარმოუდგენელია, სანამ ირანის ტახტზე ხოსრო II იჯდა (ე. ი. 628 წ. მის მკვლელობამდე) და მის წინააღმდეგ ბიზანტიის იმპერატორები ჯერ ფოკა (602—610), შემდეგ ჰერაკლე (610—641) წარუმატებლად

იბრძოდნენ, სტეფანოზი ქართლის ტახტიდან ვინმეს გადაეყენებინა. ასევე ცხადია, 614/616 წლიდან, როგორც ამას ა. ბოგვერაძე ფიქრობს, ვერც ვარსამუსე დაიკავებდა ქართლის ერისთავთა მთავრის ტახტს (ვარსამუსეს შესახებ იხ. ქვემოთ).

ასე რომ, საეჭვო არ უნდა იყოს, 627—628 წლებში თბილისის დაცვას სტეფანოზ I რომ ხელმძღვანელობდა.

აი როგორ არის აღწერილი სტეფანოზის ბრძოლისა და დაღუპვის ამბავი ჯუანშერთან: 627 წელს, როცა მოკავშირეთა ლაშქარი თბილისს მოადგა „ამან სტეფანოზ არა ინება განდგომა სპარსთაგან, და განამაგრნა ციხე-ქალაქნი, და დადგა ტფილისსა შინა. მოვიდა ერაკლე მეფე და მოადგა ტფილისსა. ხოლო სტეფანოზ იყო ქუელი მხედარი და შემმართებელი; დღეთა ყოველთა გამოვიდის კართა ქალაქისათა, და ებრძოდის ბერძენთა. მაშინ უკუე მას წყობასა შინა ჩამოაგდეს სტეფანოზ და მოკლეს. დაიპყრა კეისარმან ტფილისი“ (40:224).

თბილისის ციხის აღების შემდეგ „სპარსეთისაკენ მიქცეული“ სტეფანოზი დასაჯეს. „შვილნი სტეფანოზისნი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა“ (40:226). იმპერატორმა „...მოუწოდა ძესა ბაკურისსა, ქართველთა მეფისასა, ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელი ერისთაობდა კახეთს, რომელსა ერქუა ადარნასე, და მისცა მას ტფილისი და მთავრობა ქართლისა“ (40:225). კლარჯეთის გარდა, სადაც სტეფანოზის შვილნი იყვნენ, „სხუა ყოველი ქართლი დაიპყრა ადარნასე ბაკურის ძემან მთავრობით, და მეფობისა სახელი ვერცა მან იკადრა[49] (40:226).

§ 4. იყო ვარსამუსე ქართლის ერისმთავარი?

ქართულ წყაროთა საერთო მითითებით, როგორც ვნახეთ, თბილისის დაცვას ირანელ მოხელესთან ერთად ქართლის ერისთავთა მთავარი სტეფანოზი ხელმძღვანელობდა და ციხის აღების შემდეგ იგი მოწამებრივი სიკვდილით დაიღუპა. ქართულ წყაროთა ასეთი ჩვენების მიუხედავად, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს 614/616 წლიდან ქართლის ერისმთავარი ვარსამუსე იყო და 627—628 წლებში

---

[49] სტეფანოზის შესახებ იხ. აგრეთვე, ვ. გოილაძე, ქართლის ერისთავთა-მთავარი სტეფანოზ I. „მნათობი“, 1992, № 2.

იგი ხელმძღვანელობდა თბილისის დაცვას, რომ სწორედ ვარსამუსე იქნა დასჯილი ჯაბღუს მიერ.

მოსაზრება ვარსამუსეს ქართლის ერისმთავრად მიჩნევის შესახებ ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა. „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნში იგი წერს: „...ერთადერთი ცნობა, რომელიც მოგვითხრობს ქართველი დიდებულის დატყვევებას, შეეხება ვარსამუსეს, სპარსთა მიერ დაყენებულს იბერთა მთავარს, რომელიც ცოცხლივ ტყვედ იყო წაყვანილი ბიზანტიელთა მიერ. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს მთავარი სწორედ ის ქართველი მკვიდრი ყოფილიყოს, რომელიც სომეხ ისტორიკოსის სიტყვით დატყვევებულ იქნა ქ. თბილისის აღების დროს“ (38:306).

როგორც ზემოთ შევნიშნე, თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობით, იმპერატორმა ჰერაკლემ ქართველი დიდებული ვარსამუსე 627 წლის 12 დეკემბერს ნინევიის ნანგრევებთან გამართულ ბრძოლაში დაატყვევა. ამიტომ ცხადია, ვარსამუსე 628 წლის შემოდგომაზე თბილისის დაცვას ველარ ჩაუდგებოდა სათავეში.

მაშ რა საფუძველზეა მიჩნეული ვარსამუსე ქართლის ერისმთავრად?

ივ. ჯავახიშვილის მიერ ქართლის ერისმთავრად ვარსამუსეს მიჩნევას, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო იმ გარემოებამ მოვსეს კალანკატუაცი თბილისის აღებისას დატყვევებული ქართველი დიდებულის სახელს რომ არ ასახელებს. მეორე მხრივ, რადგან თეოფანე ვარსამუსეს „იბერთა მთავრად“ (ბერძნ. „არხონ ტონ იბერონ“) იხსენიებს, ივ. ჯავახიშვილი კი ძველ ქართულ წყაროთა ცნობებთან შედარებით უცხოენოვანი წყაროების მონაცემებს უპირატესობას ანიჭებდა, თეოფანეს მიერ იბერთა მთავრად დასახელებული ვარსამუსე, კალანკატუაცის მიერ უსახელოდ მოხსენიებული ქართველ მთავართან გააიგივა და ვარსამუსე ჩათვალა იმ პირად, რომელიც თბილისის დაცვას ხელმძღვანელობდა.

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ვარსამუსეს ქართლის ერისმთავრად მიჩნევის შესახებ ა. ბოგვერაძემ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომში გაიმეორა. „ნარკვევებში“ იგი ამტკიცებს, რომ ვარსამუსე 614/616 წლიდან იყო ქართლის ერისმთავრი და თბილისის აღების შემდეგ სწორედ მას „დათხარეს თვალები, შემდეგ ჩამოახრჩვეს,... ტყავი გააძვრეს, თივით გატენეს და ქალაქის კედელზე გადმოკიდეს“[49] (6:282).

---

[49] ვარსამუსეს ქართლის ერისმთავრად მიჩნევის საქმეში, როგორც ჩანს, გარკვეული როლი ითამაშა თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობების ქართულმა თარგმანმაც. მასში არა ჩანს, სად იქნა დატყვევებული ვარსამუსე (22:100—101),

1976 წელს გამოქვეყნებულ წერილში „არის თუ არა თეოფანე ჟამთააღმწერელთან მოხსენიებული ვარსამუსე ქართლის ერისმთავარი? (იხ. „მაცნე“ ისტორიის..,, სერია, 1976, № 1). მე ვწერდი: თეოფანეს თხზულების რუსული თარგმანიდან აშკარად ჩანს, ვარსამუსე ნინევიასთან ბრძოლაში დაატყვევა ჰერაკლემ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოქვეყნებულ თეოფანე ჟამთააღმწერლის ქრონიკის ქართულ თარგმანშიც, რომელსაც ა. ბოგვერაძე იყენებს (იხ. „გეორგიკა“, ტ. IV, ნაკვ, I, გვ, 100—101) არაფერია ნათქვამი თბილისის აღებისას ვარსამუსეს დატყვევების შესახებ (13:134—135). 627 წლის 12 დეკემბერს ნინევიასთან ბრძოლაში დატყვევებული პიროვნება, 628 წლის შემოდგომაზე თბილისის დაცვაში ველარ მიიღებდა მონაწილეობას. რომ ვარსამუსე, როგორც ამას ცნობილი გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე ი. მარკვარტი ვარაუდობდა, ქვემო ქართლის პიტიახში უნდა ყოფილიყო (ი. მარკვარტმა სახელი „ვარსამუსე“ გაშიფრა როგორც „ვარჰამ-აშუშა“. 128:401).

აღნიშნულის მიუხედავად, 1979 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში, ა. ბოგვერაძემ VII ს-ის დამდეგის ქართლის მმართველთა ისტორია ასე წარმოადგინა: მისი ვარაუდით, „სტეფანოზი.., დაახლოებით 602—603 წელს გარდაიცვალა და ქართლის ერისმთავრობა მისი მემკვიდრის ადარნასეს ხელში გადავიდა“ (7:88—89). მაგრამ 614—616 წლებში ხოსრო II-ის სარწმუნოებრივი პოლიტიკის გამო ადარნასე იძულებული გახდა ქართლს გასცლოდა და ქართლის ერისმთავრობა „...ან იმ პირმა მიიღო, ქართლის მთავართა სახლიდან, რომელსაც... კალანკატუაცი 627—628 წლების თბილისის ალყის დროს ირანელ სარდალთან ერთად... დაცვის ხელმძღვანელად ასახელებს, ანდა ვარსამუსემ, რომელიც 627 წელს ნინევიასთან ბრძოლაში ტყვედ ჩაუვარდა ბიზანტიელებს, თეოფანე ჟამთააღმწერელს ეს უკანასკნელი, — დასძენს ა. ბოგვერაძე, — მოხსენიებული ჰყავს, როგორც „იბერიელთა მთავარი“ და გამორიცხული არაა, რომ სწორედ ის ყოფილიყო ადარნასეს ნაცვლად დანიშნული. ადარნასემ, როგორც ირკვევა, ხელისუფლება დაიბრუნა ჰერაკლეს ძლევამოსილი ლაშქრობის შედეგად“ (7:90).

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო: 1. დადგა დრო დავუჯეროთ ძველ ქართულ წყაროთა მონაცემებს. მათში არსებული ცნობებით, ქართლის ერისთავთა მთავარი სტეფანოზი ტახტზე ასვლიდან სიკვდილამდე (628 წელს სანამ ტყვედ არ ჩაიგდეს) განაგებდა ქართლს. იგი არც 602/603 წელს გარდაცვლილა და არც 614/616 წელს გადაუყენებიათ. რაც მთავარია, როგორც ა. ბოგვერაძე წერს, ადარნასე სტეფანოზის

შემკვიდრე არ იყო. ჯუანშერის ცნობით, სტეფანოზი ვახტანგ გორგასლის მეორე ძის — მირდატის (იგი ვახტანგს მეორე მეუღლისაგან — დედოფალ ელენესაგან შეეძინა) შთამომავალი იყო და მათი სამფლობელო (საუფლისწულო) ქვეყანა „კლარჯეთი და ჯავახეთი“ იყო (40:217). ადარნასეს კი ჯუანშერი ვახტანგის უფროსი ძის — დაჩის შთამომავლად ასახელებს. ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ ისინი კახეთს ფლობდნენ და უჯარმაში ისხდნენ (40:219).

გუარამის ერისმთავრობის დროს, როგორც ჯუანშერი წერს, „ნათესავნი დაჩისანი“ მართალია მას მორჩილებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, დაჩის შთამომავალნი ქართლის ტახტს თავისად თვლიდნენ, ამიტომ დაუპირისპირდა ადარნასე მირდატის შთამომავლებს.

2. როგორც ა. ბოგვერაძე წერს, ვარსამუსე თუ 627 წელს იქნა დატყვევებული ნინევიის ნანგრევებთან ბრძოლაში, მაშინ 628 წლის შემოდგომაზე თბილისის დაცვას როგორღა მეთაურობდა?

თბილისის აღებისას კალანკატუაცის მიერ უსახელოდ მოხსენიებული ქართველი დიდებული უეჭველია ქართლის ერისთავთა მთავარი სტეფანოზ I იყო.

§ 5. რომელ წელს იქნა აღებული თბილისი და ვის მიერ?

თბილისის აღებაზე საუბრისას, ცალკე დგება საკითხი, რომელ წელს აიღეს იგი ჯაბღუმ და შათიმ?

ვფიქრობ, თბილისის აღების შესახებ არსებული საისტორიო წყაროთა მონაცემებიდან გამომდინარე თბილისის აღების თარიღი საკამათო არ უნდა ყოფილიყო. ზემომოტანილი მასალიდან ნათელია: თბილისის კედლებს პირველად მოკავშირეები 627 წლის ზაფხულში მოადგნენ[50]. იმავე წლის შემოდგომის დამდეგს ჯაბღუ უკან გაბრუნდა, ჰერაკლემ და შათიმ

---

[50] საკამათო იყო თბილისთან მოკავშირეთა მოსვლის წელიც. ჰერაკლეს ლაშქრობათა მარშრუტის შესწავლისას ამ საკითხს შეეხო ი. მანანდიანი და აღნიშნა, რომ თბილისთან ჰერაკლესი და ჯაბღუს პირველი შეხვედრის თარიღად 626 წელი მიაჩნიათ ჰ. გელცერს, მ. არტამონოვს, შ, ლებოს, ხოლო 627 წელს მხარს უჭერენ: ი. კულაკოვსკი, ნ. ბაინე და მეც ამავე აზრისა ვაროო (98:147. იხ. იქვე, დასახელებულ ავტორთა ნაშრომები სათანადო გვერდების მითითებით).

თბილისთან „ხაზართა მოსვლის“ თარიღად 625 წელს უთითებს ლ. მელიქსეთ-ბეგი (იხ. 103), დ. ჯანელიძე 626 (39:479); „ხაზართა მოსვლას“ თბილისთან ასევე 626 წლით ათარიღებს შ. მესხია „თბილისის ისტორიაში“ (24:17).

კი ირანისაკენ გასწიეს და ჰერაკლემ იმავე წლის 12 დეკემბერს ირანელებზე გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა. 628 წლის თებერვალში (ან მარტში) ირანში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და ტახტზე ასულმა კავად შიროემ 628 წლის 3 აპრილს ჰერაკლესთან ზავი დადო. იმავე წლის შემოდგომაზე შეპირებისამებრ მოკავშირეები თბილისთან უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს — 628 წელს, ორთვიანი ალყის შემდეგ ჯაბღუმ და შათიმ თბილისი აიღეს.

თბილისის აღების თარიღად 628 წელი მიაჩნიათ: კ. ტრევერს (121: 241), ლ. გუმილიოვს (65:199, შენ. 36), ა. გადლოს (56:134).

თბილისის აღების თარიღად მიჩნეული 628 წელი თავის დროზე არ გაიზიარეს ქართველმა ისტორიკოსებმა, ალბანეთის ძველი ისტორიისადმი მიძღვნილი კ. ტრევერის მონოგრაფიის რეცენზიაში ნ. ლომოურმა შენიშნა: ავტორი თბილისის აღებაზე საუბრისას არ ითვალისწინებს ქართველ ისტორიკოსთა შრომებს. რის შედეგადაც, „ხაზარების მიერ თბილისის აღება“ 628 წლით დაათარიღა და ჯაბღუ „ხაკანს“ მიაწერა. მაშინ როცა, ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ თბილისი აღებული იქნა 627 წელს ჯაბღუს ძის შათის მიერ“-ო (ეყრდნობა: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1951; გვ. 265—267; შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი..., თბილისის ისტორია, თბ.; 1958, გვ. 17; რადგან ნ. ლომოური თარიღის შესახებ კ. ტრევერს ეკამათება, უნდა ვივარაუდოთ, რომ თბილისის აღების თარიღად მასაც 627 წელი მიაჩნდა. იხ. 93. ნ. ლომოურის დასახელებულ რეცენზიაზე მიუთითა ლ. გუმილიოვმაც. 65:199, შენ. 36).

ნ. ლომოურმა თავისი კრიტიკული შენიშვნა 1960 წელს გამოთქვა და ახლა შეიძლებოდა მასზე აღარ მიმექცია მკითხველის ყურადღება, მაგრამ არსებულ ტრადიციაზე დაყრდნობით ზოგი მკვლევარი თბილისის აღების თარიღად 627 წელს იმეორებს. მაგალითად, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში თბილისის ამღებად „ბიზანტია-ხაზარები“, ხოლო აღების თარიღად ისევ 627 წელია მითითებული (იხ. 20).

თბილისის აღების თარიღის შესახებ ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომშიც აისახა. ა. ბოგვერაძეს 279-ე გვერდზე თბილისის აღების თარიღად 627, ხოლო 282-ე გვერდზე — 628 წელი აქვს მითითებული (თბილისის აღების თარიღად 628 წელი იგულისხმება ა. ბოგვერაძის მონოგრაფიაშიც. 7:90).

ასე რომ, ქართულ ისტორიოგრაფიაში თბილისის აღების თარიღად მიჩნეული 627 წელი არაა სწორი[51]. ეს ფაქტი 628 წლით უნდა დათარიღდეს.

ახლა რაც შეეხება საკითხს, ვის მიერ იქნა აღებული თბილისი?

ზემოდასახელებულ რეცენზიაში ნ. ლომოური, როგორც ვნახეთ, კ. ტრევერს იმასაც შენიშნავს, რომ თბილისი ჯაბღუს კი არა მისი ძის შათის მიერ იქნა აღებულიო.

თბილისის აღების შესახებ არსებული მასალიდან გამომდინარე, ვფიქრობ, არც ეს საკითხი უნდა ყოფილიყო საკამათო.

მოსაზრება თითქოს თბილისი მხოლოდ ჯაბღუს ძის—შათის მიერ იქნა აღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში როგორც ჩანს, ივ. ჯავახიშვილის ნაშრომზე დაყრდნობით დამკვიდრდა. „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნში ივ. ჯავახიშვილი როცა თბილისის აღების ამბავს მოგვითხრობს წერს: „თბილისელებზე ჯავრი ჯიბღუს შვილმა შათმა ამოიყარა, რომელიც თბილისს კვლავ გარშემოერტყა და დაუწყო ბრძოლა, ორი თვის გარემოცვისა და ომის შემდგომ ქალაქი აიღო...“ (38:304). შემდეგ დასძენს: „...ქართულ და სომხურ ცნობათა უმთავრესი განსხვავება ის არის, რომ ქ. თბილისი „მოქცევაჲ ქართლისაჲ-თ ჯიბღუმ აიღო, მოსე კალანკატუელით კი მისმა შვილმა შათმა“[52] (38:304).

სწორედ, ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრებაა ასახული „თბილისის ისტორიაში“ (24:17) და მასზე დაყრდნობით ეკამათება ნ. ლომოური კ. ტრევერს. მაგრამ, განა მოვსეს კალანკატუაცის თხზულებაში არაა ცნობა 628 წელს თბილისის კედლებთან ჯაბღუს ყოფნის შესახებ?

---

[51] 1977 წელს გამოქვეყნებული ჩემი გამოკვლევის (იხ. 15) შემდეგ, ვფიქრობ, რომ ასევე არ შეიძლება ჰერაკლეს მოკავშირეებად კვლავ ხაზარების დასახელება.

[52] ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის ცნობების ქართულად გამოცემისას თბილისის აღების საკითხს აღ. გამყრელიძეც შეეხო. „სამეცნიერო ლიტერატურაში,— წერს იგი,— წყაროების ცნობათა აღრეულობის ნიადაგზე, საკამათოა საკითხი, თვით ხაზართა ბატონი მოეშველა ჯარით ირაკლი კეისარს და მასთან ერთად ებრძოდა, ერთი თავის ქვეშევრდომ სარდალთაგანი, თუ თავადი (ზოგი წყაროს მიხედვით — ვაჟიშვილი მისცა თურქთა ჯარითურთ მეფეს“). შემდეგ ასკვნის; ნიკიფორეს ტექსტში „სულაც არ არის ნათქვამი, რომ თვითონ წაპყოლოდეს ეგი ლაშქრობაში, ან რაიმე მონაწილეობა მიეღოს ომში, მხოლოდ სარდალი და ჯარი შიუცია ირაკლისათვის და, მაშასადამე, დავა იმაზე, თბილისი თვით ხაკანმა აიღო თუ მისმა სარდალმა (თუ შვილმა), ნიკიფორეს მიხედვით, თავისთავად სარდლის სასარგებლოდ წყდება“ (10:221).

კალანკატუაცის ცნობიდან გამომდინარე, ჰერაკლეს მოკავშირეობის დროს თურქებმა ამიერკავკასიაში სამჯერ ილაშქრეს. პირველად ჩრდილოეთიდან 627 წლის დამდეგს მარტო შათი გადმოვიდა თავისი ლაშქრით და ირანის ქვეშევრდომი რეგიონები გაძარცვა. უკანგაბრუნებულმა იმდენი ნადავლი ჩაიტანა თან, რომ 627 წლის ზაფხულში მასთან ერთად, მისი მამა — ჯაბღუც მოვიდა თბილისის კედლებთან. იმავე წლის შემოდგომის დამდეგს ჯაბღუ კვლავ გაბრუნდა უკან და ჰერაკლესთან შეთანხმებისამებრ ერთი წლის შემდეგ, როცა 628 წლის „ცხელი თვეები" გავიდა თავის ძესთან — შათისთან ერთად კვლავ მოადგა თბილისს. აი როგორ აღწერს მათ მოსვლას კალანკატუაცი: „მოულოდნელად მეორედ დაუბერა ჩრდილოეთის ქარმა... გამოვიდა გამანადგურებელი მხეცი თავისი სისხლისმღვრელი ლეკვით, რომელსაც შათი ეწოდებოდა" (25:76).

„ჩრდილოეთის ქარის მეორედ დაბერვაში" კალანკატუაცი, რა თქმა უნდა, ამიერკავკასიაში თურქთა მეორედ შემოჭრას გულისხმობს, ხოლო „სისხლისმღვრელი ლეკვის" — შათის მამა „გამანადგურებელი მხეცი" საეჭვო არაა თვით ჯაბღუ რომაა. 628 წელს ჯაბღუც რომ იყო გადმოსული ამიერკავკასიაში ეს კალანკატუაცის სხვა ცნობითაც ჩანს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, 627 წელს თბილისის გარემოცვისას, როცა მოკავშირეებმა თბილისი ვერ აიღეს, გათამამებულმა დამცველებმა გოგრაზე ჯაბღუს სახე გამოხატეს. 628 წელს, როცა ჯაბღუმ ციხე აიღო და მის წინაშე ქალაქის დამცველთაგან ორი ტყვე წარადგინეს, „მან (ე. ი. ჯაბღუმ. — ვ. გ.) ბრძანა მათთვის თვალები დაეთხარათ, იმის სამაგიეროდ, რომ შეურაცხყოფის მიზნით მისი სახე სურათზე ბრმა დახატეს" (25:77). კალანკატუაცისავე ცნობით, როცა მან (ჯაბღუმ. —ვ. გ.) „თავისი სურვილი შეისრულა", თვითონ „განძითურთ თავის მხარეში დაბრუნდა... ჯარი თავის შვილს შათის დაუტოვა, დამრიგებლად მამაცი კაცები [დაუყენა]..." (25:77).

ზემომოტანილი მასალის შემდეგ, ვფიქრობ, საეჭვო არაა მოვსეს კალანკატუაცის ცნობებიდან გამომდინარე 628 წელს თურქთა ლაშქარმა თბილისი ჯაბღუსი და შათის სარდლობით რომ აიღო.

თბილისის ამღებად ჯაბღუს ასახელებს ჯუანშერიც. „ერისთავი რომელსა ერქუა ჯიბღა" — „ხოლო მცირეთა დღეთა წარიღეს კალა და შეიპყრეს ციხისთავი იგი. ამან ერისთავმან პირველად პირი დრაჰჯნითა აღუვსო..." (40:225).

§ 6. საიდან „აგინეს“ თბილისის დამცველებმა ჯაბღუსა და იმპერატორ ჰერაკლეს?

628 წელს თბილისის აღებასთან დაკავშირებით, ერთ საკითხსაც უნდა შევეხო.

ქართული წყაროების ცნობებიდან გამომდინარე, თბილისის აღება თურქთა მიერ ორ ეტაპად ჩანს. პირველად თვით ქალაქი აუღიათ, შემდეგ კი ციხე კალა. მაგრამ, ძველად რადგან თვით თბილისის ერთ უბანსაც კალა ერქვა, ხოლო თბილისის დედა ციხეს კალა თითქოს გვიან ეწოდა (იხ. ქსე, ტ. 5, სტ. კალა), ზოგმა მკვლევარმა თბილისის ორ ეტაპად აღებას ყურადღება აღარ მიაქცია.

ვფიქრობ, ჯერ თბილისის ციხის, შემდეგ კი კალას აღების შესახებ ქართულ წყაროთა ცნობები საყურადღებოა.

ჯუანშერი წერს: სტეფანოზი „დღეთა ყოველთა“ გამოდიოდა „კართა ქალაქისათა, და ებრძოდა ბერძენთა. მაშინ უკუე მას წყობასა შინა ჩამოაგდეს სტეფანოზ და მოკლეს. და დაიპყრა კეისარმან ტფილისი.

ხოლო ციხესა კალისასა დარჩეს კაცნი... (40:224).

ზემომოტანილი ციტატის შინაარსიდან გამომდინარე, სტეფანოზის დაღუპვა საკუთრივ თბილისის აღებისას ივარაუდება, რაც საეჭვოა. ასევე არაა სწორი ჯუანშერი ამის შემდეგ რომ გადმოგვცემს ციხის დამცველთა მიერ იმპერატორისა და ჯაბღუს დაცინვის ამბავს.

ციხის დამცველებმა ჰერაკლესა და ჯაბღუს, როგორც ეს კალანკატუაცის ხსზულებიდან ჩანს, 627 წელს, როცა ქალაქი ჯერ კიდევ არ იყო აღებული, მაშინ დასცინეს. ამიტომ, ვფიქრობ, ქართული წყარო ცდება, დაცინვის ამბავს თბილისის მეორე ალყის დროს, — 628 წელს საკუთრივ თბილისის აღების შემდეგ რომ ყვება. როცა ქალაქი აღებული იყო და თურქებმა თბილისში აუარებელი ხალხი დახოცეს, რა თქმა უნდა, კალას ციხეში გამაგრებული დამცველები დაცინვის ხასიათზე აღარ იქნებოდნენ. ცხადია, ჯუანშერი ცდება, როცა დაცინვის ამბავს თბილისის აღების შემდეგ მოგვითხრობს, მაგრამ მისი ცნობა ჯერ თბილისის, შემდეგ კი კალას აღების შესახებ სწორი უნდა იყოს.

„ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში ნათქვამია: დამპყრობლებმა „აიღეს ქალაქი, კ[ა]ლას გარდა, რომლიდანაც აგინა კეისარი ციხის უფროსმა“ (33:190). მოტანილი ცნობის შემდეგ ნათელია, 628 წელს როცა ქალაქი აიღეს, ასაღები დარჩა კალა, რომლიდანაც ადრე

აგინა ციხის უფროსმა ჰერაკლე და ჯაბღუ (ასეთი შინაარსით უნდა ყოფილიყო ეს ამბავი მოთხრობილი ჯუანშერის თავდაპირველ ტექსტშიც).

სწორედ კალაში ყოფილან გამაგრებულნი ქალაქის დაცვის ხელმძღვანელები. სომხური თარგმანის თანახმად, როცა „აიღეს კ[ა]ლა", ჯაბღუმ „შეიპყრო კეისრის მაგინებელი[53]... ჯერ პირი აუვსო ოქროთი... მერმე გააძვრეს ტყავი [და] მიაწიეს კეისარს..." (33:191).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს თანახმადაც ციხისთავმა ჰერაკლე „კალას ციხიდან" გალანძღა. „მაშინ ჩამოელო ჰერაკლე მეფემან ბერძენთამან. და უხმო ციხისთავმან კალაჲთ ტფილისისაჲთ მეფესა ჰერაკლესა ვაცბოტობით (26:326). განრისხებულმა იმპერატორმა „დანიელის წიგნი" მოითხოვა და მასში ამოიკითხა რომ „დასავლეთის ვაცი" შემუსრავდა „აღმოსავლეთის ვერძს". ასეთი „წინასწარმეტყველების" შემდეგ გაემართა იგი ირანისაკენ და კიდეც გაიმარჯვა.

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში არსებული ცნობებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ თბილისის დამცველებს ჰერაკლე და ჯაბღუ 627 წელს კალას (ახლანდელი ნარიყალას ციხე) კედლებიდან გაულანძღიათ. 628 წლის შემოდგომაზე კი თურქებმა ჯერ თბილისი აიღეს, შემდეგ კი კალა[54]. ცხადია, საკუთრივ თბილისის ციხეზე უფრო ძნელი ასაღები, მისი დედა ციხე—კალა იქნებოდა და ქალაქში მყოფი დიდკაცობა (მ. შ. სტეფანოზიც) და დამცველები თბილისის აღების შემდეგ კალაში გამაგრდებოდნენ. იმ ორ პიროვნებას შორის, რომელთაც ჯაბღუმ წამებით ამოხადა სული, ერთი სტეფანოზი უნდა ყოფილიყო. ვფიქრობ, სტეფანოზად საგულვებელია ის, რომელსაც ჯაბღუმ ჯერ ოქროს ფულით აუვსო პირი, შემდეგ კი „ტყავი გახადა". ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას ჯუანშერის შემდეგი ცნობა იძლევა: ჯუანშერი დატყვევებული პიროვნების „ტყავის გახდის" ამბავს როცა გადმოსცემს, იქვე დასძენს — „ესეეი-

---

[53] ტექსტში აქ შეცდომით კეისრის მაგინებლად ჯაბღუა დასახელებული (33:191).

[54] „თბილისის ისტორიის" გადმოცემისას შ. მესხია სამართლიანად მიუთითებს ჯერ თბილისის აღებაზე, შემდეგ წერს „თბილისის ციხე კალა მტერს არ ნებღებოდა"-ო (24:17). მაგრამ, ვერ დაეთანხმები მის მსჯელობას, თითქოს ირანის შაჰს ათასი რჩეული მხედრი თბილისის აღების შემდეგ კალას დამცველებისათვის გამოეგზავნოს. კალანკატუაცის ცნობით, ხოსრომ გაიგო თუ არა „ორივე დიდი მეფის შეთანხმება ქალაქთან შეხვედრაზე გარემოცვის [დაწყებამდე]" გამოგზავნა თავისი მხედართმთავარი „ათასამდე რჩეული მხედრით" (25:70).

თარითა სიკუდილითა წარეგნეს სტეფანოზ და მსახურნი მისნი". შემდეგ ნიშნის მოგებით უმატებს: „ამისთჳს, უყო ესე ღმერთმან მთავარსა მას სტეფანოზს, რამეთუ არა მინდობითა ღმრთისათა ცხოვნდებოდა: მორწმუნეთა ემტერებოდა და ურწმუნოთა მოყურობდა" (40:226).

„ურწმუნოების" (ე. ი. მონოფიზიტობის) გამო, რა თქმა უნდა, სტეფანოზი ასეთ „გაკიცხვას" არ იმსახურებდა. იგი ხომ ხოსრო II-ის წინაშე შიშის გამო იყო იძულებული მონოფიზიტად დარჩენილიყო.

§ 7. რატომ არ მონაწილეობდა იმპერატორი ჰერაკლე თბილისის აღებაში?*

ზემომოტანილი მსჯელობიდან გამომდინარე 628 წელს თბილისი ჯაბღუმ და შათიმ აიღო. მეორე მხრივ, თავისთავად იგულისხმება, როგორც თურქთა მოკავშირეს ჰერაკლეს თბილისის აღებაში მონაწილეობა უნდა მიეღო (შ. მესხია თბილისის აღებას სწორედ ბიზანტიის იმპერატორს — ჰერაკლეს მიაწერს: „ჰერაკლემ თბილისის ერთი ნაწილი აიღო". 24: 17). მაგრამ, ძველ ქართულ და უცხოენოვან წყაროთა ავტორების მიერ თბილისის აღების ამბის თხრობისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ჰერაკლე თბილისის აღებაში არ მონაწილეობდა და თბილისთან ახლოს — გარდაბანში იდგა[55]. იქ გებულობდა თბილისის ამბებს.

წყაროთა მონაცემებიდან გამომდინარე ასეთი დასკვნა თუ სწორია, მაშინ ისმება კითხვა, რატომ არ უნდა მიეღო ჰერაკლეს თბილისის აღებაში მონაწილეობა?

ზემოთ, როცა ჰერაკლესა და კავად-შიროეს შორის ზავის დადებაზე ვსაუბრობდი, მივუთითე, რომ ზავი სეპარატული იყო (რადგან კავად-შიროესთან ჰერაკლეს დაზავების მიუხედავად, ჰერაკლეს მოკავშირე თურქები ირანთან საომარ მდგომარეობაში რჩებოდნენ). ზავის პირობებიდან გამომდინარე ქართლი კვლავ ირანის ქვეშევრდომობაში დარჩა. ამიტომ, ჰერაკლეს ირანის ქვეშევრდომი ქართლის დედაქალაქის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა აღარ უნდა მიეღო. მისი თბილისთან მოსვლა რა თქმა უნდა, ზავის დარღვევა იქნებოდა.

---

* ამავე საკითხზე შედარებით ვრცლად იხ. ჩემი გამოკვლევა („მნათობი", 1997, № 5, გვ. 148—157).

[55] ჯერ კიდევ კ. ტრევერმა მიაქცია ყურადღება, რომ 628 წელს ჰერაკლე ალბანეთში — გარდმანში იმყოფებოდა (121:241).

ვთქვათ, ჰერაკლემ მართლაც არ მიიღო მონაწილეობა თბილისის აღებაში; მაგრამ რატომ იყო იგი თბილისის მახლობლად გარდაბანში?

დასმულ კითხვაზე რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას, ისევ 591 წლის წინა დროის ისტორიას უნდა გადავხედოთ.

589 წელს ჰერათის ბრძოლაში თურქებზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ირანის შაჰის ჰორმიზდ IV-ის ცნობილი სარდალი ბაჰრამ ჩუბინი „გაადგა სპარსთა მეფესა“ (40:220) და თავი ირანის შაჰად გამოაცხადა. ამით ისარგებლეს შაჰის მმართველობით უკმაყოფილო დიდებულებმა, ჰორმიზდ IV ტახტიდან გადააყენეს, თვალები დათხარეს და... ტახტზე მისი ძე — ხოსრო (გამეფების შემდეგ ხოსრო II ფარვიზი) დასვეს. ახალგაზრდა შაჰი ვერ გაუმკლავდა ძლევამოსილ სარდალს, დახმარების საძებნელად ბიზანტიაში გაიქცა და იმპერატორ მავრიკიოსის შემწეობით ტახტი დაიბრუნა. ბიზანტიასა და ირანს შორის მანამდე არსებული მტრობა მეგობრობით შეიცვალა — დახმარების სანაცვლოდ, სომეხი ისტორიკოსის სებეოსის ცნობით, 591 წელს ხოსრო II-მ მავრიკიოსს თავისი სამეფოს სხვა ტერიტორიებთან ერთად გადასცა „...უდიდესი ნაწილი ქართლის ქვეყნისა ქალაქ ტფილისამდე“ (81:43).

ასე მიიღო ბიზანტიამ 591 წელს თბილისის მომიჯნავე ქართლის ნაწილი. მართალია, 602 წლის 23 აპრილს ფოკას მიერ იმპერატორ მავრიკიოსის მოკვლის შემდეგ, როცა ხოსრომ მავრიკიოსის სისხლის საძიებლად ბიზანტიასთან ომი დაიწყო, ბიზანტიამ სხვა ტერიტორიებთან ერთად „ქართლის დიდი ნაწილი ტფილისამდე“-ც დაკარგა, მაგრამ 628 წლის 3 აპრილის ზავით, ორივე ქვეყანა რადგან 591 წლის საზღვრებში აღდგა, თბილისი ისევ ირანელთა ხელში დარჩა, „უდიდესი ნაწილი ქართლის ქვეყნისა ქალაქ ტფილისამდე“ კი კვლავ ბიზანტიას დაუბრუნდა. აი რატომ იყო 628 წლის შემოდგომაზე ჰერაკლე გარდაბანში და იქ რატომ ელოდა თურქთა მიერ თბილისის აღებას.

ზემოთქმულის სისწორეში რომ დავრწმუნდეთ, კვლავ წყაროთა მონაცემებს გადავხედოთ.

მოვსეს კალანკატუაცი ისე გადმოსცემს 628 წელს ჯაბღუსა და შათის მიერ თბილისის აღების, გაძარცვისა და მის დამცველთა დასჯის ამბავს, რომ ჰერაკლეს არ იხსენიებს (25:76—77). ჯუანშერის ცნობით კი, როცა ჯაბღუმ კალა აიღო ტყვედ ჩავარდნილ ციხისთავს „ტყავი გახადა“, „გახდილი ტყავი“ იმპერატორს „უკანა მისწია გარდაბანს“ (40:225). ამასვე იმეორებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“—„მერმე მრთელსა ტყავი გაჰხადა და მეფესა უკანა მისწია გარდაბანს ვარაზ გრიგოლისსა

შინა“ (26:326). სუმბატ დავითის ძე გადმოგვცემს რა თბილისის პირველ ალყიდან (627 წელს) ირანისაკენ მიმავალი ჰერაკლეს ამბავს — წერს: „თჳთ წარემართა ბაღდადს. და მივიდა გარდაბანს, ვარაზ გაგელისასა“ (უნდა იყოს ვარაზ გრიგოლისასა. იხ. 29, შენ. № 4; შდრ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ზემომოტანილი ადგილი). აქ „დაილაშქრა ადგილსა მას, რომელსა ჰქჳან ხუზაშენი, და ნათელ-სცა ერეკლე ვარაზ გაგელსა და ყოველსა ერსა მისსა.. .და წარვიდა ბერდუჯს და დადგა გულსა სოფლისასა. და აღმართა ჯუარი ქვისა და დადვა საფუძველი წმიდისა ღმრთისმშობელისა ეკლესიისა, და აღასრულა გუმბათი მისი“ (29:375). გარდაბანში მყოფი ჰერაკლეს ამ საქმიანობის აღწერისას სუმბატ დავითის ძე დასძენს: „ხოლო მან ჯიბღუ წარიღო კალა და ციხე იგი ტფილისისა გამოიღო, და ციხისთავი იგი შეიპყრა. და დრაჰკნითა პირი აღუვსო ამისთჳს, რამეთუ თქუა სადიდებელი იგი მეფისა ერეკლესი. ხოლო კაღრებისა მისთჳს ტყავი გაჰხადა და მეფესა მისწია იგი გარდაბანს ვარაზ გაგელისასა. და გარდაბანით მეფემან მიცვალა ლალას, და უწოდა მეწეკევნელთა მთავარსა, ნათელ-სცა და წარვიდა ბაღდადს... და შეიპყრა ხუასრო მეფე...“ (29:375).

რა შეიძლება ითქვას სუმბატ დავითის ძის თხზულებიდან ზემომოტანილი ცნობის შესახებ?

ი. მანანდიანის მიერ დადგენილი მარშრუტის თანახმად, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჰერაკლე თბილისიდან ირანისაკენ ახლანდელ ბორჯომზე, შემდეგ კი ჯავახეთზე გავლით გაემართა. შეიძლება ი. მანანდიანი ცდება და ჰერაკლე მართლაც გარდაბანზე გავლით წავიდა ირანისაკენ (მე უფრო სარწმუნოდ მეჩვენება ჰერაკლე თბილისიდან ირანისაკენ ძველი „რანის გზით“ წასულიყო. მაშინ იგი მართლაც გაივლიდა გარდაბანს), მაგრამ როცა მას ირანში მისვლა ეჩქარებოდა, რა თქმა უნდა, გარდაბანში იმ ღონისძიებების გატარებას არ დაიწყებდა, რის შესახებაც სუმბატ დავითის ძე მოგვითხრობს. უფრო სავარაუდოა, ჰერაკლე გარდაბანში 628 წლის შემოდგომაზე მისულიყო. იქ დალოდებოდა ჯაბღუსა და შათის მიერ თბილისის აღების ამბავს და ამ ლოდინის დროს ის ღონისძიებები გაეტარებინა, რომლის შესახებ სუმბატ დავითის ძე მოგვითხრობს.

ასეთი ვარაუდი ვფიქრობ, შემდეგითაც დასტურდება: 1. ძველი ქართული წყაროები „კალას ციხის“ აღებისას ჰერაკლეს უკვე გარდაბანში მყოფად იხსენიებენ; 2. მოვსეს კალანკატუაცი საერთოდ არაფერს ამბობს თბილისის აღებაში ჰერაკლეს მონაწილეობის შესახებ; 3. სუმბატ

დავითის ძის ცნობით, გარდაბანში მყოფმა ჰერაკლემ მხოლოდ მრავალი ღონისძიების გატარების შემდეგ შეიტყო „ჯიბღუმ... კალა და ციხე იგი ტფილისისა“ რომ „წარიღო“.

ასე რომ, 628 წელს თბილისის აღებაში ჰერაკლეს მონაწილეობა რადგან საეჭვოა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მან 628 წლის 3 აპრილს კავად შიროესთან დადებული სეპარატული ზავის პირობები დაიცვა.

ჰერაკლეს თბილისთან მოსვლით რადგან იურიდიულად ზავის პირობები ირღვეოდა, ამიტომ, როგორც ეს სუმბატ დავითის ძის თხზულებიდან ჩანს, 628 წლის შემოდგომაზე ამიერკავკასიაში შემოსული ჰერაკლე ქართლის იმ ნაწილში გაჩერებულა, რომელიც 591 წლიდან ბიზიანტიას ეკუთვნოდა (იხ. ზემოთ) და მასში მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც გაუტარებია.

სუმბატ დავითის ძის ცნობა, ჰერაკლეს გარდაბანში ყოფნის შესახებ 628 წლის შემოდგომას რომ ეკუთვნის, ეს შემდეგიდანაც ჩანს. ირანის ტახტზე კავად შიროეს ასვლის შემდეგ, როგორც მოვსეს კალანკატუაცი გადმოგვცემს, კავად შიროეს ბრძანებით „სასწრაფოდ გაათავისუფლეს პატიმრები“. მათ შორის იყო, 25 წლის მანძილზე ირანის შაჰის ხოსრო II-ის კარზე ტყვედ მყოფი, ალბანეთის „დიდი სამთავროს კათალიკოსი სახელად ვირო“ (25:75). ვირო სასწრაფოდ დაბრუნდა სამშობლოში. კალანკატუაცის ცნობით, სწორედ ვირომ მონათლა „ალბანეთის პირველი იშხანი“ ვარაზ გრიგორი (25:88). ახლა თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ სუმბატ დავითის ძის თანახმად, გარდაბანს მყოფმა იმპერატორმა ჰერაკლემ „ნათელ-სცა... ვარაზ გრიგოლსა და ყოველსა ერსა მისსა“ (29: 375), ცხადია, ჰერაკლეს მიერ ვარაზ გრიგოლისა და მისი ერის მონათვლა, ალბანეთის კათალიკოსის ვიროს მიერ ვარაზ გრიგოლის მონათვლას უნდა გულისხმობდეს. ვარაზ გრიგოლი ვიროს მხოლოდ 628 წლის გაზაფხულის შემდეგ შეიძლებოდა მოენათლა, როცა იგი ირანიდან ალბანეთში დაბრუნდა.

კალანკატუაცი ვარაზ გრიგოლს რადგან „ალბანეთის პირველ იშხანად“ ასახელებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰერაკლემ ვარაზ გრიგოლი დანიშნა იმ ტერიტორიის მმართველად, რომელიც მას 591 წლის ზავით უნდა დაეკავებინა.

რა ტერიტორია იყო ეს?

გარდაბანი ძველი ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი განაპირა პროვინცია იყო ცენტრით ხუნანში. მოიცავდა ახლანდელი აზერბაიჯანის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს მდინარეების: ძეგამჩაის, თაუზჩაისა და

ალსთაფაჩაის აუზებს (იხ. ქსე, ტ. 2, სტ. გარდაბანი, ავტორი დ. მუსხელიშვილი). ისტორიულ წყაროებში ქართული გარდაბანი ემთხვევა ალბანეთის გარდმანის დასახელებას. ქართული და ალბანური პროვინციების სახელწოდებათა საერთო წარმოშობა უეჭველია და მოწმობს, გარკვეულ პერიოდში მათ პოლიტიკურ, შესაძლებელია ეთნიკურ ერთობას (ქსე, ტ. 2, სტ., გარდმანი, ავტ. დ. მუსხელიშვილი).

სწორედ ალბანეთის კუთვნილი გარდმანის მთავრად უნდა დაესვა პერაკლეს ვარაზ გრიგოლი და მოენათლა. რაც შეეხება ქართლის გარდაბანს, თავისთავად ცხადია, იგი ქართლის ტახტზე ჰერაკლეს მიერ დასმულ დიოფიზიტ ადარნასეს ხელში გადავიდოდა. ალბათ ზემოაღნიშნულით უნდა აიხსნას (ეს კალანკატუაცის ცნობიდანაც ჩანს), ვარაზ გრიგოლის ძესა და მემკვიდრის—ჯუანშერსა და ქართლის ერისთავთა მთავარს ადარნასეს შორის მეგობრული და კეთილმეზობლური დამოკიდებულება რომ იყო (25:91—92).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება ვივარაუდოთ: 628 წლის შემოდგომაზე თბილისის ასაღებად გამართულ ბრძოლაში ჰერაკლეს მონაწილეობა არ უნდა მიეღო. იგი ამ დროს იმპერიის კუთვნილ ქართლის ნაწილში გარდაბანში იმყოფებოდა. თურქთა მიერ თბილისის აღების შემდეგ, როცა მოკავშირეებმა ამიერკავკასიაში დაპყრობილი ტერიტორიები გაინაწილეს, ირანის კუთვნილი ქართლის ნაწილი ჰერაკლემ თურქთაგან მიიღო. ასე გადავიდა მთელი ქართლი ბიზანტიის მფლობელობაში.

ბოლოთქმა

628 წლის შემოდგომაზე ჯაბღუმ და შათიმ თბილისი და მისი დედა ციხე-კალა აიღეს, ქალაქის დამცველებს კი სასტიკად გაუსწორდნენ. რაც მთავარია, თურქთა ჯარის სარდლებმა და თვით მეომრებმა თბილისის აღების შემდეგ აუარებელი სიმდიდრე იგდეს ხელთ. თბილისიდან გატანილი, „ნაძარცვი განძეულობით" სავსე სკივრები „მრავალრიცხოვან მძიმედ დატვირთულ ჯარს მიჰქონდა და ალაგებდა თავისი მბრძანებლის წინაშე გროვებად და ზვინებად. მის წინ იმდენად ხშირად მოჰქონდათ, რომ დამქანცველი გახდა უთვალავი ოქროსა და ვერცხლის ტალანტების (ფულის ერთეულია. — ვ. გ.) ყურება, — წერს მოვსეს კალანკატუაცი და დასძენს, — ...ვის შეუძლია ზედმიწევნით აღწეროს მარგალიტებით მოოჭვილი საეკლესიო ჭურჭელი" (25:77).

თურქებმა თბილისიდან რომ ასეთი მდიდარი ნადავლი წაიღეს, ეს გასაკვირი არაა. მანამდე ქართლის დედაქალაქს უცხოელთა ასეთი ძარცვა არ განეცადა. აღნიშნულთან ერთად (როგორც ეს პროკოპიოს კესარიელის ზემომოტანილი ცნობიდან ივარაუდება) თბილისელი მოქალაქეები ხომ იმ დიდ სავაჭრო ოპერაციებში უნდა ყოფილიყვნენ ჩაბმულნი, რომელიც დასავლეთსა და აღმოსავლეთს (ირანზე, სომხეთზე და თვით საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზებით) აკავშირებდა. აბრეშუმის ვაჭრობაში მონაწილეობა კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, დიდი სიმდიდრის დაგროვების საშუალებას იძლეოდა.

თბილისის აღების შემდეგ, ჯაბღუმ და ჰერაკლემ, როგორც ვთქვი, ამიერკავკასიაში დაპყრობილი ტერიტორიები გაიყვეს. ალბანეთს თურქები დაეპატრონენ, ქართლი კი ჰერაკლეს დაუთმეს[56]. მანამდე კი ბიზანტიას ქართლის ტერიტორიის ნაწილი მიუტაცია: „მაშინ კუალად

---

[56] „აზერბაიჯანის ისტორიის" ავტორები რატომღაც თვლიან, რომ ჰერაკლესა და ჯაბღუს შორის ტერიტორიების განაწილებისას ქართლი დამოუკიდებელი გახდა (77:97).

წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღჳს პირი“ (40:226) წერს ძველი ქართველი მემატიანე.

ჰერაკლემ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჯერ კიდევ 627 წელს დაავალა კახეთის მმართველს ადარნასეს თბილისის წინააღმდეგ ბრძოლა. 628 წლის შემოდგომაზე როცა თბილისი აღებული იყო, ხოლო სტეფანოზ I სიკედილით დასჯილი, ქართლის ერისთავთა მთავრის ტახტზე ადარნასეს დასმასთან ერთად, ირანელთა ბატონობა ქართლზე ბიზანტიელთა ბატონობით შეიცვალა. მაგრამ, ამჯერად ბიზანტიელთა ბატონობა ქართლში ხანმოკლე აღმოჩნდა.

ჰერაკლესა და ჯაბღუს შორის ტერიტორიების გაყოფისას, როგორც ითქვა, ალბანეთს (ალვანეთი) თურქები დაეპატრონენ.

თბილისთან მდგომი ჯაბღუ „ნადავლითა და განძით“ სანამ თავის ქვეყანაში გაემგზავრებოდა, შათის ჯარი დაუტოვა „დამრიგებელ მამაც კაცებთან“ ერთად და „ალვანეთის საზღვრებისაკენ წასვლა უბრძანა“, თან „კაცებს“ ასე დაუბარა: „თუ ქვეყნის დიდებულები და წინამძღოლნი ჩემი შვილის წინ გამოვლენ და მორჩილებით გადასცემენ თავიანთ ქვეყანას, დაუთმობენ ჩემს ჯარს ქალაქებს, სიმაგრეებსა და ვაჭრობას[57], მაშინ თქვენც თავი ანებეთ მათ. იცხოვრონ და მე მემსახურონ, ხოლო თუ არა, თქვენი თვალი ნუ დაინდობს მათში ნებისმიერი ასაკის მამაკაცს, ხოლო ნორჩი ყრმები და ქალები დაიცავით ჩემსა და თქვენს მსახურებად და მოახლეებად“ (25:77).

ბარდაში მჯდომმა ირანელმა მარზპანმა (იმ ხანად მარზპანი სემა ვშნასპი იყო) ვერც ამჯერად მოახერხა ალბანელთა დაცვა და ირანში გაიქცა (25:78).

თურქთა ლაშქრის სარდალთან შათისთან მოლაპარაკება ალბანეთის კათალიკოსმა ვირომ იკისრა (იგი წინასწარ ირანის შაჰს შეუთანხმდა და ნება სთხოვა რათა თურქებთან მოლაპარაკება დაეწყო. აღნიშნულიდან ჩანს, 628 წლის ზავით ალბანეთი ირანის ხელქვეით რომ დარჩენილა). ვირო დიდი საჩუქრებით იმ დროს ეახლა შათის, როცა თურქები ღრეობდნენ. ალბანელებმა დაინახეს „...მრავალი მათგანი (ე. ი. თურქი,— ვ. გ.) მუხლმოყრით მჯდომარე მსგავსად მძიმედ დატვირთულ აქლემთა ქარავნისა. თითოეულს სინი ავსებული ჰქონდა უწმინდურ ცხოველთა

---

57 კ. ტრევერის აზრით, ჯაბღუს ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, თურქებს ამიერკავკასიაში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმომავალი გზები და ქვეყნის პოლიტიკური დაპყრობა რომ აინტერესებდათ (121:241).

ხორცით, ამასთანავე — თასები მარილწყლით, რომელშიც თავიანთ საჯ-მელს აწებდნენ. ოქროთი მოვარაყებული ვერცხლის ჯიქები და სასმისები წამოღებული ჰქონდათ ტფილისის აოხრებისას. მათვე ედგათ რქისა და ხის გოგრისებური დიდრონი ჯამები, რომლებითაც წვენს ხვრეპდნენ... ქონიანი ბინძური ტუჩებით ერთი და იმავე ჯიქიდან ორი, ან სამ-სამი მათგანი თავიანთ გაუმაძღარ მუცლებში, როგორც გაბერილ ტიკებში, ისხამდნენ ნამდვილ ღვინოს, ხან კი აქლემისა და ცხენის რძეს" (25:80—81).

შათიმ ვირო კარგად მიიღო. მას მამა უწოდა და დასძინა: „ეს სამი ქვეყანა — ალვანთა, ლფინთა და ჩორის, საუკუნო მემკვიდრეობით ერგო მამაჩემს" (25:81). ალბანთა კათალიკოსს მეტი რა ძალა ჰქონდა, დათანხ-მდა და უთხრა: „ჩვენ შენი და მამაშენის მონები ვართ, მეც და ჩემი ქვეყნის ყველა მცხოვრები... ისე გემსახურებით, როგორც სასანიანებს ვემსახურებოდით" (25:81—82).

ამასობაში 629 წელი დადგა. შათი თურქთა ლაშქრით ისევ ალბანეთ-ში იყო და სხვადასხვა მხარეებში ლაშქრობდა. ალბანეთში თურქთა მრავალათასიანი ლაშქრის ყოფნას, ზედ დაერთო მოუსავლიანი წელი. დაიწყო საშინელი შიმშილი (25:83—84). 630 წლის გაზაფხულზე შიმ-შილმა და გაჭირვებამ იმატა (25:84), მაგრამ ამ წელს, ალბანეთში თურქთა ყოფნის აღსასრულიც დადგა.

630 წელს თვით თურქთა დასავლეთ კაგანატში დაიწყო არეულობა. ნოვსეს კალანკატუაცი წერს: „ჩრდილოეთის ზღვის დამაშრობელს", „რომელიც იგივე ჯებუ ხაქანია, თავისი ლეშისმჯამელი ლეკვის" — შათისათვის უცნობებია: „თავს დამესხნენო ყაჩაღები და მეტად ეეღარ იხილავ ჩემს სახეს. ნაცვლად იმისა, რომ თავი დამეცვა, მივისწრაფოდი უცხო სამეფოსაკენ, რაც წესი არ იყო ჩემთვის. ამპარტავნობის გამო მაღლიდან დავეცი. ახლა ნუ დააგვიანებ შენთან მყოფი ხალხის განადგუ-რებას. ეცადე თავი დააღწიო მათ იმაზე ადრე, ვიდრე ეგენი გაიგებდნენ მომხდარი ამბების შესახებ და დააჩქარებდნენ შენს მოსპობას. მე კი დავიღუპე და მოვწყდი ჩემს შვილებს" (25:87).

რა მოხდა თურქთა დასავლეთ კაგანატში? რამ დაღუპა ჯაბღუ?

თურქთა დასავლეთ კაგანატში 630 წელს დიდი შინაომი ატყდა, რო-მელმაც თითქმის 651 წლამდე გასტანა. ზემოთ ვილაპარაკე, რომ თურქ-თა დასავლეთი კაგანატის სამხედრო დასაყრდენს დულუს და ნუშუბის ტომთა კავშირები წარმოადგენდა. პირველ ხანებში წარმატება ნუშუბის ტომთა მხარეს იყო (ეს განაპირობა სოღდიანას მდიდარი ქალაქების

მხარდაჭერამ და ჩინეთთან კავშირმა). მაგრამ დულუს ტომებმა დასახმარებლად თურქთა აღმოსავლეთი კაგანატის უფლისწულის ჯარები მოიხმეს, მათვე მიემხრნენ ბოლგარები (თუმცა ამ ხანებში ხაზარები ნუშუბის ტომთა ერთგულებად რჩებოდნენ) და გაიმარჯვეს (44:170).

კაგანი ტუნ შეჰუ, რომელიც ნუშების ტომებს ეყრდნობოდა, დულუს ტომების უკმაყოფილებაში საშიშროებას ვერ ხედავდა. იგი სწორედ აქ შეცდა. როცა აღმოსავლელმა თურქებმა მას ბიშბალიკი წაართვეს, შავ ირტიშზე მცხოვრები კარლუკებიც აჯანყდნენ. ამის შემდეგ დაიწყო დულუს ტომთა მოძრაობა. დულუს ტომთა გამოსვლას ტუნ შეჰუს ბიძა—მოხოდუ-ხოუ მეთაურობდა. სწორედ მან მოკლა ტუნ შეჰუ. როგორც ლ. გუმილიოვი ფიქრობს, ტუნ შეჰუ არ ენდობოდა თავის ბიძას და ჩანს, მისი სამფლობელოების მოხო ჯაბღუსათვის გადაცემა სურდა. მოხოდუ-ხოუმ ეს არ აპატია (65:202).

ტუნ შეჰუს მოკვლის შემდეგ, 630 წელსავე აჯანყებულებმა მოკლეს მოხო ჯაბღუც. სწორედ სიკვდილის წინ მისწერა მან ალბანეთში მყოფ თავის ძეს ზემომოტანილი სიტყვები.

დამარცხებული ნუშების ტომები დამორჩილებას არ აპირებდნენ. მათმა ნაწილმა, როგორც ითქვა, ჩრდილოეთ კავკასიაში გადმოინაცვლა. ამჯერად უკვე მათი ერთი ბელადის „ხაზარიგის“ სახელის მიხედვით ხაზარებად წოდებულებმა, პირველ რიგში დულუს ტომების მოკავშირე ბოლგარები გაანადგურეს. ბოლგართა ნაწილი (შემდეგში „შავ ბოლგარებად“ წოდებულნი) მათ დამორჩილდა, ნაწილი ჩრდილოეთში გაიქცა და იმ ადგილებში გაჩერდა, სადაც შემდეგ ვოლგის ბოლგართა სახელმწიფო შეიქმნა. ბოლგართა დიდმა ნაწილმა ხან ასპარუხის ხელმძღვანელობით დასავლეთისაკენ დაიწყო მოძრაობა. დაახლ. 660 წელს ისინი მდ. დუნაის დელტაზე გამაგრდნენ. შემდეგ მდინარე გადალახეს და ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოებს შეესიენ. იმპერატორმა კონსტანტინე IV პოგონატმა (668—685) მათ წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ლაშქარი მიატოვა. 679 წელს ბოლგარებმა გაიმარჯვეს (44:172).

ხაზარები მთელ ჩრდილოეთ კავკასიისა და მისი მიმდებარე ველების ბატონები გახდნენ. როგორც მ. არტამონოვი ფიქრობს, ხაზარების სათავეში თურქთა დასავლეთი კაგანატის მმართველი აშინას დინასტიის ერთ-ერთი უფლისწული მოექცა. მან საფუძველი დაუდო ახალ დინასტიას. ამის შემდეგ ხაზარები ნელ-ნელა ძალას იკრებდნენ და დაახლოებით 651 წელს მათ დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნეს.

დულუს ტომების წარმომადგენლები, როგორც ზემოთაც ითქვა, თურქთა ამიერკავკასიულ ლაშქრობაშიც მონაწილეობდნენ. ისინი მრავლად იყვნენ 630 წელს ალბანეთში მდგომი ბური შათის ლაშქარში. დულუს ხალხი როცა შუა აზიაში მომხდარი დიდი გარდატეხის — კაგანატის დაღუპვისა და მათი თანამოძმეების გამარჯვების ამბავს გაიგებდა, რა თქმა უნდა, ბური შათისაც მოიშორებდნენ თავიდან. სიკვდილის წინ გაგზავნილ წერილში ამიტომ აფრთხილებდა მოხო თავის ძეს შათის: „ახლა ნუ დააგვიანებ შენთან მყოფი ხალხის განადგურებას. ეცადე თავი დააღწიო მათ იმაზე ადრე, ვიდრე ეგენი გაიგებდნენ მომხდარ ამბის შესახებ და დააჩქარებდნენ შენს მოსპობას“-ო (25:87. როგორც ჩანს შათიმ მამის რჩევა შეასრულა. დულუს ხალსის ამოხოცვის შემდეგ მან სასწრაფოდ დატოვა ალბანეთი და შუა აზიაში გაიქცა. 65:203).

ასე შეწყვიტა არსებობა 630 წელს იმ დროის ორმა უდიდესმა სახელმწიფო გაერთიანებამ თურქთა აღმოსავლეთმა კაგანატმა ჩინეთის დარტყმების, ხოლო თურქთა დასავლეთმა კაგანატმა დულუს ტომების აჯანყების შედეგად.

თურქთა დასავლეთი კაგანატის ნანგრევებზე აღმოსავლეთ ევროპაში წარმოშობილმა ხაზართა კაგანატმა განსაკუთრებით დიდ სიძლიერეს VIII საუკუნეში მიაღწია. მაშინდელი „მსოფლიოს ბატონების“ არაბებისათვის ხაზარები ძლიერი და დაუძლეველი მოწინააღმდეგეები აღმოჩნდნენ. მაგრამ, ისევე როგორც თურქთა კაგანატები, ხაზართა კაგანატიც თვით თურქული წარმოშობის ხალხების მსხვერპლი შეიქმნა. 964/965 წლებში ხაზართა კაგანატმა შუა აზიიდან მოსული პაჭანიკებისა და ღუზების დარტყმების შედეგად შეწყვიტა არსებობა. ჩრდილოეთ კავკასიაში ერთ დროს ხაზართა ძლიერმა სახელმწიფომ მხოლოდ არქეოლოგიური მასალა დატოვა.

ასევე, მხოლოდ არქეოლოგიური მასალა დატოვა ბალკანეთში, ერთ დროს იქ არსებულმა ავართა კაგანატმაც. ძველ რუსულ მატიანეებში (მათში ავარები, როგორც ითქვა, „ობრ“-ებად იწოდებიან) იმპერატორ ჰერაკლეს დროინდელი ამბების აღწერისას ნათქვამია: «...Обри телом велице, а умом горды, ...и помроша вси, и не оста ни един Обрин» (116:31). ე. ი. ბუმბერაზი ავარებიდან არც ერთი არ დარჩა ცოცხალიო. რა მოუვიდათ ავარებს?

626 წელს კონსტანტინოპოლთან დამარცხების შემდეგ, ავართა კაგანატი არსებობას განაგრძობდა, მაგრამ თანდათან ძალას კარგავდა.

თვით კაგანატში არსებული შინაბრძოლის გარდა, ავართა კაგანატის სიძლიერე მნიშვნელოვნად შეარყია სლავური ტომების აჯანყებამ და ფრანკებთან მარცხმა.

VII ს-ის შუახანებისათვის შავი ზღვის ჩრდილოეთ ველებზე მომთაბარე ხალხებმა ავართა ბატონობისაგან გაითავისუფლეს თავი. ამის შემდეგ, პანონიაში — მდ. დუნაის მიმდებარე ველებზე წარმოქმნილმა ბოლგართა სამეფომ შეავიწროვა ავართა მფლობელობის ფარგლები. VIII ს-ის 90-იან წლებში ფრანკთა მეფე კარლოს დიდმა (768—814) ისინი საბოლოოდ გაანადგურა.

796 წელს ავართა უკანასკნელი გამაგრებული ადგილი დაეცა. დროთა განმავლობაში ავარები დუნაისპირეთისა და შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ხალხებს შეერივნენ. აი რატომ წერს რუსი მემატიანე არცერთი ავარა არ დარჩა ცოცხალიო.

მართალია ავარები გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან, მაგრამ მათ შესახებ ხსოვნა დიდხანს შემორჩა ევროპის ხალხებს. „გრძელთმიანმა ავარებმა" თავისი სიმკაცრით თავი განსაკუთრებით სლავებს დაამახსოვრეს. „გოლიათური ტანის"[58] ავარების სლავური სახელი „ობრ" — ისევე როგორც რუსულში, ძველ ჩეხურ და პოლონურ ენებშიც (საერთოდ ძველ სლავურში) „გოლიათის", „ბუმბერაზის" აღმნიშვნელი გამხდარა (116:31, 88:452). ასევე „ჰუნი" ბუმბერაზის გაგებით დამკვიდრებულა ძველ გერმანულში (116:31). როგორც ზემოთ ვნახეთ, „ჰუნი" აღმოსავლეთის ხალხებშიც ხომ „მტრის" მნიშვნელობით იხმარებოდა.

იქნებ სწორედ ავართა გავლენითაა ქართულში (ასევე ირანულში, ინდურში, სომხურში) „ავარა" — უსაქმოდ მოხეტიალის, მოხულიგნო ადამიანის სინონიმად რომ იხმარება?

ავარებთან ერთად უკვალოდ გაქრნენ ჰუნურ-თურქული მოდგმის აკაცირები, სარაგურები, ონაგურები, კუთურგურები[59], საბირები.

---

[58] საკუთრივ ჰუნები ტანად პატარები იყვნენ. ჰუნთა სახელგანთქმული ბელადის ატილას სიმაღლე დაახლ. 160/165 სანტიმეტრი იყო.

[59] კუთურგურები 630 წელს აუჯანყდნენ ავარებს, მაგრამ დამარცხდნენ. ამ მარცხის შემდეგ მათი ნაწილი ბავარიაში გაიქცა. სადაც 631 წელს ფრანკთა მეფე დაგობერტის ბრძანებით ღალატით ამოხოცეს (9000-დან მხოლოდ 700 გადარჩა). ცოცხლად გადარჩენილი 700 კაცი იტალიაში ლანგობარდებთან გაიქცა და ბენევენტის საპერეოგოში დასახლდა. მათ IX ს-ში ჯერ კიდევ ახსოვდათ მშობლიური ენა (44:112).

აღმოსავლეთში (ბალკანეთში) დარჩენილმა კუთურგურებმა უთურგურებთან

ჩრდილოეთ კავკასიისა და შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე მომთაბარეობის შემდეგ ბალკანეთში გადავიდნენ დღევანდელი უნგრელების წინაპრებიც. როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, ჩვენში გავრცელებული ტარხუნა რადგან ციმბირული მცენარეა, იგი შეიძლება იმ დროს შემოსულიყო საქართველოში, როცა უნგრელები საქართველოს ჩრდილოელი მეზობლები იყვნენ (37:259).

628 წლის შემოდგომაზე თბილისის აღება, ბიზანტია-ირანს შორის წარმოებული მრავალსაუკუნოვანი ომის უკანასკნელი აქტი იყო.

ბიზანტიასა და ირანს შორის ხანგრძლივმა ბრძოლამ VII საუკუნის 30-იან წლების ბოლოსათვის, როგორც ვნახეთ, მაშინდელი მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და ხალხი დაუპირისპირა ერთმანეთს — ომმა მსოფლიო ხასიათი მიიღო. ომში გამარჯვებულნი ბიზანტიის იმპერია და მისი მოკავშირეები გამოვიდნენ. ხოლო ირანისათვის ეს ომი, „გედის სიმღერა" აღმოჩნდა. ამის შემდეგ ჩქარა ირანს თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის მოუწია ბრძოლამ, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

VII საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს წინა აზიაში ახალი, ძლიერი დამპყრობლების გამოჩენას ბიზანტია და ირანი ურთიერთბრძოლაში დასუსტებულნი და შინაგანი წინააღმდეგობებით დაუძლურებულნი შეხვდნენ. ბიზანტიელთა მიერ დამარცხებულმა და შინაბრძოლებით გამოფიტულმა სასანიანთა იმპერიამ არაბებს სათანადო წინააღმდეგობა ველარ გაუწია. წინა აზიის უძველესმა და დიდი კულტურული წარსულის მქონე ქვეყანამ არსებობა შეწყვიტა. უკანასკნელი სასანიანი შაჰინ-შაჰი იეზდიგერდ III (632—651/652) შუა აზიაში, მერვის მახლობლად მეწისქვილემ მდიდრული ტანისამოსისათვის მოკლა, გვამი კი წყალში გადააგდო. ხის ფესვებზე მოდებული შაჰის გვამი, თურმე მერვის ქრისტიანთა ეპისკოპოსმა იცნო და მან დამარხა. ასე დაიღუპა სასანიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი.

რაც შეეხება ბიზანტიის იმპერიას, მართალია იგი არაბთა დაპყრობას გადაურჩა, მაგრამ ჰერაკლეს მმართველობის ბოლო წლებში არაბებთან ბრძოლაში იმპერიამ არაერთი მარცხი განიცადა. დაკარგა სირია, ზემო შუამდინარეთი, ეგვიპტე (80:367—368). ასეთ ვითარებაში ბიზანტიას ქართლისათვის არ ეცალა და არც არაბებისაგან მისი დაცვა შეეძლო.

ერთად მონაწილეობა მიიღეს ბოლგართა სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში მაგრამ ხან ასპარუხის მიერ შექმნილი ბოლგართა სახელმწიფო სლავებთან შერევის გამო სლავურენოვანი გახდა.

642—643 წლებში არაბები ქართლსაც მოადგნენ. ქართლში „არაბობა“ დაიწყო, მაგრამ, შემდგომ საუკუნეებში ქართლმა არაბების ბატონობა მოიშორა. ერთიანმა ქართულმა სახელმწიფომ XI საუკუნიდან თანდათან გაძლიერება იწყო, მაშინ როცა ბიზანტიის იმპერია სუსტდებოდა და 1453 წელს საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა.

კოალიციაში გაერთიანებული ქვეყნებიდან და ხალხებიდან, მხოლოდ ჩინეთი განაგრძობდა დამოუკიდებელ ცხოვრებას — იქ მხოლოდ არაბი ვაჭრები აღწევდნენ.

არაბები დაეპატრონენ აბრეშუმის დიდ სავაჭრო გზას. ახლა მათ გაჰქონდათ ჩინური და შუა აზიული აბრეშუმი დასავლეთი ევროპის ქვეყნებისაკენ. არაბებს შუამავალი აღარ სჭირდებოდათ. მათ ხელში იყო: შუა აზია, ირანი, ამიერკავკასიის ქვეყნები, ბიზანტიის იმპერიის ნაწილი და დასავლეთ ევროპის სამხრეთი ნაწილი, ჩრდილოეთი აფრიკა.

* * *

ძველი გზის ახალი სიცოცხლე

ძველი აღმოსავლეთის უძველესი ცივილიზაციის ცენტრებთან სიახლოვისა და მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ქართველმა ხალხმა აღრე შედგა ფეხი ცივილიზებული ცხოვრების გზაზე და გულმოდგინე შრომითა და დამპყრობელთა წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლით შექმნა და დაიცვა თავისი მაღალი და თავისთავადი კულტურა (გ. მელიქიშვილი).

ერთის მხრივ, აზიისა და ევროპის შესაყარზე მდებარეობა თუ ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ დაწინაურებას, მეორე მხრივ, იგივე პირობები გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში ხშირად ქვეყნის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის მიზეზიც ხდებოდა ხოლმე. რის გამოც, სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერებისა თუ უძლურების შესაბამისად ქვეყნის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური საზღვრები საუკუნეთა მანძილზე ხშირად იცვლებოდა.

ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა ისიც, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზები უძველესი დროიდან არსებული დიდი საერთაშორისო სახმელეთო,

საზღვაო და სამდინარო-სავაჭრო გზათა სისტემის შემადგენელი ნაწილი რომ იყო.

ჯერ კიდევ ძველაღმოსავლურ ხანაში კავკასიის მეშვეობით ხორციელდებოდა წინა აზიის ქვეყნების კავშირი ევროპის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებთან. შემდეგში, ბერძნული კოლონიზაციის დროს (ძვ. წ. VIII—VII სს.), როცა კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე დაარსდა სავაჭრო ფაქტორიები, ამიერკავკასიის გზებმა ხელი შეუწყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების სავაჭრო კონტაქტებს.

ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან, წინა ხანებთან შედარებით, ვაჭრობამ ფართო საერთაშორი ხასიათი მიიღო. ამ დროს წარმოიშვა დიდი სავაჭრო-სატრანსპორტო გზა, რომელიც ინდოეთში იწყებოდა. შუა აზიიდან სანაოსნო იყო — მდ. ოქსოსით (ახლანდ. ამუდარია. იმ ხანად კასპიის ზღვას ერთვოდა), კასპიის ზღვით, მტკვრით, სურამის უღელტეხილითა და მდ. ფასისით (მდ. რიონი) შავი ზღვის სანაპიროს — ქ. ფასისთან (ახლანდ. ფოთი) აღწევდა. იქიდან კი ზღვით მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქალაქებს უკავშირდებოდა.

ძველ საქართველოში არსებული სავაჭრო გზები, რა თქმა უნდა, ანტიკური ხანის ბერძენ-რომაელი ავტორების თხზულებებშიც აისახა. ასე მაგალითად, ქართლის სამეფოს აღწერისას ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი (ძვ. წ. 64/63—ახ. წ. 23/24) ამბობს, რომ ერთი გზა შავი ზღვიდან მდ. ფასისის (რომელზეც 120 ხიდია) აყოლებით და ციხესიმაგრე სარაპანისზე (შორაპანი) გავლით შედის იბერიასა და მის დედაქალაქ მცხეთაში. მეორე — ალბანეთიდან (დღევ. აზერბაიჯანი) შემოსასვლელი გზა ჯერ კლდეშია გაჭრილი, ხოლო შემდეგ გადის ჭაობზე, რომელსაც ჰქმნის მდ. ალაზონისი (ე. ი. ალაზანი. —ვ. გ.), ხოლო არმენიიდან შემოსასვლელი არის მტკვრის ვიწროებზე. მეოთხე გზა, დარიალის ხეობითა და არაგვის დინების გაყოლებით მოემართებოდა „ჩრდილოეთის მომთაბარე ქვეყნებიდან". ეს ოთხი გზა თავს იყრიდა ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში.

სტრაბონისავე მონაცემებით, მცხეთაზე გადიოდა აგრეთვე ინდოეთიდან წამოსული, ზემოდასახელებული დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზა.

როგორც სტრაბონის, ისე ზოგიერთი სხვა მოგვიანო მწერლების ცნობები ამიერკავკასიის სავაჭრო გზებზე, როგორც ფიქრობენ, უფრო ძველი წყაროებიდან, კერძოდ ძვ. წ. IV—III საუკუნეების მიჯნაზე სამხრეთ კასპიისპირეთის რაიონების გამგებლის პატროკლეს ჩანაწერებიდან

მომდინარედ ითვლება. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქართლის სახელმწიფო წარმოქმნისთანავე ჩაება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. რამაც, თავისთავად, ცხადია, გარკვეულწილად განაპირობა ფარნავაზის მიერ შექმნილი ახალი ქართლის სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერე.

ძვ. წ. II საუკუნიდან ინდოეთიდან მომავალმა დიდმა სავაჭრო ვზამ ახალი საწყისი მიიღო. ამ გზით რომის (შემდეგში ბიზანტიის) იმპერიაში მაღალხარისხოვანი ჩინური აბრეშუმის შეტანა დაიწყეს. ეს მაგისტრალი ამიერიდან „აბრეშუმის დიდ სავაჭრო გზად“ იწოდა. იგი ჩინეთში— სინძიანში იწყებოდა. ქ. დუნხუანიდან ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისაკენ. ორივე გზა ქ. ყაშგარში (შუა აზიაში) იყრიდა თავს. აქედან კი გზის სამხრეთი შტო ჩრდილოეთი შუამდინარეთის გავლით ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ქ. ანტიოქიაში ჩადიოდა. რაც შეეხება გზის ჩრდილოეთ განშტოებას, იგი ზემოდასახელებული გზით (კასპიის ზღვის, ალბანეთის, ქართლის, ეგრისის გავლით) ჩადიოდა ქ. ფასისში.

ახ. წ. დამდეგს ბერძნულ-ბაქტრიული სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ერცელ ტერიტორიაზე — არალის ზღვიდან ინდოეთის ოკეანემდე ჰუნი ქუშანების გაერთიანება ჩამოყალიბდა (იგი იმ ეპოქაში მსოფლიოს ოთხ უძლიერეს იმპერიას განეკუთვნებოდა) და ამ დროიდან ჩინეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის სავაჭრო შუამავლად ქუშანები, ასევე მისი ქვეშევრდომი სხვადასხვა ხალხები მ. შ. ბაქტრიელები გამოდიოდნენ. ბაქტრიელებს ქართულ სამყაროსთანაც რომ ჰქონდათ ურთიერთობა, ამას მოწმობს ახ. წ. V ს.-ში შედგენილ ანონიმურ „პერეპლუსში“, როგორც ფიქრობენ, ძვ. წ. II—I სს. წყაროდან ამოღებული ცნობა, რომელშიც ქ. ფასისში სავაჭროდ ჩამოსულ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე 60 ტომის წარმომადგენელთა შორის დასახელებულნი არიან: „ბარბაროსები ინდოეთიდან და ბაქტრიიდან“ (ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, თბ., 1968, გვ. 119). ასევე, ქ. გუდაუთასთან ნაპოვნია ვერცხლის მოოქროვილი ფილარი, რომელიც სპეცალისტთა აზრით ძვ. წ. III ს. ბაქტრიული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. ძვ. წ. II ს. ბაქტრიული მონეტა აღმოჩენილია თბილისის ტერიტორიაზეც (ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 119, შენ. 2).

აბრეშუმის დიდ სავაჭრო გზაზე მიმავალ ქარავნებს ხშირად თან მისდევდა ელჩობები. ასე მაგალითად, ახ. წ. 166 წლის ქვეშ ჩინურ ანალებში შეტანილია ცნობა რომიდან ჩინეთში იმპერატორ მარკუს ავრელიუ-

სის (161—180) ელჩობის ჩასვლის შესახებ (История дипломатии, т. I, М.; 1941, გვ. 80).

სტრაბონის მიერ აღწერილი, ქართლის სამეფოს დედაქალაქისაკენ მომავალი ოთხი გზა, დღესაც უმთავრესი არტერიებია, რომლებითაც საქართველოს დედაქალაქი უკავშირდება დასავლეთ საქართველოს,* ჩრდილოეთ კავკასიას, აზერბაიჯანსა და სომხეთს. რაც შეეხება მეხუთე — საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალს — „აბრეშუმის დიდ სავაჭრო გზას", დღეს მისი ახალი სიცოცხლე იწყება. მხოლოდ ჩინური და შუა აზიური აბრეშუმის მაგივრად, ამჯერად მასზე ბაქოსი (კასპიის) და შუა აზიის ნავთობის გატარებაა განზრახული.

ამ დიდი სავაჭრო გზის მიმართ საქართველოში (ასევე აზერბაიჯანში) ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ მას რამდენიმე სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა (მაგ., გ. გოზალიშვილის, ზ. იამპოლსკის, ო. ლორთქიფანიძის, ნ. ლომოურის, დ. მუსხელიშვილისა და სხვათა). აბრეშუმის დიდ სავაჭრო გზაზე, რა თქმა უნდა, სალექციო კურსშიც იყო საუბარი. პროფესორმა შოთა მესხიამ ამ სავაჭრო გზის აღწერისას, სხვათა შორის ახსენა, რომ აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზის ერთი განშტოება, მართლაც, რომ საქართველოზე გადიოდა, ამას ძველ ავტორთა მონაცემებს გარდა, მოწმობს, ხაშურ-ქვიშხეთის მონაკვეთზე მტკვარზე ნაპოვნი ღუზა, რომელიც ახლაც ინახება ხაშურის რაიონის სოფ. ტეზერში ერთი გლეხის ოჯახში.

სოფელ ტეზერს ვიცნობდი. ამიტომ ეს ფაქტი კარგად დამამახსოვრდა. რამდენიმე წლის შემდეგ ექსკურსიაზე მიმავალმა სოფ. ქვიშხეთთან გაელისას ავტობუსში ეს ფაქტი ვახსენე. ჩემდა გასაკვირვად, ავტობუსში აღმოჩნდა ერთი ქალბატონი, რომელმაც დაადასტურა, რომ ღუზა მართლაც, ინახებოდა ტეზერში მისი მშობლების (თუ ნათესავების) ოჯახში. მე ძალიან გამახარა ამ ფაქტმა, მაგრამ სამწუხაროდ, ქალბატონს არ ვკითხე რა გვარისა იყო ეს ოჯახი.

---

* სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის სტრაბონის მიერ დასახელებული გზით ჯერ კიდევ წინარე ელინისტურ ხანაში რომ ხორციელდებოდა, ამას მოწმობს 1856 წელს სურამში, კოლხურ თეთრთან ერთად ძვ. წ. VI—V სს. ვერცხლის აქემენიდური სიკლის აღმოჩენა (ო. ლორთქიფანიძე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანსპორტო-სავაჭრო გზის შესახებ, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIX, № 3, 1975, გვ. 382). აქემენდური ხანის სავაჭრო გზებზე იხ. აგრეთვე, М., А., Дандамаев, В. Г. Луконин, Культура и экономика древнего Ирана, М., 1980, гв. 216—217.

აბრეშუმის ღიდი სავაჭრო გზისადმი ინტერესი დღემდე თუ მხოლოდ მეცნიერული იყო, კასპიის ნავთობისადმი დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური წრეების მხრიდან ყურადღების გააქტიურებამ ახალი სიცოცხლე შესძინა ძველ გზას. დღეისათვის ამ გზაზე უკვე დიდი ნავთობსადენის გატარება იგეგმება და სერიოზული პროექტების დასამუშავებლად პირველი ნაბიჯებიც გადაიდგა. კასპიისა და შუა აზიის ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის გავლით (ევრაზიის დერეფანი), რომლის საკვანძო ღერძი იქნება აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი — ბაქო-სუფსა-ჯეიხანის ნავთობტერმინალი, ცენტრალური და ყველაზე მოკლეა. ამ ტრასას ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. გარდა იმისა, რომ გზის გამო საქართველო მსოფლიოს პოლიტიკოსთა ყურადღების ცენტრში მოექცა, ამ პროექტის განხორციელება ფანტასტიკურ მოგებას ჰპირდება აზერბაიჯანს, არანაკლებ მოგებული დარჩება საქართველო — ეს გზა ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და გაძლიერების ერთ-ერთ გარანტად ესახებათ.

ნავთობსადენის გავლა, როგორც ითქვა, დიდ ეკონომიკურ ეფექტს ჰპირდება საქართველოს. როგორც ძველი საისტორიო წყაროების მონაცემებიდან ვგებულობთ, ჩინეთიდან და შუა აზიის აბრეშუმის მწარმოებელი რეგიონებიდან (ფერღანა, სოღდიანა) საქართველოზე გამავალ გზასაც დიდი სიმდიდრე რომ შემოჰქონდა საქართველოსათვის, ამას, როგორც ვნახეთ, თურქთა დასავლეთი კაგანატის ლაშქრის მიერ 628 წელს „ნებიერი, სავაჭრო და სახელოვანი დიდი ქალაქის“ — თბილისის აღების შემდეგ, ქალაქიდან გატანილი სიმდიდრის აღწერა მოწმობს. თურქთა ჯარის სარდლებმა და თვით მეომრებმა ხომ აუარებელი სიმდიდრე იგდეს ხელთ.

თურქებმა თბილისიდან რომ მდიდარი ნადავლი წაიღეს, გასაკვირი არაა. მანამდე ქართლის დედაქალაქს უცხოელთა ასეთი ძარცვა არ განეცადა (მას შემდეგ, რაც თბილისი ქართლის სამეფოს დედაქალაქი გახდა, ეს მტრის მიერ მისი პირველი აღება იყო).

ასეთი სიმდიდრის დაგროვება თბილისში იმან განაპირობა, რომ თბილისელი მოქალაქეები იმ დიდ სავაჭრო ოპერაციებში იყვნენ ჩაბმული, რომელიც დასავლეთსა და აღმოსავლეთს აკავშირებდა. ამ დიდი გზის გარდა, თავისთავად ცხადია, ზემოდასახელებული სავაჭრო გზებიც რომ მოქმედებდა, ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ IV ს. II ნახევრის რომაელი გეოგრაფოსის კასტორიუსის მიერ შედგენილი „მსოფლიო საგზაო რუკა“ ე. წ. tabula Peutengeriana. რუკიდან ვგებულობთ ქართლის

უმნიშვნელოვანეს ქალაქებზე (მცხეთა, თბილისი, რუსთავი, უჯარმა და სხვა) გამავალი მაგისტრალი როგორ უკავშირდებოდა სომხეთის ქალაქ არტაშატს. 428 წლიდან სომხეთის პოლიტიკური ცენტრი ხდება ქ. დვინი და ამიერიდან იგი ისეთივე როლს ასრულებდა წინა აზიის საერთაშორისო ვაჭრობაში, როგორსაც ადრე ქ. არტაშატი. VI ს. ბიზანტიელი ავტორის პროკოპიოს კესარიელის ცნობით, სხვა ქვეყნებიდან ერთად დვინში საქონელი შეჰქონდათ ინდოეთიდან და „მეზობელი იბერიიდან".

ასე რომ, ნავთობსადენი, რომლის გატარება ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე იგეგმება, ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი იქნება საქართველოს მომავალი აღორძინებისათვის. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ახლო მომავალში პროექტი რეალობად იქცეს. ძველმა გზამ, რომელსაც ასეთი დიდი შემოსავალი მოჰქონდა საქართველოს მოსახლეობისათვის, ახალი სიცოცხლე უნდა დაიწყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ა მ ი ა ნ ე მ ა რ ც ე ლ ი ნ ე, გეორგიკა, ტ. I. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.
3. ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ.. 1973.
4. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, პ., რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958.
5. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ნაწ., I, თბ., 1946.
6. ა., ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI—VIII საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1973.
7. ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1979.
8. მ, ბ რ ო ს ე, საქართველოს ისტორია, ნაწ., I, ტფ. 1895.
9. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ცნობები თურქული ტომებისა და ხალხების შესახებ ძველ ქართულ წყაროებში, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971.
10. ა. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის ცნობები ირაკლი კეისრის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 31, თბ., 1954.
11. გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში, უნ-ტის შრომები, XXVI, სერია B, თბ., 1944
12. ვ. გ ო ი ლ ა ძ ე, ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში, „მაცნე" ისტორიის... სერია, 1982, № 4.
13. ვ. გ ო ი ლ ა ძ ე, არის თუ არა თეოფანე ჟამთააღმწერელთან მოხსენიებული ვარსამუსე ქართლის ერისმთავარი? „მაცნე" ისტორიის... სერია, 1976, № 1.
14. ვ. გ ო ი ლ ა ძ ე, წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის, „მნათობი". 1986, № 2.
15. ვ. გ ო ი ლ ა ძ ე, ჯუანშერის თხზულებაში მოხსენიებული „თურქთა მეფე საბა" და „ჯიბღა ერისთავი", „მაცნე" ისტორიის... სერია, 1977, № 2.
16. ვ. გ ო ი ლ ა ძ ე, ჰუნების მოხსენიების საკითხისათვის აღმოსავლეთ ევროპაში ახ. წ. II საუკუნეში, თბილისის უნ-ტის შრომები, ტ. 205 (ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია).

17. ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, ხაზართა ლაშქრობა თბილისსა და ალბანეთში მოსე კალანკატუელის „ალბანთა ისტორიის“ მიხედვით (VII ს-ის 30-იანი წლები), ქართული წყაროთმცოდნეობა, I, თბ., 1965.
18. ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968.
19. ე პ ი ფ ა ნ ე კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო პ ო ლ ე ლ ი, გეორგიკა, ტ. 4, ნაკვ. I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941.
20. თბილისი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4.
21. თ ე ო ფ ა ნ ე ბ ი ზ ა ნ ტ ი ე ლ ი, გეორგიკა, ტ. 3. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტფ., 1936.
22. თ ე ო ფ ა ნ ე ყ ა მ თ ა ა ღ მ ფ ნ ე რ ე ლ ი, გეორგიკა, ტ. 4, ნაკვ. I, თბ., 1941.
23. დ. მ ე ლ უ ხ ა, შორეთის დღეანდელი მატიანე — ვ. ჯელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ გამო. „ეაზეთი „თბილისი“ 1974 წ. 29 ოქტომბერი.
24. შ., მ ე ს ხ ი ა, დ., გ ვ ერ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, მ., დუმბაძე ა., სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ., 1958.
25. მ ო ვ ს ეს კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ა ც ი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985.
26. ძოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979.
27. ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა, კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957.
28. პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი. გეორგიკა, ტ. 2, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965.
29. ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
30. ლ., ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ., 1980.
31. უ ხ ტ ა ნ ე ს ი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1975.
32. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942.
33. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1953.
34. ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინეპოლისა სპარსთა და სკვითთა ზედამოსლვისაგან 625—632 წწ. პ. კარბელაშვილის გამოცემა, ტფ., 1903.
35. ს., ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, IV—VII საუკუნეები, I, თბ., 1948.
36. ვ. ჯ ე ლ ი ძ ე ქართლის ცხოვრების ქრონიკები, წიგნი I, თბ., 1973.
37. იე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წ., II, თხზ. ტ. V, თბ., 1986.
38. იე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თხზ. ტ. I, თბ., 1979.

38. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, თხზ., ტ. VI, თბ., 1982.
39. ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები, წ. I. თბ., 1948.
40. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
41. Абулькасим Фирдоуси, Сказание о Бахраме Чубине, из «Шахнамэ», перевод С. Липкина, Сталинабад, 1952.
42. Агафий, «О царствовании Юстиниана». Перевод, статья и примечания М. В. Левченко, М.-Л., 1953.
43. Антиох Стратиг, Пленение Иерусалима персами в 614 г. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, книга IX, СПб. 1909.
44. Артамонов М. И., История хазар, Л., 1962.
45. Артамонов М. И., Очерки древнейшей истории хазар, Л., 1936.
46. Артамонов М. И., Хазарский каганат, СИЭ, т. 15.
47. Бартольд В. В., Сочинения, т. V, М., 1968.
48. Бартольд В. В., Сочинения, т. VII, М., 1971.
49. Бернштам А. Н., Очерк истории гуннов, Л., 1951.
50. Бернштам А. Н., Социально-экономический строй древнетюркского общества VI—VII вв. н. э., Л., 1935.
51. Бичурин Н. Я. (Иакинф), Собрание сведений о народах обитавших в Средней Азии в древние времена, т. I, М.-Л., 1950.
52. Бунятов З. М., О деятельности каталикоса Албании Виро (596—630 гг.), «Ближний и Средний Восток», М., 1962.
53. Васильев А. А., Лекции по истории Византии, т. I, Петроград, 1917.
54. Васильев Л. С., Жужане, СИЭ, т, 5,
55. Всеобщая история Стефаноса Таронского Асохика по прозванию—писателя XI столетия, переведена с армянского и обьяснена И. Эминым, М., 1864.
56. Гадло А. В., Этническая история Северного Кавказа IV—X вв. Л., 1979.
57. Гельцер Г., Очерк политической истории Византии, вып. I., СПб., 1912,
58. Гозалишвили Г. К., О древнем торговом пути в Закавказье, ისტ. ინსტიტუტის შრომები, II, თბ., 1956.
59. Грантовский Э. А., Ирано-византийские войны 6-7 вв .СИЭ. т. 5,
60. Грумм-Гржимайло Г. Е., Западная Монголия и Урянхайский край, т. II, Л., 1926.
61. Гумилев Л. Н., Бахрам Чубин, Проблемы востоковедения, М., 1960, № 3.
62. Гумилев Л. Н., Биография тюркского хана в «Истории Феофилакта Симокатты» и в действительности, ВВ. т. XXVI, 1965.
63. Гумилев Л. Н,, Великая распря в первом тюркском каганате в свете византийских источников, ВВ, т. XX, 1961.
64. Гумилев Л. Н., Война 589 г. и Гератская битва, Известия отделения общественных наук АН Таджикской ССР, 1960, № 2(23).
65. Гумилев Л. Н., Древние тюрки, М., 1967.
66. Гумилев Л. Н., Открытие Хазарии М., 1966.

67. Гумилев Л. Н., Удельно-лествичная система у тюрок в VI—VIII веках, СЭ, 1959, № 3.
68. Гумилев Л. Н., Хунны в Китае. М., 1974.
69. Гумилев Л. Н., Эфталиты и их соседи в IV в., ВДИ, 1959, № 1.
70. Древние тюркские диалекты и их отражение в современных языках, Фрунзе, 1971.
71. Дьяконов М. И., Очерк истории древнего Ирана, М., 1961;
72. Еремян С. Т., Раннефеодальные государства Закавказья в III и VII вв. (кроме §§ 8, 9, 10), Очерки истории СССР, III—IX вв. М. 1958.
73. Еремян С. Т., Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов (По Tabula peutingeriana) ,ВДИ, 1939, № 1.
74 Иерусалимская А. А., «Великий шелковый путь» и Северный Кавказ, Л. 1972.
75. Из анонимной сирийской хроники 1234 г., Н. В. Пигулевская, Византия и Иран на рубеже VI и VII веков, М.-Л., 1946.
76. Из истории торговли Византии с Востоком IV—VI вв., М., 1951.
77. История Азербайджана, т. I, Баку, 1958.
78. История армянского народа, ч. I, Ереван, 1951.
79. История армянского народа, Ереван, 1980,
80. История Византии, т. I, М., 1967.
81. История епископа Себеоса, Перевел с четвертого исправленного издания Ст. Малхасянц, Ереван, 1939.
82. История императора Ираклия, сочинение епископа Себеоса писателя VII века, перевод с армянского, СПБ, 1862.
83. История Иоанна Эфесского. Н. В. Пигулевская, Сирийские источники по истории народов СССР, М.-Л., 1941.
84. История таджикского народа, т. I, М., 1963.
85. История Туркменской ССР, т. I, Ашхабад, 1957.
86. Киселев С. В., Древняя история Южной Сибири, М., 1951.
87. Кляшторный С. Г., Тюркский каганат, СИЭ, т. 14.
88. Кулаковский Ю., История Византии, т. II (518—602), Киев, 1912.
89. Кулаковский Ю., История Византии, т. III (602—717), Киев, 1915.
90. Кюнер Н. В., Китайские известия о народах Южной Сибири, Центральной Азии и Дальнего Востока, М., 1961.
91. Левченко М. В., История Византии, М.-Л., 1940,
92. Летопись византийца Феофана от Диоклетиана до царей Михаила и сына его Феофилакта. Перевод с греческого В. И. Оболенского и Ф. А. Терновского. М., 1884.
93. Ломоури Н. Ю. — К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании IV в. до н. э.—VII в. н. э., М.-Л.: 1959, ВДИ, 1960, № 3.
94. Луконин В. Г., Завоевания Сасанидов на востоке и проблема Кушанской абсолютной хронологии, Древний и раннесредневековый Иран, М., 1987.
95. Магомедов М. Г., Образование хазарского каганата, М., 1983.

96. Максимова М. И., Античные города Юго-Восточного Причерноморья, М.-Л., 1956.
97. Малов С. Е., Памятники древнетюркской письменности, М.-Л., 1951.
98. Манандян Я. А., Маршруты персидских походов императора Ираклия, ВВ, т. III, 1950.
99. Манандян Я. А., О торговле и городах Армении в связи с Мировой торговлей древних времен, Ереван, 1954.
100. Манандян Я. А., Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов, ВДИ, 1939, № 1.
101. Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.
102. Менандр Византиец. «Византийские историки». Перевод с греческого Сп. Дестуниса, дополненный примечаниями Г. Дестуниса, СПБ. 1861,
103. Меликсет-Бек Л. М., Вопросы этнографии Грузии в древнеармянских источниках, Вопросы этнографии Грузии, Тб., 1952.
104. Мерперт Н. Я., Авари, СИЭ, т. I.
105. Мовсэс Каланкатуаци, История страны Алуанк. Перевод с древнеармянского Ш. В. Смбатяна, Ереван, 1984.
106. Мурзаев Э. М., Очерки топонимики, М., 1974.
107. Никифора патриарха Константинопольского краткая история со времени царствования Маврикия. Перевод Е. Э. Лившиц. ВВ, т, III, 1950,
107а. Ономастика средней Азии, М., 1978.
108. Осада Константинополя скифами., Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Тифлис, 1900, № XXVII.
108 а. Очерки истории Китая с древности до «опиумных войн», под редакцией Шан Юэ, М., 1959.
109. Пигулевская Н. В., Византийская дипломатия и торговля шелком в VI—VII вв., ВВ, т. I (XXVI), 1947,
110. Пигулевская Н. В., Византия и Иран на рубеже VI и VII веков, М.-Л., 1946.
111. Пигулевская Н. В., Византия на путях в Индию, М.-Л., 1951.
112. Пигулевская Н. В., Сирийские источники по истории народов СССР, М.-Л., 1941.
113. Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю., Петрушевский И. П., Строева Л. В., Беленицкий А. М., История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Л., 1958,
114. Плетнева С. А., Хазары, М., 1976.
115. Подвиг Бахрама Чубины. Подбор и перевод источников, вступительная статья и комментарии Л. Н. Гумилева. Л., 1962.
116. Попов А. И., Названия народов СССР Л., 1973.
116 а. Словарь этнонимов, Гумилев Л, Н,, Хунну, М,; 1960.
117. Тарихи Дербенд-наме, Под редакцией М. Алиханова-Аварского, Тифлис, 1898.
118. Телесы. СИЭ, т. 14.

119. Толстов С. П., По следам древнехорезмийской цивилизации, М.-Л., 1948.
120. Тревер К. В., Кушаны, хионитиы, эфталиты по армянским источникам IV—VII вв. СА, XXI, 1954.
121. Тревер К. В., Очерки по истории и культуре Кавказской Албании IV в до н. э., — VII в. н. э., М.-Л., 1959,
122. Успенский Ф. И., История византийской империи, т. I, Тб., 1913:
123. Феофилакт Симокатта, История. Перевод С.П. Кондратьева, М., 1957.
123 а. Фраи Р. Н., Наследие Ирана, перевод с английского, М., 1972.
124. Шелковников Б. А., Китайская керамика из раскопок средневековых городов и поселений Закавказья, СА, XXI, 1954.
125. Эрдели И., Авары и средняя Азия, Центральная Азия в кушанскую эпоху, т. II, М., 1975.
126. Ямпольский З. И., К изучению древнего пути из каспийского моря по реке Куре через Грузию к Черному морю. ისტ. ინსტ. შრომები, II, თბ. 1956.
127. Marquart J., Eranšahr nach der Geographie des Ps. Moses Xorenac'i Berlin, 1901.
128. Marquart J., Osteuropäische und ostasiatische Streifzüge, 2., unveränderte Auflage, Darmstadt 1961.
129. Nöldeke Th., Geschichte der Perser und Araber zur Zeit der Sasaniden, Aus der Arabischen Chronik des Tabari übersetzt, Leiden, 1879.
130. Toumanoff C., Studies in Christian Caucasian History. Georgetown University Press, 1963.

შემოკლებათა ახსნა

ВВ—Византийский временник
ВДИ—Вестник древней истории
СА—Советская археология
СИЭ—Советская историческая энциклопедия
СЭ—Советская этнография.

შინაარსი

შესავალი . . . . . .
თავი I. ომისათვის სამზადისი . . . . . .
თავი II. თურქთა სახელმწიფოს წარმოშობა. თურქთა მიერ შუა აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ხალხების დაპყრობა . . . . . .
თავი III. აბრეშუმით ვაჭრობა და სავაჭრო გზები ომის ძირითადი მიზეზი .
თავი IV. ახალი სავაჭრო გზის დადების ცდა . . . . . .
თავი V. ორი კოალიცია . . . . . .
თავი VI. ჰერაკლეს ელჩი თურქთა დასავლეთ კაგანატში ელჩობის შედეგები .
თავი VII. ჰერაკლეს ქართლში შემოსვლის გზა . . . . . .
თავი VIII. ბრძოლა თბილისისათვის . . . . . .
§ 1. მოკავშირეთა მოსვლა თბილისთან. თბილისის ორთვიანი ალყა 627 წლის ზაფხულში . . . . . .
§ 2. მოკავშირეთა ჯარის რაოდენობა და შემადგენლობა . .
§ 3. სომხები თურქთა ჯარში . . . . . .
თავი IX. ვინ იყვნენ ჯაბღუ, შათი და „თურქთა მეფე საბა"? . . .
თავი X. იმპერატორ ჰერაკლეს ლაშქრობა ირანში . . . .
თავი XI. თბილისის აღება. ომის დასასრული . . . .
§ 1. ირან-ბიზანტიის 628 წლის ზავის შედეგები . . . .
§ 2. აი რას მოგვითხრობს მოვსეს კალანკატუაცი თბილისის აღების შემდეგ დატრიალებული უბედურების შესახებ . . . .
§ 3. ქართლის ერისთავთა მთავარი სტეფანოზ I . . . .
§ 4. იყო ვარსამუსე ქართლის ერისმთავარი? . . . .
§ 5. რომელ წელს იქნა აღებული თბილისი და ვის მიერ . . .
§ 6. საიდან „ავინეს" თბილისის დამცველებმა ჯაბღუსა და იმპერატორ ჰერაკლეს? . . . . . .
§ 7. რატომ არ მონაწილეობდა იმპერატორი ჰერაკლე თბილისის აღებაში? . . . . . .
ბოლოთქმა . . . . . .
ძველი გზის ახალი სიცოცხლე . . . . .
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .

БОЛЬШАЯ ТОРГОВАЯ ДОРОГА ШЕЛЬКА И ГРУЗИЯ

(на грузинском языке)

Тбилиси 1997

ფასი სახელშეკრულებო

შეკ. № 356 ტირ. 1000

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი 380028, ი. ჭავჭავაძის პრ. 1.

Тип. Тбилисского университета, Тбилиси, 380028, пр. Чавчавадзе 1.